ვლადიმერ ბერუაშვილი



# მაისის მთვარის ღამეები

ლირიკა

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# მაისის მთვარის ღამეები

თბილისი
2013

| | |
|---|---|
| რედაქტორი: | **მანანა გორგიშვილი** |
| დამკაბადონებელი: | **თამარ ტყაბლაძე** |
| ოპერატორი: | **ეკატერინე ჯანჯალაშვილი** |
| კორექტორი: | **ცია გოგოჭური** |

# ავტორისგან

პატარაობისას, აივანზე, მოაჯირთან მივიდგამდი ხოლმე სკამს და ორბოძელას მთასთან, წითლად ამომავალ მთვარეს, ათასგვარი ბავშური ოცნებებით გატაცებული, დიდხანს გავყურებდი.

ბაღებიდან მოისმოდა ბულბულების გალობა და მცხეთიჯვრის მთის კალთებიდან ჩამონადენ ბერის წყაროების ჩუხჩუხი. ჰაერში, ტყემლებისა და მინდვრიდან მონაბერი ყვავილების სურნელი იდგა.

უკვე მხცოვანი, აგვისტოს ომის დღეებში, გვიან ღამით, ისევ იმ მოაჯირიდან შევყურებდი მთების გუმბათებთან, ცაში დაკიდებულ მთვარეს, სისხლით შეღებილს რომ ჰგავდა, ქართველების უცოდველი სისხლით, რუსმა ოკუპანტებმა და ოსმა ბანდიტებმა ჩემს მიწაზე რომ დაღვარეს.

ის სისხლი არასოდეს შეაშრება ჩემი სამშობლოს მიწას!

მათ უპატიებელი ცოდვა დაიდეს კისრად!

ასი წლის წინათ ხიზნად მოსულებმა ათასი წლის ქართული სოფლები გაუგონარი ზიზღით, ენით უთქმელი სისასტიკით გაძარცვეს, გადასწვეს და მიწის პირისგან ულმერთოდ აღგავეს!

ლექსების კრებულს, ,,მაისის მთვარის ღამეები" დავარქვი, რადგან, პატარა ბიჭიც და უკვე ჭაღარად მყოფიც, თვალებზე ცრემლის მოსვლამდე შევხაროდი უკვე სიძველეში წასულ მთებთან ამოწვერილ მაისის მთვარის მშვიდ, თბილ ღამეებს, რომლებმაც ჩემში წარუშლელი სიყვარულის კვალი დატოვეს.

კრებულში მკითხველი ნახავს ლექსებს, რომლებიც აგვისტოს ომის ჩემეული განცდის ნაყოფია, ჩემი კუთხის ხალხს ეძღვნება და არა მარტო მათ, ამ კრებულის ავკარგიანობის განსჯაც მათთვის მიმინდვია.

## მამულო!

მამულო, შენი ბევრი რამ მმართებს:
შენი მთა-ბარი, ცა, მზე და მთვარე,
ღმერთს და შენ, ჩემსას გიმადლით ამ ფრთებს,
გულს და სისხლს ჯიშად... რაც მივითვალე.

მე, მმართებს შენი დიდი წარსული,
და ტკივილები ნამყოს, აწყმოსი,
ძმობისთვის ტანზე თაფლი წასმული
და მოყმის ხმალი ვეფხვის ნაყნოსი.

კიდევ რა მმართებს? როგორც ყველას, მეც,
უბრალო შენს შვილს და როგორც ქართველს,
შენს ძუძუს ვწოვდი მინდორ-ველად მე,
და თავგანწირვა - შენთვის ეს მმართებს!

21 აპრილი, 2007 წელი, ერედვი.

## გვირგვინი მომაქვს

აჰა, შევკარი თაიგული მინდვრის ყვავილთა,
და რა დავარქვა ვერ ვიგონებ, ღმერთო, არ ვიცი,
პეშვით ვაპკურე წყალი ამ ველს დამწვარს გვალვითა,
და რაღაც ველურ აღტაცებას ამით განვიცდი.

შენსკენ მომავალს, უიმედოს, ყოვლად უსასოს
ჯაჭვი დამკიდა დადიანის ბედმა სათრევად,
მოვდივარ მძიმედ, მოვდევ მანძილს ლურჯს და უსაზღვროს,
მიღამდება და ადგილს ვეძებ ღამის სათევად.

მწუხროდა, შევსვი ყვავილების ციური ნამი,
მათი სურნელის და ფერების შევკარი კონა,
შენსკენაც მომაქვს მათი ნექტრით აღვსილი ჯამი,
მე ამ ჯაჭვით, რომ ზედ დამაბა და დამამონა.

მე, მაინც ვცდილობ ავაჩქარო ნაბიჯი იქნებ,
მოგისწრო, ნახო თაიგული, ნექტარიც მოსვა,
იქნებ დავეხსნა ნაწამები დემონურ ფიქრებს,
ხელი რომ არ მკრან, დამაცადონ შენამდე მოსვლა,
იქნებ უშველო ღამის მთეველს, ძალას რომ იკრებს,
და იმ მომლოცველს ღვთის შემნდობი ძალა რომ მოსავს.

გვირგვინი მომაქვს, დამიყნოსე, მოსვი ეს ჯამიც,
და გადმომძახე, შთამაგონე მისი სახელი,
იქნებ მეშველოს, ჩამოვიხსნა ეს მძიმე ჯაჭვიც,
რომელიც ასე ამსუბუქებს ცოდვას გამხელილს.

20 ივლისი, 2006 წელი, თბილისი.

***

გორში, პოეტს და რედაქტორს
თავს რომ თვლის წევრად ზედა წრის,
ჭაღარა თმები ზედ ათოვს
დრო ყურზე ხაზვს რომ ზედ აჭრის,
ლექსების დასტა დავუწყე,
ვთხოვე, გამზომე არშინით,
გადაფურცლა და მაუწყებს:
„არ ჭიხვინებენ რაშივით“.
ოთახს წუხილით ვტოვებდი,
წყალში მეყრება ნაღვაწი,
მივხვდი: ბედს ვერსად ვპოვებდი
და ამელეწა ტუჩ-ღაწვი.
კედლიდან დინჯად მიმზერდნენ
ვაჟა, ილია, აკაკი,
ჭაბუკს ძილშიც რომ მიმღერდნენ
ქართულს, მთის წყაროს რაკრაკით.

2005 წელი, ოქტომბერი
გორი-თბილისის ავტობუსი

# ელია

ასე რამ გაგაპარტახა, ქვით ამოზრდილო ელია?
მლოცველთა გადაგვარებამ ეგ კედლები რომ ელიან?
მათ ცდაში კუთხე დაგენგრა, გული შენც გადაგელია,
მარტოობა და ლოდინი ოჰ, როგორ, როგორ ძნელია.

როგორ საძირკველით წაგლეკეს შხაპუნა წვიმის ღვარებმა,
ქარაშოტმა და მეხთა ხმამ, სხვადასხვა ავმა დარებმა,
რამდენი წლები ადინა შენმა კრამიტის ღარებმა,
რამდენ უსასოს მადლი სცა შენმა დაშლილმა კარებმა.

სანთლის მაგიერ მზის შუქი სარკმლიდან შემონადენი,
მხოლოდ ესღაა, ბნელს ანგრევს, არის ეშმაკთა განმდევნი,
ვინ აღარ გევედრებოდა, დაღვრილა ცრემლი რამდენი,
მიწის მუშა თუ მხედარი, თუ ავ საქმეთა ჩამდენი.

დრომ ვერ შებღალა ბორჯღალი ქართველის მკლავით ნაჭედი,
გთლიდა საჭრეთლით იბერი, ხალიბი ხანჯლის გამჭედი,
მრევლი ტანს ძაფებს გახვევდა, გმოსავდა წითელ ნაჭრებით,
შენ მათი იმედი იყავ, თან თაფლის კვერებს აჭმევდი.

ცრუ წუთისოფლის ბრუნვა თუ მლოცველთა გადაგვარება,
თუ მიწის რყევა ან მეხთა შენს ტანზე გადატარება,
თუ თოვლ-ქარწვიმა ადინა შენს კედლებს ცათა კარებმა,
თუ აღარ არის ის დედა, აქ ყრმას რომ დაატარებდა.

რა მოგერია ამათგან ქვით ამოზრდილო ელია?
ოჰ, ამ დუმილში, ამ ხრამთან, აქ დგომა როგორ ძნელია.

30 ივლისი, 2006 წელი, ერედვი

## ზეცის გზა

როგორც დაწურული ყურძნის ტკბილი წვენი,
ტუჩზე ჩამოღვრილი ღვინის ბადაგივით,
მეც ვიწურები და ცისკენ მივირწევი
ქარით ატაცებულ ლურჯი ფარდაგივით.

ოცნებებს ჩემსას აქ სივრცე არა ჰყოფნის,
და მინდა შევერთო ლურჯ მორევს ზეცისას,
იქ, თეთრი კარავი, იქ, ჩემი სამყოფი
დავდგა და შიგ მყავდეს მთვარე და მზე ცისა.

გარს შემოვიკრიბო ვარსკვლავნი ციმციმა,
გულზე კი მეკიდოს რიჟრაჟის მთიები,
რომლებმაც აქ ბევრი, ჩემს სულში, ვიცი მან
ამღერა ბულბული, ახარა იები.

მაშ, წავალ გულდაგულ, გავყვები ზეცის გზას,
გზას ნაფენს მზის შუქთა ნაქსოვი ფარდაგით,
ლურჯ იებს, რომლებსაც ვხედავდი მე სიზმრად,
ამ გზაზე ვიცი მე, ქარი ვერ გადაგვის.

მე, დავემსგავსები სივრცეში იმ ბუმბულს
ცის სილაჟვარდეში წეროს ფრთებს რომ სწყდება,
და ჩავეფინები ბუდეში იმ ბულბულს,
მაისის ღამეში გალობით რომ კვდება.

31 ივლისი, 2006 წელი, თბილისი

## ცხრამეტის გახდები

ცხრამეტის გახდები, ტანზე მოგეხვევა
ნისლივით მსუბუქი კაბა უთეთრესი,
შენთვის, ჩემგან ლურჯ ცას კალთა მოეხევა,
ქვეყნად რომ არ არის ფერი უკეთესი.

მომწვდება დოლის ხმა, მე მაინც ღრმად მოხუცს
მომკვეთავს ჟინი და სიშლეგე ამიტანს,
გულს ჩემსას ამურის ისარზე წამოცმულს,
ერთხელაც დასწვავს და მიწაში ჩამიტანს.

სურვილი დამახრჩობს მოგეხვე ქარივით,
ტირიფის ტოტივით წამოგაშრიალო,
ჩემს სულში რაღაცა დარეკავს ზარივით,
ოცნება ჩემი რომ ამოვაფრიალო.

მე, ჯადოშეყრილი თავს ძლივს მოვერევი,
შორს რომ განვერიდო სულის ამ წამებას,
ოდესღაც მახრჩობდა ასეთი მორევი,
ვნატრობდი, ეს ღამე, დღეს მთვარით წაებას.

წავალ, მომადგება ცრემლი მდუღარე და
მთელი შიგნეულის სევდა უმძიმესი,
ხახით გადამყლაპავს ცივი მდუმარება,
ხელ-ფეხს შემიბოჭავს ჯაჭვი უსიგრძესი.

სადმეს ჩამოვჯდები, ცას შორით გავხედავ
შენთვის ჩამოვაჭრა ფერი უკეთესი,
დიდი ხნის წინ იყო, სადღაც ჩემს თავს ვხედავ,
ჩემთვის, რომ ცეკვავდა კაბა უთეთრესი .

4 აგვისტო, 2006 წელი, თბილისი

## ჩემო წკრიალქნარო

უთენია, ჯერ რიჟრაჟით ცა არ შეფერილა,
შაშვი უკვე საგალობოდ ჭადარს შეფრენილა,
რას ამბობდა, ვის ეძახდა, თუ ჩიოდა რამეს,
როგორ სევდით გასძახოდა ჯერ გასათევ ღამეს,
და შორს, მთებთან, ცის კიდეზე მიმკრთალებულ მთვარეს,
თითქოს ერთად, მთელი ღამე, ცხარე ცრემლი ღვარეს.

მეც იქ მინდა, სურვილი მკლავს გამომებას ფრთები,
გადავფრინდე, გადავლაშქრო კავკასიის მთები,
ამირანის ცეცხლი ვნახო ბნელში დანანთები,
ტანი ჩემი ზედ მოვავლო ვნებით ანანთები.

მაშ, ამზიდე ოცნებათა თეთრო იალქანო,
ამიყვანე ალიონთან მინდვრის ნიავქარო,
ცისაკენ და შაშვთან ერთად ჩემო წკრიალქნარო,
დავიმღერო და დაჭრილ გულს მთვარე მივაფარო.

ამიყვანე ცის ლაჟვარდში, როგორც თეთრი ნისლი,
დაღლილ სხეულს მოვახვიო სიმსუბუქე მისი,
ლურჯ ფერებში ჩაძირულმა საბნად დავიფარო,
მისი ნაზი საბურველი ფარად ავიფარო.

მაშ, ავფრინდეთ გარიჟრაჟთან ჩემო წკრიალქნარო,
ჩემი ბედის, ჩემი ხვედრის თეთრო იალქანო,
შაშვთან ერთად ვუგალობოთ ჯერ გასათევ ღამეს,
მე და მან ხომ, ამ ჭადართან, ბევრჯერ ცრემლი ვღვარეთ.

ცას შევძახოთ, ვარსკვლავებს და მინავლებულ მთვარეს,
რას ვმღეროდით, ვის ვეძახდით, თუ ვჩიოდით რამეს.

6 ივნისი, 2006 წელი, თბილისი

## გულიყარის კლდე

*„ყორღანოვი ქარაფინდა*
*ხელი ჰკრეს და გადაფრინდა"*
*ხალხური*

არ დაგელია, საქართველოვ, ყორღანოვები,
აღარც ყიჟინა არა ცხრება გადამთიელთა,
ასი წელია მოგაჭამეს ორგანოები,
შინგამცემელნიც ლოკვად დგანან სხვის ნათხიერთა.

მაინც რანი ვართ? ვერ ვგუობდით აღმაშენებელს,
ქვეგამხედვარნიც ბევრი ჰყავდა მეფე თამარსაც,
მოღალატისა შუბლზე აჩნდა დამღა ჩვენებს ბევრს,
რომელთა გამო საქართველო ბევრჯერ დამარცხდა.

ძირში მოვთხარეთ სააკაძე, თოფი ბერდენკა
შუბლში ვახალეთ ილიას და თვით საქართველოს,
მადლობა უფალს, სისხლი ჩვენი არა ბერდება,
ნაღალატარი მამული, რომ სხვამ არ გათელოს.

ქვეგამხედვართ კი ელოდება გელიყარის კლდე,
საიდანაც ძირს გადუყრიათ ყორღანოვები,
ასი თვალ ყური! ჩაიკეტოს ქვეყნის კარიბჭე,
რომ ვერ მოსჭამონ საქართველოს ორგანოები.

6 აგვისტო, 2006 წელი, თბილისი

## ლიანა და მოცარტი

უკრავს ლიანა ვიოლინოს და,
ცოცხლდება თითქოს მკვდარი მოცარტი,
ბურუსში ჩანდა ზევსის მინოსთან
და ქვესკნელის გზას მისას ვლოცავდი.

სადღაც ქაოსში ამოქროლილი
ჰანგთა ქარბუქი ტალღით მიმათრევს,
ცა, ბნელი ღრუბლით ამოქოლილი
იპობა და ვსვამ ცისკრის სინათლეს.

მე, მბურძგლავს ტანში ეს სიმთა ჟღერა,
თითქოს მფლობელობს ჩემზე გრძნეული,
სულის და ხორცის მეწყება რღვევა
ჩემში ოდესრაც ძლივს დაძლეული.

მე, ვინაბები, როგორც ნიბლია,
თუმც ჩემში რაღაც ვნება მძვინვარებს,
და მივსდევ ქარში ჰანგებს ხიბლიანს,
რომ გადავევლო მთათა მყინვარებს,
რომ ავწვდე ცაში ვარსკვლავს იღბლიანს,
მთვარეს შევეხო ნისლში მძინარეს.

ვძიმდები, როგორც ქვის დიდი ლოდი,
და თითქოს ბედი ზღვაში მძირავდეს,
რომ ყოველ ამას მსხვერპლად მივსვლოდი
შევსვამდი შხამსაც ჯამით, ძირამდე.

ხმელ სავარძელში ჩავიმალები,
ეს ასი წუთი მავიწყებს ღმერთსაც,
შემომერტყმიან ავი ძალები
და დრო რაღაცა ნიაღვარს შემრთავს.

მე, შიგ შევცურავ და ვხუჭავ თვალებს,
და ცოცხლად ვხედავ, მოდის მოცარტი,
ხელში თასივით უჭირავს მთვარე,
და გამოჩენას მისას ვლოცავდი.

14 აგვისტო, 2006 წელი, თბილისი

## ბაიკალთან

მოდიოდა ხმა, ხმა ბაიანის,
ნაცნობი ჰანგი შორეულ ხსოვნის,
წინ გასავლელი გზა ბაიკალის
და უდაბნონი ქათქათა თოვლის.

ყრუდ მოისმოდა რკინის ბორბლების
როგორც ცხენთ ნალთა ადენილი ხმა,
ვიყათ მოწყენით როგორც ობლები,
თითქოს გულს გვედო ჯადო-თილისმა.

მივქროდით, მძიმე მებრძოდა ფიქრი,
ხმა მამწუხრებდა, ხმა ბაიანის;
ფანჯრის მინაზე დნებოდა ფიფქი,
და ილეოდა გზა ბაიკალის.

16 მაისი, 1971 წელი, თბილისი

## ჩიტებო!

ჩიტებო, ტკბილად მოჭიკჭიკენო,
სხედხართ და ჩუმი მოწყენით გალობთ,
მოიჩქაროდით სახლში ჭინკებო
და აქ მოსასვლელ ზაფხულს უგალობთ.

მე, ეს არც მიკვირს, თუმცა კი გცივათ,
მაინც სამშობლო ტკბილია, ტკბილი,
აქ, ცას ღრუბლიანს ჯერ ფიფქი სცვივა,
და ცაცხვებს სძინავთ ზამთრის ღრმა ძილით.

წამოვიხურავ თავზე ლაბადას,
თქვენსავით ვუცდი მეც ცით წყალობას,
ბედმა თქვენსავით მეც აქ დამბადა,
და რაღაც ჩუმად შემომგალობა.

ჩიტებო, წვიმამ მეც შემამცივნა,
ღვარად ჩამოსდევს ჩემს ძველ ლაბადას,
თუ გაზაფხულმა მეც შემომცინა,
ჩემს ბედს მზის სხივთა ბლუჯა დაბლანდავს.

10 აპრილი, 1969 წელი, თბილისი

***

ხშირად, უცნობ რაღაც ჟინით,
თუ მაცდურის რჩევით,
დავდიოდი ტყე-ღრე, მინდვრად,
იყო ჩვევა ჩემი.

შავი ნისლი თავს მეხვია
ფიქრი იყო ჩემი,
მძვინვარებდა ქარიშხალი
სული იყო ჩემი,
თრთოდა ბუჩქი, წიფლის ოლე
გული იყო ჩემი.

წვიმდა ტყეში წვიმდა, წვიმდა
ცრემლი იყო ჩემი,
ზეცა ქუხდა და გრგვინავდა
ეს ხმა იყო ჩემი,
გაელვება შავ ღრუბლებში
თვალთა ხედვა ჩემი,
სტვენდა ქარი მუხის ტყეში
ეს, სიმღერა ჩემი,
ამღვრეული ნაკადული-
სისხლი იყო ჩემი.

გადავყროდი რაღაც ნადირს
ეს, სურვილი ჩემი,
და მომეკლა, არ დამენდო
ეს კი მტერი ჩემი.
წეროები ქარიშხალში-
სინანული ჩემი,
და დაღუპვა უბედურთა-
სიბრალული ჩემი.

სველი შუბლი ქარ-წვიმისგან
ოფლი იყო ჩემი,
ვეწაფოდი თხილის წყაროს-
დედის ძუძუ ჩემი,
მოშრიალე მუხა, რცხილა
და-ძმა იყო ჩემი,
მეხვეოდა ყლორტი ვერხვის
სატრფო იყო ჩემი.

დავეძებდი რაღაც წარსულს,
ეს ბავშობა ჩემი;
მძვინვარებდა ქარიშხალი-
სული იყო ჩემი,
ობლად ორთოდა წიფლის ოლე
ეს კი გული ჩემი.

23 დეკემბერი 1970 წელი თბილისი

## ბერიკაცები

აკაციები ყვაოდნენ თეთრად,
თეთრად ყვაოდნენ მაშინ ტყემლებიც,
ბერიკაცები მღეროდნენ ერთად,
თვალებზე ადგათ ნაღვლის ცრემლები.

ორმოცი დღის წინ, თებერვლის დღეებს
ბრტყელ ფანტელებად ფიფქი სცვიოდა,
მოხუცნი გავდნენ ხავსიან ხეებს,
ცხედარს მისდევდნენ, ძვლამდე სციოდათ.

მიაცილებდნენ სიყრმის მეგობარს
მწუხარენი და ფიქრით მძიმენი,
ეუბნებოდნენ ღვინით შენდობას,
ჯერ ისევ მხნენი, სიტყვაძვირები.

ჩაღიღინებდნენ ჩუმად შავ მიწას,
ამ წუთისოფელს სევდით აღსავსეს,
აკვანი მათი სადაც დაირწა,
ულებს სოფლიდან კარებს გასასვლელს.

ერთ დროს ჯიხვის ყანწს ფრჩხილზე ბერტყავდნენ,
ვახშმად ჭედილა არც კი ჰყოფნიდათ,
ქამარ-ხანჯალი ვერცხლის ერტყათ ზედ,
თვალს ახარებდნენ ყინჩად ყოფნითა,
თან რომ დაჰქონდათ კაცობა და ზნე,
როგორც სტუმრები წავლენ სოფლიდან.

1969 წელი, ოქტომბერი, თბილისი.

## იებო!

ჩემო ლურჯთვალა, ნაზო იებო,
ხომ არ შეგაკრთოთ ზეცის ქუხილმა?
ხომ არ შეშინდით, პაწაწინებო,
ხომ არ მოგიცვათ დარდმა, წუხილმა?

იწვიმოს, თავსხმაც ნუ შეგაშინებთ,
ჩაგიდგეთ გულში ციური ნამი,
მე თქვენს ყვავილებს, ლურჯად გაშლილებს,
ვთხოვ, მომივლინონ ნეტარი წამი.

ნუ შეგაშინებთ ეს ცივი წვიმა,
ნურც ამ ღრუბლების ელვა და მეხი,
მე მეშინია, მე გული მტკივა,
ვაი თუ ვინმემ დაგადგათ ფეხი.

ან ჩამოშალოს დრომ ძველი ყორე,
ქვამ ხავსიანმა გადაგიაროთ,
თქვენს დარდსაც ბედი შორს გამაყოლებს,
რომ ასე ცხრა მთა გადავიარო.

ათასჯერ მოვალ, შევსვა იებო
ეგ წვიმის ცრემლი თქვენი თვალების,
ათასჯერ ვევნე, რომ ღვთით მიმეღო
იყოთ მიზეზი ჩემი წვალების.

1971 წელი, აპრილი, ერედვი

***

არ იყო მაშინ აქ ბაღი და ვენახი,
ათასი ფერებით ყვაოდა მინდორი,
იმ ბილიკს მივსდევ და შენს აჩრდილს ვეძახი,
მე, ასე უბრყვილო და ბედის მიმნდობი,
სადა ხარ? მეჩვენე, ყვავილებს შევძახი:
ოჰ, როგორ მიყვარდი, ოჰ, როგორ მინდოდი.

ჩავჯექი ჯეჯილში, მოვხვიე გვირილებს,
ვეფერე ალერსით, შიგ ჩავრგე პირსახე,
ვეფერე ყაყაჩოს, ცისაფერ ბილილებს
რომლებიც მუდმივად მახსენებს შენს სახელს.

მე, გულზე ვიბნიე ყველა ეს ყვავილი,
ვიდრე არ დამაჭკნა ვატარე იმ დრომდი,
რა დროა გასული, რა წლები გავლილი,
ოჰ, როგორ მიყვარდი, ოჰ, როგორ მინდოდი.

3 სექტემბერი, 2006 წელი, ერედვი

## წყაროვ, ნუ დაშრები

დაიწვა ქვეყანა, გადახმა მინდორი,
ასეთი გვალვები არ ახსოვთ ბებრებსაც,
მზე აჭერს ისეთი, სიცხეა იმ დონის,
ალმური გადასდით ტყის პირებს, ბეგებსაც.

თონეს გავს მთებშუა ჩამჯდარი თბილისი;
სიოც კი არ იძვრის, სულს როგორ მოითქვამ?
მთელი ეს ზაფხული, ივნისი, ივლისი,
ისე სწვავს, ჩრდილოშიც მუხლსაც ვერ მოირთხამ.

შემოესევიან სოფელს ქალ-ბავშვები,
აახმიანებენ ფუძე-ჭერს ორმაგად,
იმრავლონ! წყაროა! წყაროვ ნუ დაშრები!
ღვთის ანგელოზო კი დაუდექ ქომაგად.

ინება, და მთვარეც, როგორც რამ საყურე
გამოჩნდა ძაფივით ძლივს ამოსაცნობი,
ისევ გვალვისაა, ვიღაცა გაჰყურებს,
ასეთი ფორმითო არისო ნაცნობი.

ლიახვის ფშანი აქ მოშხუის არხიდან,
მტკაველზე დამსკდარი მიწა ძლივს ირწყვება,
აქ ყოფა ძნელია, და მაინც ამ მხრიდან,
ჩემი მამულეთი აქედან იწყება.

3 სექტემბერი, 2006 წელი, ერედვი

## გაგრის პლაჟზე

აი, აქ ძალმიძს დამაშვრალმა ვპოვო სავანე,
დავატკბო სული, დავივიწყო დროთა სვლა წამით,
თვალი ვადევნო ზღვაზე მცურავ გემთა ქარავნებს,
და მოვყვე დინჯად პალმებ შორის ხეტიალს ღამით.

შევდივარ ზღვაში და ვერთობი ლურჯი ტალღებით,
აღტაცებული ამ საოცარ წალკოტებს ვლოცავ,
გრილოში წვანან გოგოები ტანით მაღლები,
ოჰ, ერთხელ მაინც, ერთხელ თუნდაც ლამაზო კოცნავ! ...

თავბრუ დამეხვა, აღგზებული გრილმა ტალღებმა
ლამის წამლეკეს, მაინც ვერ ვწყვეტ თვალს ტურფა ნიმფებს,
მათში ერთის გულს ველოდები, როდის გაღღვება,
თმებს სასთუმალზე სანეტაროდ როდის გამიფენს.

1 აგვისტო, 1977 წელი, გაგრა

## „კალია" ტრაქტორი „მე მათ არ გავყე" ლექსი

ოთხთვალა ტრაქტორი, როგორც კუ, ფოსტის გზას
მოსდევდა სოფლისკენ რახ-რახით, თუხთუხით,
და თითქოს შეხვდაო საომარ ფრონტის ხაზს,
წინ დახვდნენ ქალები ათ-ათი, ხუთ-ხუთი.

რიყის ქვით აევსოთ კაბების კალთები,
ესროლეს ღონივრად რაც ძალა გააჩნდათ,
პირბასრი ბრჭყალები ავაზას თათების,
რკინის ხარს და მეხრეს ჭრილობად დააჩნდათ.

ტრაქტორისტს სისხლი სდის, ეღვრება ზედ საჭეს,
ავზიდან გადმოდის საწვავი თქრიალით,
ბრბო კი ზედ დასძახის: ''სიკვდილი შენსგამჭედს'',
არ ცხრება ქოთ-ქოთი და ორომტრიალი.

''მაშ, რაღად გვინდაო ჩვენი ხარ-კამეჩი,
ეს მინდორს თუ მოხნავს და კიდეც დათესავს?
გუთანს აიბამსო მთვარიან ღამეშიც,
დაგვიტოვს მშიერსო ოჯახს და ნათესავს''.

მრავალი წლებია გასული მას შემდეგ,
შემცდარნმა რაზედაც ჰყვეს წყევლა-გინება,
ახალი, მათ ძვლებზე მტკიცედ რომ დაშენდეს,
დრო, იმავ ფოსტის გზით წინ მიედინება.

16 ოქტომბერი, 1977 წელი, ერედვი

## შენია რაც მაქვს

მე, იმ ორთქლის,
იმ სურნელების მინდება ყნოსვა
გაზაფხულით, რომ შენს მიწას ასდის,
მიწა რომ თბება,
თოვლის ნაჟური პეშვით მსურს მოვსვა
იმ შენს ბეგებზე მზეზე, რომ დნება.

იმ შენს სერებზე,
იმ ენძელების
და იების მსურს შევკრა კონა
შენი მიწის მადლით რომ ხარობს;
და მე, ერთ შენს შვილს, მე შენსა მონას,
მსურს ვარდ-ყვავილთა ველი ვახარო,
მოგიძღვნა შენ და რაც გამაჩნია...
შენმა ცამ გულზე, რაც დამამჩნია!

1978 წელი, თბილისი.

## ნელის

**ნეტავი** ერთხელ მანახა ნელი,
ის ხეობები და მთები **შენი,**
მძვინვარე თერგი, ღრუბლები ბნელი,
და მთა ყაზბეგის ლურჯ ცას რომ მშვენის.

კლდის წყაროები **ტუჩთა** გამყინი,
**სურნელი** ყვავილთ პირიზმის, ვარდის,
**შემასვი ერთხელ!** მე მთებს გავყვირი,
და მომატარე მთიელთ კარამდის.

**მთის ქალო, ნელი,** გწყურია ვიცი
ალერსი წრფელი პირქუშ მყინვარის,
**და თუნდაც** გახდე გამტეხი ფიცის,
გერჩივნოს მაინც თერგი მძვინვარი.

მე მირჩევნია, იქ **მოვკვდე** მთაში,
**ოღონდ კი** ვიყო მასთან ვინცა მსურს,
ვიდრე აქ ვიყო, ამ მტვრიან ბარში
და დავტიროდე ნაღვლიან წარსულს.

მთელი გულით მსურს, ბაგენი **შენი**
**ვნახო ვნებათა** ღიმილით სავსე,
და იყო ლაღი, როგორც ტყის შველი,
პირიმზემ, ქუჩმა ნამი ხომ გასვეს.

**მე** ვიცი, **ცეცხლი** მხურვალე ალით
შენს ნაზ გულს ტრფობით შემოევლება,
**მწველი** გრძნობები შენი მკურნალი,
შენს ვაჟს არასდროს შემოელევა.

1969 წელი, ოქტომბერი, თბილისი.

## იქნებ, მეძახი

იქნებ, მეძახი და ხელს მიქნევ,
იმ ძველ სახსოვარს
გსურს რომ შევეხო, მეტყვი: იქნებ,
კიდევ გახსოვარ?
იქნებ, გინდა, რომ გამახსენო
იმ ღამის მთვარე,
შენ რომ მეძახდი, დამეხსენო,
მე, გიჟს, ნამთვრალევს.
ვნებააშლილი მე ვკოცნიდი
შენს ლამაზ თვალებს,
მეძახდი ჩუმად, წა, მომცილდი,
ნუღარ მაწვალებ.
როგორც მორევი აშვებული
აწყურვებს მინდორს,
მე ვიყა შენით ავსებული,
მიყვარდი იმ დროს.
ახლა ფარდაა დაშვებული
ვით ღამის ბნელი,
ჩიტი ხელიდან გაშვებული,
ხსოვნა, რა ძნელი.

11 სექტემბერი, 2006 წელი, ერედვი.

## ჭიამაია

ჭიამაია, მოდი და ხელზე
მაშინდელივით ამომაცოცდი,
ვეღარ ვიკავებ ღიმილს სახეზე,
შენ და ის ხსოვნა კვლავ რომ გაცოცხლდით.

სად არის, გთხოვდი, ჩემი საბედო,
ფრთები გაშალე, გამყევი მისკენ,
პატარა მწერო, გულში რა მედო,
რა იცოდი და ფრინავდი ცისკენ.

გამოზაფხულდა, მოდი ერთხელაც
ჩემს საბედოსკენ გაშალე ფრთები,
მაშინ მოგდევდი უკან ფეხშველა,
მოგყვები ახლაც ჭაღარა თმებით.

ახლა კი, როცა გავიდნენ წლები,
როცა წლებს გაჰყვა ტკბილი ბავშვობა,
მე და შენ თვალით ვეღარ გავწვდებით,
ის დრო მანძილით ისე დაგვშორდა.

ასი წლისაც რომ გავხდე, იცოდე,
ხელზე ღიმილით შემოგაცოცებ,
გაფიცებ ღვთის მადლს, ხომ შემიცოდებ?
და სატრფოს პოვნის ძებნით მაცოცხლებ.

1967 წელი, აგვისტო, ერედვი.

## არ შემცდემა

მე მოვდივარ შორი მხრიდან
ზეთის ლამპრით, პალმის რტოთი,
ქარი ნისლის საბანს მხდიდა,
განთიადის შუქით ვთრთოდი.

სად არ ვეძებ, რომ მეც შევსვა
ხევძმარა და ხეკორძულა,
ოცნებები ფრთებზე შევსხა,
ხე ვახარო, ხე ხუნძლულა.

ორნამენტი მოვჭრა ქვაზე
ვაზის მტევნის, ნადირთ, მხეცთა,
წინაპართა ნასუნთქვარზე
მეც ავაგო ჩემი მცხეთა.

საჭრეთელით გამოვკვეთო
უფლისციხე და ვარძია,
დრომ ხომ, ჩემი სამოკეთო
ლერწმის აკვნით აქ არწია.

რომ შევინდო მე სულ ყველა,
მტერ-მოყვარე თუ მოსისხლე,
ისიც, ჩუმად ვინც მიყელა,
მოთარეშე თუ მოსხვისე.

ცათ მეუფევ, მომეც ძალა
არ ვთქვა: სისხლი, სისხლისა წილ,
მე, ვინც მტრულად მომეძალა
ისევ იყოს ის მისა წინ.

მე კი, ჩემი ქრისტეს რჯულით,
ჯვრის წინ ლოცვად მუხლს მოვიყრი,
თმენისათვის არსთ მსაჯული
ცით მადლს უხვად გადმომიყრის.

მაგრამ, ვინმე ნუ ეცდება,
აქ წაშალოს ჩემი კვალი,
არ ვარ მხდალი, არ შემცდება
სატევარით მოვჭრა მკლავი.

21 სექტემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## როგორც წინათ

ჟუჟუნებდა წყნარად წვიმა,
ნელი სიო ქროდა,
სველდებოდი, როგორც წინათ
ლალი ტანი გქონდა.

ლამაზ ლოყებს წვეთ-წვეთ თბილი
ჩამოსდევდა წვიმა,

ალბათ ისევ იყო ტკბილი,
როგორც იყო წინათ.
ნეტა კიდევ ამალოკა
შენს ბაგეზე წვიმა,
ვნების იმ ქარს გამაყოლა
რომ დამქროდა წინათ.

გიყურებდი, თეთრი კაბა
ჩამოედნო წვიმას,
მახსოვს ის დრო, მახსოვს კარგად,
რომ მიყვარდი წინათ.

ჟუჟუნებდა წყნარად წვიმა,
ნელი სიო ქროდა,
გული სევდით, როგორც წინათ,
ავსებული მქონდა.

24 სექტემბერი, 2006 წელი, ერედვი.

## მეძახდნენ

ჩემი სამშობლოს მთებო, ტყეებო,
ველებო ქართლის მიხმობდით შორით,
მიხმობდით სოფლის ალვის ხეებო
მყოფს ოკეანეს და ზღვებთა შორის.

ალვის ხეებო, ქართა ტყვეებო
მიხმობდა თქვენი რტოთა შრიალი,
შორი ციმბირის გზის სიბრტყეებო
თქვენ, და ბედ-იღბლის ბორბლის ტრიალი.

მიხმობდით დედის თბილო ხელებო,
და შენც მცხეთიჯვრის მთაო ქოჩორავ,
ლიახვო, მთებით განახელებო,
ჩემო გაზრდილო ნიშა ბოჩოლავ.

ერთი შავთვალა გოგო მეც მყავდა,
შორს გადახვეწილს ისიც მეძახდა,
ტყის მარწყვზე ჩუმჩუმ მე რომ დამყავდა,
ჩემი სატრფო, რომ მაინც ვერ გახდა.

ახლა აქა ვარ, ნაცნობ მიდამოს
ხარბად ვუყურებ შორი მგზავრივით,
ის გოგო არ ჩანს, მივხვდე მინდა რომ,
რად მტკივა ასე გულზე ბზარივით.

14 დეკემბერი, 1970 წელი, ერედვი.

## ჩემს დას თინათინს

როგორ ჩამოჭკნა ერთ დროს ნაზი დილის ყვავილი,
თითქოს ძირშივე მოეცელოთ, დაო, თინათინ,
დედის წყალობით ძნელბედობა ჩვენი გავლილი,
დღესაც ლოდივით მხრებზე გაწევს როგორც წინათი.

დრომ ულმობელმა მხრები როგორ ჩამოგალეწა,
ჩვენ რომ მოგვდევდა გრძნეულივით, პატარა ობლებს,
ჩვენი ბავშვობა, სიყმაწვილე კევრით გალეწა,
გააჭყლეტინა დიცურის გზის ურმების ბორბლებს.

დაო თინათინ, ის მუხთალი დღეები წარწყმდეს,
ცრემლს რომ აღვრიდი მომაკვდავი შვილის სასთუმალს,
ის წვრილი ძაფი სიცოცხლისა ლამის რომ გაწყდეს,
არ დაანებო ლითამიან ბედის შავ სტუმარს.

როგორ არ მინდა გამეცალო და მარტო დავრჩე,
ძნელად გასაზრდელს, შენ მიწევდი დობას, დედობას,
როგორ იბრძოდი, მე, გიჟმაჟი, იქნებ გადავრჩე
იმ დროში როცა არსად ჩანდა ჩვენთვის შენდობა.

დედასთან ერთად , შენც დაგჩაგრა უღელის თრევამ,
დედასთან ერთად, შენც ტიროდი ძმის, მამის სიკვდილს,
ისე დაგღალა ღრმა ფიქრებით ღამეთა თევამ,
რომ აღარ ძალგიძს გაცინებაც მთლად ღონემიხდილს.

მზის ჩასვლისას კი, დრომ ცბიერმა ეგ მარტოობა,
კვლავ გამოცდისთვის გადმოგიგდო, დაო, თინათინ,
შენს მიმართ ბედის, ზეციერის ეს რა მტრობაა,
ძლივას რომ ბჟუტავს კელაპტარი ბნელში სინათლის;

მომიყევ, როგორ მწარე არის წუთი სოფლისა,
იმ ეკალივით, ფეხიდან რომ მე, ბავშვს მიღებდი,
როგორ მძიმეა, როგორც წვეთი შუბლის ოფლისა,
ისევ იმ ძველი ოცნებებით როგორ იღლები.

მასწავლე მე კაცს, მაგ მძიმე ტვირთს როგორ ერევი,
დედაჩვენივით ბავშობიდან მხრებზე რომ გაწევს,
ჩაქრება კერა, ცეცხლს აანთებს შემდეგ მერე ვინ,
შენოდენ ჭაპანს, შენდენ უღელს მერე ვინ გასწევს?

გამანდე ფიქრი, როცა იცი ხვალ ან ზეგ შენთვის,
მზე სიცხოველით ლურჯ ზეცაზე აღარ ამოვა,
როგორ ვიარო, მიმასწავლე, გზა ხომ ხარ ჩემთვის,
ვიდრე ზეციდან ანგელოზი შენთვის ჩამოვა.

შენს შემდეგ დაო, წუთისოფელს ჩვენი ბუდიდან,
დაფრთიანებულ ბარტყებიდან მეღა შევრჩები,
მე ნაბოლარა, უმრწემესი ჩვენი გუნდიდან,
რომ ავა ღმერთთან ჩემი სული, მეც შევეჩვევი.

თვალთაგან ჩემთა სინანულის ცრემლები ჟონავს,
რომ მახსენდება ეს ყოველი დაო, თინათინ,
უზენაესი, ჩვენი ყოფნის დროჟამს, რომ ზომავს,
გამეცლები და საზვარაკე ცხვრებს მეც მიმათვლის.

27 სექტემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## ღამე არაგვთან

ორ წუთს გავჩერდი შარაგზაზე, ღამე, არაგვთან,
და რაც მინახავს, ეს მიდამო არც ერთს არა ჰგავს.

ილია, ახლაც მაღლობიდან გვიხმობს ჩვენ, ქართველთ:
,,ენა, მამული, სარწმუნოება, თუ ვინმე გვართმევს,
აღარ დავუთმოთ, საკმარია დღემდე რაც დავთმეთ‘‘.

რესტორანიდან მოისმოდა კვნესა დუდუკის,
ქსოვრელებს ჰგავდნენ, სევდიანად ვიღაც მღეროდა,
თეთრი ნათებით ლივლივებდა მტკვარში ფუნდუკი,
მელოდია კი, გადმოღვრილი ლერწმის ღეროდან

იქ ვიღაცისთვის ალბათ იყო კმევა გუნდრუკის,
ღამეს ათევდნენ, ქეიფობდნენ, იყო ღრეობა,
დასეირნობდნენ ბნელში ქალ-ვაჟ, წყვილ-წყვილ, გუნდ-გუნდი;

უცებ დავმძიმდი, ლოდად მაწევს ღამის ეს ბნელი,
და თითქოს მძირავს მტკვრის მორევში თავით, ფეხებით,
სიყმაწვილიდან ანგელოზის ვიყავ მძებნელი,
მაგრამ, ვიცი მე, დემონის წინ დავიფერფლები.

ნაღველნარევი, ცრემლნარევი ხმა ძველ დუდუკის,
გაღმა-გამოღმა ტირიფებში იფანტებოდა,
თეთრი ნათებით ლივლივებდა მტკვარში ფუნდუკი,
ღამის ბნელი კი, მთვარის შუქით იფატრებოდა.

13 ოქტომბერი, 2006 წელი, თბილისი.

## მეუღლეს

შემოვრჩით ამ კედლებს მხოლოდღა მე და შენ,
ჭაღარა პაპა და მხცოვანი ბერდედა,
მიიხრწნა მკლავ-მუხლი, მზადა გვაქვს ზედაშე,
გული კი, ოხერი, ჯერ არა ბერდება.

ვხნავდით და ვთესავდით დღითა და ღამითა,
ამბარში გვეყარა სიმინდი, ხორბალი,
ჩვენც ვიყათ მაღლობზე, ახლა კი დაღმითა
მიგორავს საწუთროს საჩვენო ბორბალი.

ღვთის მადლით ვახარეთ ბაღი და ვენახი,
არ აკლდა ჩვენს ოჯახს ვაშლი და ყურძენი,
გავზარდეთ ბიჭები ბებრების შემნახი,
მე და შენ სიცოცხლე ერთად რომ ვუძღვენით.

ვაი, რომ წიწილ-კრუხს ფრთამალი ქორივით
დღეს თუ ხვალ მკაცრი დრო აქა-იქ დაფანტავს,
დავრჩებით მე და შენ გაპობილ მორივით,
ჩვენს ჯიგარს შიგნიდან ნაღველი გაფატრავს.
რაღა ღირს ეს წუთი, შვილსა თუ შვილიშვილს

ვერ გადავეხვევი, ხელში ვერ ავიყვან,
დრო მალე, ბუდეს ჩვენც მიგვიშლის-მოგვიშლის,
ჯერ მე და მერე შენ ძუნძულით წაგვიყვანს.

ჯერ კიდევ ვარგივართ, არა ვართ მიხრწნილნი,
როდესაც არ ვარგა არც წვენი, არც ხორცი,
როდესაც წელში ვართ მოხრილნი, მიხრილნი,
როცა დრო გაგვისწრებს ყოველის აღმხოცი.

ჩემს თავს არა ვნაღვლობ, დარდი მაქვს მე შენი,
ჩემს მკერდზე ვარდივით ასე რომ ჩამოჭკნი,
მე შენთვის, ჯერ ახლაც ვაჟკაცს რომ შემშვენის,
მეტოქეს, ვინც იყოს მარჯვენას ჩამოვჭრი.

უფლის ანგელოზი ჯერ ჩემთვის ჩამოვა,
სამარადჟამო გზით მიწისა და ცისა,
წავალ და სადღაც ერთ ვერხვის ხედ ამოვალ,
შენ კი, ჩემს ფესვებთან ლიახვის ნარცისად.

16 ოქტომბერი, 2006 წელი, თბილისი.

## მე შეხოშილმა

ქროდა ნოემბრის ცივი ქარი
მცხეთიჯვრის ტყეში,
ისმოდა როგორც სევდის ქნარი
პოეტის ხელში,
ხან კი, თითქოსდა ლოცვის ზარი
იყო ამ ხმებში.

ორლულა მუხას მივაყუდეთ,
დავანთეთ ცეცხლი,
სალოცავის წინ ვიხდით ქუდებს,
შევწირეთ ვერცხლი
ამ ეკლესიას, რომ ჰგავს ბუდეს
ნამგალა მერცხლის.

ვინ ამოგზიდა კუთხის ქვებო
ამ სიმაღლეზე,
ვინ იყო ხურო, სანაქებო,
რა სილაღლეზე.

ვინ გამოგთალა კუთხის ჯვარო,
ღვთით ვინ გაკურთხა,
ვინ იდვა ტვირთად და სამსჯავროდ
ზიდა საკუთრად.

ვით ბნელი ღამე, ჩვენს წინ იწვა
იდუმალება,
ტყე რას გვეტყოდა, ან ეს მიწა,
რა იმალება...

კოხის ჯვრისა და კუთხის ქვათა
შორი წარსული,
ყივჩაღის გამჩეხ მოყმის მსგავსთა
არ დასასრული.

მე, შეხოშილმა ცას ავხედე,
ქარსკი გავძახე:

„ბეჭნი მამათა სად გახედნე,
ან სად დამარხე,
მომიდგი ზურგი, რომ ავმხედრდე
და მათ სამარხებს,
ვეფხვიც რომ კლანჭით მკერდს მახევდეს
ცრემლს ზედ დავათხევ!"

წამოვიმართე, ორლულიდან
ვჭექე ცივ სივრცეს,
რომ იქნებ ღმერთმა ამ წყლულიდან
რამ მკურნალს მიმცეს.

26 ნოემბერი, 1969 წელი, ერედვი.

## ვიცი, დროო!

ვიცი, დროო, რომ გამწირავ,
ვიცი ჩამისაფრდები,
სად გადმიხნავ ველს ნაწვიმარს,
სად მომტყდება მე, ფრთები.

ვიცი მე, სად დამეწევა
შუბი შენი ნასროლი,
მახსოვს შენი ყველა წყევლა,
ბავშობიდან მახსოვდი.

რად მიხელდი ფართოდ თვალებს,
კალთა ღვთის რად მეფარა,
ჩემს ჩანგს გულის სისხლში ნავლებს,
შაშვის ფრთა რად ეფარა.

ცად ვარსკვლავნი რატომ ვთვალე,
მთვარე რატომ მეფერა,
რად დამადგი მე, ერთ მტკაველს
ცისარტყელა ცხრაფერა!
ვიცი, მოხვალ, სარეცელზე
ჯამით ბალღამს დამიდგამ,
დინჯად გახვალ გარეთ ცელზე,
გამოკვერავ თავიდან.

მომაყუდებ პირზე სასმისს,
სუდარაში გამახვევ,
ყელზე მომდებ მსხვილ ყულფის თასმის,
თავს ალქაჯებს დამახვევ.

მეტყვი: ,,უძღვნი ახლა თავს ვის,
გულში ვინ გყავს, მანახვე,
მე ვბრძანებლობ, ის კი გავს ვის,
თქვი, სული ვის აახლე“!

არ გავტყდები! ასოებად
ხანჯლითა რომ ამკუწო,
მხოლოდ უფლის სასოება,
მწამს ეს უნდა გაუწყო!

23 დეკემბერი, 1970 წელი, თბილისი.

# მანავის ციხე

ჩვენ მანავის ციხეზე ვართ, სადღაც შორს ჩანს სერები,
ლურჯი ზეცა, მზე კაშკაშა, სხვა ზღაპრული ფერები.
ხელთ მაქვს ბღუჯა ასანთებათ თაფლის სანთლის ღერები,
რომ ვავედრო ღმერთს ეს სივრცე, ვენახები, ველები.

მასპინძელი მწვადსა სწვავდა, გაღეღოდა მკერდი,
მე კედლის ძირს სალოცავთან ნაზ ყვავილებს ვკრებდი,
ჩამოასხეს, დავილოცეთ, დაგვემარცხოს მტრები,
აზარფეშებს გვირიგებდა გოგო, როგორც მტრედი.

გავხალისდი, გადავძახე, ჰეი, ციხევ, მაღალო,
მე ცოდვილმა, ეს ბებერი კითხვით როგორ დაგღალო,
შენ თუ ამჩნევ, რომ შორიდან გითვალთვალებს მუღანლო,
შენი სისხლით ნაჟღენთ მიწას თვალი როგორ მოავლო.

რამოდენა აღმოცენდა ერთი მწყემსით ძეძვი,
მოძმე ჩემი ინგილო კი ბოროტ ძალას ევრძვის,
ვერ ეღირსა წყალი შესვას ალაზანის, თეძმის,
დრო გადის და ვერც კი ვნახე ფუძე, ჭერი მე, ძმის.

ნანგრევებო და ნაშალო ციხევ მანავისა,
რამდენს დახვდი შემოსევებს სპარსთა ქარავნისა,
აქაურო ნიავქარო უფლის კარავისა,
მომიყევი, უმღეროდი ცრემლით ნანას ვისა?

თქვი, აქ რამდენს გაუგრილე დაჩეხილი მკერდი,
კახეთს როგორ ესეოდნენ ყოველ მხრიდან მტრები,
ვკითხავდი და მათ ძვლებზე აქ ჭრელ ყვავილებს ვკრებდი,
ის გოგო კი კისკისებდა, იყო როგორც მტრედი.

12 ნოემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## წიგნს გამიყიდით?

არ გვჭირდებაო ლექსი,
არ კითხულობენ ძია,
გალაკტიონს და შექსპირს
ისიც ვინც ჩაეძია,
ვინც იყო რამის შექმნის
ისიც ერთ ჩაიზეა.

ვილას რად უნდა ლექსი,
ხალხს უჭირს, შიათ, ძია,
ზოგს თავი გააქვს ქლესვით,
ზოგიც შავ პურს ჭამს ძმრიანს.

ბევრი ძველთაძველ ფესვით
მწვადებს მიირთმევს ცვრიანს,
ასეთებს განა ესმით?
დრონი მათ ვერა ცვლიან.

მაშ რა ვქნათ როცა ეპოქამ,
კოხის ქვაც გააკაჟა?
მოდით, წუწუნი გვეყოფა,
მშიერი წერდა ვაჟაც!

14 ნოემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## რას დავაბრალო?

რას დავაბრალო, მე, ბეჩავმა, დღემდე არ ვიცი,
განშორებამ თუ სნეულებამ დამაავადა,
მე შორეული ზამთრის თოვლის ქურქი ჩავიცვი,
შენი ხილვა რომ უსასრულოდ გადაავადა.

თან დამყვებოდი, როგორც მთვარეს ღამის ვარსკვლავი,
არ მშორდებოდი, ახლოს მაინც ვერ მოგიკარე,
როგორ შეცვლილხარ, მე კი ახლა ისა ვარ, კვლავ ის,
იმ დღიდან როცა, შენ ჩემს გულში შემოიპარე.

სიცოცხლე ნელ-ნელ იწურება როგორც მტევანი,
ღამის ვარსკვლავი და მთვარეც კვლავ  ერთად არიან,
მე კი საწუთრომ გადმომიგდო სხვა არჩევანი,
და ჩემი ბედი ქარ-ბუქივით არივ-დარია.

ამ განშორებამ მძიმე სევდით დამაავადა,
სადაც შორეულ ზამთრის თოვლის ქურქი მეცვა მე,
შენი ხილვა რომ უსასრულოდ გადაავადა,
და მე, რომ ასე უიმედოდ, ულვთოდ ვეწამე.

26 ნოემბერი, 2006 წელი, ერედვი.

## სინანული

როგორ მინდოდა წავსულიყავ ურმით აღზევანს,
სულ ცოტა მაინც მომეტანა ბროლის მარილი,
შევაცურებდი თეთრი აფრით, ანძით ზღვაზე ნავს,
ღმერთს კი მოეცა კურთხევა და ციდან არილი.

ჩემი მზე მალე ლურჯ ეთერში ჩაიძირება,
მე კი ვერ ვნახე ნაზარეთი, სმირნა, პერგამო,
და ის რაც დამრჩა მალე ფუჭად გაიწირება,
ჩემო წილ-ხვედრო, ესეც ისევ მხოლოდ შენს გამო.

ვერ მოვილოცე ტაო-კლარჯეთს ოშკი, ხახული,
ათონის ლავრა, ვერც ილორი, ველარც იშხანი,
მე იმდენჯერ მაქვს სინანულით გული დახშული,
რამდენიც ცაზე ვარსკვლავია, ზღვაში ქვიშანი.

ვერ მოვიარე ალავერდი, ზარზმა, ვარძია,
ველარც შატილი, საინგილო, ხახი, ასპინძა,
ისტორიანი ბედმა ჩვენი სადაც არწია,
როგორა ვნანობ, თავს რომ ვერ ვგრძნობ სახლში მასპინძლად.

3  დეკემბერი, 2006 წელი, ერედვი.

## გველის ყასაბი

ვიღაც აზიელმა გველი გამოწელა,
ცოცხლად გადაყლაპა გული სისხლიანი,
ნაღველი რძესავით დინჯად გამოწველა,
დალია, მეგონა იყო სიცხიანი.

მოჭრილი თავიდან არყიან ჭიქაში,
ბასრი კბილებიდან შხამი ჩააწურა,
დაჩეხა აქნილი ნაჭრებად, დიდ ქვაბში,
ტუჩებზე ღიმილით თითოდ ჩააცურა...

ცხონდეს შენი სული, ჩემო წინაპარო,
რომ არ დამიტოვე წესად გველის ჭამა,
თოფით ალაზანზე ხოხობს მივეპარო,
დავაქუხო ისე, შესძრას მთელი ჭალა.

ერთ ბერხენ ჯიხვისთვის ღამეებს გავათევ,
თევზისთვის არაგვში ჩავჯდები ყელამდე,
და მერე მწვადისთვის დიდ კოცონს დავანთებ,
გვერდით კი მოვიდგამ კახურით ხელადებს.

ჩემო წინაპარო, უწინ შენ გაცხონებ,
კაცური რომ დამდე წესი და ადათი,
პური არსობისა თონეში ვაცხო მე,
ღვინო კი ყანწით და, დალიე? გადადი!

4 დეკემბერი, 2006 წელი, ერედვი.

## ცის ანგელოზს!

ჯერ ნუ მოხვალ შენ ჩემს კარად,
ჯერ მზად არ ვარ წამოგყვე,
შენ კი, ვიცი, მიცდი წყნარად,
რომ ქვესკნელში ჩამოგყვე;

ვიცი, ყველა გიღირს არად
რა რაინდი, რა მოყმე,
ჯვარი ღვთისა მქონდა ფარად,
მსურს ცას ლოცვით ამოვყვე,

და თუ ღმერთმა შემიწყნარა,
იქნებ გვიან გამოგყვე.

ჯერ ნუ მოხვალ, დამაცადე
ხუთი, ათი წელი,
სიმღერა ვთქვა ასწვდეს ცამდე
გულის გადამწველი,
ნაღარას ვკრა, სამანს გასცდეს,
შესძრას მთა და ველი.

ჯერ ყრმა ვიყავ რომ გიცანი,
იმ დროიდან დამდევ,
როგორც ელვა ბნელ ცისანი
ჩემს ტანს ზოლად გასდევ,
მასვი ცოტაც ცისა ცვარნი,
ჩემს ქვას ჯერ ნუ დასდებ.

რამდენი მაქვს სადღეგრძელო
როგორც სუფრის თამადას,
ზოგჯერ სანთლით საძებნელო
ჯერ მე ფეხს ნუ დამადგამ,
რამდენი მაქვს სასიმღერო
როგორც ჩიტსა მზეწვიას,
სალამურის ასი ღერო
გულზე რომ მალეწია,
ჯერ არ მითქვამს საბოლოო
ლექსი ათასმეერთე,
ამოვთქვამ მე, და რომ ბოლოს
სამნი ერთად შვერთდეთ.
და მე მაშინ გამოგყვები
ბნელი ღამის სტუმარს,
გზად ჩემს ამბავს მოგიყვები
გეტყვი ჩემს სამდურავს,
მერე ქვესკნელს ჩამოგყვები
შენ, ქვასავით მდუმარს.

30 ნოემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## თამარ!

მე, შემოვნატრი შარბათის გუბეს,
რომ დაუტბორავს შენს მკერდს ვნებიანს,
ღრმად საალერსოდ გავსებულ უბეს,
და გამჭოლ თვალებს ლურჯფერებიანს.

სხვას რას ვისურვებ? ეგ საროს ტანი
ცის ელვასავით ზედ გადამევლოს,
შენი ტუჩებით ბადაგს მოტანილს
ისე დავეთვრე, ზღვა გადამევლოს.

ჩამძირე შენი თვალების ზღვაში,
შიგ რომ სამყარო ციალებს ლურჯად,
მაგემე ადამს სამოთხის ვაშლი,
მოვკრიფო, თამარ, სულ ბღუჯა-ბღუჯა.

თვალებს მივლულავ, ეგ სუსტი მკლავი
როგორ მსურს მხრებზე მომეხვეს ვნებით,
სისხლამღვრეული გიყურებ მალვით,
და პლაჟზე წეროს თოვლით ვდნები.

1977 წელი, აპრილი, გაგრა.

## მაცარეპილში

წვიმდა, მოჩანდა ქსნის ციხის კოშკები,
სადგურთან, სულ ახლოს ხურმებში, კომშებში,
იყო გაშლილი ბანაკი ბოშების.

მოჩანდა ქედები, კლდეები ნაშალი,
მთლად უსიცოცხლო მინდორი დამწვარი,
მთელ ზაფხულს მიწა აქ ისეა გამშრალი,
არ დასცემია ცისა ჯერ ნამ-ცვარი.

დღეს წყნარი წვიმააა, კარავთან ღიმილით
თმებს ივარცხნიდა გოგონა ტანწერილი,
თვალების ციალით და მკერდის ღვივილით,
საბედოს პოვნაში დედისგან გაწვრთნილი.

შავწვერა ბოშა კი ადრიან, ამ დილით,
ქურას აღვივებდა მთლად მურში გასვრილი.

წვიმდა, მინდორს და ქსნის ციხის კოშკებს
მზე დასდგომოდა ცისარტყელებით,
თავზე აწვიმდათ პატარა ბოშებს,
ტალახს ზელავდნენ ფეხით, ხელებით.

იყო ზაფხული, ტანწვრილი გოგონა
თმებს ივარცხნიდა წვიმაში კარავთან,
ტამბურში ვიდექი, სიზმარი მეგონა,
მიქროდა ვაგონი, ჩემს შორ გზას ფარავდა,
დავღონდი, მაგრამ მე, რა უნდა მეღონა?
მეგონა ამ სიზმარს ვიღაცა მპარავდა.

25 სექტემბერი, 1978 წელი, თბილისი.

## ფუტკარი

ჩემი ოთახის ღია კარებში,
ფუტკარი შემოფრინდა ნექტარით სავსე,
სად იყო, ვინ იცის, რომელ მხარეში,
რამდენ ყვავილს წუწნიდა პეპლების მსგავსებს.

მზის შუქმა ჩაასწრო, ბინდ-ბუნდი დგებოდა,
ფარფატით დამიჯდა ფურცელზე წინ მძიმედ,
გამევლო მინდორში, იქნებ მეც მრგებოდა,
დღემდე რომ მოველი რაღაცა ფუჭ იმედს.

როგორც ბავშობისას, სული შევუბერე,
ხსოვნა მკარნახობდა ჩემში ჩაკირული,
ხელზე აცოცებულს ცოტაც შევუმღერე,
რადგან იყო უკვე ბედით განწირული.

აპრილი ღუოდა, ან იქნებ ატმების
ყვავილთა ეშხმა და სურნელმა დაათრო,
ამ ციცქნა მწერივით ოდესმე დავტკბები?
ოდესმე გულს ჩემსას აპრილი გაათბობს?

1978 წელი, 10 ივლისი, თბილისი.

## ქანდა

ავტომ შეგვაკრთო, სოფელი
ძლივს გავიარეთ ქანდა,
საჭეს დააცხრა შოფერი,
მე გული შემიქანდა,
ქედებს გადეკრა მკვდრის ფერი,
ქსანი ათას ფიქრს ნთქავდა,
გოგო გვართობდა სიმღერით
ყინწვისის ფრესკას ჰგავდა,
თვალი შეუკრთა ცისფერი
მე რომ ჟუჟუნით მწვავდა;

და როცა გავცდით მოსახვევს
შიშით, რომ ლამის დადნა,
მზე გადაევლო მის სახეს
ღიმილით დაიბარდნა;
გამოვცდით სოფელს და სახლებს,
შოფერმა დაიქადნა:
„ვაჩვენებ შობელძაღლებს
ლამის ქვეშ შემივარდა“
შორს გავცდით ჭადრებს მაღლებს,
აღარ მოჩანდა ქანდა.

27 ოქტომბერი, 1978 წელი, თბილისი.

## ჭექა-ქუხილი მომინდა

ჭექა-ქუხილი მომინდა, ჭექა-ქუხილი,
შემაზრზენ გრგვინვებს ვუსმინო მინდა,
იქნებ, განვიქარვო ურვა და წუხილი,
იქნებ, სულში ჩავიგუბო ფიქრები წმინდა.

ქარიშხლის მოვარდნა მსურს, ქარიშხლისა რომ
შუბლი მივუშვირო ნაოფლ-ნასიცხარი,
მინდა აღმაშფოთოს, ამაღელვოს დრომ,
იქნებ განვიქარვო ფიქრი საზიზღარი.

დინება მომინდა მოწყვეტილ ზვავისა,
წალეკოს ლოდები, ხეები ფუტურო,
იქნება ამიხდეს ოცნება მგზავრისა:
კერპების, ძეგლების მსხვრევას რომ ვუყურო.

ეშმაკის ქარია, მინდორველს ტრიალით
გადუვლის, ღრუბლებს კი ელვებით ამეხებს,
სწორედ იქ მინდა მე, ცა წვიმით მტირალი
მბანდეს და ელვა კი ზედ გულზე დამეხვეს.

თუ ვინმეს გინახავთ ნაპირზე მომსკდარი,
ზღვის ტალღა ბნელ ღამით რა შიშით გუგუნებს,
აი, ეგ მინდა მე! მაგით ვარ მომსპარი,
მხოლოდ ამ სტიქიით, ამით თუ ვსულდგმულებ.

ამ ხმებით მინდა მე, მეჭიროს ლამპარი,
ჩემს წინ რომ წყვდიადი თამამად შევაპო,
სურვილი ჩემს გულში ქარივით ამტყდარი,
ამ ხმებთან ერთად მზის სხივითაც შევამკო.

15 აგვისტო, 1979 წელი, თბილისი.

## ქართველ ქალიშვილს!

დღეს შენ, ცისფერი ჯინსები გაცვია,
ლამაზი ნაბიჯით მიჰყვები ტროტუარს,
გათრობს სილაღე, ემანსიპაცია
და არაფერზე ეტყვი დროს უარს.

შემოგტკეცია ტანს ტყავის ლაბადა
ბროლის ყელ-კისრით ამაყად მოდიხარ
აჰა, დრომ როგორი დამთრგუნი დაგბადა,
ვამაყობ, ასეთი, რომ ჩემი მოდგმის ხარ!

ოდესღაც თურქ-სპარსთა ყიჟინა გზარავდა,
უბიწო სული არ გაერყვნა ბილწ ხელებს,
ხმლით ხელში მტერს დახვდნენ, ეგ კდემა რაზმავდა,
ძუძუთი რომ ზრდიდი მეომრებს ფიცხელებს.

ახლაკი, როცა შენ, გავლენას განიცდი
მოდებით, თეატრით თუ კინოს ეკრანით,
მწამს, ვიდრე მორევში შესცურავ, დაიცდი,
იფიქრებ: მართლა ძოვს ერთად იქ მგელ-კრავი?

მეოცდაერთე საუკუნე ცთუნებებს,
უფრო ბევრს მოიტანს სამოთხის ვაშლივით,
სადამდე გაჰყვები ჯერ უცნობ ტკბილ ვნებებს?
ვის ქარზე გექნება გიშრის თმა გაშლილი?

რას დაეწაფვი, მიბაძავ ნეტა ვის?
თუ გეხსომება ვისი ხარ გვარისა?
თუ გეხსომება თამარი, ნესტანი,
ციდან, რომ გიმზერენ შუქად მთვარისა.

1 დეკემბერი, 1979 წელი, თბილისი.

## ფულის ტომარა

,,ვოლგის საჭესთან დამჯდარიყო ფულის ტომარა,
ვით ცხენს არაბულს, შარაგზაზე მოაჭენებდა,
და ისევ ჩემი ფრთხილი თვალი, თვალი რომ არა,
გადამივლიდა და თავს კრავად მოგაჩვენებდათ.

,,ჰეი! რას სჩადი, შევუძახე, ნუთუ ვერ მხედავ!"
ვეღარ ეტევი? დაიცავი წესრიგი ქუჩის",
,,ვეღარ ვეტევი! შემომღრინა და ვოლგის მხედნავს
ჩამოვეცალე, და ღმერთმანი ძლივს გადავურჩი.

სახე კი კარგად დამახსოვდა: ღაჟღაჟა ლაწვი,
ელავდა ღვინის და თუმნების წითელი ფერით,
ცხვირს ასიანის ფერი სცემდა, უგავდა არწივს,
მაგნიტოფონით ყურსართობდა თათრის სიმღერით.

მე, მომაგონდა ქვაფენილი, ძველი თბილისი,
ფაეტონები, ეტლები და ცხელი ივლისი...

1980 წელი, 1 დეკემბერი, თბილისი.

## იალღუჯზე

დღეა მზიანი უღვთოდ მცხუნვარე,
ზეცა ნათელი, ვით ია ლურჯი,
შორს ჩანს ჭალები, მტკვარი მქუხარე,
აქ კი დამწვარა მთა იალღუჯის.

ერთი ხეც არ დგას,
და არც ფრინველის
არ ისმის სტვენა, ფრთების ფრთხიალი,
სად ჩაიმუხლებ? აქ, ამ მწირ ველის
ცხელი ქარი ქრის მშრალი, ტიალი.

ჰორიზონტამდე,
შორ თვალსაწიერს
ზედ დასწოლია სიცხე მხუთავი,
აქ, თაობებმა თავი გასწირეს,
რომელთა ძვლებზეც აღსდგა რუსთავი.

ვით ხელის გულზე,
მტკვრის სიახლოვეს
მოჩანს ბლუმინგი თუ მარტენები,
მბოლავი მილი საამქროს ყოველს,
ცად აუწვდიათ ვით ანტენები.

ძირს, მწვანე დაბლობს ზურგზე შეუსხამს
ქიმკომბინატი, ბოჭკო, ცემენტი,
აქ, იალღუჯზე მზე ბალახს სუსხავს,
არა რა არის აქ სიცხის მეტი.

15 ივლისი, 1980 წელი, რუსთავი.

# არ დაგვავიწყდეს

ხმა არ დაგვავიწყდეს, ქართველებო, ხმა რუსთაველის,
ხმა ილიასი, აკაკის და გალაკტიონის,
მეფე დავითის მოზომილი დევის მტკაველით
დარუბანდამდე დადრეკილი კავკასიონი.

ხმა არ დაგვავიწყდეს, ქართველებო, ხმა ზოსიმესი,
ამა ენით რომ უქადაგებს ქრისტე სამყაროს,
ცოდვილ მიწას და კაცთა მოდგმას, რომ უმძიმესი
კვლავ ჯვარზე ასვლით სოდომელთა ცოდვა აჰყაროს.

არ დაგვავიწყდეს, ქართველებო, ვაჟას არწივი,
ყვავ-ყორანთაგან დაკოდილ მხარს დღესაც მიათრევს,
და სისხლის წვიმა ცხრა აპრილის ღრუბელით ნაწვიმი,
პერგამოში მდგარ სატანის ტახტს როგორ მიართვეს.

არ დაგვავიწყდეს არც კრწანისი და არც მარაბდა,
იმ დროთა ქარი ჩვენს გარშემო დღესაც ტრიალებს,
და თავგანწირვა, რომ ამკობდა ჩვენს ჯიშს მარადჟამს,
გავიხსენოთ და დავუბრუნოთ ჩვენს მატიანეს!

არ დაგვავიწყდეს კავკასიის ქედის რყევები,
მიტაცებული სამაჩაბლო, სოჭი, სოხუმი,
ჩადენილ ცოდვით აღავსილი მთათა ხევები,
და ჩვენი მიწა აიეტის ხარით მოხნული.

არ დაგვავიწყდეს არც ღალატი, შური, განდგომა,
სალი კლდით ნაშენ ციხესაც, რომ ტეხავს შიგნიდან,
დრომ კიდევ ცხადყო, რომ არ იცის მტერმა დანდობა,
აფხაზეთს მოკლულ ირემივით როგორ შიგნავდა.

თუ აღარ გვინდა გაგვითელოს ვინმემ მამული,
შემოახიოს კაბა ჩვენს ქალს, ჩვენ, ზედ ფარაჯა,
ოთხივე კუთხივ უნდა გვყავდეს ვეფხვი დაბმული,
გამოცხადების ორლესულით მოყმე დარაჯად!

25 დეკემბერი, 2006 წელი, თბილისი.

# სად არის ბოლო, სად არის შველა?

მე, გაბეზრებულს, ცხოვრებით დაღლილს
მომინდა მყუდრო, ჩამოვჯდე სადმეს
ვუსმენდე ბულბულს, მთვარე კი მაღლით
ზღაპრისეული მკრთალ შუქით მადგეს.

ჩამოვჯდე მინდა ლიახვის პირას,
ჩრდილი მფარავდეს მტირალ ტირიფის,
ლურჯი ნარცისი, მე, ცაში მზირალს
ლერწამს მითლიდეს ჩემი სტვირისთვის.

მარტის, აპრილის მზიან დღეებით
დამდნარი თოვლის წანწკარით დავტკბე,
როგორც ცოცხალი მთის ღელეები,
ბუდის ბარტყივით ფრენისთვის ავტყდე.

მომინდა, შევსვა ჯეჯილის ნამი
მზის ამოსვლისას ოქროდ რომ ელავს,
ჩავიმუხლო და ვიტირო ლამის-
სად არის ბოლო, სად არის შველა?

ბინძურ გარემოს მსურს განვერიდო,
ქალაქის ხმაურს, შეხლა-შემოხლას,
რა დამახსომდა? მხოლოდ ძველი დრო-
ქალს ვუკოცნიდი ტუჩზე ქვემო ხალს.

ამ საძაგელ დროს მინდა გავექცე,
დღენიადაგ მკლავს ფიქრი გაბმული,
ვჯამბაზობ ზოგჯერ, რომ არ წავიქცე,
როგორც ნიკორა ჯაჭვით დაბმული.

ერთი სული მაქვს, მყავდეს გოშია,
ენის ლოკვით რომ ჯაჭვი გალიოს,
ვიფრინო მინდვრად, როგორც შოშია,
ტოროლასავით შევხვდე ალიონს.

გაბეზრებული, ასე დაღლილი
რძისფერ ნისლებში მინდა გავეხვე,
მთვარის ნათელი თეთრად დაღვრილი,
როგორც თილისმა გულზე დამეხვეს.

მზით ამოშრება ჯეჯილის ნამი,
ვინ იცის ქვეყნად დაწყურდეს ყველა,
მე კი არასდროს! ვიყვირო ლამის-
სად არის ბოლო, სად არის შველა?

28 დეკემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## შაშვი გალობდა

შენი გალობა ამ სისხამ დილით
ჩემი ბიჭების ტიტინს მაგონებს,
არ ვიცი რატომ, ჩემთან შეზრდილი
ეგ ხმა მე ჩუმი სევდით მაღონებს.

სადაური ხარ? სად გიძევს ბინა?
საგალობელო შენ ვაზის მტევნის,
ჩემს ბიჭებს სძინავთ, ყველა შენ კბილა,
გამომიღვიძე მაგ ტკბილი სტვენით.

აქ, ნაადრევად მოსულ გაზაფხულს
ჩვენს ტყიდან ხომ არ გამოჰყოლიხარ?
იქ, თხილის ბუჩქებს ყინვით დაზაფრულთ
ტყვედ, შავო შაშვო, ხომ არ ჰყოლიხარ?

ნეტა რა ქარმა, ან რა შემთხვევამ
აქ გადმოგაგდო ტყის მგალობელი?
შვებისთვის კაცი ჯვარს რომ ემთხვევა,
შენც ჩემი სულის ხარ მწყალობელი.

რად არ მიგიწევს ტყისაკენ გული
თხილის წყაროსთან, შაშვო, გალობად?
რად მიატოვე ტყე დაბურული,
ფრენა, ნავარდი ღრუბლის მახლობლად?

შინ შემოფრინდი, გალობავ მტევნის,
გამომიღვიძე ბიჭები სტვენით.

29 მარტი, 1978 წელი, თბილისი.

# ისევ შენ გნატრობ

გადამისერავს შორეული
გზები, ხანგრძლივი,
თვით კამჩატკამდე...
ბაიკალი, მთები კურილის,
ვნატრობდი შენს მთებს, საქართველოვ,
ძვირფას განძივით,
როგორც ღვთისმოსავს, მკლავდა შენთვის ლოცვის წყურვილი.

ოჰ, რა დრომ განვლო...
და მე, მგზავრს დაღლილს
შენ მესიზმრები, ისევ შენ გნატრობ,
ვნატრობ ყველა ბორცვს და ყველა მაღლობს,
შენს ველებს გაშლილს,
ყველა მდინარეს, ტყესა და ჭანჭრობს.

მე, დღემდე, მაშვრალს,
დრო და სივრცეში ამ შორი გზებით,
ისევ სურვილი მკლავს შენი მთების,
გულს წვეთ-წვეთ დამშრალს
მივსებს აღგზნებით,
წყარონი შენი მთების კალთების.

ისევ შენს მთებთან,
ისევ აქ ვპოვებ ჩემი ცხოვრების მე გადასახადს,
მოვკვდები შენთან,
შენთან დავტოვებ
ჩემსა ერთადერთ გვარსა და სახელს.

მე მხოლოდ შენში
უტყუარს ყოვლად,
ვხედავ ჩემდამი ნაღდ ერთგულებას,
და ჩემთვის, ბოლოს, ძმად ან მეგობრად
მე, სხვა შენგვარი არ მეგულება.

ო, სანუკვარო, სამშობლო მხარის
მაცოცხლებელო მზეო და მთვარევ,
თუ ვფლობ რაიმეს,
თუ რამ მიხარის,
თუ რამე მიყვარს, შენ შემიყვარე.

29 მარტი, 1978 წელი, თბილისი.

***

მე, შენში განვმეორდი
ვით მზის ამოსვლა, როგორც რიჟრაჟი,
და იმ სიმღერებს, მე, რომ ვმღეროდი,
იმ სისხლის დუღილს ძარღვში გიჟმაჟის,
იმ გზას, წინაპრებს აქ რომ მოჰქონდათ
ვაზის ყლორტით და დაფნის ღეროთი,
დროს რომ ჭედავდნენ
ხმლით და სისხლით,
გუთნით, ლელოთი-
შენ გააგრძელებ!

მხარი შეუდგი ჩვენს წილ ქართულ ცას,
ერთი ჯიში გვაქვს, უთუოდ შესძლებ,
ეკლებისა და ძეძვის ამ რთულ გზას
თუ არა რწმენით, გახსოვდეს, ვერ სძლევ.

ამ ტვირთს ატარებ ნიკორას თმენით,
უღლის ქვეშ, იქნებ, ცრემლიც გდიოდეს,
იწვალებ ვიცი, არც ითქმის ენით,
მაგრამ იმედით უნდა ღვიოდე.

1979 წელი, თბილისი.

## სიყვარულს შენსას

ყოველ განთიადს,
ორბოძელასთან მზე რომ ამოდის,
ვდგები მეც, და ფეხშიშველი გავდივარ მინდვრად,
ასე მგონია, ჩემზე უფლის მადლი გადმოდის...

და მეც ისევე, როგორც მლოცველს ღვთის კარზე მიმდგარს
გულიდან შენზე ცრემლნარევი ლოცვა ამომდის,
ოქროს სხივებით, მზეს რომ სცვივა ზეცაზე მიმდნარს,
მოგიქსოვ გვირგვინს, რომ ვერ შევძელ, გლახამ, ამ დრომდის.

ცისფერ გვირილის მოსასხამი, ჩემი ნაქსოვი
მსურს მოგიტანო,

და მოწიწებით შენს ფერხთით დავდო,
ნეტა რას მეტყვი?
არ გაოცდები? მე, ვინმემ, რომ ამდენი შევძელ...
მე კი, არ მიკვირს,
სიყვარულს შენსას, საქართველოვ, სადღა არ ვეძებ,
ყველგან, სადაც კი, შენი ქარი ქრის!

1980 წელი, თბილისი.

## მან იცის მხოლოდ

სად დამეკარგნენ წლები ბავშვობის,
როგორც მწყემსს ტყეში ძუძუს ბატკნები?
სად ვიყა ნეტა, როდის დავშორდი,
სად დამელეწა ლერწმის აკვნები.

ნეტა სად დამრჩა, ან სად დავტოვე
ნეტარი წლები მტრედის ფრთის მსგავსი,
მე მხოლოდ ერთმა, მხოლოდ მარტო მე
მათ ბადაგივით სიზმრები ვასვი.

რომელ ქარს გაჰყვნენ, რომელ ჩიტის ფრთებს,
თუ წეროების ცას გაბმულ გუთანს,
სად მოეფარნენ? ნეტა რომელ მთებს?
რომელ სიმაღლეს, ან რომელ გუმბათს?

იქნებ ღრუბლებმა თან გაიყოლეს
ქარი სამხრეთით, რომ ერეკება,
ის წლებიც ცაზე, იქ შუქმფენ ყოველს
ალბათ მზით, მთვარით მიეკერება.

ან იქნებ ლიახვს, იქნებ დიცურას,
დუნე ტალღებს თუ ტალღებს მქუხარეს,
ის სიყმაწვილე საით მიცურავს,
რომელ ქვეყნისკენ ან რომელ მხარეს.

ნეტა სად დამრჩა, ვით მწყემსის აბგა
ჩემი ბიჭობის მღელვარე წლები,
რად დაემსგავსდა: მონათხრობ ამბავს
ისეთს, ფიქრითაც რომ ველარ ვწვდები?

6 იანვარი, 1978 წელი, თბილისი.

# ცხრამძრის წყალთან

ბევრი ვიარე ხელმოცარულმა
აღმა თუ დაღმა,
არ შემხვდა არსად რამე ნადირი,
მხოლოდ თუ წყარომ ცოცხალმა, ლაღმა,
შვება მომგვარა დაღლილს ნამდვილი.

თოფი მივაგდე,
წყალს ცივ-ანკარას
ვეწაფე, როგორც მოსეს კლდის წყაროს,
ტყეც უდაბნოა, მწველი, თაკარა,
არარა სულდგმულს იგი არ სწყალობს.

უცებ მომესმა: „ჰაა, შე სამგლევ!"
და მოგრიალდა ველზე ურემი,
ხარებს უგავდათ რქები დიდ ნამგლებს,
მეურმეს ესხა დევის ყურები...

პატრონი ხარებს საჴრით უღრენდა,
ერთმა, რომელსაც სდიოდა ცრემლი,
დალია წყალი, აჰკრა უღელს და
ქედზე შეისვა გარემო ვრცელი.

წამოვიმართე, ვეფერე ბედკრულს,
მომინდა მისი ცრემლის ალოკვა,
მარილი მქონდა, მე, სუნთქვაშეკრულს,
ჩემი ხელიდან ცოტა გალოკა,
ყელში დავფხანე ზრაპრებით შემკულს,
მეწვოდა გული, ტუჩი და ლოყა.

1981 წელი, თბილისი.

## მაჰმადის მდინარე

მოდის, მოღელავს მაჰმადის მდინარე,
მოარღვევს აზიის დამწვარ ტრამალებს,
ვაი, მას, თუ ვინმე ხვდება მძინარე,
მღვრიე ტალღებში დაასამარებს.

ტერორით, ჰაშიშით და შაჰიდებით
ჩრდილოეთისკენ მოგორავს ქვასავით,
მიგრძნობს მე, თილისმა გულსნაკიდები,
უცოდველ სისხლს დაღვრის უამრავს, ზღვასავით.

სძინავს რუსეთის თვალუწვდენ ველებს,
დაძრწის ბაზუსი, სძოვს ქორფა ბალახს,
სძინავთ ორ შვილის გამზრდელ ქართველებს,
არ სძინავთ მხოლოდ მაჰმადს და ალაჰს.

და ვიდრე სთვლემენ ეფრემიანნი,
ვიდრე ყავას სვამს ცირა, ცანგალა,
სამხრეთის ციდან თეთრფრთებიანი,
ზვერავს ჩრდილოეთს მთვარე ნამგალა.

31 მაისი, 1989 წელი, თბილისი.

## გაიღვიძე

გაიღვიძე, საქართველოვ,
მზე რა მაღლა ასულა,
ძილ-ღვიძილში შენი წლები
რამოდენი გასულა,
მზე შენ გიცდის, ჯერ შუბზეა,
თურმე ჯერ არ ჩასულა.

მოიფშვნიტე, საყვარელო,
ეგ ლამაზი თვალები,
დღეს სრულდება, მგონი, შენი
გზები ტანჯვა-წამების,
მგონი, დგება შვილთა შენთა
ნეტარების წამები.

პირზე უხვად შეისხურე
რიონის და მტკვრის წყალი,
ძილს გაგიფრთხობს, გაგაფხიზლებს,
მტერ- მოყვარეს ისწავლი,
რომ არასდროს მიწა შენი
აღარ დასთმო მისხალიც.

უკვე დროა, დაეთხოვო
ღვინის ყანწით დუელებს,
ფიცხლად ყოფნა, ვინც გინდ იყოს
მტრობის სურვილს უნელებს,
მიმტაცებლებს შინი მიწის
ტურებს, მგლებსა თუ მელებს.

დროა მისცე უფალს უფლის,
კეისარს კი კეისრის,
თორემ, მტერი ვერაგია
ცაში ფაფახს შეისვრის
და წაგართმევს იმაზე მეტს
რაც დაკარგე დღეისთვის.

გაიღვიძე, საქართველოვ,
მზე რა მაღლა ასულა,
საყვარელო, ძილ-ღვიძილის
ეპოქები დასრულდა.

31 მაისი, 1989 წელი, თბილისი.

## შავი გენერალი

*როდიონოვს*

გააჭენე, გენერალო, რუსთაველზე ტანკებით,
მიტინგია, მიდი ხალხზე შხამით ხიშტით და კეტით.

ხმალი არ გაქვს? გადუშხივლე მათ მესანგრის ნიჩაბი,
დააცხერი მანდ გოგონებს, ჩასცხე შენი ჩიჩახვი.

მანდ მოხუცი დედაჩემი შვილიშვილთან ტრიალებს,
თუ გაგექცეს, დაედევნე, თოფი დააგრიალე.

არ დაინდო დიდ-პატარა, ცერზე ქორი დაისვი,
მოუსიე, მათი სისხლი ტანზე, შუბლზე წაისვი.

აქ შეივსე რაც დაგაკლდა ავღანეთის მიწაზე,
ყველა მსხვერპლი ამოკაწრე შენი ცოდვის ფიცარზე!

დარდი ნუ გაქვს, ბიუროში წაგიშლიან ნაფეხურს.
იქნებ კიდეც გაზიარონ უფრო მაღალ საფეხურს.

შეეცადე მკვლელობის და ცოდვის კვალის დაფარვას,
მატეანის ფურცლებიდან უსირცხვილოდ გაპარვას.

მაგრამ არა! შემორჩები პირში ნიჩაბგაჩრილი,
შავ ტოგაში გახვეული ვით კაენის აჩრდილი.

შენი გვარის ხსენებას წყევლა-კრულვა მოჰყვება,
ჩადენილი ცოდო-ბრალი სამარემდე მოგყვება.

გააჭენე, გენერალო, რუსთაველზე ტანკებით...
მიტინგია, მიდი ხალხზე შხამით, ხიშტით და კეტით.

6 ივნისი, 1989 წელი, თბილისი.

## შაშვი სევდის ხმით გალობდა

*„შაშვი შაშვი ჩიოდა*
*ნეტავ რასა ჩიოდა“*

შაშვო, ქრისტეს მოციქულო, რა სევდის ხმით გალობ,
მიმახვედრე, ჩემსავით ხარ გალეწილი კალო?

თუ არა და, რატომ ლხვება ჩემი გული ცივი,
რად ვცოცხლდები როცა გისმენ, რად ტირის და ჩივის.

როგორ მინდა მოგეფერო, ფრთაზე ხელი გახლო,
მხოლოდ წუთით, მაისობას, შენში გარდვისახო.

მაგ გალობით, მაგ ჩივილით სულში ჩაგისახლო,
იქნებ მივხვდე, ცოტა შვება ცის ქვეშ მე სად ვნახო.

გამიმხილე, როგორ სძალავ გალობით დარდს, ნაღველს,
რომ მეც ვძლიო, ჩემს წმინდა სისხლს შიგ გულში რომ ამღვრევს.

შაშვო, იქნებ, იოანე ნათლისმცემლის სული,
შენში არის მგალობელად ღვთის ხმად გარდასული?

ჰეროდე კი, ცულით ხელში, აქვე დაძრწის სადღაც,
ძმის ცოლით და შენი სისხლით ქეიფში, რომ გაძღა.

შაშვო, მინდა მოგეფერო, ფრთაზე ხელი გახლო,
იქნებ, დავდგე მაცხოვართან ცოტა შორიახლო.

რომ ნათელჰყოს დღეთა ჩემთა მძიმე დასასრული
და თუ ღირს ვარ, ჩავაბარო მგალობელი სული.

6-7 მაისი, 1996 წელი, თბილისი.

## ოჰ, როგორ მტკივა

ნეტა იცოდე, როგორ მტკივა შენი წარსული,
სადაც თუნდ ერთხელ პირში ჩაეც შუბი გველეშაპს,
სადაც შენს სხეულს მონღოლთა და თურქულ-სპარსული,
იატაგანით სისხლი სდენდა მინდორ-ველებად.

ნეტა იცოდე, როგორ მტკივა ათას წლის მერეც,
შენი დიმიტრი, ლუარსაბი, სვიმონ, ქეთევან,
ვით უხორცონი, წინ რო დახვდნენ ცეცხლს, დელგმას, მერეხს,
მე, ძარღვებიდან მათი სისხლი ახლაც მენთხევა.

ათას წლის მერეც მტკივა შენი ოშკი, ხახული,
შენი შატბერდი, არტანუკი, ხანცთა, კლარჯეთი,
მე, მტკივა შენი ტარიელის კბილით დახრული
და მისი ძმებით, მიუვალი ციხე ქაჯეთის.

ათას წლის მერეც მელანდება შენი დიდგორი,
ათას წლის მერეც მტკივა შენი ძვლები მარაბდის,
ცხრა ძმის დედისგან დანამული ცრემლით მინდორი,
რომელიც მე, კაცს, მეტკიება კუბოს კარამდის.

ნეტა იცოდე, როგორ მტკივა თურქად მონათლულ,
კლარჯეთელ ბიჭის ნამღერები შენი „გელინო”,
რა არის ნეტა გულს რომ კუმშავს, ალბათ ნდომა თუ,
ასი წლის შემდეგ, რომ ქრისტიან ძმად მოგევლინოს.

ნეტა იცოდე, როგორ მტკივა ეს ჭრილობები:
ფერეიდანი, საინგილო, კახ-ბელაქანი,
შენი კალთიდან დაბერტყილი ვით წვრილ-ობლები,
შენი ტანიდან აგლეჯილი გულის მაქმანი.

ოჰ, როგორ მტკივა აფხაზეთი, ოჰ, როგორ მტკივა
სამაჩაბლო და შიდა ქართლი როკის კარამდის;
შენი მამული არ შეიშრობს იმ სისხლს ცად მყივანს,
მე რომ მტკივა და მეტკიება ვცოცხლობ მანამდის.

15 იანვარი, 2007 წელი, თბილისი.

## ხომ არ გენიშნა?

როგორ მიგიშვათ ტოტია მგელმა
ლეკვები ჭამად ცხვრების ფარაზე,
არც დააყოვნა ცხოველურ გენმა
და გადაჩეხეთ მწყემსიც ქარაფზე.

ქარის წისქვილი თქვენთვის დაბრუნდა,
თქვენთვის აივსო ხორბლით ხვიმირა,
ხვეჭით გონება ისე გაბრუვდა
პრეზიდენტს სჭექით თოფი „ხირიმა“.

დაეპატრონეთ ხალხის ქონებას,
ვინ ვის აჯობებს - მარათონია,
„ოფლითა შენით“ - გაგეგონებათ,
სხვაგვარად შეგრჩეთ, არა მგონია.

როცა გადვივლი ვაგზლის მოედანს,
ჯიბეს ვიქექავ მათხოვრისათვის,
დაპურდეს, სული ლოცვით მოიდგას
ჩემთვის და მაღლა მაცხოვრისათვის.

თქვენ რამდენნი ხართ, ვისაც ბედკრულნი
არაფრად გიღირთ, ფეხზე გკიდიათ?
წყალობის ნიჭით იყო შემკული,
ღმერთთან ცად კიბე, ზღვაზე ხიდია!

22 იანვარი, 2007 წელი, თბილისი.

## ისევ წითლდები, ისევ ფითრდები

დღესაც წითლდები ვით მწიფე შინდი
ჩემთან, და ვნანობ ყვავილის კვდომას,
ალბათ შემატყვე მეც კი შევშინდი...
ხუნდება ჩვენი ეს შემოდგომაც.

ვიცი, კარგად ვგრძნობ, ჭადარი თქვენი
ძველი სილაღით ტოტებს ვეღარ შლის,
შესული ხანში ბევრ ჭირთა მთმენი,
რომ ვეღარ უძლებს ქარიშხლებს აშლილს.

ცოტაღა დარჩა გაუცვეთავი
გული აღვსილი ნაღვლიან ფიქრით,
დრო, ხან ბადაგის, შხამის მწვეთავი
ოჰ, როგორ მიდის ოჰ, როგორ მიჰქრის.

შენ კი გნახავ და ისევ წითლდები,
როგორც ოქტომბრის ბაღში მოცხარი,
ვნანობ, რომ წარსულს ისევ ვცილდები,
და განშორების ალბათ დროც არის.

ახლაც გიყურებ, როგორ ფითრდები
ჩემთან და ვნანობ ჭკნება ზამბახი,
წამომეშლება რაღაც ფიქრები,
და შენს სახელს მზეს, მთვარეს გავძახი.

17 იანვარი, 2007 წელი, თბილისი.

# ლოცვა არ კმარა

ბევრს შევხვედრივარ თავგადასავალს,
ბევრი მიზიდავს მე მხრებით ტვირთი,
გზას გავდგომივარ ძნელს და შორს სავალს,
ბევრი მსმენია ლეგენდა, მითი.

ვეძებდი ტაძარს, რომ სასოება
მცირედი ღვთისა გადმომფენოდა,
მუზა, რომ ღრღნიდა გულს ასოებად
უბიდან ლაღად ამომფრენოდა.

და მე ის ვპოვე! შორსაც არ მდგარა,
უდაბნოც არის, ტყეც მიუვალი,
აქ, რომ გაკურთხონ ლოცვა არ კმარა,
აქ, გულიც უნდა გქონდეს მხურვალი.

მე, დამიმონა მისმა სიმაღლემ,
და კრძალვით მსურდა მცირედი ლოცვა:
,,ფრთებს ნუ შეაჭრი ამ ჩემს სილაღეს''
ვთხოვდი, კარისკენ წავედი როცა.

საკურთხეველთან მივედი დინჯად
თაფლის სანთელის მე შესაწირად,
აქამდე მედო შორი გზა მიჯნად,
გული, დახრული ნაწილ-ნაწილად.

აქ, აპოლონი დამხვდა მუზებთან,
მათ ვთხოვე კრძალვით თავშესაფარი,
შემივრდომეს და, ტაძრის ფუძესთან,
ღამეებს ვათევ მიუსაფარი.

8 ივნისი, 1979 წელი, თბილისი.

# მეფეთ მეფე დავითს

მინდა მოვიდე და ქედი მოვიხარო,
შენი მუხლების წინ, დიდო დავით მეფევ,
ჩემი ქართველობით მე რომ გავიხარო,
მახსოვს სელჩუკები როგორ დააფეთე.

მინდა მოვიყვანო ჩემი შვილიშვილი,
მინდვრის ყვავილები ფერხთით გაგიშალოს,
ჩემი მამულისთვის ფიქრი წამოშლილი,
,,ქუჯაის“ ფაფრით მასშიც აიშალოს.

ათასი მანქანა ტრიალებს გარშემო,
ველარ გადმოვლახე რკინის ეს ნაკადი,
რა იქნა ადგილი, მეფეო, საშენო,
სადაც შენ იდექი ზევსივით აქამდის.

გზას გააგრძელებ თუ, თბილისის კარიბჭე
გინდა რომ ჩაკეტო, მტერი არ შემოძვრეს,
თუ დიდგორისაკენ გინდა რომ გაიჭრე,
,,ჰარაი“! შესძახო შუბოსან მებრძოლებს.

სადაც შენ იდექი, იქ ლამაზ შადრევნებს
მაისის მზის შუქში სდით გრილი შხეფები,
აჩრდილი შენი კი იქიდან განდევნეს,
ადგილი, რომელიც შენ ერთს თუ შეგფერის.

არავინ არ ვიცით დრო ვის რას გვიქადის,
ვის როდის წაეცხვის ტალახი თუ მური,
ღმერთო, ნუ მიიყვან ქართველებს იქამდის,
შენს ნაცვლად დაგვიდგან მონღოლი თემური.

3 თებერვალი, 2007 წელი, თბილისი.

# სანიკის ველი

*„მე მინდოდა იავნანა“*
*მირზა გელოვანი*

მოქანცულს, დაღლილს,
ჩაძინებულს მხრებზე გათოვდა,
გეძინა მშვიდად, სიმშვიდით ბალღის,
და ძილშიც მამის კერა გახსოვდა.

მშვიდად მძინარეს
ბრძოლის ველზე ზამთრის ქარები,
გიმღერდნენ ნანას, ომს კი მძვინვარეს
მთლად დაემსხვრია შენი ჩანგი, შენი ქნარები.

გიმღერდნენ ნანას
ჩაძინებულს ტყვიები სტვენით,
შენ კი გინდოდა ტოროლას ხმა, ჯეჯილი, ყანა,
მოხუცი მამა ვაზის რტოთი, დასაწურ მტევნით.

ისევ ის ქარი
სანიკის ველზე გიმღერის და დაგტირის კიდეც,
შენი სული კი სამშობლოზე სიზმრებით მტკბარი,
ცაში აუყვა უფლისაკენ პოეტთა კიბეს.

26 ივლისი, 1978 წელი, თბილისი.

# ილინოს ასე

ამ ხანჯლიანის გეშინოდეს, ამ ხანჯლიანის,
ცერზე რომ ცეკვავს და აკვესებს თვალებს ქორივით,
ჯერ პატარაა, შეიქმნება ის ჯანიანი,
და თუ სამშობლოს შეუგინებ, დაგჩეხს მორივით!

შეხედე, როგორ ჩანჩქერივით მოედინება,
ჩემი ძმის არის, ის ბუდეში ნაბოლარაა,
მაღლა, ზეცაში, თვით უფალმა ასე ინება,
რომ ის ჯერ ნორჩი, უკვე ველის ქარბორბალაა!

მოიღე მადლი გამჩენო და, ამ პატარა ბიჭს
მგლისფერი ჩოხა ხანჯლიანი არ შემოაცვდეს,
იდინოს ასე, თორემ ლელოს შორს გატანა ჭირს,
რომ მის მიწაწყალს ყვავ-ყორანი არ შემოაჯდეს.

8 იანვარი, 1993 წელი, თბილისი.

## მივდივარ, გეძახი

ერთხელ კიდევ დამანახვე შენი მზე და მთვარე,
შემახედე მოციალე მთებთან დილის ვარსკვლავს,
მომაფერე თეთრ გვირილებს გრილი ნამით მთვრალებს;
დამიყარე წინ ბალახი, როგორც ხარჯის საკლავს,
მოადგება ცხარე ცრემლი ჩემს ნაღვლიან თვალებს,
შეუცნობი განსაცდელით ზვარაკს თან რომ ახლავს.

ამომავალ მზის სხივებში შემაცურე კიდევ,
როგორც ობლად დარჩენილი გადამფრენი წერო,
რაგინდ ტვირთი ზეცისაკენ მხარზე გადამკიდე,
ოღონდ მაღლა, ცასთან ახლო ჯვარი გადვიწერო;
ანგელოზმა ჩამომიდგას მთვარის შუქის კიბე,
რომ გზა ჩემი შავ ღრუბლებში ელვად გაიწელოს.

შემომერტყი, შემომეწან ტანზე, როგორც სვია,
უსურვაზო, როგორც მარგილს რცხილის ნედლი ღერო,
მე ხომ შენი ფესვის წვენი მკერდზე გადამსხმია,
მე ხომ მთვარემ, ღვთის შეწევნით ბევრი სასიმღერო,
მკრთალ სხივებით, ასე ვნებულს, გულზე დამახვია.

შემაცურე, ბედ-იღბალო, ჩემი მთების ნისლებს,
ერთხელ კიდევ გადამავლე მე, ლიახვის ტალღა,
ატეხილი მწვანე ჭალის შამბებსა და ისლებს
გადვუფრინო ფრთის ტყლაშუნით, როგორც მინდვრის ღალღა,
ჩამოვუჯდე კუნძზე, ცეცხლთან, ჭინკებსა და მისნებს,
და მათსავით კვამლს ცად ავყვე სულ მაღლა და მაღლა.

შემიკაზმე ამ შორ გზაზე ცხენი ფერით ლურჯა,
რომ ერთხელაც გადავთქერო ნაწვიმარი ველი,
ცოტა მზე და ცოტა მთვარე, ვარსკვლავები ბლუჯა,
საგზლად უბით გამატანე, განვვლო ბნელი ხვრელი
და ხალიჩა ძველ ზღაპრიდან, ვრცელი, ოქროს ფუნჯა,
მომევლინოს ბნელ ღრუბლებში, როგორც ჩემი მხსნელი.

მაშ, წასვლის წინ მომიტეხე ჭადრის ერთი ღერო,
ფოთლოვანი ვაზის რტო და იასამნის ტოტი,
ერთხელ კიდევ სიყვარულით გული გადვიღელო,
იქ წავიდე, ჯოხის ცხენით სადაც ცამდე ვხტოდი,
წავიდე და გაყრის ძნელ ჟამს ერთიც დავიმღერო,
მთვარის შუქის ცის კიბესთან, ანგელოზს რომ ვთხოვდი.

17 თებერვალი, 2007 წელი, თბილისი.

## ძმის ხსოვნას

უკვე რამდენჯერ ვკითხულობ
შენს ფრონტულ წერილებს, ეფრემ,
სულ დედას, საბრალოს, კითხულობ,
წინდებს და ხელთათმანს თეთრ ფერს.

რუსეთის სასტიკი ზამთარი
ყინავს პატარა ბალაშოვს,
ქარი, როგორც ტყის აფთარი,
არყებში ღმუის და თარეშობს.

საფრენი ბილიკი მზად არის,
წმენდავენ პილოტის კაბინას,
ტრიალებს დღე ღამის რადარი,
ხედავენ მტერი სად დაფრინავს.

გადასცდი საზღვრებს და ვარშავა,
გელოდა ქორივით აფრენილს,
ასევე უტევდი შარშანაც
მინსკის ცას, სისხლივით გაფერილს.

ღრუბლიან ცასავით ქუხდნენ წინ
ქვემეხი, ნაღმტყორცნი, ,,ზენიტკა‘‘,
დედ-მამა ოჰ, როგორ წუხდნენ შინ,
ეფრემ, რა ძნელია ენით თქმა.

რის ფრთები გესხა ჯერ ყმაწვილ კაცს
შევარდნის, მერცხლის თუ არწივის,
პოლონურ სისხლიან ნაწვიმ ცას,
ასე რომ ებრძოდი განწირვით.

ქარმა სად გაფანტა შენი ხმა,
სიყრმე და ოცი წლის ქოჩორი,
ეგ ცხელი სისხლი რას შეახმა,
სად გახმა ალვის ხის კოკორი.

წუხილით ვივსები, ეფრემო,
და შენს ბედს დავტირო მომინდა,
ნუგეში ისლაა ვეფერო,
შენს სურათს დარჩენილს ომიდან.

თვითმფრინავს ვხედავ და შენს ლანდს მე,
იმ წლების სიზმრებიც გრძელდება,
შენს იღბალს ცრუ სოფლით ნაბლანდევს,
ვხედავ და ტკივილი ძნელდება.

ქარს ვუსმენ, ალვების ხეებში
რა მოთქმით ტირის და ზუზუნებს,
ვიხსენებ დედას იმ დღეებში,
იგლეჯდა თმებსა და ძუძუებს.

22 თებერვალი, 2007 წელი, თბილისი.

# ზამბახი

გზად შემხვდი, თვალებს წავაწყდი
როგორც ზღვის ტალღა-ნაპირებს,
მოგხვიე, წელში გადაწყდი,
მიხვდი, რომ კოცნას ვაპირებ...

გადამიშალე გულ-მკერდი
ნამი შევხვრიპო ზამბახის,
დღემდე ოჰ, როგორ გულს მტკენდი,
როგორც მსხვერპლს ავი განზრახვის.

მკლავს შემოგახვევ წვრილ წელზე
როგორც წნელს ნედლი ხისასა,
არ დაგთმობ რაგინდ მიწყენდე,
რომ არ წახვიდე სხვისასა.

ბროლის ყელს გადაგიკოცნი,
პირბაგეს მარჯნის ფერების,
სად ვიყა, რად არ გიცნობდი
ქედანს მთა-მინდორ-ველების.

შევზარხოშდები კახურით
ცეცხლი, რომ უფრო მომედოს,
ცხრა კარით ვიყო დახშული
შენამდე მაინც მომეგნოს.

რომ მასვა ზამბახის ნამი
როგორც წინწკალა ბადაგი,
ქვეშ გვეგოს მდელო ნანამი,
ზემოდან ღამის ნაბადი.

20 თებერვალი, 2007 წელი, თბილისი .

## დიანა

ამ სარკოფაგში მწოლარე,
ვინა ხარ, გოგო დიანა?
თვალებით შუქთა მთოვარევ,
წარბ-წამწამ გიშრის თმიანა
ტრფობისთვის წლები მთრთოლვარე
შენი, რამ გაანიავა.

შენი ვარსკვლავი სად ენთო,
რომელ მთის იყავ ენძელა,
ცრემლო ლოყაზე ნაღვენთო,
წელწვრილ, ყელ-კისერ გრძელ-გრძელა.

საით გაფანტა ეგ შენი
ქარმა გიშერის დალალნი,
შენი თითების შემშვენი
თვლები ფირუზი და ლალი.

სად გადარეკა ნისლები
შენს მზეს შავად რომ ეფარნენ,
სად გაიყოლეს ის წლები,
შენი სიცოცხლე მჩქეფარე.

იღბალო, ზოგჯერ მცონარევ,
ვისთვის ვინ დაგაგვიანა,
ამ სარკოფაგში მწოლარე,
სადა გყავს გოგო დიანა?

9 მარტი, 2007 წელი, თბილისი

## ჯერ, მზეო ჩემო, ნუ ჩახვალ!

ჯერ, მზეო ჩემო, ნუ ჩახვალ,
არ მოეფარო ჯერ გორას,
დრო დარჩენილი დღეს და ხვალ
ჩემს წასალეკად მოგორავს,
დრო, რომ დაათრევს ბლაგვ ლახვარს

და ტალღასავით რომ ბორგავს.
ცაო, მინათე ჯერ კიდევ
ბნელი, საშიში ღამენი,
დღემდე შენს ნათელს ვეკიდე
ლექსად რომ მეთქვა რამენი,
ჯერ ვერ ამოვდგი მე კიბე
უბეს ჩავისვა მთვარენი.
ჯერ ნუ ააშრობ დილის ნამს,
მზეო, გასათიბ ბალახზე,
შევხვრიპო, მერგოს თილისმად,
რომ სისხლი ჩემი განახლდეს,
შევთვრე, მეგონოს ღვინის სმად
და ,,ოროველაც" თან ახლდეს.

მაცადე, გადავიფრინო
ცოტა რამ კიდევ სივრცენი,
ნაბადი გადავიფინო,
შევკაზმო ცხენი ფიცხელი,
სამშობლო გადავირბინო,
მოვნახო ტაძარ-ციხენი.

ერთ სიყვარულსაც მოვასწრებ
ვიდრე სულ ჩახვალ ჩემო მზევ,
ყურძნობას ბევრს თუ მომასწრებ
ჩონგურს ჩამოვკრავ გემოზე,
სიმღერის ჟინი მომაწვეს
ჯიგარში რამ საშენოზე.

16 მარტი, 2007 წელი, თბილისი.

## ჩემს გზას მოსდევენ

როგორც კლდის წყარო უანკარესი,
ხელში მიჭირავს ეს სამი მუზა,
გავზრდი და გავალ უკან კარებში
და სამუდამოდ ჩავუშვებ ლუზას...

გადავალ გვერდზე, რომ გზა დავუთმო
ამ სამს, პატარა ბაჯბაჯა ბელებს,
იქნებ, როგორმე ჭრაქიც ავუნთო,
იქნებ, როგორმე გასცდნენ ამ ბნელეთს.

ერთ-ერთი ჩემს გზას უნდა დაადგეს
თუნდაც მიჰყავდეს ვეფხვის ნაწოლთან,
ბედი კამათელს მაღლა ააგდებს
ყოფნა არყოფნის თავის სასწორთან,
თუ არ შედრკა და ხმალს არ ჩააგებს
მივა, როგორც მე, მთვარის საწოლთან...

გამიხსენებენ, მე შორს ვიქნები,
დავეკიდები რძის გზას ზეცაში,
როგორ შევცურდი მძაფრი ფიქრებით
მე, ჯერ ყმაწვილი ნავით ზეშთაში,
მე, იქ მეწადა მხოლოდ ღვთის ნებით,
და ვიყა მხოლოდ მუზით ექსტაზში.

ახლაც ასე ვარ, ხელში მიჭირავს
ეს სამი მუზაც უანკარესი,
ჩემს გზას მოსდევენ, ყველა ბიჭია,
გავზრდი და გავალ უკან კარებში...

19 მარტი, 2007 წელი, თბილისი.

## გულს აქ დავტოვებ

წლები მიჰქრიან, ბედისადმი აღარ ღირს ნდობა,
სხეულიც უკვე ძვლებიანად მიეცა რღვევას,
სიბერე მოდის, სურვილები, წადილი, ნდომა
არა ბერდება, გულიც ისევ ზღავსავით ღელავს,
მაგრამ სიცოცხლე, ყვავილივით მიეცა კვდომას,
და ჰგავს ღრუბლებში ერთხელ მხოლოდ ქუხვას და ელვას.

გადაიქროლეს ქარიშხლებმა მინდორ-ველები,
დროც გაიყოლეს ჩემს მხრებზე რომ კევრი აბრუნა,
ის რაც გამტაცეს, ახლაც სიზმრად თავს რომ ვევლები,
ბედმა პეშვიც კი, წუთიც ერთი არ დამიბრუნა,
შემომრჩა მხოლოდ ბოლო წლები, როგორც მძევლები,
და სული ჩემი ბელტებივით გადააბრუნა.

შემკრთალი უკან ვიხედები, ნისლეულს ვხედავ,
სადაც წლები ჩანს, ჩემი წლები, როგორც სიზმრები,
ჩემი ლანდიც ჩანს სურვილებით, იქ ალვის ხეც დგას,
და მე, ყმაწვილი მასთან ერთად ქარში ვიზრდები;
ვხედავ ბოროტ სულს, დაუნდობელ, შავი ტყის მხეცს ჰგავს,
შიგნეულს მიღრღნის და ქარწყლდება ჩემი მიზნები.

ჩემს წინ ბურუსი წევს მიწის პირს ვით ბნელი ღამე,
სიბერის ჟამს რომ მოვიხვიო როგორც ნაბადი,
წავალ, შევცურავ, გავიყოლებ სურვილებს რამეს,
საწადელს, ნდომას არ დაბერდნენ ჯერ რომ აქამდის,
წავალ, გავაღებ მოკვდავთაგან გასასვლელ კარებს,
გულს აქ დავტოვებ, მზეს და მთვარეს ვეტყვი-ნახვამდის.

26 მარტი, 2007 წელი, თბილისი.

## მედიანი, კლდეკარი

ამ სოფელს, ძველთა-ძველს, ჯანღივით ზედ აწევს
მთები შეუვალი, ტყეები უღრანი,
ხრამის წყალს, ხეობა, დინჯად რომ მოარწევს
ტევრები ფარავენ ტირიფის, მურყანის.

ამოდის მთვარე და დედათა მონასტერს
ესტუმრა ნათელით კიდევ ერთ მლოცველად,
სულიერ სიმშვიდის, განდგომის მომნატრეს
ეს მთვარე, ეს მთები ექნება ოცნებად.

აქ ვნახე მთებ შორის ბრდღვიალა მნათობი,
ხრამთან კი წიფლის ხე განივრად გაშლილი,
ზედ უცხოს ტვიფარით, ნაჭრევი ათობით,
ქართული კვალი კი ფესვამდე წაშლილი.

ბნელდება, ღამე აქ გრძელია ხრამივით,
მკაცრია დღესაც კი ბაღვაშთა კლდეკარი,
აქ, სული ტრიალებს ალესილ ხმალივით
დავითის, სიკვდილთან არასდროს შემდრკალი.

ნისლში ჩანს ფუძემდე ნაშალი ფარცხისი,
დრო კი ზედ შემჯდარა მტაცებელ ორბივით,
აქ როდის გავივლი? კვლავ ვნახავ? არ ვიცი,
და გულზე ნაღველი მეკვრება ობივით.

27 მარტი, 2007 წელი, თბილისი.

## „კიდევაც დაიზრდებიან“

დაიზრდებოდნენ აქ, მაშ რა იქნებოდა,
ლეკვები მგლისანი, ვეფხვისა, ჯიქისა,
სხვაგვარად არც მჯერა და არც იქნებოდა,
ისეთი სისხლის ვართ, ისეთი ჯიშისა.

აქ, ისეთ მთებს ვხედავ და ისეთ ჭიუხებს,
გოგოებს თეძომრგვალს, ბიჭებს მხარ-ბეჭიანს,
მასპინძლის სტუმრისთვის გადმოღვრილ სიუხვედ,
გულითადს, ალალად და არა ეჭვიანს.

ჭედავდნენ აქ ფოლადს, ხალიბურ ჯევარდენს,
ქუდზე კაცს ევალა აესხა აბჯარი,
ომებში უშიშრად რამდენჯერ შევარდნენ,
იმდენჯერ აჭამეს მტერს ლამი და ჯავრი.
ღმერთო, ნუ დააშრობ ალგეთს სხვა ათას წელს,
მგლის ლეკვებს ძუძუს რძე მაძღრად რომ აწოვოს
და მერე მიეცეს კალამი ჟამთაღმწერს,
ვეფხვთან ვინ მოყმეა, მისხი-მისხ აწონოს.

ჯვარს ვსახავ მონუმენტს! იმედი არ მტოვებს,
როდესაც ვუყურებ ამ ბიჭებს ცეროდენს,
ამ ძეგლის ადგილი არ არის მარტო ეს,
ენგურსაც, ლიახვსაც, მსურს გადასცქეროდეს!

29 მარტი, 2007 წელი, თბილისი.

## დრო მოვა

დრო მოვა, ვერც მე გავიგებ
ხმას ტოროლასი, შაშვისა,
მთვარისკენ გზას ვერ გავიგნებ,
ვერც ბილიკს ქარით წაშლილსა.
ლოგინად ველარ დავიგებ
ტყის ველებს მწვანედ გაშლისა,
ველარც რამ ხიდზე გავიდე
ჩატეხილსა და ჩაშლილსა,
ველარ ჩავწვდე და ჩავიდე
უფსკრულებს, ხრამებ საშიშსა.

***

მანამ, ღმერთო, ნუ გადამხდი
შენს მადლიან კალთას,
რომ ვუსმინო რაც ავად მხდის
ასჯერ ასს და ათასს.

გამაბრუოს მგალობელთა
ჯადოსნურმა სტვენამ,
აყვავებულ ალუბალთა
თეთრ ფურცელთა ცვენამ.

მთვარისაკენ ბილიკს გავყვე,
ვით უდაბნოს მგზავრი,
შენი მადლი, რომ თან გამყვეს
და მიმწუხრის ზარი.

მაღალ მთაზე, მაღლა ავალ
ცის ლაჟვარდის კართან,
განვასრულებ ჩემს გზას სავალს
ცისარტყელის რკალთან.

მაშ, ჯერ კიდევ გამაგონე
ამ სამყაროს ხმები,
ლექსი ბევრი შთამაგონე
ვიდრე გადავხმები.

4 აპრილი, 2007 წელი, ერედვი.

# მოურავო!

დღემდე მოგდევენ, მოურავო, მკვლელები კვალში,
გაწაფულები თანამოძმის ღალატით კვლაში,
ყარაის ველზე ღალატია, გამცნობს ბააკა,
უგნური მეფე ნანადირევს შენს თავს დააკლავს.

მოახტი ცხენს და მიაღწიე ბინდისას ნოსტეს,
მოგყვა ფეხდაფეხ მდევარი და რაც გქონდა მოსპეს,
ტყეში შევარდი, მხარზე გაჯდა შვილი პაატა,
პირსისხლიან შაჰს, ოდესღაც, რომ მსხვერპლად გაატან.

დღემდე ძიძგნიან შენს მაშვრალ სულს, შეწირულ სხეულს,
შენს სისხლს მამულზე ზვარაკივით ზედ გადათხეულს,
ჩაგვჩიჩინებენ ორშოლტიან მათრახზე შენსას,
არა და მხსნელად, შენ წარუძეხ სამშობლოს ბედშავს.

შაჰი ბოროტი, დრო წყვდიადი, მოძმე ცვედანი,
გებრძოდა შური, მოღალატე, ქვეგამხედვარი,
შინ ფეოდალი, მეფეებიც, სპარსი და თურქი,
და წმინდა მიზანს შეაწირე გქონდა რამ თუკი.

ერთი რამ გულს ღრღნის, გამკიცხონ და დამწამოს ვინც რა,
რომ ვერ გაბედე, ვერ აღიღე მეფური სკიპტრა,
და ვისაც ჯერ არს, ვისაც ადგას მწერალის მიტრა,
სიფრთხილე მართებს, მისი სიტყვა არ ღირდეს კიტრად!

რა სჭირს შენს წარსულს? შენს გმირობას საეჭვო რა სჭირს?
მსხვერპლად მისულს რომ მოძმე დანით დღესაც ხორცს გაჭრის,
ოთხას წლის მერეც, ტყვედ ბევრი ჰყავს ფიქრებს მწვალებლურს,
იმის ნაცვლად რომ გახსენებდეთ, როგორც წამებულს...

17 აპრილი, 2007 წელი, თბილისი.

## შვილო პაატა!

როგორ მომინდი, ჩემო ბიჭო, პაატა, შვილო,
ჩემო ვაჟკაცო, სატრფიალოდ უკვე გაშლილო,
ნაცვლად იმისა, მეზეიმა შენი ქორწილი,
მუხლებზე მიძევს, შვილო, შენი თავი მოჭრილი.

მორიას მთაზე აგიყვანე აღსავლენ კრავად,
შეგწირე, მაგრამ შენი სისხლი ჯერაც არ კმარა,
ალბათ მეც წავალ, ავთანდილიც დასაკლავ კუნძთან,
არ უჩანს ბოლო ლომებთან ომს, ხვადთან თუ ძუსთან.

შემინდე, შვილო, უცოდველო, არ ჩანდა სხვა გზა,
იქნებ მიწიერს ამ ქაოსში ამებნა თავგზა,
მაგრამ სამშობლო თხოულობდა სამსხვერპლო სისხლს და
შვილს ჩემგან, შვილო, მხოლოდ ჩემგან და არა სხვისგან.

ვიცოდი მე წინ, უბედურმა, ვეღარა გნახავ,
შენ უნდა სწევდე ჩემს კუბოს და მამა კი გმარხავ,
ვინ მეტყვის ჩემს თავს რა ელვა და მეხი დაატყდა
შენი სიკვდილით, ჩემო ბიჭო, შვილო, პაატა.

18 აპრილი, 2007 წელი, თბილისი.

## სად მიმაქანებს მოროცი ძალა?

საით მეწევა, სად მიმაქანებს
გაშმაგებული ქარი ესოდენ?
ფოთლებს მოწყვეტილთ, ძირს დანაქანებს,
ვგრძნობდი, ჩემს ფეხთ ქვეშ როგორ კვნესოდნენ.

შავი ღრუბელი ცაში მიცურავს
როგორც მღელვარე ზღვაში ხომალდი,
ჩემს წარსულს ჰგავს და ჩემს ქოხს ფიცრულას
გარს არ მოეხვეს, ღმერთი მომმადლის.

წამაწიალებს ქარი მეც სადღაც,
როგორც ალალი ნარის ნიბლიას,
კვალს კი ვერ წაშლის ჩემსას, მე, სადაც
ველოდი დღეებს მზიანს, იღბლიანს.

მამულში, სადაც ფეხი დამიდგამს
ცისფერ გვირილად ბევრჯერ ამოვალ,
ვაზი ჩემი კი, ღრმად ფესვს გადაიდგამს,
და მე, სულით მხნედ ამის გამო ვარ.

1 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## მაისი

შემოფრთხიალდება შაშვი ალუბალზე,
საჩემო რაიმეს, ვიცი მე, იმღერებს,
რაღას ავუჯანყდე, ვიღას გავუბრაზდე,
როდესაც მაისი ასე ყელს იღერებს.

გადამავიწყდება ზამთრის ის ნისლები,
ჩემს გულს რომ ეხვია ნატკენს და ნაღვლიანს,
ნოემბრის წვიმებით ავსილი ვიცლები,
ღრუბლები მუდმივად ცრემლად რომ მაღვრიან.

გავალ მე, წელზემოთ შიშველი ბაღში და
ატმების, ტყემლების ყვავილებს მოვიხვევ,
ჩემში ეს სურვილი დროთა სვლით გახშირდა,
და შაშვიც, მიმღეროს, სიზმრიდან მოვიხმე.

ამ ფერთა მორევში შევცურავ ყელამდე,
ყვავილთა სურნელი ბანგივით დამათრობს,
უბეში ჩავისვამ მაისის ყველა დღეს
შაშვი კი ჯადოქრულ გალობით გამართობს.

3 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## ალუბალო!

მორთულხარ როგორც სარძლო,
ჩემს ბაღში, ალუბალო,
აყვავილდი და რას გრძნობ?
არავის დაუმალო.

ფრთებს გაშლი გაფრინდები
შვიდიოდ მხედარ-მაყრით,
მინდომე, არც დავფიქრდები,
და ფარხმალს შენს წინ დავყრი.

ჩემს ბაღში, ალუბალო,
მორთულხარ როგორც სარძლო,
რა ვქნა, ვის დავუმალო,
უშენოდ როგორ გავძლო.

მოვა ნოემბრის წვიმა,
ჩამოგბანს სხეულს ცივად,
წვეთები ყელზე წვრილად
დაგეკიდება მძივად,
ვატყობ, ბედი კვლავ მწირავს,
და ცრემლი გადმომცვივა.

8 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## მთვარეს მოგტაცებთ

მასვით მე, მწყურვალს, თიხის ჯამიდან
ღვინო ძველთ-ძველი, მუხრანეული,
და მეც დამცვივა ცეცხლი ჯანიდან,
არა ვარ ჩია, მუხლგალეული.

შევდგები ცერზე, ჩამოგიქროლებთ,
როგორც მიმინო მტრედების ველებს,
დავადგამ ერთს თვალს, ვიცი იქ რომელს,
მოვიტაცებ და ცხენს გავაგელვებ.

დამედევნებით მხედარს ყიჟინით,
მე კი თავს მივცემ ქსნის ველურ ჭალებს,
შემოღამდება, მთვარეს სხვა ჟინით
გადავუკოცნი ვნებიან თვალებს.

თუ მთლად გაცხარდა ჩემი იაბო
გადამატარებს თუნდაც ყაბარდოს,
მთვარე, ჯერ ტრფობის ზღაპრებს მიამბობს
და მერე უნდა ცხრა ძმა გაზარდოს.

მე კი, მიხრწნილიც, ისევ ჯამიდან
დავლევ მთვარისას, პირმშოთ ცხრა ძმისა,
წვეთ სისხლს შესწირავს ქრისტე მაჯიდან
და ჰყოფს ცხრათავეს დევის ძალისას

9 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## გალაკციონს!

მოვიდნენ, პოეტს გამოგაბეს ყელზე საბამი,
არ იყო შველა, თვით დრო იყო სისხლში ნაბანი,
ფაქიზი სული ირწეოდა, როგორც ლერწამი,
მხრებზე კი კევრი ტრიალებდა ხორცის მლეწავი.

ახალ დროებას ვინც მიუძღვნა ჰინმი, ტირადა,
დასვეს ბუხართან, გაასუქეს, ცხონდა პირადად,
გამოჩნდა ბევრი ცრუ მეხოტბე ახალ-ახალი,
გრძნობით ნათრევი, ღირსებით კი ნატალახარი.

შენ კი ბორგავდი, დუღდი, როგორც ქვევრში მაჭარი,
იტანჯებოდი, თითქოს იყავ შენც გველნაჭამი,
გესმოდა ხმები უსულოთა, უკვდავ-მოკვდავთა,
და ქაჯთა ხროვა, ბნელი ღამით, როგორ როკავდა.

ობოლო სულო, ამოზრდილო მუხის ფესვებით,
მშობელი ენის და ღრუბელთა ელვის კვესებით,
ტანზე გეხვია ქარბუქი და მამულის სურო,
სამჭედლო გქონდა მუდმივ ცეცხლით, გრდემლი და ურო.

ქარტეხილები თავს დაგატყდა კენტი თუ ლუწი,
ბეწვზე ეკიდე, როგორც ოქროს საყურე ყუნწით,
ბედად, შემორჩი საქართველოს პრომეთეს ალით,
და აიეტის გუთნეულის უბადლო კვალით.

გულით ატარე ერის ლხენა, ურვა, წუხილი
იის სინაზით, ზოგჯერ სეტყვის ღრუბლის ქუხილით,
და მარტოობის მძიმე წლები ნაღვლით აღსავსე,
რომლებიც ნელ-ნელ, რაგინდ რა კაცს შხამით თასს ასმევს.

ზღვა გადმოლახე ბობოქარი, დრო კი მუხთალი,
რევოლუციის და ომების კერა მხუთავი,
პარნასის მთაზე, აპოლონთან, მაღლა აფრინდი
და ორბის ფრთებით უკვდავებას გადააფრინდი.

12 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## გახსოვდეს

კი, ჩაეგება ხმალი ქარქაშში...
პალმის რტოებით შემოვლენ შემდეგ,
მყინვარს მისწვდება მათი პარპაში,
მტრისას, რასაც ჩვენ მივიღებთ შედეგს.

შენ სხვა აბჯარი უნდა მოირგო
დღესვე და არა ასი წლის შემდეგ,
და ყველა ომი უნდა მოიგო
შენს მიწაზე, რომ არავინ შეგდგეს.

შენ, უნდა მიხვდე, რატომ გადევნებს
თვალი დოლარის პირამიდიდან,
არ გაიყიდო, ფულს არ დანებდე,
არ გასცე გოჯიც წმინდა მიწიდან.

შენთვის სხვა მზე და მთვარე ამოვა,
ას წელსაც განჭვრეტს კაცი აწმყოთი,
გახსოვდეს, მტერი პალმით შემოვა,
დახვდი ,,დიდგორით‘‘, დახვდი ,,მარტყოფით‘‘,

13 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## ხსოვნა

მრავალჯერ მოვა ცხრა მაისი ცისარტყელებით,
გამახსენდება ძმა და მამა დაკარგულები,
გამახსენდება ალუბლები, ბლები, ტყემლები,
ედემის ბაღში ნაადრევად გადარგულები.

წყნარი წვიმები გამახსენებს დედის ნაზ ცრემლებს,
მრავალი წელი რომ სდიოდა ქმარშვილზე მწუხარს,
და გავყვირივარ ბედსა ჩემსა, ბოროტ გამცემელს:
,,მოდი, ღმერთს ვკითხოთ, შენ ჩემდამი მართალი თუ ხარ‘‘.

მალე მათ გვერდით მხცოვანი და ჩამოლეწილი,
გადავირგვები მეც ედემში პატარა ოლედ,
ძველ ხსოვნას ამით დაესვა მძიმე წერტილი,
და გადიქცევა დროში მუნჯ და ხავსიან ყორედ.

14 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## მიყვარს ხმაური

მიყვარს ხმაური,
მაისის წვიმების ფოთლებზე წკრიალი,
ფრინველთა ჭიკ-ჭიკი და აურ-ზაური,
ცაში კი ღრუბლების ჭექა და გრიალი,
მიყვარს ხმაური.

ზღვა ბობოქარი მიყვარს,
ქარიშხლით ტალღების ტორტმანი,
ოცნება ლურჯ სივრცეს შორს მიჰყავს
და არის ხალისის მომტანი,
სტიქია გაჭრილი მხარულით,
მიყვარს ხმაური.

მსმენია კაშხლების ჩანჩქერთა
და იქ ვეება როტორთა გუგუნი,
ყოველი საქმენი აქაც ჩანს ერთად,
რაც მოჰყვა ამ ტემპით სვლას საუკუნის.

ხშირ-ხშირად მარტენებს, სამჭედლო უროებს
ყურს ვუგდებ და თითქოს რიტმია დავლურის,
ვუყურებ მშენებლებს, მჭედლებს და ხუროებს,
მაოცებს მათ შორის ჭიდილი მკლავური,
არ გვანან გულჩუკენ უფრთოებს, უფხოებს,
ოფლის ღვრა მინახავს მე, მათი, ხარული,
მიყვარს ხმაური.

მიყვარს ხმაური,
ვენახში რთვლობისას ურმების ჭრიალი,
სამების ტაძარში მეუფის გუნდრუკი,
ქორწილში ყანწებით მაყრების ტრიალი,
იეთიმ გურჯი და ქსოვრელის დუდუკი,
მიყვარს ხმაური!

9 მაისი, 1986 წელი, თბილისი.

## სიმინდი

როგორ ამაყად,
როგორ ლამაზად
ამშვენებ მიწას, მარჯვენას გლეხის,
გადაგვარცხნია ქოჩორი ნაზად,
შრიალებ ქარზე, შრიალით ვერხვის.
ნეტა რა ხელმა,
ან რა მარჯვენა
მოგეფერა და აგშოლტა ცამდე,
როგორ გაგშალა ხელმა გამრჯემა
ასე, ფესვიდან ტანში, ქოჩრამდე?

მართლაც ლამაზად, დედოფალივით
გამშვენებს ქარზე წელის შერხევა,
და ვნებიანი ქალის მკლავივით
შენი ფოთლები ყელზე მეხვევა.

ათჯერ, ათასჯერ
მომიტეხია

მტკაველა ტარო შენი მხრებიდან,
და შებრაწული მიმირთმევია
ცხელ- ნაცრიანი ბუხრის ცეცხლიდან.

შენ იყავ მაშინ,
მშიერი ბიჭის
დამნაყრებელი დღითაც, ღამითაც,
გამახსენდები და თქმაც კი მიჭირს,
არ მავიწყდება ის დრო წამითაც.

30 ივლისი, 1978 წელი, თბილისი.

***

ნურავის ემდური, ვტყუივართ მე და შენ,
მოწმეა მთვარე და მაისის ტყემლები,
და როგორც ხატის წინ დაღვრილი ზედაშე,
ერთგული და წმინდა გდიოდა ცრემლები.

ისევ ის მთვარე და მაისი, იმ წუხილს
მახსენებს, მე და შენ ერთად რომ გვაწამა,
ამდენი ხნის შემდეგ, ისევ ის მიმწუხრი
ცალცალკე, ორივეს, გვასმევს ძველ საწამლავს.

ნურავის ემდური, ვტყუივართ მე და შენ,
ასე შორს რომ დაგვრჩა მთვარე და ტყემლები,
და როგორც ხატის წინ დაღვრილი ზედაშე,
ერთგული და წმინდა იყო ის ცრემლები.

28 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

# ობობას ქსელი

ათენებ, აღამებ ტანჯვით და წამებით,
დაეძებ ტანზე ძარღვს საჩხვლეტად ნემსისთვის,
ფულს ხარჯავ დედმამის ნაშოვარს წვალებით,
და სხეულს ამზადებ მუდმივი კვნესისთვის.
ქუჩაში ვერ გახვალ, თავზარს გცემს პატრული,
ჩამოგიქროლებს და ,,გუბერცკში‘‘ წაგიყვანს,
დილის მზის სინათლის გახდები ნატრული,
ცხოვრება ფუტურო ხესავით გაგრიყავს.

შენ ავადმყოფი ხარ, არავის ანაღვლებს
არც შენ და არც შენი ოჯახის ვარამი,
შენს სხეულს, ამ შხამით ძვლებამდე განარღვევს,
ჯერ კიდევ, მოელის სხვა ტანჯვა მრავალი.

შენ ავადმყოფი ხარ, გეშველოს ეგება,
არ არის კლინიკა, არ არის მკურნალი,
უარყო შენში ეს, დიდია შეგნება,
მაგრამ გფლობს სატანა და ბედი მკრულავი.

შენ ,,სისხლის ყანის‘‘ ერთი ხარ თავთავი,
მოძმემ რომ გაგლეწა და პური გასტეხა,
წყევლა კი არ ახსოვს ფესვთამომშანთავი,
უფალმა იუდას რომ გადაატეხა.

ამ ლექსს ვწერ და მესმის პატრულის სირენა,
დაეძებს, დააცხრეს ნარზე მჯდარ ნიბლიას,
როგორც მთის ჭიუხებს შებღავლოს ირემმა,
ვყვირი მეც, უშველეთ! და ვხურავ ბიბლიას.

უფალო, მე, მამას, და ცოდვილს შემინდე,
ვერ ვძლიე შვილის ჭირს, ძველ ტკივილს ობლობის,
მე, თუ გინდ, იმ ქვეყნის ჯოჯოხეთს შევიდე,
მანახვე დაშლილი, ეს ქსელი ობობის.

28 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

# მე სხვა რამ არა მჭირდა რა

არ მსურდა ქვეყნად არა რა
ლამაზი ქალის მეტი,
და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი
ძვალრბილის გადამკვნეტი.
ჩოხა შავლეგა, წელწვრილი
ელვის ღრუბელის ფერი,
ნაბადი მხრებგანიერი,
ცხენი, ხრამს გადამფრენი.

***

პატარა ქოხი მქონოდა
სადმეს არაგვის პირას,
თოფი და დავდევნებოდი
ირემს ფურისთვის მყვირალს.

კოცონი, მწვადის შიშხინი,
სალვინე წითელ ღვინით,
ჩემს კბილა გოგო-ბიჭებთან
ღამე მეთია ლხინით.

სტუმრად მწვეოდა დიანა
ტყეთა, ნადირთა ღმერთი,
რომ ამელოკა მე მისი
ნანადირევის ღვენთი.

ამბორგებოდა ზღვასავით
ღმერთ ქალთან ჩემი სული,
და როგორც სივრცეს, არასდროს
ჰქონოდა დასასრული

რომ ფრთა შესხმოდა ოცნებებს
და სიზმრებს ღამის ძილის,
მეც მთვარის შუქზე ამესხა
ზეცის ვარსკვლავთა მძივი.

ტყის ნიავს გავაყოლებდი
ჩემს ყველა სურვილს, ნატვრას,
საგზლად მივცემდი ჩემს ლექსებს
ყვავილის ნამით დამტკბარს.

მე სხვა რამ არა მჭირდა რა
ამ სურვილების მეტი,
ბედი კი სხვაგვარად ჭრიდა
ძვალ-რბილის გადამკვნეტი.

ქარივით ქროდა გამჭოლად
ჩემს ირგვლივ როგორც გზირი,
ყველა ბულული გაფანტა,
ყველა დადგმული ზვინი.

ჩემი სიცოცხლეც წაიღო
ეს, ერთხელ ჩიტის სტვენა,
რომ ჰგავს ყოველ წელს ზამთრის პირს
ხიდან ფოთლების ცვენას,
თან გაიყოლა დიანაც
და ტყის სიზმრების სცენაც.

24 ივნისი, 2007 წელი, თბილისი.

## ჩიტები

ჩიტები ფრინავენ ჭრელ-ჭრელი:
მზეწვია, ტოროლა, ნიბლია,
საკენკი უყრიათ ქერჭრელი,
საბედოს უცდიან იღბლიანს.

შიშველი თეძო და ჭიპები,
დეკოლტეც მუცლამდე ჩაჭრილი,
რა იქნენ შავლეგა ბიჭები
ამურის ისრებით დაჭრილნი?

სიშიშვლეს ეჩვევა თვალყური,
როგორც ეს ქვიშების პლაჟზეა,
ყვავილი მოწყვიტო ალპური,
ეს შანსი ჟამიდან ჟამზეა.

შენ უნდა გადახსნა საკინძე,
ნახო შიგ რა ვნების ტბა არის,
გემო აქვს ფარულად რაც კი ძევს,
ჭიპს, რომ ჩანს, აბა ის, რა არის?

25 ივნისი, 2007 წელი, თბილისი.

## უშენოდ

ტანჯვით გავათენე, სევდით დავაღამე
უშონოდ მაისის მრავალი დღე-ღამე,
რამდენი, რამდენი ცრემლი დავაღვარე
იმ ტკივილს, რომელსაც განვიცდი შენგან მე.

მოვა სექტემბერი, მთვარის ღამეები
აუხსნელ ფიქრივით მოიცავს ვენახებს,
მინდოდა მომეთხრო ტკბილი რამეები,
მაგრამ ვერ გიპოვნე, ველარსად ვერ გნახე.
უფრო გამძაფრდება დარდი და ნაღველი,
უშენოდ, ოქტომბრის, ნოემბრის წვიმებით,
ქარს საით გაჰყვება შენთვის კვლავ ნამღერი
დღეს უკვე წუხილით, დაძაბულ სიმებით.

უმზეო, უმთვარო, ხანგრძლივი ზამთარი
მომახვევს სხეულზე უფრო ძნელ განსაცდელს,
მე, როგორც უმწეო, ან ღვინით დამთვრალი,
ვაი, თუ დავიბნე და შენსკენ გზას ავცდე.

უშენოდ კიდევ ბევრს გავათევ ღამეებს,
სად აღარ გეძებე, რომ წუთით მენახე,
მინდოდა, მომეთხრო ტკბილი რამეები,
მაგრამ ვერ გიპოვნე, ველარსად ვერ გნახე.

28 ივნისი, 2007 წელი, თბილისი.

# დრო აღარ ითმენს

გადიჯირითეს ელვისა და მეხის ღრუბლებმა,
ბორბალა ქარმაც გადიარა ჭენებით ველი,
მოწმენდილი ცით სისხლი წუთით შემიგუბდება,
და აყივლდება სულში ჩემი ლურჯი ფრინველი.

ამოფრთხიალდი გულმკერდიდან, ჩემო ფენიქსო,
კავკასიონის მაღალ ქედზე ცეცხლი დაანთე,
დაიფერფლე შიგ, რომ ახალი სისხლით შევივსო,
და კვლავაც მთვარე ბევრ ღამეებს ჩემთან გაათევს.

რომ განმიახლდეს ფანტაზიის მტკნარი მორევი,
და ზედ ქარბუქი დაუნდობელ ღელვით დაატყდეს,
ბნელი ძალა კი აღარ იყოს ჩემი მომრევი,
და სულსა ჩემსას, მოუსვენარს, ბწკაც არ აატყდეს.

შემაცურე შიგ, ამ ღელვაში და ჩემი ნავი
ჰორიზონტს იქით ლურჯ სივრცეებს გადააცილე,
დრო აღარ ითმენს, ხვედრი ავი, თუ ბედი შავი,
წინ დამახვედრე თავგანწირულს, ნუ ამაცილებ.

ცოცხლად მიქციე ყრმობის დროის ჩემი ოცნება,
ერთ დროს მთვარეზე ჩიტივით რომ ლაღად შეფრინდა,
რომ მიხსნას მე მან და შენთვის კი შევძლო მოცემა,
რაც თავთავივით გაიხარებს შენი ფერფლიდან.

მაშ, ამოფრინდი გულმკერდიდან, ჩემო ფენიქსო,
დრო აღარ ითმენს, ცადამწვდომი ცეცხლი დაანთე,
დაიფერფლე შიგ, რომ ახალი სისხლით შეივსო,
და კვლავაც მთვარე ბევრ ღამეებს ჩემთან გაათევს.

3 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

# გთხოვ პატიებას

ჩემო სამშობლოვ, შენს თბილ უბეში
გაზრდილი შვილი გთხოვ პატიებას,
ჩემს წუხილს მიეც მცირე ნუგეში,
რომელიც ბედის ჰგავს დატირებას.

გაფრინდნენ წლები წეროებივით,
და მე ვერ ვნახე შენი მთა-ბარი,
გადახმნენ ხეთა წვეროებივით
რამდენიც მქონდა ნატვრა ამგვარი.

ვერ ვნახე შენი შხარა, გომბორი,
ვერ ვიკენწლავე მთაში ხევსურთან.
რაჭის ლორს აქვს გემო როგორი,
სამეგრელოში სუფრას ტეხურთან.

ვერ ვნახე ხოხბის აფრთხიალება
ივრის, ალაზნის ფერად ჭალებში,
და ვერც არწივთა დაფრთიანება
რომ ვიყო მათით განამსჭვალები.

ჯერ არ მეღირსა, ფეხი დავადგა
ყველა შენს მინდორს, ყველა შენს მწვერვალს,
მე, სხვა უღელი ბედმა დამადგა,
მამულო, შენზე ლექსების მწერალს.

კევრში შებმული კალოს ხარივით
მთელი სიცოცხლე ერთ წრეზე ვდგავარ,
ალესილი ვარ გორდა ხმალივით,
მაინც ლუკმისთვის მათხოვარს ვგავარ.

თუ ეს ცოდვაა შემინდე შენს შვილს,
გთხოვ მცირე ნუგეშს და პატიებას,
ეს სამდურავი ჯადოწრეს ვერ შლის,
ჰგავს მხოლოდ ბედის ხმით დატირებას.

5 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

## მოქალაქეთა მისაღებში

გარშემო ვუვლი ამ ცხრაკარის შენობას,
როგორც ეკლესიას სანთელით მლოცველი,
ტყუილად დავეძებ დაკარგულ ზნეობას,
ოდესღაც ავ კაცთა საქმენით მოცელილს.

რა დაცლის ამ წყენას ტბასავით შეგუბულს,
სარტყელი რომ აკრავს ვეება კასრივით,
ჩემს ბილიკს დავადგე ოდესღაც შეგულულს,
ვიდრე მეც არა ვარ მათსავით გასვრილი.

საცაა მზე ჩავა, დადგება მიმწუხრი,
საითღა წავიდე, ღამეს სად გავათევ?
ისევ იმ ძველ სევდას, ისევ იმ ძველ წუხილს
ტყვედ ვყავარ, დღემდე რომ ყრმობიდან დავათრევ.

გავცილდე ამ ქაოსს საშინლად მწყურია,
მაგრამ სად, ბინდი წევს ყოველის მომცველი,
ისევ ის მაწვალებს, ის ძველი წყლულია,
რომ ვგავარ ტყის ყვავილს ადრევე მოცელილს.

ტყუილად დავეძებ ჩემს ბილიკს შეგულულს,
ამ ციხის კარებსაც არავინ გამიღებს,
წყენასაც ვერ დავცლი ტბასავით შეგუბულს,
წავალ და ამ ვარამს ტვირთივით წავიღებ.

12 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

## იყიდებაო შატილი

იყიდებაო შატილი,
ეს რა გავიგე, თორღვა,
მამული, მანდილახდილი
წალეკა ზვავმა, ღორღმა.

სადა ხარ, ბერო მინდიავ,
მუხლი რომ გება მგლისა,
შენს საჯიხვეებს ჰყიდიან,
არაგვის ჭალებს გრილსა.

ქეთელაურო ალუდავ,
თქვი საფიხვნოზე სიტყვა,
ამ ბარელ ბიჭებს რა უნდათ,
მთების გაყიდვა ვინ თქვა?

სადა ხარ, გაფრინდაულო,
ლეგ-ლუგა ბიჭო, ზეზვა,
რომ ამათ სახრეს დაუვლო
უშხივლო ზედიზედა.

წამოდექ, წამოიქოჩრე,
ხოგაის მინდი არხოტს,
რამდენი წამოაჩოქე
ლეკი, ამათაც გნახონ.

ლუხუმო, შედექ ლაშარზე,
მოძოვე მთების ქუჩი,
ბებერი ციხის ნაშალზე
შეიბ ფარ-ხმალი, ზუჩი.

ვოჟა, შენც შეაჟღრიალე
ბეთლემის კარზე ფარი,
ისეთი შეუღრიალე
მთვარეს ეცვალოს მხარი.

მიყიდვას ველარ დაჰპირდეს
ვინმე, სხვას, თქვენი მხარის,
რომ ვაჟა აღარ ატირდეს
როგორც ნიკორა ხარი.
შენზე აქვთ თვალი თურქსა და,
ჩინელს, ინდოელს, არაბს,
წინათ ომებით ვინც სცადა,
დღეს მამულს ფულით გპარავს.

7 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

# დამაგვიანდა

დამაგვიანდა, რა საშინლად დამაგვიანდა,
ველარ მივუსწრებ აპოლონთან პოეტთა ქეიფს,
მუზები ღრუბლებს მის ტახტიდან გადაგვიან და,
დღეც იწურება, აღარავინ მიმელის მე იქ.

ველარ მოვისმენ სადღეგრძელოს პოეზიისას,
ღვინის სასმისით ოლიმპოზე ღმერთი რომ იტყვის:
,,შენდობა იმას, ვინც ჯვარცმული პოეტი ზის აქ,
და  ვინც ეწამა აქ მოსვლამდე, აზრით და სიტყვით‘‘.

იქ არ ვიქნები, ჩემს წილ ბადაგს ვერცხლის ფიალით,
სხვასთან გადავა, ნადიმია, სხვას დააწაფებს,
ჩემთან კი მოვა, მაცნე შავი ალმის ფრიალით,
შევიცნობ ყოველს და ტკივილი სულს აასწრაფებს.

და ავენთები, გზას განვაგრძობ, გაუვალ ძეძვებს
სხვა სიმაღლისკენ გადავლახავ შიშველ სხეულით,
ქვასავით ძველი განსაცდელი ვიცი დამეძებს,
ტანზე რომ მქონდა სუროსავით  გადახვეული.

ჩემს ლექსს მრავალჯერ გაჭენებულ პეგასზე შევსვამ,
ბევრს იჭიხვინებს ვიდრე ბნელში პარნასს მიაღწევს,
როცა იქნება, ღმერთის სასმელს მე მაინც შევსვამ,
და ამოვიცნობ, ბედი ჩემს სულს საით მიარწევს.

იმ ძველ ქარიშხლებს, იმ ჭრილობებს დავავიწყდები?
მე, როცა მსურდა დავსწრებოდი პოეტთა ქეიფს,
მე მაშინ მსურდა, როცა ახლად ფრენას ვიწყებდი,
და არა ახლა; აღარავინ მიმელის მე იქ.

20 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

# ისევ იმ მაღლობზე

*ომარ ტურაშვილს*

ისევ იმ მაღლობზე ავიდეთ მე და შენ,
ჩვენ რომ გვიბერავდა ქარი აბეზარი,
საყდართან, ჩვენ ორნი მივიტანთ ზედაშეს,
არავინ ვიახლოთ ვინმე მაბეზღარი.

გულმკერდი გავუხსნათ ისევ იმ ქარ-წვიმებს,
ტანს რომ არ მოგვეხვეს ობი და ხვიარა,
შევძახოთ ისევ იმ ქორებს და არწივებს,
მათ ბრჭყალით, რომ გვსურდა, გვქონოდა იარა.

იქ წყაროებია: ცხრამურის, დედოფლის,
ყვავილში ჩაღვრილი ნამივით ანკარა,
პეშვით რომ გვყოფნიდა, როგორც ძეს შენდობილს
ღვთის მადლი და ჩვენ რომ უბიწოდ გვატარა.

ჩვენ ორნი გავენდოთ ისევ იმ ალიონს,
იმ ელვის და მეხის ღრუბლებმა გაგვბანონ,
მამულში ნადგამი ის გუბეც დავლიოთ,
ცა ლურჯი შიგ რომ ჩანს, შავი ზღვის წამგვანო.

მე და შენ, ორივე, ჭაღარამ შეგვმოსა,
გული კი იმ ძველი სიზმრებით გვიღელავს,
ბედმა ჩვენ, ალვის ხის წვეროზე შემოგვსხა,
რომ გვეთქვა ქართლისთვის სიცოცხლის სიმღერა.

ჩავსხდეთ ჩვენს ლიახვში, მჩქეფარე ტალღამ ზედ
გვიაროს, სიბერის ხავსი არ მოგვედოს,
წუთიც არ ვიფიქროთ, ვიდრე ვართ დაღლაზე,
განვლიოთ ჩვენი გზა, რაც გინდა შორს გვედოს.

ავიდეთ მაღლობზე, საყდართან, მე და შენ,
შევხდეთ იქ ალიონს, მქროლავ ქარს აბეზარს,
დავლიოთ ის წყარო, როგორც ღვთის ზედაშე,
არავის გავენდოთ, იქ ვინმე მაბეზღარს.

25 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

## ანის!

შენ ისევ ჩიტივით პატარა იქნები,
როცა მე დავტოვებ მიწიერ ცხოვრებას,
წავალ და ერთ ხედ მეც გარდავიქმნები,
სული კი, შეერთვის ღვთის ნათლით ცხონებას.

და თუ ცრემლს დამაღვრი, ზედ ვარდი იხარებს,
ჩემივე სისხლით და გულით რომ აყვავდეს,
შენ კი ჯერ პატარა, ზღაპრების წიქარებს,
ღრუბლებში, მთვარესთან, შვიდ ცამდე აჰყავდე.

ვნანობ, რომ ვერ ვნახავ შენს ლამაზ ცისკარას,
ბანჯგვლიან დევებს რომ კამათელს უგორებს,
დღეისთვის ბევრს ვეძებ ვარსკვლავებს ცის კარად,
შენთვის და ჭრელ-ჭრელა კალთაში გიგროვებ.

ჯერ მუხლზე მიზიხარ პატარა ჩიტივით,
შენთვის ჯერ არა ქრის, ფრთები რომ გაშალო,
იფრინე, როგორც გსურს მტრედივით, გვრიტივით,
შენ ოღონდ წინაპრის კვალი არ წაშალო.

ისედაც ვიცი მე, რა სიგრძის, რა განის,
ჩვენ შორის ძევს წლების ხვეული გორგალი,
რამდენი გამიცვდა შენამდე არგანი,
და ოფლით ნაპოხი სვე-ბედის ბორბალი.

მე წავალ, დავტოვებ მიწიერ ცხოვრებას,
შენ კი ჯერ ჩიტივით პატარა იქნები,
მე სულით შევერთვი ღვთის ნათლით ცხონებას,
შორს წავალ და ერთ ხედ მეც გარდავიქმნები.

ჩემს სულს კი, შენ და შენს, დას და ძმებს ფეხებთან,
ფრთხილად რომ იაროთ ხალიჩად გაგიფენთ,
ჯერ ერთად ჩამოგსხამთ ჩვენი ტყის ვერხვებთან,
და თითოდ, მაისის ტოროლას აგიფრენთ.

2 აგვისტო, 2007 წელი, თბილისი.

## აჰა, ჩამოვდნი

აჰა, ჩამოვდნი შენს სერებზე წეროს თოვლივით,
რომ დავაწყურვო ენძელები, ყოჩივარდები,
შენს ყველა ველებს, ყველა მინდორს წვეთ-წვეთ მოვივლი,
რომ გავახარო იები და ნორჩი ვარდები.

ეს ასი ლექსიც მომიძღვნია, ჩემო მამულო,
ვიცი მოქარგავს მცირე ნაწილს შენი ხალიჩის,
ჩემო ტკივილო, ჩემო სევდავ და სინანულო,
ნეტა მეყოს დრო უფრო კარგი ვთქვა რამ ხვალისთვის.

ჰა, დავამთავრე ასი ლექსით ცხენის ჭენება,
ეს ასჯერ მკერდით ამოოხვრა და ამოსუნთქვა,
ფერად სიზმრებით ჩემი სულის გადაჭრელება,
და ნელი ცეცხლით შიგნეულის წვით გამოთუთქვა.

ამ ხნის მანძილზე ბევრმა ქარმა გადამიქროლა,
ღვთის შთაგონებით, ბევრი ფიქრი ლექსად განკაცდა,
ბედმაც დამინდო, ჰელიკონი არ ჩამიქოლა,
იქ კი სასმისი, მე, ტკბილ-მწარე მაინც არ ამცდა.

სხვა ასი ლექსით, დრო თუ მეყო, შენს ველ-მინდორზე,
ფაფარაშლილ ცხენს კიდევ ერთხელ გადავაჭენებ,
შენს ნაზ ხალიჩას, ვიდრე სამანს გადავიდოდე,
ასი ყვავილით მოვქარგავ და გადავაჭრელებ.

27 ივლისი, 2007 წელი, თბილისი.

***

ქარი აღარ ჩადგა, ღამის ყაჩაღივით
მიფრთხობს სიზმრებსა და ძილის ანგელოზებს,
ხმა მოაქვს უცნობი, ყვავის ნაჩხავლივით,
დრო დადგა, წამყევო უფლის სამსჯელოზე.

პერანგის ამარა, ზღვად ფიქრებაშლილი
დავიწყებ მთვარის ქვეშ უმიზნოდ ხეტიალს,
სიზმრების ქოხი ქარს დანგრეულ-დაშლილი
მიწიდან სადღაც შორს გადაუხვეტია,

ჩემი ხნის ჭადარი იდგა აქ გაშლილი,
ისიც, ტანუძლური გადაუტეხია.

მე, გულჩათხრობილი ვეღარ ვძლევ სინანულს,
და თითქოს მთვარეც ჩანს ჩემსავით მწუხარე,
ამ ავი ქარისგან ღრუბლებით მილამულს,
სინაზით პოეტს გულს რომ აღარ უხარებს.

შევდივარ სახლში და, ცრემლით სველ სასთუმალს
ფიქრებაშლილ თავს ზედ დავადებ კუნძივით,
გატყდება ღამე და ქარს, ღამის ავ სტუმარს,
გავყვები სამსჯელოდ უფალთან მუნჯივით.

20 აგვისტო, 2007 წელი, თბილისი

## იყო? არ იყო?

რამდენ შარაგზის და ბილიკის გავლა დამჭირდა,
რამდენი წლები, დღენი ნათლით, ღამენი მრუმე,
ვერ მივხვდი მანამ, სანამ ბედი გულში დამჭრიდა,
სიცოცხლე ჩემი რომ სიზმარი ყოფილა თურმე.

ვღამდები, როგორც ზამთრის ცივი, დღეები მოკლე,
ძლივსღა ვიგონებ ძველ მეგობრებს, ძველ ამხანაგებს,
დროსა და ადგილს, სადაც ჩემი ბავშვობა მოჰკლეს,
სადაც ჯერ ისევ ჩემს ბედს ბნელი ძალა განაგებს.

მომივლის ხოლმე ზოგჯერ ჟინი, ცხენზე ავმხედრდე,
ამ სიზმრიდან რომ გადმოვხტე და სადმეს გავქუსლო,
მაგრამ ამაოდ, ისევ იქ ხარ, დროს რომ გავხედე,
სადაც დაგტოვე, ჩემო ყრმობავ, გველის ნასუნთქო.

დღემდე ვკითხულობ: ცხადი ჩემი იყო? არ იყო?
არ დარეკილა ნეტარების ჩემთვის ცის ზარი,
დროთა დინება ცდილობს ყველა ხსოვნა გარიყოს,
მხოლოდ შენ რჩები, ჩემო ყრმობავ, როგორც სიზმარი.

21 აგვისტო, 2007 წელი, თბილისი

## ეძახდა გედი სულიკოს

ბებერი გედი მღეროდა:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო",
ძაძები ჩამორღვეოდა
ცეცხლივით მინავლულიყო,
ცას ნისლი ჩამოხეოდა,
მზეც სადღაც მიმალულიყო.

ძველი გიტარის სიმები
კვნესოდნენ დამჭკნარ თითებით,
და როგორც ბედის მისნები
მაბნევდნენ ავი კითხვებით,
მე, ღვინის ჯამით ვივსები
ზღაპრებითა და მითებით,
ტკივილის მძაფრი თვისებით
და მთვარის გადაფითრებით.

სად იყო, ნეტა, სულიკო,
ესმოდა გედის ნამღერი?
დრო, ბედი მისი კრულ იყო
სევდით, წუხილით ნამღვრევი,
დრო სადღაც გარდასულიყო
შუბლით სალი კლდის გამრღვევი,
ელანდებოდა სულიკო,
ერთ დროს ძუძუ-ყელ აღერილს.

30 აგვისტო, 2007 წელი, თბილისი

## ელიავას–37

რა ვუთხრა ბედის სამართალს,
ამ საშოვარზე რა მინდა?
მიჯობს, რომ ვიყო გზამართალს,
საფლავთან ტაბლა დამიდგან.
ჩემს წინ ბომონი აღმართა

შავია როგორც ნახშირი,
აფსუს? მთვარის და ვარსკვლავთა
სტუმრობა მქონდა რა ხშირი.
ღვთისმშობლის მინდა კვლავ კალთა,
ხატის წინ ვიყო დახრილი,
გუთნის სახელურს, ნაკვალთან
ვეკიდო პერანგგახდილი,
ცისკრისას ვიყო სამკალთან,
მქონდეს პურ-ღვინო და ხრილი.

31 აგვისტო, 2007 წელი, თბილისი

## ერის კაცს ვეძებ

ორმოცდაათიც არ გაივლის ქორონიკონის,
ქართულ მიწაზე, რომ დადგება ეს კითხვა: ,,ვინ ვის!''
მე კარგად ვხედავ, რა ქარი ქრის, ვინ რას იწონის,
ან საით წავა საქართველო თუ ასე ივლის.

თუ არ გადვუსხამთ ახალ-ახალ სისხლს ჯილაგს ჩვენსას,
მრავალ ათასი ახალშობილ ძით და ასულით,
შიგნით, გარედან დაუწყებენ ჩვენს მამულს ჩენჩვას,
ამერ-იმერი რომ დამარცვლონ, მძივად ასხმული.

ეჭვი მღრღნის დიდი, რომ ჩვენს მამულს სახელი შერჩეს,
ქართლოსიანნი, ამ მოვლენებს თუ ჩამორჩება,
დავემსგავსებით ამოჩეხილ ვენახებს მეჩხერს
და ეს ჭრილობა ჩვენს სხეულზე აღარ მორჩება.

ვიმღერებთ კიდევ? ,,საქართველოო ლამაზო''?
თუ მუმლი დახრავს ორ ზღვას შუა განტოტვილ მუხას?
ერის კაცს ვეძებ! ქართველები იქნებ დარაზმოს,
არ გადაშენდეთ! არ გადაშენდეთ! ხმამაღლა უთხრას.

10 ოქტომბერი, 2007 წელი, თბილისი

## გუბე

აღარ მეგონა, ელვის, მეხის მსგავსს
თუ მოვისმენდი დღეს ასეთ სიტყვას,
რომელიც ასე წყლის წვეთივით ჰგავს
გუბეში ნასროლ ერთ მძიმე დიდ ქვას.

ამოჰყრის მაღლა შიგ რაცკი ბუდობს:
ანტიტყაოსნებს, სხვა ანტიმანტებს,
დამმობის მგმობელს, ძმობაში უნდობს,
ზოგს კი ვიღაცის ჩიბუხში ნატენს.

ხომ არ შეთქმულან ეს ყაძახები?
ვაი, შენ, ჩემო ღონევ და ჯანო,
რომ არ ასრულდეს მათი ზრახვები,
კიდევ ესროლე გუბეს ქვა, ჯანო!

15 ოქტომბერი, 2007 წელი, თბილისი

## არწივის ჩრდილი

ნისლივით დააწვა ჩემს დედულს, ჩემს მამულს
რუსეთის ორთავა არწივის აჩრდილი,
თამარის ცრემლებით ჩემს მიწას დანამულს,
არა თმობს, დღემდე აქვს კლანჭებში გაჩრილი.

სოხუმი სამოთხე, ცხინვალი ედემი,
დიდია ცთუნება მთებს გადაალაჯოს,
დალაშქროს ენგური, ლიახვის ქედები,
ზეკარა, შიდა ქართლს მტკიცედ რომ დარაჯობს.

***

შენ ერთ დროს განდევნე მონღოლი, ტევტონი,
სტეპში მოთარეშე ყირიმის თათარი,
მე კიდევ უფრო მეტს ვებრძოდი მე მგონი,
სპარსსა და ოსმალოს, როგორც კლდის აფთარი.

გახსოვს? ბონაპარტი, დამწვარი მოსკოვი,
ჰიტლერი, ლენინის ქალაქის ბლოკადა,
მე მახსოვს შაჰ-აბას, კახეთის მომსპობი,
და აღა-მაჰმადი, ჩემს თბილისს რომ კლავდა.

თუ გახსოვს, დავწერეთ ჩვენ ძმობის ტრაქტატი,
მოხვედი ოჯახში, კაცურად დაგიხვდი,
მე მახსოვს, მოშალე მონარქის აქ ტახტი,
და შემდეგ, მე, ქართველს პირველ მტრად გამიხდი.

თუ გახსოვს, პირჯვარს ჩვენ ვიწერდით ერთ ხატზე,
წყალობას ვთხოვდით ღმერთს რუსულად, ქართულად,
მე მახსოვს, ამ ენით გულზე არ გეხატე
და წირვა-ლოცვანიც, აქ ჩემთვის გართულდა.

თუ გახსოვს, სტუმარი ოქროა დილიდან,
გასმევდი ბადაგს და თავთუხის პურს ჭამდი,
მე მახსოვს, დედოფალს აგდებდი შინიდან
და მანაც ხანჯალი ჩაგარტყა კუჭამდის!

’’И сошла на грузию божья благодать!’’
კიდევ ბევრს იტყოდა ილბალს რომ ეცლია,
ღმერთმა ის, უკანვე ასკეცად არგოთ მათ!
ილია - ის ჩვენი პრომეთეს ცეცხლია!

შენ დღესაც გაჰყვირი საქვეყნოდ ,,დუმიდან’’:
გადაგარჩინეო ფიზიკურ მოსპობას,
მაგრამ ოცდაერთში, ქვემეხის ლულიდან
გვესროლა უღელი წითელმა მოსკოვმა.

ჩვენ ერთად აღვმართეთ ბერლინში დროშები,
დავმთვრალვართ სანგრებში ღვინოთი და არყით,
როგორც ვთქვი: ,,ჩემო ძმავ, ჩემთვის მსურს, გშორდები'',
მოხვედი და ჩემს შვილს ნიჩაბი ჩაარტყი.

სული შენ შთაბერე ეთნიკურ კოცონებს
და სისხლი ჩვენს შორის კიდევაც დაიქცა,
ცას სწვდება ცინიზმი! ძველთა-ძველ ოცნებებს
ფრთებს ასხამ, ეს ხალხი, ჩემგან რომ ,,დაიცვა''.

ღმერთს ვფიცავ, არა ვარ შენთვის მე ის კრავი
გიმღვრიოს ოდესმე მდინარის სათავე,
მე მყოფნის ჩემი მზე, მთვარე და ცისკარი,
მახსოვდეს ქრისტე და მცნებანი ათთავე.

ყველა იმპერია დროთა სვლამ წალეკა,
შენ ერთი შემორჩი მესამე რომი და,
ჩემი საქართველოს გაწეწვა, გალეწვა
ნუთუ ამ პატარა მიწისთვის მოგინდა?

გულში მჭრის ტკივილი, სული კი შეძრული
ძველი თუ ახალი შენეულ საქმენით,
ძმობა კი, ,,на веки'' მაგ ხიშტით შეკრული
ცრუა და შენთვის ეს, ეს მქონდა სათქმელი.

თუ მაინც შესძელ და სამშობლო წამართვი,
იბერთა მიწაზეც თუ გაიწელები,
როგორც ის, მუხრანთან ყივჩაღი წარმართი,
დრო მოვა, ტაძრებთან შენც დაილეწები.

23 ნოემბერი, 2007 წელი, ერედვი-თბილისი

# დღეს გამახსენდა

დღეს გამახსენდა ცხრა აპრილი,
მიტინგი, რბევა,
მხუთავი გაზი, ნიჩბები და
პროსპექტის ნგრევა,
ის იყო უცხო დამპყრობელი,
ელოდი სხვას რას,
ნაჩვევი იყო შენი სისხლით
ხელების გასვრას.

მე გამახსენდა ცირკის გორა,
დიდუბის მეტრო,
ასე სასტიკად ძმას ოდესმე
რომ ძმისთვის ემტროს,
ნაწყევლი ჯაბა, შევარდნაძე,
ხე კიტოვანი,
კიდევ რამდენი დაგეშილნი
რუსის მსტოვარნი.

ჩემს თვალწინ მოხდა ცოდვიანი
ძმათა სისხლისღვრა,
თითქოს გადმოსკდა ჩვენსა ზედა
ზეცით ღვთის რისხვა,
დაუნდობელი შეტაკებით
რიყის ნაპირი,
უფრო სასტიკი იყო ვიდრე
ის ცხრა აპრილი.

მე გაუხარელ თვალებს ვხედავ
ქუჩაში ათასს,
ხოლო მთავარი ვინც ამ ხალხს და
ქვეყანას მართავს,
ვალი აქვს, ცხვარი, თუნდაც კოჭლი
არ მოსწყდეს ფარას,
სიმართლით მწყემსოს და ვარგოდეს
ჯურხაის ფარად.

7 ნოემბერი, 2007 წელი, თბილისი

## რა მალე

რა მალე გავხდი ჭაღარა-
უკვე ნათიბი ველი,
აღარ მყავს ცხენი საღარა,
უნაგირ-სადავენი.

ერთ დროს მიმინო მეც მყავდა,
დასდევდა ქედანს ფრთამალს,
რა ლალი გულით მიყვარდა,
ჰგავდა ნესტანს და ყამარს.

მე ვშრები წვიმის წვეთივით,
ის როგორც ფოთლის ნამი,
გაცივდა სანთლის ღვენთივით
ტრფობის და ტკბობის წამი.

ჩავდივარ მთებთან მზესავით,
ის ჩადის როგორც მთვარე,
ძირს ყრია ნალეწ ბზესავით,
რაც წლები მოვამთავრე.
ჯერ კი ვერხვივით ვშრიალებ,
ის, როგორც ქარში ლელი,
კაბას სად მიაშრიალებს?
ის ჩემი გულის მკვლელი.

2 ოქტომბერი, 2007 წელი, თბილისი

## ერთხელაც

მაისის წვიმის წინწკალო,
მინდვრად მიხარე ღიღილო,
მოვეფერო და „წინწყარო“
ერთხელაც წავიღიღინო.
ქალს შევხვდე ნაწნავებიანს
ვეტყვი ბალახზე ჩამოჯდეს,
თვალს მომარიდებს ვნებიანს
და იქნებ აღარც გამოჩნდეს.
ერთხელაც ვნახო სისხამზე
ცის ნამით სველი ჯეჯილი,

მწყურვალს ცვარს პეშვში მისხამდეს,
ქვეშ მეგოს ჭრელი ჯეჯიმი.
ჩუმი სიამით შევხვრიპავ
თავთავზე ნადგამ წვიმის წვეთს,
ვიხარებ, თუ მზეს შევხვდი კვლავ,
გული იქ მისთვის მიმიწევს.
ლიახვთან გამათევინე
ღამე სიზმრებით დამტკბარი,
სათიბი გამათელვინე
დავაცხრო ვნება ამტყდარი.
ამომავალი დილის მზის
ვნახო ვერხვებში ლაციცი,
იქ შევკრა კონა პირიმზის,
იქ ვნახო მკვდარი ნარცისი.
ერთხელაც გამასხვლევინე
ჩემი ვენახის ვაზები,
ბადაგი დამალევინე
მამღერე მუზამბაზები.
ერთხელაც დამაწურვინე
ყურძნის მტევნების ჯაგნები,
მოვიკლავ ძველ-ძველ წყურვილებს
თუკი არ გამიჯავრდები.
ბოლო გზა მუდმივ მახსოვდა,
წინ წამიძღვები, ვიცი მე,
„იყო? არ იყო? რას მთხოვდა?“
იტყვი და ბევრჯერ იცინებ.

25 ნოემბერი, 2007 წელი, თბილის-ერედვი

## გაფრენა მსურდა

არსებობს კაცი? ვინც მთის მწვერვალზე
შედგა ფეხი და არ ინატრა ფრთები ჰქონოდა?
სურვილებშორის ადრე ყველაზე
არ მოენდომოს გაშლილ სივრცეს გადაჰქროლოდა?

ასე ვნატრობდი, მე ცასთან ახლოს
ყმაწვილი კაცი შემომდგარი ორბოძელაზე,
გაფრენა მსურდა, ბუნდოვნად მახსოვს
აღტკინებული სულის ოდნავ გაბრძოლებაზე.

თითქოს ვიჯექი ცისფერ ყვავილში ...
ყველაფერია, ნახო კაცმა ეს უკვდავება,
დრო გადის, გული, გული არ იშლის,
მინდა ერთხელაც ავიდე და ჯაჭვით დავება.

26 ნოემბერი, 2007 წელი ერედვი

## როკვა ჭაობში

მეგობარს შევხვდი სასხლავით ხელში,
მკითხა: ,,როგორ ხარ, ღვინოს კიდევ სვამ?"
ცოტა არ იყოს გავსწორდი მხრებში,
,,კი, როგორ არა, თითოს, ზოგჯერ სამს".

,,სამს?!" ჭიქას თუ სამ ბოთლს, რომელ ერთს?"
,,ბოთლს, თუ ღვინო ფერითაც ლალია..."
,,გახსოვს? მთვრალები ჭაობს მოვევლეთ,
ქეიფი გიყვარდა, შენზე ალალია".

და გამახსენდა წყარო, ტყის ველი,
წარმართებივით ცეცხლთან ვროკავდით,
წელამდე ლაფში, ყელამდე სველნი,
ჭაობის ტალახს ენით ვლოკავდით.

ნიავს მიჰქონდა ჩვენი ხორხოცი,
სააღვინეები ქვებზე ვამტვრიეთ,
სიმღერა ალბათ ოცი, ოთხმოცი
ძველი ჩონგურის სიმზე ვატირეთ.

როგორც განძს ნაგდებს სარდაფში, სხვენში,
იმ სიმღერის წლებს ისე გავყურებ,
და ჰა, ეს აწმყო შემომრჩა ხელში,
როგორც გატეხილ ღვინის საყურე.

27 ნოემბერი, 2007 წელი, ერედვი

## წისქვილში მინდი მიმქონდა

შარაგზის ურემს მივსდევდი,
ბორბლებს გაჰქონდათ რახ-რახი,
კოფოებს ჭრიჭინ-ჭრიჭინი
ხელნებს და ზეწრებს ფახ-ფახი.
ხარებს მათრახით სუსხავდა
კაცი ვირგლა და ახმახი,
გულ-მკერდი გადაღეღოდა
თავზე ეხურა ფაფახი.
ოფლი ღვრად ჩამოსდიოდა,
მინდოდა სიცილ-ხარხარი,
ის წკიპზე იყო შემდგარი
როგორც ხირიმის ჩახმახი.
წისქვილში მინდი მიმქონდა
არ მომხვდეს-მეთქი მათრახი.
მზე შუბის ტარზე იდგა და
სხივებს გაჰქონდათ ჩახ-ჩახი,
შაშვები წამოგვიფრინდნენ
ჭადრებთან ფრთხიალ-ჭახ-ჭახით,
მინდვრიდან ყეფა ისმოდა
თოფების სროლა, ბახ-ბახი.

7 დეკემბერი, 2007 წელი, თბილისი

## ... და ვფიქრობ, ვფიქრობ

მოფრთხიალდება გაზაფხული დამფრთხალ შაშვივით,
შემოფრინდება თუთის ხეზე ჩიტი მზეწვია,
გამოილვიძებს ნაზამთრალი კვირტი ბავშვივით,
მომივა მადა - ეს სიცოცხლის ტკბილი ნერწყვია,
და ვფიქრობ, ვფიქრობ, დრო რომ მომდევს ზღაპრულ რაშივით,
სად გავასწარი, სად შევყოვნდი, სად დამეწია.

მე, დავფეთდები, როგორც გნოლი თოფის ქუხილზე,
წლები მიდიან, ჭრილობები ჯერაც ღიაა,
სიცოცხლე ჩადის სასულეთში, როგორც მწუხრის მზე,
და გაზაფხულიც ჩემთვის კიდევ ერთი ტყვიაა.

მაგრამ ნაღველი ელვასავით მალე გაქრება,
შაშვის გალობა სიცოცხლის ტკბილ ნერწყვებს მომადენს,
ბოლო ლამპარი ლაბირინთში ვიდრე ჩაქრება,
ხარივით დავლევ თოვლის ნაჟურს მთიდან მონადენს.

ძალას შემმატებს მარტ-აპრილის მზის მცხუნვარება,
მაისის თბილი წვიმებითაც განვიბანები,
ღრუბელს გაჰყვება ეს ფეთება, ეს მჭმუნვარება,
მე ამ ფრთხიალში სულით, ხორცით გავინაბები,
დამესხმის თავბრუ, მოედება გულს მხურვალება,
და ასეთ თრობით სიკვდილსაც კი არ ვინანებდი.

22 დეკემბერი, 2007 წელი, თბილისი

## ზამთრის წინ

ჩამოათოვა მთები
ზეკარა, ორბოძელა,
ნაადრევ ზამთრით ვკრთები
დრო გადის ტანჯვით ძნელად,
ველარ ავფოფრო ფრთები
მარტში მიყვარდა ძველად,
და ცეცხლით ავენთები
როგორც ყაყაჩო ველად.

შემოეხვევა ჯანღი
სხვა მთებსაც შავი ნისლის,
დაითოვება ბაღი
ველები ლელის, ისლის,
გაზაფხულის ცდა დამღლის,
ცდა, ვნახო შუქი ცისკრის,
ფიქრს ვერ ამოვდებ აღვირს
ჩემში რომ ყრუდ რაც ისმის,
და დამესობა დაღი
ციდან ნასროლი ისრის,
ტკივილი ჩუმად გამღრღნის
როგორც ხის ჭიამ იცის.

მთვარეს მომტაცებს გველი,
დაამწყვდევს ციხე-ქაჯეთს,
ღრუბელი შიშმომგვრელი
მზეს ბნელში მიაჯაჭვებს,
მეკი, იმედი ძველი
ობლის ქადის კვერს მაჭმევს,
რომ გზა შორი და გრძელი
ცხენს ვანდო ვერცხლით ნაჭედს,
შემხვდება მთვარის მხსნელი,
მოანთებს ჩემს ქოხს და ჭერს,
მზესაც მისწვდება ხელით
მომიჭრის ერთ დიდ ნაჭერს,
ზამთარს გავიტან ლხენით,
ცხენსაც ქერს უხვად ვაჭმევ.

20 სექტემბერი, 2007 წელი, ერედვი

## მე მთვარე მეტყვის

რაც წლები გადის, რაც დრო გადის მძაფრდება ეჭვი,
რომ ჩემთვის, ცაზე, რაღაც ნიშნით მთვარე ამოვა,
და თუ მისანი ხვალინდელს ჭვრეტს საკლავის ბეჭით,
მე მთვარე მეტყვის ... მლოცველივით ღამით გამოვალ,
ჩავიძირები მკრთალ ნათელში ვით ტბაში კენჭი,
ბუნდოვანება - მე, ვნებული ამის გამო ვარ
სნეულივით რომ, უკურნებლად ყრმობიდან მე მჭირს.

მე მთვარე მეტყვის, სად დავიდგა ჩემთვის კარავი,
სად დამატყდება შავი ნისლი ქარიშხლიანი,
რომ დრომ მუხთალმა ვერ დამიდგას წინ შემზარავი,
თასი ბადაგით აღავსილი, დარიშხნიანი.

მე მთვარე მეტყვის, სად გავკვანძო გუთნის ღვედები,
კვალში ჩავდგე და შუა ხვნაში, რომ არ გამიწყდეს,
ჩემი ნაოფლით ჯეჯილივით თუ ავღელდები,
სამას წელიწადს ხსოვნა ჩემი აქ არ დამიწდეს.

არ წავილეკო, როგორც ყლორტი ამოხეთქილი
კოკისპირულით, გაავებულ ღრუბლების სეტყვით,
რომ არ გადავსკდე ზევსის მეხით უკვე ხედქმნილი,
როგორ გადავრჩე, ამას მხოლოდ, მე მთვარე მეტყვის.

როგორ გავფანტო ეს ბურუსი, მე მთვარე მეტყვის,
რაღაცა ნიშნით ცაზე ჩემთვის როცა ამოვა,
გამიღვივდება სული როგორც მარცვალი ფეტვის
და მე, სამისნოდ, არავინ მწამს, მასთან გამოვალ.

3 იანვარი, 2008 წელი, თბილისი

## მზეო, შინ შემოდი

მზეო, შინ შემოდი, ცხრათვალა მნათობო,
კერა შემცივნული სხივებით გამითბე,
ყოველმხრივ მე შემკულს და მაინც მთლად ობოლს,
მხოლოდ ერთი პეშვი სინათლე დამითმე.

მზეო, შინ შემოდი, სინათლით აღავსე
ჩემი დაბინდული სულის კარიბჭენი,
ნუ დამტოვ უსასოდ, მივეყრდნო რაღასმე,
მეყოფა, ერთხელ ხომ გულშიც დავიჭერი.

დილის მზევ, ცხრათვალა, ჩემთან შინ შემოდი,
დამირწე პატარა ბიჭების აკვნები,
ეფარე თბილ ზეწრად - მეც ასე მშველოდი,
და მერე შენს სხივებს ცაში მტვრად ავყვები.

გარეთ კი, მზევ, ჩემი ვენახი ახარე,
ქვევრები ღვინით და ბადაგით ავავსო,
მიმრავლე ხვასტაგი, ფური და სახარე,
დღეგრძელმყავ, სამანი ზეკართან ჩავასო!

ჩასვლისას, ალისფერ სინათლის ციალით,
დედ-მამის საფლავებს ზედ მკვდრის მზედ ეფინე,
შენ ნათლით დაადექ, წვიმამ კი შრიალით,
ახაროს ვერხვი, რომ ზედ შაშვი შეფრინდეს.

მზეო, შინ შემოდი, მზეო, შინ შემოდი,
კერა შემცივნული როგორმე გამითბე,
ჩემს აკვანს ოდესღაც თილისმად მშვენოდი,
სითბო და სინათლე პეშვით რომ დამითმე.

9 იანვარი, 2008 წელი, თბილისი

## არჩევნები – 2008

იყოფენ, იყოფენ და ველარ გაიყვეს
რაც დარჩა სიმდიდრე, მიწა და ქონება,
აქტივი, აქცია ჯიბეში ჩაიწყვეს
ცალ-ცალა კალოშა, ბოგანო ქორებმა.

ახლა მათ ბარტყებსაც ფრთის ღინღლი დასცვივდათ,
მზადა აქვთ ბრჭყალები და ბასრი ნისკარტი,
დგომა ორ ბანაკად შორს კი არ გაგვცილდა,
ცოცხლობს ჯერ ის ძველი, თამაშობს ის კარტი.

აფერუმ, ჩვენს ყოფას, ჩვენს შეხლა-შემოხლას,
ეს უკვე რამდენი ტრაგიზმის სცენაა,
შევძახო? მიაღწევ უფალთან, ჩემო ხმავ?
„ერის კაცებისა“ რა ფოთოლცვენაა!

არა ჩანს მათ შორის, დიდმეფე დავითის
ვინმე ცხენის კუდის ერთ ძუად ფასობდეს,
მათ ნასროლ ქეიბურს თუ კარგად დავითვლით
არის დღეს, ერთიც კი მიზანში ასობდეს?

ვიდრე აქ, მათ შორის ჩაღგება თემიდა,
სხვა ქვეყნის ქორები ჩვენს მამულს ძიძგნიან,
ბევრს აქ ეს არ ახსოვთ და ეს ვთქვა მე მინდა:
ყველანი თბილ-თბილი სკამისთვის იბრძვიან!

13 იანვარი, 2008 წელი, თბილისი

# მუზას

ო, ღვთის ნებავ, ბევრი ღამე შენზე ლოცვით გატყდა,
შენს ტყვეს დღეს მსურს, წელზე ოქროს ძეწკვი შემოგარტყა,
გაგიყოლო, დავიძინოთ თეთრი ტყემლის ძირში,
რომ სიზმრები ტკბილი, ტკბილი კვლავაც ვნახოთ ძილში.

არადროს არ მიმატოვო ბედის ანაბარა,
ჭირვების ჟამს, რომ ჩამძახო შენი ანა-ბანა,
თორემ ჩემში იბობოქრებს უსულობა მკაცრი
და სიცოცხლის ბარძიმს ტანჯვით, ნელა, ნელა დაცლის.

ჩამოწვება ბნელი ღამე, როგორც მთიდან ზვავი,
შემძულდება ყოფა, ყოფნა შხამით შენაზავი,
ლურჯ ცას ზევსი გადააკრავს შავი ღრუბლის აფრებს,
მთვარე ზღაპრებს რომ მითხრობდა, სულაც ციდან გაქრეს.

აღარც რიჟრაჟს დამანახვებს თვალდაბინდულ მოყმეს,
აღარც მთვარეს, ჩემთვის ზღაპარს ვიღა უნდა მოჰყვეს,
დამეხშობა ყური ვიცი, თვალიც ამეხვევა,
ვერ მოვუსმენ შაშვს, ჩემი მზეც ნისლში გაეხვევა.

და მაისის ღამეებიც ბულბულებით, მთვარით,
სადღაც ქარი მიმოფანტავს, ვეღარ ვნახავ თვალით,
ტანში ვეღარ დამიაროს ჟრჟოლვამ შენი ხილვით,
ვეღარ დავტკბე, ადამივით, აკრძალული ხილით.

სტრიქონს უხვად, ცვარ-ცვარ, წვეთ-წვეთ, აწონილი მისხლით,
შენით თუ არ დავაწურე გულის ძარღვის სისხლი,
რა ვიქნები მე უშენოდ, თუკი მიმატოვებ?
ხე მოჭრილი უნაყოფო, მკვდარი სიმარტოვე.

სწორედ ახლა, მუხლწარკვეთის როცა დგება ჟამი,
მინდა, რომ შენ მომაწოდო ღვინით სავსე ჯამი,
შემათრო და გამამხნევო, როგორც ერთხელ, ძველად,
ბულბულებს და ღამის მთვარეს როცა ვყავდი მძევლად,
მე, ჭაბუკი, როცა შენ და მთვარემ დამატყვევეთ,
როცა შენით მონად ვყავდი ჭრელ მინდორს და ტყე-ველს.

ახლა, როცა მუხლწარკვეთის მიდგას ძნელი წლები,
აყვავებულ ტყემლების ქვეშ ღამით წამოვწვები,
ცას ავხედავ, პირბადრ მთვარეს, ვიცი, იქაც სახლობ,
და გინატრებ სიკვდილამდე ჩემთან იყო ახლოს,
მანუგეშო, შემივრდომო, დამაფარო კალთა,
დრო რომ მოვა, მშვიდად დავდგე, მე, სამარის კართან.

25 იანვარი, 2008 წელი, ერედვი

## „მო, მთვარეო, შემიბრალე...“

მამღერე შოთას ავთანდილივით
სმენად მოვიდეს ტყიდან ნადირი,
ამაფრიალე ცად მანდილივით,
ოღონდ მაჩვენე უფლის ნადიმი.

ვერცხლით დარახტულ რაშზე შემომსვი,
ჩემი სიმღერა ქარს დავაწიო,
აწმყოსა ამას ბინდით შემოსილს
როგორმე თავი მეც დავაღწიო.

ჩემთან იტირონ ტყის ირმებმა და,
ლიახვის პირას თეთრმა ნარცისმა,
მოსთქვან: თუ ასში, მზე პირს, მე, მბანდა,
რატომ გამწირა ბედმა კაცისამ?

მოფრინდნენ ჩემთან ბულბული, შაშვი,
მომიალერსონ და მანუგეშონ,
იქნებ, აპრილში, ატმების ბაღში
პატარა ბუდე მეც ამიშენონ.

ცრემლი სდიოდეთ ვერხვებს და ჭადრებს,
მხრებზე მაფენდნენ ფოთლიან ტოტებს,
მე კი, შენ და სხვა ყვავილებს, ვარდებს,
გულით ვაღვრიდე სხვადასხვა ხოტბებს.

მიმღერე, მთვარევ, ავთანდილივით,
თორემ, სიბერის მსხვერპლი გავხდები,
ამაფრიალე ცად მანდილივით,
ვიდრე დავჭკნები, ვიდრე გავხმები.

30 სექტემბერი, 2009 წელი, თბილისი

## გლობალიზმი

თოვლის კაცივით მოაბოტებს ახალი ერა,
ტელეფონებით, ინტერნეტით, პორნოგრაფიით,
მე კი, ღრმად ქართველს, უკვე მხცოვანს, იქნებ ბრმად მჯერა,
რომ არ იქნება ჩვენთვის ეს ღრმა ორმო მაფიის.

ეს შემოტევა ოკეანის მეცხრე ტალღას ჰგავს,
რომელიც ნელა, მაგრამ მაინც მთებსაც კი ანგრევს,
თუ ქართველობა ჩვენზე უფრო ცამდე მაღლა დგას,
დავუხვდეთ, თორემ დაგვამარცხებს გვიან თუ ადრე.

დავუხვდეთ ჩვენი დიდგორითა და ბასიანით,
ყველამ დავიცვათ ჩვენი წილი ქართული ზეცა,
ჯურხაის ფარი, ხმალ-ხანჯალი პირბასრიანი,
მტერს შევაგებოთ, მამულს ჩვენსას რომ ჭრის და კვეცავს.

მამული ჩვენი უცხოთათვის ტკბილი ხილია,
რამდენი ნატრობს საქართველოს უქართველებოდ,
ბუდეში როცა ორი, სამი ბარტყი გვისხია,
რა დაგვამკვიდრებს, ლაღებო და უდარდელებო?

მოცურავს დიდი, საშიშარი უცხო ხომალდი,
ნარკოტიკებით, გლობალიზმით და კიბორგებით,
ჩემო ჯიშო და ჩემო სისხლო, ჩქარა მომრავლდი,
თორემ შენსავე მიწაწყალზე დაიბორკები.

ჩემო შავო ზღვავ, ენგურო და ჩემო ლიახვო,
რამ შემოცურა თქვენს ტალღებში, რად იბორგებით?
მე გამიკვირდა, რომ ჩავხედე თქვენს ფსკერს მე, ახლო,
თურმე ჩამსხდარან ვამპირები და კიბორგები.

5 მაისი, 2007 წელი, თბილისი

## ცოტას დაიცდი

ცოტას დაიცდი, ნუ დამდევ,
სიკვდილო, ასეთ-ისეთო,
გადავხნა მიწა გულამდე,
ხორბალიც მივთეს-მოვთესო.
ალადასტური ვახარო,
ბუდეშურ-რქაწითელები,
მოვხუცდე, თავი დავხარო
უფლისკენ გაწვდილ ხელებით.
მომასწარ მამულ-დედულის
მზესავით გაბრწყინებასა,
აბჯარში იჯდეს, მხედრულით
ტაიჭით ნება-ნებასა.
მომასწარ, ენგურ-ლიახვში
მურწა-კალმახის ჭერასა
და მერე შენს ბნელ წიაღში
დავფლავ ჩემს ბედისწერასა.
ისე ნუ მომკლავ არ ვნახო
მტერზედა გამარჯვებანი,
მეც დავცხო ჩემი შალახო
დოლით, სტვირით და ებანით.
ჯერ ჩემმა ორბმა იყივლოს
დამიფრთხოს ყვავი, ძერანი,
მერე კი, მოდი, სიკვდილო,
მოიღე ჩემზე ძლევანი.

2 ივნისი, 2008 წელი, თბილისი

## პოეტთა ერა

საქართველოში დიდ პოეტთა ერა დასრულდა ...
თან გაიყოლა მღელვარებით იმ საუკუნემ,
ბევრმა კორიფემ შიშის გამო, ვერ სთქვა რაც სურდა,
და რაც კი ითქვა, განვლილ ას წელს ვერ დაუწუნებ.

გადაუარა ჩვენს სამშობლოს ახალ ეპოქამ,
სიკეთისა და სისაძაგლის მღვრიე ტალღებით,
ღვთის ნება ჩვენი - პოეზიაც ისე შეთოკა,
მერცხლები ვიყათ, ახლა ვფრინავთ როგორც ღალღები.

აგერ, ახლახან, ცად ამაღლდნენ მურმანი, ანა,
ირაკლი, შოთა გალაკტიონს ფერხთით დაუსხდნენ,
თან გაიყოლეს ბობოქარი ასი წლის ხანა,
პოეზიას რომ თითქმის ჯვარცმით სხვა გზა გაუხსნეს.

„მათ შემდეგ ისე აღარა ქუხს დაფი, ნაღარა,
არც ერთ პოეტის“ — ჩაიღიმებს ალბათ მუხრანი,
ამ კაცის მერე წავიკითხოთ ვისი რაღა რა?
არც ხვალ და არც ზეგ, ვიდრე დგანან დრონი მუხთალნი.

5 მაისი, 2007 წელი, თბილისი

## დარჩენილი დრო

მე დავიღალე ათასგვარი უმსგავსოობით,
ოცი წელია არ დამშვიდდა ქართული სული,
ეს ხომ არ არის სიმპტომები უსასოობის,
უდარდელობა სამშობლოზე თავსგადასული?

მე დავიღალე მიტინგებით, საქმის რჩევებით,
თოქ-შოუებით, დებატებით, დაძაბულობით,
დიდი ეჭვი მაქვს, ქართველური ასეთ ჩვევებით
კი არ ვიმძლავრებთ, დავიმცრობით, დავძაბუნდებით.

საით წავიდე? აყალ-მაყალს სად გავერიდო?
მინდა დავტოვო ქალაქური ყოფა უწესო,
სადმეს ტყეში მსურს კუნძზე დავჯდე და გავირინდო
და ჩემს გაფანტულ უპატრონო ბატკნებს ვუმწყემსო.

ერთი დღით მაინც წამოვგორდე, შევხვდე ალიონს
ერედვის ტყეში და ვუსმინო შაშვის გალობას,
გულაღმა ვეგდო ბალახზე და ასე გავლიო,
დარჩენილი დრო, მე უფალმა, რაც მიწყალობა.

1 აპრილი, 2009 წელი, თბილისი

## ჩასატეხ ხიდზე

ამ საუკუნის დასაწყისში, ამ ეპოქაშიც
უზენაესმა მოგივლინა მკაცრი გამოცდა,
რადგან, ამ ლაფში, შენმა ეტლმა ღრმად შეტოპა შიგ,
რადგან ვერ შესძელ ამ ხიფათის გზიდან ჩამოცლა.

შენს შვილთა გამო, როგორც ძველად შენი ლურჯი ცა,
ისევ ამტუტდა, შავი ღრუბლით ისევ აიმღვრა,
დიდებას ეძებს ენაბრგვილი და ყრუ-მუნჯიცა
და ამიტომაც შენი ციხე მტრისგან დაირღვა.

ყველას უყვარხარ, როგორც დედა, ვიცი მე კარგად,
მაგრამ თხებივით ჭიდაობენ ჩასატეხ ხიდზე,
შენს ძეთა სიბრძნე წინაპართა სად დაიკარგა?
გასცდე განსაცდელს, სამშვიდობოს რომ გადახვიდე?

არენაზე ჩანს მსხვილრქოსანი ბაყბაყდევები,
ანცი ბიჭივით საით გინდა, რომ გაიჭყიტო?
მეტი სიფრთხილით გეპყრას ეტლის სადავეები,
ვინძლო, მათ შორის ყვავილივით არ გაიჭყლიტო.

5 აპრილი, 2009 წელი, თბილისი

## ჩემს კუთვნილ წლებში

ბევრს მოვსწრებივარ ჩემს კუთვნილ წლებთა
წაღმა-უკუღმა ტრიალს და დენას,
ავი თუ კარგი ჩემში რაც წვეთდა,
ბედმა ძაღლივით თან დამადევნა.

ბევრჯერ ვყოფილვარ ძირს დაცემული,
როგორც უღელში ხარი ნიკორა,
მოძმის მიმნდობი და გაცემული
ღალატით, თითქოს არა ვიყო რა.

მაგრამ ღვთის ნებით წამოვმართულვარ
მეხით გაპობილ მუხის ხესავით,
ჩემი ხანჯალიც ამოწვართულა
მუხრანს ყივჩაღის გადამსხეპავი.

ხმაც ჩამწყვეტია, ვერ ამომითქვამს
ლექსად მე ჩემი გულის ნაღველი,
და თვალზე ჩუმი ცრემლით მომითქვამს
სული, ბედისგან აშლილ-ნამღვრევი.

უსამართლობაც ბევრი მინახავს
ცოდვილ მიწაზე, ენა ვერ აღწერს,
ღვთის სამსჯავრო კი დღემდე ვინ ნახა?
თუ არის ნეტა როდის მოაღწევს?

ბნელი ღამენი ბევრი ვათიე
როგორც მლოცველმა ღვთისადმი აღთქმა,
ბედით რა ტვირთიც მხრებით ვათრიე,
შემიცოდებენ არ მინდა გავთქვა.

იქ ვიყავ, მახსოვს, სისხლი ქვაფენილს
ძმებში მომხდარი დღესაც ატყვია,
მამულს ჩემსას კი ზღვასთან განფენილს
მუხანათი მტრის ალყა არტყია.

ჩემს კუთვნილ წლებში ბევრი გადამხდა
ალიაქოთი, გაწა-მაწია,
ბედს არ ვემდური, თუ რამ არ ახდა
ვერხვის ტოტზე ხომ გადამარწია?

მაგრამ ეს წლებიც თურმე ყოფილა
ტკბილი სიზმარი, ოღონდ ამაო,
ტყვიის საფანტი, ცეცხლი თოფიდან,
და დახვრეტილი სულის მარაო.

12 აპრილი, 2009 წელი, თბილისი

## ცხრა აპრილი

ახლოვდება სისხლიანი, შავი ცხრა აპრილი,
ალესილი მტრის მახვილი გულში ღრმად გაყრილი.

რუსის ჯარი, ტანკები და შემხუთავი გაზი,
ხალხით სავსე პროსპექტი და შემოკრული ზარი.

მაგონდება დახოცილი ჩვენი გოგონები,
და ვმძიმდები კიდევ ერთხელ იმ დღის მოგონებით.

მახსენდება ყვავილების სისხლისფერი გროვა,
კუბო მზემდე აწეული, ცრემლები და გლოვა.

ბობოქრობდა წამლეკავი მწუხარების ტალღა,
ჩუმი ცრემლი, ჩუმი რისხვა ცას სწვდებოდა მაღლა.

30 მარტი, 2009 წელი, თბილისი

## კუკიაზე

თბილისის თავზე ქუხდა,
ზეცა ტიროდა წვიმით,
ოჰ, გული როგორ წუხდა
შემთვრალი ტაბლის ღვინით.

ცათა ეს ხმები ისევ
სულს ძველი ჟინით ავსებს,
და მოგონებებს მისევს
ჭიანჭველების მსგავსებს.

დღეს კი, თვალზე ცრემლს მადენს
ათას მიზეზთა გამო,
და რაც ამ ტკივილს ბადებს,
დავძლიო, აქაც ვლამობ.

მკვდრის მზე სერებზე მოჩანს,
ცა შეუღებავს ინით,
მოლზე გვიდგია ხონჩა,
ხორაგით, ტაბლის ღვინით...

ივლისი, 2008 წელი, თბილისი

## სამების ჩუქურთმა

შორეულ ბაბილონს შვენოდა ბაღები,
ლამაზი ლეგენდა სემირამიდასი,
პალმები, ფინიკი, ჭადრები მაღლები,
სამოთხის უცხო ხე ბევრი რამ იდგა შიგ.

ვარდები იყო იქ, აქ კი ეს ვაზია,
აქეთ რქაწითელი, იქით ბუდეშური,
მტევნებში ცხრა მთვარე. ცხრათვალა ცხრა მზეა,
შიგ სიტკბო ველური რაღაც შესაშური.

აქ კი ეს ვაზია, ჩუქურთმა სამების,
ცხრა ძარღვით, ცხრა ფესვით მიწაში გამჯდარი,
დღეს ჩვენი, გუშინ კი პაპების, მამების
ლხინი და ქორწილი, ფარი და აბჯარი.

22 თებერვალი, 2009 წელი, თბილისი

## ერთ კარგ წამს ველოდი

სად არ ვეძებდი სიმყუდროვეს, სულის სიმშვიდეს,
მაგრამ ღმერთმა ის, არ იქნა და აღარ მაღირსა,
დავწყნარდებოდი გულს ახლა რომ გადამიშლიდეს,
თოვლივით თეთრი ეგ ზამბახი შენი ბაღისა.

ვერც ედემის ბაღს, ვერც სამოთხეს ვერ მივაგენი,
სადაც, იქ, ჩემთვის იადონი იგალობებდა,
მანამდე, ვიდრე, ლეთას ნაპირს მეც მივადგები,
მეგონა ხვედრი, ერთ კარგ წამს მეც მიწყალობებდა.

უფრო გამძაფრდა სურვილები შენსკენ ლტოლვისა,
რაც ასე ბედმა დაუნდობლად შენგან განმდევნა ...
უხვად ვიგემე სულის ვნება სიმარტოვისა,
ბედმა ჩრდილივით აკვნიდან რომ თან ამადევნა.

იანვარი, 2009 წელი, თბილისი

## ახალი სიცოცხლით

მოდის გაზაფხული ფრინველთა გალობით,
მდელოთა ბიბინით, ვარდებით, იებით,
მე, კვლავ ავმღერდები ღვთის ნების წყალობით,
ჟუჟუნა წვიმებით, მთვარით და მთიებით.

ატმის ყვავილებს და გვირილებს, ზამბახებს
მწყურვალი მგზავრივით ბაგეებს შევახებ,
მზეწვია ტკბილი ხმით რაღაცას ჩამძახებს,
და როგორც ლელს სიო, მე სულით შემარხევს.

შევხვრიპავ წვეთს და ნამს მაისის წვიმების,
იქნებ, მეც ახალი სიცოცხლით ავივსო,
იქნებ, შენც გამოჩნდე შუქურავ იმედის
და ზამთარს გავცდე და სიმშვიდე მაღირსო.

31 დეკემბერი, 2008 წელი, თბილისი

## სხვა დროა გარეთ

სხვა დროა გარეთ, სხვა საუკუნე,
კომპიუტერი, ინტერნეტია,
ვიღას ახსოვხარ, ვიღა უყურებს
ვინ ტიციანი, ვინ ტერენტია.

შემინდე, მუზავ, თუ ფუჭად დავშვრით,
თუკი ამაოდ ვეწამეთ ერთად,
ხალხთან ჩვენ რომ გვყოფს - ღობეს, ვერ დავშლით,
ცალი თვალითაც მოჩანს ეს მკვეთრად.

ჯერ არ სჭირდები შენ ამ დროებას
და კიდევ დიდხანს არ დასჭირდები,
თუ ვინმე დაწერს ვეფხის პოემას
გაგიხსენებენ - ამას გპირდები.

შემინდე, მუზავ, გიხმობდი, მსურდა
ჩემთან გაგეყო ლხენა, ხან ჯავრი,
გარდასახვანი მე შენი მშურდა,
ხან ცრემლი რომ ხარ, ხანაც ხანჯალი.
ცის ანგელოზო, მე შენ მიყვარდი,
არ მიძებნიხარ, ღმერთო, დაფნისთვის,
შენს კვალს მე მთვარის შუქთან მივყავდი
როგორც ქლოასთან ვაჟი დაფნისი.

მე მჭირდებოდი, მაშ ვისთვის მეთქვა,
ვისთვის გამენდო ჩემი ტკივილი,
სულის ეს ფერფლვა, გულის ეს ფეთქვა,
ჩემი სამყაროს შენით ღვივილი.

გზის დასასრულს კი, ჩემო ფერიავ,
ჩემს სასთუმალთან მინდა ჩამოჯდე,
რომ სიკვდილის წინ რაც ცის ფერია,
შენ მათთან ერთად კიდევ გამოჩნდე.

20 იანვარი, 2008 წელი, თბილისი

## ქეთევან დედოფალს!

*...მიიღო ძლევაი ხორცთა ზედა...*

დედაო ჩვენო, როგორ ევნე, როგორ ეწამე,
რა განსაცდელი მოგივლინა ბედმა, რა კრული,
შირაზის ბაღში სერაფიმი იჯდა ლერწამზე,
არ გათეთრდეო, შენ გეძახდა თავგადაკლული,
ქრისტეს რჯულისთვის, ხორცთა ძლევით ტანჯვით ეწადე,
რომ გარდმოგეხსნა საქართველო ჯვარზე გაკრული.

რად არ შეჰკივლე სუსტმა ქალმა უფალს ხსნისათვის,
როცა მკერდიდან აგაგლიჯეს ძუძუ მარწუხით,
თვით იესოც კი მთაზე შესდგა, ეთქვა ცისათვის,
რომ განეშორა მამას მისგან შხამი ნამწუთხი.

ჩამოგაგლიჯეს გულზე ჯვარცმა, მიწა ქართული,
შემოგაფხრიწეს ნაზ სხეულზე თეთრი სუდარა,
მარტვილობის წინ ისე იყავ ლოცვით გართული,
არ წაგცდენია ბაგეთაგან ხვეწნა, მუდარა.

ვარვარა შანთი დააძგერეს შენს ნაძუძურებს:
„უარჰყავ ერი, ქრისტეს რჯული, ქალო, უარჰყავ!
ვილასთვის კვდები? საქართველოც დაგიუძლურეს,
აღარც ქმარშვილი, უფლისწულნიც, ქალო, თუ არ გყავს?!"

მაგრამ, შენს უკან საქართველო იდგა ჯვარცმული,
ფენიქსივით რომ აღმდგარიყო შენი ფერფლიდან,
მარად ჰქონოდა ქრისტეს მადლი ნინოს წარსცხმული,
და სათნოება, დედოფალო, ღვთით რომ გეფინა.

შენი სამშობლო ჯერ ასე არ გამწარებულა!
ასე ჯერ თურქ-სპარსს მამული არ გადაუკოტრავს!
დედა, შენსავით ცეცხლზე ასე არ წამებულა!
და არც პრომეთე არწივს ასე არ დაუკორტნავს!

სისხლით უძღები შაჰის ზრახვებს შეეჭიდე და,
ერთი ცრემლიც კი არ გადმოსკდა შენს თვალს, წამწამებს,
იცოდა მანაც, შენც იცოდი ვის რა სჭირდება,
და ამიტომაც, დედოფალო, უღვთოდ გაწამეს!

არ შეაშრება შენი სისხლი შირაზის მიწას!
არც შაჰ-აბასის ბოროტების მიშვებულ აღვირს,
შენს ნატიფ სხეულს, შენს ძუძუებს ქვაფენილს მიმწვარს,
საამაყო ცრემლს ერი შენი სამას წელს აღვრის!

არც ლეგენდა ხარ, არც ზღაპარი, ან რაღაც მითი,
ისტორია ხარ წამებული! შვილთათვის დედა,
საკუთარ ნებით ერის ხსნისთვის ცეცხლზე რომ მიდის,
და არასოდეს ჟამთასვლაში აღარა კვდება!

2 თებერვალი, 2008 წელი, თბილისი

# მთვარე და ზამთრის ღამე

ქართლის ველები თოვლით
გადიპენტება თეთრად,
ქარი იქროლებს ქროლვით,
ჩემს ყოფას შეცვლის მკვეთრად.
დაღლილი ვაზის მოვლით
დღე-ღამეს გავლევ ერთფრად,
მოვიწყენ ამა ყოვლით,
მომტყდება ვიცი მე ფრთა,
დამშაშხავს ფიქრი ბოლვით,
ბუხრის კვამლი კი ცეცხლთან,
ბევრ ღამეს გავლევ ძრწოლით,
ბევრს ბოლთის ცემით თეთრად.

ამოვა სავსე მთვარე,
ცივ შუქს დააფენს მინდორს,
რაც ვარსკვლავები ვთვალე,
რასაც ვილოცებ იმ დროს,
უფალო, მიითვალე,
და მე, შენს მცნებათ მიმნდობს
მოგაპყრობ ცრემლით თვალებს,
შენსას დემონსაც ვინდობ,
ცეცხლის მაყრიდეს ნავლებს,
ამარიდე რაც მკვიდრობს
ჩემს ირგვლივ ქაჯებს, ალებს,
დავიდგამ შენს ჯვარს დიდრონს
და სულით დამაწყნარებს.

პოლარულ ვარსკვლავს ვხედავ,
ვარსკვლავედს დიდი დათვის,
მარსს - ლითამიან მხედარს,
ცისკარს, მაცნეს დღის ნათლის,
მე ფოთოლს ვგავარ, ხიდან,
ქარში რომ წყდება და თრთის,
ვგავარ ნატყვიარ ქედანს,
წვეთებს ჩამომდნარ სანთლის,

მეუფე ციდან მხედავს,
მკვდრად მგონი ჯერ არ ჩამთვლის,
მახარებს როგორც კედარს,
ახლად შუბივით გამთლის,
ცად მტყორცნის როგორც კენტავრს,
როგორც ვარსკვლავედს დათვის.

და მე, წუხილით სავსე
გავაღებ სახლის კარებს,
ბნელ ოთახს შუქით ავსებს
ცივი და მკრთალი მთვარე,
ჭირის ოფლს მუჭით მასმევს,
გარს მახვევს ჭინკებს მთვრალებს,
შევალ, მეც ამათ სასმელს
ჩემს გულს ცვრად გადავავლებ,
დაბმული დავწყვეტ თასმებს,
გავყვები სადღაც ქარებს,
იქნებ მომეხვეს გარს მე
სხვა თბილი ნაზი მთვარე,
ვნახო ბოლომდე ის, რაც მე,
სიზმრად ვერ დავამთავრე.

ქართლის ველები თოვლით
გადიპენტება თეთრად,
ქარი იქროლებს ქროლვით,
განწყობას შეცვლის მკვეთრად.

18 ნოემბერი, 2008 წელი, თბილისი

## იკაროს

შენ უკვე დაღლილხარ, შორს ფრენას ვეღარ სძლებ,
ფრთები დაგცვეთია, შენ, ჩემო იკაროს,
უფლისგან შენს სულში დარგულ ხეს ვერ აძლევ
საზრდოს, რომ არ გახმეს და მარად იხაროს.

სიბერე მოდის და შენკი დღეს ძლივს მიხვდი:
შენი დრო, ჩუმად რომ გასულა კარიდან,
ამ უმეცრებისთვის რა მონურ ხარკს იხდი,
იცი და ყოველი გსურს შექმნა თავიდან.

შენ მაინც ჯიუტობ, არ გინდა გჯეროდეს,
აღარ ხარ ქაჯეთის ციხეთა ამღები,
გული სხვა ყოფილა, ის უნდა მღეროდეს,
და იყოს ტრფობისთვის კლიტეთა გამღები.

რამდენი ნატვრა და რამდენი სურვილი
არ ახდა გულმა რაც სათუთად ატარა,
ჟინი არ გტოვებდა, შენც გკლავდა წყურვილი,
შენც გსურდა მაღლობზე ტაძრის ქვის ატანა.

საცაა შენ უნდა გასაყარს მიადგე,
ჩერდები, გასცქერი უკან გზას შემცბარი,
იხსენებ გასულ წლებს, შორეულს, გვიანდელს,
და გინდა შეიცნო სადა ხარ შემცდარი.

ღმერთს სთხოვე გადროვოს, თუკი გსურს კალამი
ყვავილის ნექტარში უფრო ღრმად ჩააწო,
მოუსმენ მგალობლებს, იცოცხლებ კვლავ ამით,
და იქნებ შეგინდონ მყოფადმა და აწმყომ.

დაღლა არ ახსენო! ამ ხანგრძლივ მარათონს
გაცვეთილ ფრთებითაც დაფარავ, იკაროს,
შენს სულში უფლის ხეს ვიდრე არ დაათოვს,
სისხლითაც რომ მორწყო - მან უნდა იხაროს!

4 მაისი, 2008 წელი, თბილისი

## ყორნისფერი სივრცე

მე ვხედავ ჩემს წინ ყორნისფერ სივრცეს,
ყველა მოკვდავთა მუდმივ სამკვიდროს,
გზა ჩემი, სადაც სამსჯავროდ მიმცემს
უფალს, რომ მძიმე ჯვარი ამკიდოს.

მე მივადექი სამანს აღმართულს
გზა უსასრულო სადაც იწყება,
აღარ ჩანს მთვარე, ჩემთვის გალღვა თუ
წინ სხვა სიცოცხლე მზით დაიწყება?

მე, ვაზის ცრემლი, მაისის წვიმა,
იის და ვარდის ნამი შემისვამს,
ამ სამანთანაც და როგორც წინათ
სამოთხის ჩიტსაც მხარზე შევისვამ.

სად ჩავიმუხლო ამ ბნელ ქაოსში
ღვთის ერთგულების ფიცი რომ ვცხადვყო,
და ჩემი ლექსიც სააქაოში
ტოროლას, შაშვის, ბულბულის ხმადვყო?

რომ მოვბრუნდე და ტანჯვით გავლილ გზას
ბოხი ხმით ერთი მძლავრად გავძახო:
„ჰეი, თუმცა შენ აშლილს ჰგავდი ზღვას
ისე დაგფარე ვერვინ დამძრახოს!"

რომ მე, თამამად, გზა მთვარის შუქის
გადავიარო როგორც სავარდე,
მკვდრის მზის წითელი ფერები მუქი,
ამ გზას და ჩემს სულს ნათლით ფარავდეს.

რომ მე, ამ გზაზე კვლავ ავიყარო
ყლორტები როგორც ნამეხმა ოლემ,
ცის ნამით, ვაზის ცრემლით ვიხარო,
ჩრდილად მივადგე ველებს და მოლებს.

რომ ჩემთვის მიწა მსუბუქი იყოს
როგორც ტბის გედის თეთრი ბუმბული,
გულზე ნადები ქვა არ გაიპოს,
ხსოვნას ვერ რყვნიდეს ვინმე სულდგმული.

გზამ მიმიყვანოს ღვთისმშობლის ხატთან
თეთრი სამოსის საამბორებლად,
რომ სული ჩემი მეუფის ტახტთან,
შვებით ეფინოს განუშორებლად.

11 თებერვალი, 2007 წელი, თბილისი

## „შვილო, ზურაბ, სადამდის?“

დრო მოჭიხვინდა ცხენივით
როგორც ულაყი, ურა,
ძველს თიბავს სპარსულ ცელივით,
რით ხვდებით, შვილო, ზურაბ?

თქვენ აღარ გინდათ არც ლექსი,
არც წამკითხველი, გურამ,
ახლა ქეიფი და სექსი,
,,სადამდის შვილო, ზურაბ?’’

დაჭენაობენ ჯიპები,
მოგვპარეს გვქონდა თუ რამ,
ღიპზე ასკდებათ ჭიპები
,,სადამდის, შვილო ზურაბ?’’

ვინ ბუდეშურს და საფერავს,
ვინ კი ჭანჭყატას წურავს,
კასრებს შამანით გაბერავს,
,,სადამდის, შვილო ზურაბ?’’

ბევრს აღარ გახსოვთ წარსული
ძაღლი, რომ უყეფს მურა,
უცხო ქონი გაქვთ წასმული,
,,სადამდის, შვილო ზურაბ?’’

ვერ იქნა, ჩვენი ერთობა
ველარ გამოსწვა ქურამ,
სკამი არავის ეთმობა,
,,სადამდის, შვილო ზურაბ?’’

ქექავენ მეფე დავითის
დიდგორს, იყო ის თუ რა,
ვიღაც ასს ათად დაითვლის
,,სადამდის, შვილო ზურაბ?’’

ვაი, რომ ჩვენშიც რამდენი
მოზვერი იქცა ფურად,
უწესო საქმის ჩამდენი,
,,სადამდის, შვილო, ზურაბ?’’

ვინ არის ნარკობარონი,
ვინ დუდუკი და ზურნა,
იციან, ის უგვარონი!
,,შენ კი სადამდის, ზურაბ?''

,,კოკასა შიგან'' - როგორ ვთქვა?
ბადაგიც ხომ გვაქვს, ზურაბ?
რაც წინაპარმა მოგვართვა
ადინოს, შვილო, სურამ!

13 თებერვალი, 2007 წელი, თბილისი

## მაისის მთვარიანი ღამე

იგალობე, ბულბულო, რომ დამიწყნარდეს გული,
და სიმშვიდე დამიბრუნდეს დიდ ხნით დაკარგული,
ჩამომიჯდეს გვერდით, ნეტავ, შაშვი მომჩივანი,
რომ გამანდოთ თქვენი სევდა, დარდი უჩინარი.
ალუბლებში იფანტება მთვარის შუქი მკრთალი,
და მე, როგორც მოჩვენება, როგორც ღვინით მთვრალი
კარებს ვაღებ, ამ ზღაპარში ფეხაკრეფით შევალ,
და ღამეს ვთხოვ, დამიფაროს, მომცეს რამე შველა;
გავყუჩდები, ამიტყდება მთელს სხეულში თრთოლვა,
შემამცივნებს უცაბედად, როგორც ზამთრის თოვა,
ამტკივდება ჭრილობებით გაწეწილი სული,
და შიგ მთვარე მისახლდება ზენიტს გადასული;
აყვავებულ ალუბლის ხეს მოვეფერო მინდა,
ღამის ბულბულს, თუ არ შეკრთა, თუ არ გამიფრინდა;
მინდა ტანზე მოვიხვიო მთვარის ღამის ფარდა,
რომ ყოველი დამავიწყოს პოეზიის გარდა,
რომ ღრმა ძილშიც სიზმრად ჩამყვეს ამავ ღამის ხმები,
და მეც ხვალ ზეგ ბალახივით აღარ გადავხმები;
ეს ღამე კი, ლაჟვარდოვან ზეცით გამითენდეს,
სული, დაჭრილ-გაწეწილი იქნებ გამიმთელდეს,
იქნებ, ვპოვო სიმყუდროვე იქ, ალუბლებს შორის,
და ჩემი გზაც დავასრულო გამოვლილი შორი,
კარს გავაღებ, აქ, ზღაპარში ფეხაკრეფით შევალ,
და ღამეს ვთხოვ, დამიფაროს, მომცეს რამე შველა.

23 მაისი, 2007 წელი, ერედვი

## შენს ტანზე თეთრი ფერი მიყვარდა

მეც მალე, ხვალ, ზეგ, როგორც ბერმუხას
ზევსის ღრუბელი ელვით გამაპობს,
არ მინდა ვინმე გხედავდეს მწუხარს,
შენ, ჩემი ძვლების, ხორცის განაყოფს.

ნუ, ნუ ჩაიცმევ ჩემზე შავ ძაძებს,
მინდვრის ტოროლაც ვიცი მჯობია,
მოლაღურს, როცა ეძახის და-ძმებს,
არაერთხელ, რომ მხარზე მჯდომია.

შენ, ნუ მოიხვევ თავზე შავ მანდილს,
ჩემზე წუხილი, გლოვა ღირს კია?
თუ ის, ვინც ხვდება მტრის ტყვიას ნამდვილს,
იქნებ, ის უფრო ცრემლის ღირსია.

მე, რით ვჯობივარ ობლად მტირალ ვაზს,
ან მეხით დამწვარ ბებერ ალვის ხეს?
ჩემთვის ჩამოჰკრას ქარმა მძინარ ზარს,
შენ არა, ღმერთი, რომ არ განრისხდეს.

შენ, ნუ ჩაიცმევ ჩემზე შავ კაბას,
ველი მიყვარდა თეთრი გვირილის,
მთვარე მიფენდა ზედ შუქთა ნაბადს,
სხვა ნეტარებით მსურდა ტირილი.

შენ, ნუ ჩაიცმევ ჩემზე შავ კაბას,
შენს ტანზე თეთრი ფერი მიყვარდა,
გეტრფოდი თეთრ ვარდს, იმ ცრემლით ნაბანს,
სული ჩემი რომ ცაში მიჰყავდა.

ნუ ატირდები, თითქოს ვყოფილვარ
შენთვის მე, მთვარის ღამის სიზმარი,
და ქვეყნად თითქოს არა ყოფილან,
არცა მეჯნური და არც ვისრამი.

შენს ნაცვლად ისევ ზევსის ღრუბელს ვთხოვ,
შხაპუნა წვიმით მანვე მიტიროს,
და მცირე მიწა, ჩემთვის თუ ღმერთს სთხოვ,
იმდენს, ყრმის პეშვმაც რომ დაიტიოს.

მომაყრი გულზე და მსურს ვით შოლტი,
ჩემს ბაღზე ელვამ გადაიწივლოს,
რომ მკლავი შენი, როგორც ბლის ტოტი
ღობიდან არვინ გადაიწიოს!

ნუ, ნუ ჩაიცმევ ჩემზე შავ კაბას,
თეთრი გვირილის ველი მიყვარდა,
ცრემლით გეტრფოდით შენ და მზეკაბანს,
სულის მწედ ქვეყნად, სხვა მე ვინ მყავდა?

22 ნოემბერი, 2007 წელი, თბილისი

## ყურძნობისას

ოჰ, როგორ ჩუმად იპარება ეს წელიწადიც,
ოქტომბრის რთვლობა, მაჭრობა და ვაზის ყურძნობა,
დღესაც ვერ გიმხელ გადამალულ ჩემს გულის წადილს,
და მავერანებს ტკივილების ჩუმი, ყრუ გრძნობა,
როგორ მჯეროდა ბედ-იღბლისა, ოჰ, როგორ მწამდი,
შენ კი ჩემდამი უგულო და იყავ უგრძნობლად.

რაღაც ორ თვეში აცივდება, მოვა ზამთარიც,
თოვლი დაფარავს ხოდაბუნებს, მინდვრებს, ახოებს,
სულიერება, ჩემი მაშინ, შენით გამთბარი,
მოგონებებით იმ ტკბილ დღეებს დამაახლოებს,
დროკი, დარჩენილ წლებს გამოხრავს როგორც აფთარი,
ლანდებად რომ ჩანს, რომლებთანაც ვდგავარ ახლო მე.

რა გაათენებს ბნელ და ხანგრძლივ, ცივ, შავ ღამეებს,
მით უფრო როცა ნაწყევლივით მკლავს უძილობა,
არ მეყოლება შაჰრაზადი, მოჰყვეს რამეებს,
ლამაზ ზღაპრებით განმიქარვოს სულის ჭრილობა.

ბეღურასავით მოვიწყენ და ღამის თენებას,
მგალობელ ჩიტის მოთმინებით დაველოდები,
შენ სხვას მიართვი პეშვით, სავსე შენი მშვენება,
მე კი, ზამთრის წინ, ყურძნობისას ასე ვლონდები.

15 ოქტომბერი, 2008 წელი, ერედვი

## მხოლოდ აქ

შენგან არსად მაქვს გადასაფრენი,
აქ გავჩენილვარ რაღაც ძველ ტახტზე,
შენ რომ შეგექმნას რამე საფრთხენი
სადღა ვილოცო, აბა, რა ხატზე?

სად მექნება მე, ჯვრის მონასტერი,
მცხეთა, თბილისი სხვაგან მექნება?
არც მინდა უცხო ცის მონაჭერი
საქართველოს ცა თუ არ ერქმევა!

აქ, მოფრენილა ჩემი ფასკუნჯი,
აქ, მე მიჯაჭვულს შევხვდი ამირანს,
აქ, წინაპართა ძვლებზე დავფუძნდი,
როგორც ეს დიდი მთები არიან.

შენგან არსად მაქვს გადასაფრენი,
ლაგამს აქ ღეჭავს ჩემი ქურანი,
მე მხოლოდ აქ მყავს ცად ასაფრენი,
ჩემი სამშობლოს არწივ-ქორანი.

16 აპრილი, 2007 წელი, თბილისი

## მაისის მთვარის ღამეებში

მოვიდა მაისი, მე ვხვდები ღამეებს,
ძველ მთვარეს, ღველფივით წითლად რომ ამოდის,
თითქოსდა მოღვენთავს ზეციდან და მე ეს,
მატყვევებს, სული კი მკერდიდან ამომდის.

მოაჯირს ვეყრდნობი და როგორც მწყურვალი
მინდა შევისრუტო მთვარის ეს ნათება,
აღაგზნოს ვნებანი ისედაც მხურვალი,
გრძნობები, სიყრმიდან გულით რომ მანთებდა.

მთვარის ეს მშვენება, სულის ეს ბადაგი,
მშვიდი და წყნარ ღამის იდუმალებანი,
შუბლზე მე, ცივ ოფლის ნიაღვრად გადამდის,
და კიდევ მთების და ცის მდუმარებანი.

შევყურებ მთვარეს და მის ჩრდილად მსურს ვყავდე
მკრთალ ღამეს, ბულბულის ცრემლებით ნატირალს,
როგორ არ მინდოდეს, როგორ არ მიყვარდეს
წუთით რომ მავიწყებს სვე-ბედის ამ ტრიალს.

თავს ველარ ვერევი, ნაბიჯსაც ველარ ვდგამ,
თითქოს ვარ მიბმული გალერის ნიჩაბზე,
და უცებ მომინდა, გული მე, ფეხათმდგარს,
როგორც ეს მთვარეა, მეც ასე მიჩანდეს.

მომინდა, სული რომ მთვარისკენ გაფრინდეს,
სიმშვიდით ამყოფოს ზეცის ამ ღვთაებამ,
ამ მთვარის ღამემდე ეწამა აქ იმდენს,
აღარ სურს ნიჩაბთან ჯაჭვებით დაებას.

რატომღაც მგონია, მთვარეზე დასახლდნენ
ნაწამებ პოეტთა ტანჯული სულები,
უდგათ იქ მაღალი მუზების სასახლე,
როგორც ეს მთვარეა, წითელი სრულებით.

ჯადოსნურ ამ ღამეს, თვალთა ამ საწიერს,
ვარსკვლავებს, ბულბულებს, აქედან მთვარემდე,
ვუმადლი, დღესაც რომ ფარდა ღრმად ასწიეს
ჩემთვის და ათასი ფიქრით რომ გავენდე.

თვალს ველარ ვაშორებ მთვარეს მე, თითქოს ზედ
ვხედავდე ღვთისმშობელს ძოწისფერ სამოსში,
და თითქოს უტკბოეს ზღაპარში მივქროდე,
ვხარობდი წყნარ ღამით, მნათობის ამოსვლით.

გადასცდა საათი ღამის ორს, ღამის სამს,
საცაა დღე ცისკრით თავს დამათენდება,
ამ მთვარეს, ამ ღამეს უბეში ჩავისვამ,
და გულში ჩაუქრობ ალივით მენთება.

ვშორდები აივანს, რა მტანჯავს ვერ ვხვდები,
მეგონა ვიდექი სამყაროს ნაპირას,
და მაინც მთვარეს კვლავ ისევ იქ შევხვდები,
გავათევ ღამეებს ბულბულის ნატირალს.

18 მარტი, 2008 წელი, თბილისი

## ...და ჩუმად ვშფოთავ

ვიცოდე ნეტა, ჩემი ხნის ალვას
რაებს ჩასძახი, ბებერო ყვავო,
როგორ მაღონებს, ოჰ, როგორ წამლავს
ეგ ხმა ჩემს გულს და მთელ ჩემს სამყაროს.

ასე მგონია, მე მაგონებ მაგ
ხრინწიანი ხმით გზების დასასრულს,
მეყო რაც მკვებეს ამ მთაგორებმა,
დროა მზეს გავყვე ციდან გადასულს.

დავიხრები და შორს რომ გაგდევნო
ერთ დიდ ქვას, ყვავო, შენთვის ავიღებ,
შენ კი, ტკივილო, ცრემლის დამდენო,
ჩემგან ვერავინ შორს ვერ წაგიღებს.

გარეთ თოვაა, ზამთრის ძანძახი
ალვის ხევ, ალბათ ძვლებამდე გატანს,
გამხმარ წვეროდან ყვავი ჩაგძახის
და ბედთან ბრძოლა დიდხანს არ გასტანს.

გადაიმსხვრევი ქარში, ალვის ხევ,
მიწაზე კვნესით დაენარცხები,
ახლოა დრო და თვალს არ ავიხვევ,
მეც გადავტყდები, მაგრამ არ ვცხრები.

10 მარტი, 2008 წელი, თბილისი

# ღამე

ძაღლების ყეფა აყრუებს
ცივ და ქარიან ღამეს,
ვიღვიძებ, საათს დავყურებ,
ვითვლი წუთებს და წამებს.
ის ძველი სევდა თან დამდევს,
როგორც მსტოვარი ღამის,
სადამდე, ნეტავ სადამდე,
ჭკუიდან შევცდე ლამის.

საბან-ლეიბში ვეხვევი,
ფიქრი, ფიქრი და ფიქრი,
ქარში წივიან ვერხვები,
სულიც კი ქართან მიჰქრის.

როგორც ლამაზის საყურე
მთვარე ჰკიდია ცაში,
ღია სარკმლიდან გავყურებ
ტკბილი ძილ-სიზმრის ცდაში.

ქარი შორს მიერეკება
შავი ღრუბლების ფარას,
ვარსკვლავებს ბინდი ეკვრება
სატრფოს საყურეს ფარავს.
შავ ფარდაგივით ჩამოწვა
თვალშეუდგამი ბინდი,
ზღაპრის დევივით წამოწვა,
არა და აღარ მიდის.

ძაღლების ყეფა აყრუებს
ბნელში ჩაძირულ სოფელს,
ავად ვარ, სიცხით მახურებს,
მადენს ციების ოფლებს.

კიდევ უფრო ღრმად ვეხვევი
საბანში ტკბილი ფიქრით,
თითქოს საყურეს ვეხები
და სული ცაში მიჰქრის.

ხვალის დღე ვიცი აღმადგენს
როგორც ლაზარეს ქრისტე,
გზას დავადგები აღმა მდენს
ჯვრით ხელში ცისკენ, ღვთისკენ.

ოღონდ ეს ღამე გათენდეს,
ეს დამტანჯველი ფიქრი,
იქნება სულიც გამთელდეს
სადღაც ქართან რომ მიჰქრის.

15 აპრილი, 2008 წელი, თბილისი

## წარსული

ვუახლოვდები სამოცდაათს, სასწორზე ვდგები,
დრო არ მოიცდის, ვიცი იქით გადასძლევს პინა,
მთელი სხეულით, მთელი სულით ნელ-ნელა ვდნები,
როგორც ქურაში შეგდებული მჭედლისგან რკინა.

წარსული ჩემი, გვალვით დამწვარ ყანას მაგონებს,
დამშრალ ნაკადულს, ზაფხულის მზით, გაკაფულ ტყეში,
გარდასულ წლებმა, ჩავარდნილი მე, საგონებელს,
გზა მიყელეს და ჭაღარა კაცს ახლა მწვდნენ ყელში.

სიმწიფის ხანა, ჭაბუკობა ლოთივით ვფლანგე,
დიდ სინანულს ვგრძნობ რაც სიცოცხლეს უფრო ვშორდები,
დრო მიტევს მკაცრად, ველარ ვიცავ სიმაგრის ფლანგებს,
და კიდეც მხვდება მოქნეული მისი შოლტები.

მსურს სადმეს შევხვდე ყოვლისშემძლე მიუნჰაუზენს,
ამ უფსკრულს როგორ გადავახტე იქნებ მასწავლოს,
ეს ღირს სიცოცხლედ! მკერდს მივუშვერ თუნდაც მაუზერს,
დავეცე ერთხელ, რომ წარსულმა აღარ მაწვალოს.

17 აპრილი, 2008 წელი, თბილისი

# ძმის საფლავთან

ისევ აქ ვარ შენს საფლავთან, ჩუმი ნაღვლიანი,
უხილავი ტკივილებით, დარდით დაღიანი,
ღვინის დოქით, სანთლებით და სააღდგომო კვერცხით,
აპრილისთვის ცის ცრემლნამით, გაზაფხულის მერცხლით.

არ მოვიშლი არასოდეს აქ თავდახრით დგომას,
მწუხარებით, როგორც ზეცა გვიან შემოდგომას,
შენს აჩრდილთან მოსაუბრე, შენს უმანკო სულთან,
მფარველად რომ უკან დამდევს, რომ დამყვება სულ თან

მალე ვპოვებ მე სამკვიდროს შენი ძვლების გვერდით,
შვილებმა კი აქ იარონ უკეთესი ხვედრით,
მოვიდნენ და ჩემს საფლავზე კვერცხი გააგორონ,
ჩემი სულის შესავედრი უფალს გააგონონ.

მოვიდნენ და გიჟმაჟური ცეკვა დააბზრიალონ,
პატარძლებით, მაყრიონით, თოფი დააგრიალონ,
მეხის მსგავსი, ქუხილს ჰგავდეს, ეხო მისწვდეს ზეკარას,
შეჟღრიალდეს ვოჟას ფარი, მამულს აქ რომ ეფარა.

გადახედონ ათქვირებულ ვენახებს და ბაღებს,
კავკასიის ლურჯ გოროზ მთებს მეცხრე ცამდე მაღლებს,
რძისფერ ნისლით გადაქარგულ შიდა ქართლის ველებს,
მიწას, გულზე რომ აყრიათ ნაომარ ქართველებს.

აქ იარონ, ეკალბარდი ჩემს საფლავს არ მოედოს,
გულზე ნადებ ჩემი ქვისთვის შვილთა შვილსაც მოეგნოს,
მე კი, ციდან ჯვარს გადავწერ, ჰყოს უფალმა დღეგრძელნი,
რადგან მათში, ხვალ ამ ქვეყნად, სხვა სიცოცხლით ვგრძელდები.

29 აპრილი, 2008 წელი, თბილისი

## ნუღარ მაგონებ

ნუ გამახსენებ ძველ ტკივილებს, ძველ სევდა-ნაღველს,
სულს რომ დააჩნდა სამუდამოდ მწარე იარად,
ძველ საღილინოს, მეგობრებში სიმთვრალით ნამღერს,
უღლის ხარივით ჩემს გვერდით რომ დღემდე იარა.

ნუ გამახსენებ სკოლის წლებსაც, ნუღარც იმ გოგოს,
რომლისგანაც მე სიტკბოების თავბრუ მეხვია,
ნურც ჭაბუკობას და ნურც ყრმობას, თან იცი, როგორს,
პერანგებად რომ შიშველ ტანზე შემომეხია.

ნუ მომაგონებ, ღვთის გულისთვის, ცრემლის ნაკვალევს,
მლაშედ რომ აჩნდა ჩამოღვრილი ჩაცვივნულ ლოყებს,
ნურც იმ გარემოს, ნურც იმ ყოფის თეთრ-შავ აკვარელს
აღარ მსურს, აღარ, სხვა ახალი ტკივილი მოჰყვეს.

ნუ გამახსენებ მაშინდელ დროს, გადახდილ ამბებს,
რომლებიც დღემდე მამწუხრებს და გულით მაღონებს,
ძლივსთავდაღწეულს ჭაობების ლელსა და შამბებს,
იმ ძველ ტკივილებს ნუ მახსენებ, ნუღარ მაგონებ.

1 მაისი, 2008 წელი, თბილისი

## ნამდვილი ყოფა

ილუზიები, ბროლის კოშკები,
სიზმრად ნანახი, ნაოცნებარნი,
როგორც წითელი ველის შროშნები
აუხდენელი საოცრებანი,
თუთის ხესავით დაბლა დაირხა,
და თუ რამ მსურდა სიტკბოებანი
ვეცადე, მძივად აღარ აისხა.

იმ ოცნებათა ლურჯი აფრები
ზღვით მონაბერმა ქარმა დახია,
და როგორც ძველი ყრმობის ამქრები
მდუღარე გულის ფსკერზე მარხია.

ზღაპარ-სიზმარი მოკოდილ კოხით
ქარის წისქვილზე ნელ-ნელა იფქვის,
ნამდვილი ყოფა ჩემს წინ ზის მორთხმით
ათასი კითხვით, ათასი ფიქრით,
ხან დადის ჩემს წინ მუხლებზე ფორთხვით,
ხან დნება როგორც რიჟრაჟის ფიფქი,
არასდროს შემწე, არცა მეოხი,
ჭინჭარი თითქოს და გესლი თითქმის.

ზედ შევეზარდე მე, ამას ყოველს
ხეზე ფითრივით, ქვაზე ხავსივით,
იმედი კი მაქვს, ერთხელ დამტოვებს,
ერთხელაც იქნებ გატყდეს ნავსივით.

ვიცი, დრო ბევრ მთას გადამატარებს,
ბევრიც შემხვდება ველი ნასეტყვი,
გზაც დასრულდება და ჩემს პატარებს
რას მოვუყვები, ნეტა რას ვეტყვი?

23 სექტემბერი, 1978 წელი, თბილისი

## რა დაგრჩა?

***ძმის ხსოვნას***

შენ ერთადერთი რაც რამ გებადა,
სიცოცხლე, ეფრემ, დიდ ომს შესწირე,
უზენაესის იყო ნება და
ჯერ ოცდაორის სიკვდილს ეწიე.

ოჰ, რა უდროოდ,
რა ულვთოდ ადრე
უკანმოუსვლელ ფრთებით გაფრინდი,
არ დაგრჩა, ბიჭო, საფლავი მყუდრო,
გადახმა შენი ბაღ-ფერადშინდი,
ნაღველი მოსავთ შენსტოლა ჭადრებს
საიდანაც შენ ცაში აფრინდი.

სიცოცხლე დაგრჩა, რა ტრფობის წლები
ვერ ჩაათავე კვალი ვერ დასდე,
არც შინ მოფრენილ ჭიკჭიკა მერცხლებს
შენი სახისა არავინ დასდევს.

დაგრჩა სიყვარული,
გოგო შავთვალა
და დაუდგმელი ოჯახის კარავი,
დედის ცრემლები მდუღარენი, დაუფარავი,
დაი მოტირალი,
გულჩაკლული, გაუხარელი,
დილის სისხამზე შეუბმელი გუთნის ხარები,
ძმები პატარა
ჯერ მუხლებში გაუმართავი,
დედა და მამა შენი ხელით დაუკრძალავი,
შენი დიცურა შენი წილი დაუბარავი,
ტყე და ველები,
მინდვრის ქარი შენსკენ მქროლავი,
დედის ხელები,
ძუძუებით შენზე მთრთოლვარი,
მაისის მთვარე სატრფიალო შუქთა მთოვარი,
დაგრჩა ლიახვი
მონავარდე ქართლის ველებზე,
ჭალის წისქვილი
და ოცნება საქართველოზე,
ბიჭო, მზე დაგრჩა,
საქართველოს მზე,
და საქორწილო ქვევრში ბადაგი,
შენკი, ჯერ ჭაბუკს, ძვლები სად ჩაგრჩა,
სად დაიმარხე, ვისი ადათით,
დაგრჩა აჩრდილი მფრინავის ქუდით,
დაღლილი მზერა, ბიჭო ეფრემ,
დღესაც რომ ვუცდით.

15 ივნისი, 1978 წელი, თბილისი

## ჩემო ზღვისფერო მუზავ!

ვეღარ მოგხედე, ავად ვარ,
ჩემო ზღვისფერო მუზავ,
მეგონა ღელვა დამთვარდა
შენით, მდინარევ თუ ზღვავ,
მეგონა, წლებიც ჩათავდა,
ჩემო ბილიკო თუ გზავ,
მაისი, შენით რომ რთავდა
ჩემს ბაღჩას, ტირიფს თუ ბზას,
მეგონა უკვე მოთავდა
ვალს ლექსით ვეღარ ვუზღავ.
მაგრამ მაისმა ქუხილით
გადიგრიალა ზეცა,
ჩამინთო სულში სახმილი
როგორც ხორუმის ცეკვა,
ათასი ჭირი და ლხინი
ზედ გულზე დამაკეცა,
დამიდგა ვაზა სხვა ხილით
გამხადა რაც ზედ მეცვა,
მომცა ორპირი მახვილი
ტალი და კვესი ცეცხლად,
რომ ლექსი გულის ძახილით
ფრთა-ფრთა მისდევდეს მერცხალს.
შენკი, ფერიავ, ნავს ჩემსას
ნუ შეხსნი ჯერ ლურჯ აფრას,
შენც თავს გაველრებ, გამჩენსაც,
გთხოვთ ავ ძალთაგან საფარს.

27მაისი, 2008 წელი, თბილისი

## თბილისი

ქალაქში გახვალ და გგონია:
ცხოვრება დუღს და გადმოდის,
სიჭრელის ისეთი ფონია,
სიუხვე თითქოსდა ზღვად მოდის.

ქუჩაში დაჰქრიან ქარივით,
,,პაჯერო“, ,,ნისანი“, ,,აუდი“,
ნაკადი მოღელავს მტკვარივით,
ბოლავს და გუგუნი გაუდის.

ბორგავს და ბობოქრობს ქალაქი,
ძილისთვის არც დღეა, არც ღამე,
ვაჭარი, მოხელე, დალაქი,
ფულისთვის ათენებს, აღამებს.

უბნები თანდათან მშვენდება
ზღაპრული დაჩებით, ვილებით,
მაღალი სახლებიც შენდება
კოშკივით ცადაწვდილები.
ბინაა ლამაზი, ნათელი,
როგორიც მეფეთა კარავი,
მყიდველი ცოტაა ქართველი,
ბევრი კი თურქი და არაბი.

თბილისი გლობალურ ქარს ხვდება,
შერჩება ქართული იერი?
არადა, ის ფესვი გახმება
რითაც ვართ და ვიყათ ძლიერნი.

4 ივნისი, 2008 წელი, თბილისი

## ჩიცმაცონა

ყოველ ცისმარე დღეს, იასამნის ხეზე
გალობს ჩიტბატონა ცისფერფრთებიანი,
მისი წკრიალა ხმით მაწევს დღესაც მხრებზე,
ჩემი არე-მარე ქედებმთებიანი.

ცოტა მოშორებით ბუჩქია ასკილის,
ყვავილით მათრობელ სურნელად გაშლილი,
ამ ჩიტს შიგ ბუდე აქვს ჩაწნულ და ჩასკვნილი,
თივთივა ბალახით გაფენილ-გაშლილი.

მე, სულმა წამძლია, ერთხელაც ჩავხედე,
პირღია ბარტყებს შიგ გაჰქონდათ კანკალი,
რატომღაც შემცბარმა ღმერთს მაღლა ავხედე,
დედა მომაგონდა და ჩემი აკვანი.

10 ივნისი, 2008 წელი, თბილისი

## მატარებელი

მატარებელი ჩემს წინ ჩაირბენს
მუხრუჭების და თვლების თქარუნით,
რაღაცა გრძნობა ძარღვში დამირბენს,
ყურს კი ამივსებს ღრჭიალ-ჟღარუნი.

წამოვენთები ძველი წადილით
ბედმა ახდენა რომ არ მადროვა,
ისევ შენსკენ მაქვს ხელი გაწვდილი
და მახსენდება ახლა რა დროა.

მინდა მოვახტე, როგორც ურა ცხენს
ამ გაჭენებულ ლითონის გროვას,
დავფარავ მანძილს, თუნდ აურაცხელს,
მაგრამ ვიხსენებ ახლა რა დროა.

მინდა გამოვყვე შენსკენ ამ რელსებს
სადაც მარხიხარ, ჩემო ოცნებავ,
სადაც, სალა ქვით ცელი გალესეს,
ჯერ ისევ ნორჩი შენ რომ მოგცელა.

ჩავჯდები იქვე, ცრემლიან თვალებს
ზღვა სინანულით თან გავაყოლებ,
შენ მოგცელეს და მეც მკვდრად ჩამთვალეს
და ნაბან წყალს ზედ გადამაყოლეს.

მატარებელი ჩემს წინ ჩაირბენს,
გაჭენებული ეს რკინის გროვა,
რაღაც სურვილი ძარღვში დამირბენს,
მაგრამ ვიხსენებ ახლა რა დროა.

11 ივნისი, 2008 წელი, თბილისი

# მინდება

როდესაც მოვუსმენ ძველ ქართულ სიმღერას,
დუდუკებს, ძველ გარმონს ან ბახის ორღანებს,
რაღაცა ჭია მღრღნის და სისხლი იმღვრევა,
მსურს გადავაფრინდე ქედებს და ყორღანებს.

განვმარტოვდები და რაიმე დავწერო
მინდება, როგორც ლოთს ღვინო და არაყი,
წყალი მგზავრს მწყურვალს, ცაში ფრთა წეროს,
შველა მათ, ნავიდან ტალღა რომ გადაყრის.

ნაღველით, სევდით ამ ავსებულ თასიდან
მინდება თუნდ წვეთი სტრიქონში ჩავღვარო,
თუ ვინმეს ცრემლს მოგვრის ერთიცკი ასიდან,
იცოცხლებს შიგ ჩემი ცისფერი სამყარო.

მინდება, ჩავხატო წითელი ტყის ვარდი,
სიყვარულის ეს უკვდავი სიმბოლო,
მე, ლექსი მეძახდა როცა ტყვედ მივყავდი:
იწვოდე შიგ, მაგრამ არ უნდა იბოლო.

თუ ვინმე შეიცნობს, თუ ვინმე შიგ ხედავს
თავის ხვედრს, ბედსა და ასავალ-დასავალს,
ამავსებს სიამით, დრო კი ლექსს მიხედავს,
და კიდევ გადასწევს ჩემი მზის ჩასავალს.
მოვუსმენ დუდუკებს თუ მთვარის სონატას,
მინდება მეც ერთი ამოვთქვა სიმღერა,
დავაწყობ სტრიქონებს უფლისგან მონატანს,
თუ გულიც მკარნახობს, თუ სისხლიც იმღვრევა.

30 ივნისი, 2008 წელი, თბილისი

# ყვავილებით წალეკავს...

ეს ზაფხულიც მიინავლა
ცხელ-ცხელ დღეთა თვეებით,
მთვარეც სადღაც მიიმალა
ღამეებნათენები.

შემოდგომაც მალე მოვა
მოსაწყენი წვიმებით
დაიბუდებს ჩემში გლოვა,
სევდა, მცირე იმედი.

ჩამობარდნის ნოემბერი
თოვლით მინდვრებს, ველობებს,
და მე, როგორც მღვიმის ბერი,
ტანჯვას უნდა ველოდე.

უნდა ვთვალო თითო-თითოდ
ზამთრის ცივი თვეები,
ფარის მწყემსი ვიყო თითქოს
ღამეებნათენები.

დღემდე ვცდილობ, არ ვნებდები
ჩემს არა ერთ განსაცდელს,
სულის შფოთვა და ვნებები
ერთხელ მაინც რომ ამცდეს.

ჩემი გაზაფხულიც მოვა...
იმას, რაც მე მწარედ მკლავს:
ყველა სევდას, ყველა გლოვას
ყვავილებით წალეკავს.

28 ივლისი, 2008 წელი, თბილისი

# სადა ხარ?

როგორ ვნატრობდი შენთვის დამედგა
გვირილების და იის გვირგვინი,
ჩვენ შორის მთვარის ტახტი ჩამედგა
მე კი, ზედ, ბედით მსხვერპლად მიგვრილი.

შენ კი სადა ხარ? ეს მერამდენე
თეთრი აპრილი უშენოდ მოდის,
მთვარე, თვალი რომ ვერ მივადევნე
შავი ღრუბლიდან აღარ გამოდის.

ფერად ფოთლებზე ნოემბრის წვიმა
ახლაც უშენოდ ნაზად შრიალებს,
როგორც ღვთის სანთელს, ეს დილის წირვაც
შენსკენ სულს ჩემსას მიაცილებს.

შენ კი სადა ხარ? უშენოდ ცაში
ისევ ბერდება მაისის მთვარე,
სადა ხარ? გული გამიცვდა ცდაში
და დღემდე ვნანობ რად შეგიყვარე.

როგორ მინდოდა, მაგ ნაზი ხელით
თუნდ პეშვი მიწა გულზე დამყროდა,
მკერდზე დამეჭდო შენი სახელი
რომ არასოდეს აღარ გამყროდა.
შენ კი სადა ხარ? ნოემბრის წვიმა
შენს ნაცვლად ცივი ცრემლით მასველებს,
წლები უშენოდ მხრებიდან მცვივა,
სადა ხარ, დღემდე რომ არ მასვენებ.

8 აგვისტო, 2008 წელი, თბილისი

## თივის ქოხი

ალუბალი აყვავილდა, თეთრი კაბით ყვავის,
შორს, ბექობზე, მოჩანს ნისლი მქრალი,
გარშემო დგას მკვეთრი სუნი ყავის,
და სურნელი ტანწერწეტა ქალის.

ბაღში ცეცხლი უკიდია ატმებს,
კაკლის ქვეშ დგას თივის ძველი ქოხი,
ის წელწვრილა ვნებებით რომ დატკბეს,
დაუგია ტახტზე ჭრელი ნოხი,
ღამე უნდა ტკბილ ბურანში გატყდეს,
რადგან შიგნით ხმა ისმოდა ბოხი...

15 აპრილი, 2009 წელი თბილისი

## ვედრება

გამითენე ჯერ ისევ მზით ღამეები ბნელი,
ღრმად მასუნთქე შენი მიწის დამათრობელ სურნელს,
გადამიშვი ბეწვის ხიდზე რაგინდ იყოს ძნელი,
მე, მაძებარს განცდათა და ფათერაკთა მსურველს.

შენს წყაროებს დამაწაფე, როგორც დედის ძუძუს,
მომეც ფრთები ჩვენი მინდვრის ტოროლასი, ქედნის,
შორს გავფრინდე, დავესახლო უკაცრიელ კუნძულს,
ლოცვა გამყვეს და შენდობა ქვეყნის შემოქმედის.

თავს გავედრებ, შემივრდომო, მომცე ცოტა შვება,
გადაღლილი სხეულისთვის სულ პატარა მყუდრო,
აქ, სიცოცხლე, უდაბნოში ნაწვიმივით შრება,
და ზედ ბინდად ეფარება ამაოთა ყრუ დრო.

კარგად ვხედავ, რას მიქადის ჩემი ბედისწერა,
საით, რა გზით მიმაქანებს ამოვარდნილ ქარით,
ჩემს გულ-მკერდზე ეს ვნებანი მაშინ დაიწერა,
როცა ხელში მომაჩეჩე პოეზიის ქნარი,
ტკივილების დაამება დროში გაიწელა,
მე რომ მჩხვლეტავს დღენიადაგ როგორც ეკალნარი.

ყველა ნატვრა და ოცნება ცეცხლში დაიწვება,
და კვალწმინდად წაიშლება ჩემი ნააკვნარი.

ცრემლს მადენდეს ღრუბლებიდან გამომკრთალი მთვარე,
ჟრჟოლას მგვრიდეს ცისკრის კრთომა, დილა, ვარდის ფერი,
მიწყნარებდე სასოებით მავედრებელ თვალებს,
და ტოროლა ვიყო შენი ზეცად ასაფრენი.
დრო მოვა და გამოგზავნი ანგელოზებს ცისას,
რომ სიცოცხლის ბარძიმი მათ დავახვედრო ჩემი,
დააწერონ ყველა ცოდვა ჩემი გულის ფიცარს,
და აღსრულდეს მათი ხელით შენი განაჩენი.

გზა თუ ჩემი აქამომდე ძნელბედობის იყო,
არც იმ გზას გთხოვ გამიკაფო გაუვალი ტევრი,
და თუ კი მცან, შენი ხელით და თუ ღირსი ვიყო,
მოაბნიე შენს მინდვრებზე ჩემი ნეშტის მტვერი.

სიკვდილის წინ ერთად-ერთხელ დამანახვე ზეცა,
დამაყნოსე ყაყაჩოებს, ზამბახებს და შროშანს,
მე ხომ შენი მოქსოვილი მზის პერანგი მეცვა,
დამასახლე იმ ვარსკვლავზე, მთვარესთან რომ მოჩანს.

აპრილი-მაისი, 2009 წელი, თბილისი

## აქ ვთქვი ჩურჩულით

ჯვრის მონასტერი მოვილოცე მე, სულის ხსნისთვის,
დროში დამდნარ ქვებს მოწიწებით ბაგე შევახე,
აქ ვთქვი ჩურჩულით რაც არ მითქვამს არასდროს სხვისთვის,
რაც გულით დამაქვს, მე ცოდვილი, რასაც ვერ ვამხელ.

უფლის კარიბჭეს დასიცხული შუბლით მივეკარ,
ვიგრძენი, როგორ დამიარა სულში მხნეობამ,
შუადღის ზარი აღსარებად თუ მე მირეკავს,
აქა ვარ, ღმერთო, შენი მზის ქვეშ, ერთი ხე, ობლად.

დაბლა ჩანს მტკვარი, არაგვი და ბებერი მცხეთა,
სვეტიცხოველი-არსაკიძის ქვაში ბალადა,
ჩემს ნაცვლად ახლა, ის სანთელიც ხატთან რომ წვეთავს,
ხმამაღლა ყვება, ჩემი გული რასაც მალავდა.

გადავაფრინდე მე ამ ზღაპარს, ფრთები მომინდა,
ბლუჯა ლეგენდებს, მტკვრის მოტანილს ცისა და მიწის,
ჩემი სანთელიც ერთ-ერთია მათი კონიდან,
ცხარე ცრემლებით მონასტერში ხატთან რომ იწვის.

15 აგვისტო, 2009 წელი, თბილისი

## ფერფლი და ქნარი

ივლისის მზე დგას ზენიტში,
უბერვას ცხელი ქარი,
მე ვიწვი როგორც ფენიქსი,
და ჩემთან ჩემი ქნარი.

დაღამდება და მთაწმინდა
მხარზე შეისვამს მთვარეს,
ვნებულ სულს ჩემსას განწმინდავს
ფერფლს კი შუქს დააფარებს.

გავა დრო, მთვარე გადავა,
ღამე არ შემიცოდებს,
ბეწვის ხიდს თუ ვერ გადავალ
ვინ მიმიტევებს ცოდვებს?

ქარი ორმაგად ეცდება
აღგავოს ჩემი ფერფლი,
ახლა ვგრძნობ ფეხქვეშ მეცლება
რასაც მე წლობით ვეტრფი.

ფერფლს, ვიცი, სადღაც გადაყრის
ივლისის ცხელი ქარი,
მე, ფრთებით მიწას დამაყრის,
აქ კი, დამრჩება ქნარი.

10 აგვისტო, 2009 წელი, თბილისი

## დათო

*ტელევიზიასთან მოკლულ*
*დავით ნადირაძის ხსოვნას*

სევდით დავიტირეთ,
ნაღვლით დავიტირეთ
ჩვენი ბიძაშვილი დათო,
ვეცადეთ, მაგრამ ველარ დავიჭირეთ,
„ამას არ შევარჩენ მათო."!
ვურჩევდით, განა არ ვურჩევდით:
მოეშვი, ბიჭო, მაგ თოფს,
მაგრამ შვილები არიან ურჩები,
დედის წინ ხტუნვა ართობთ,
მოკლეს და მეოცედ საფლავთან ვქუჩდებით,
მეოცედ ზამთარი ათოვს.

ნუ იხდი, ბიჭო, მაგ ჯავშნის პერანგს
არავინ გყავდეს მამაცს თუნდ ცალი,
ვერსად წაუხვალ სწრაფსა და ვერაგს,
როგორც ალუდას ტყვიას, მუცალი.

ვიღას ახსოვხარ, ჩვენო დავითო,
ალბათ აპრილის ატმებს,
დედაც არა გყავს სული გაგითბოს,
ღამე ტკბილ ძილში გატყდეს,
მამა-სანთელი თავთით აგინთოს,
ძმე- თუნდაც ერთი გყავდეს.

7 აგვისტო, 2009 წელი, თბილისი

## ის მაინც უცხოა

გულს მტკენს, თან მანცვიფრებს, ჩვენ შორის გარეწარს
დრო ბადებს, თუ ერის თუნდ წვეთი სისხლია?
ოდესღაც რაინდებს, მტრის ხმლებით დამლეწავთ
ის ჩვენთვის უცხოა თუ ძარღვში გვისხია?

დიახ, ის უცხოა, ვერ ვმალავ მეც რისხვას,
ამ წვეთის მიმართ მეც, სინანულს ვერ ვფარავ,
სად გაქრა ძველთ-ძველი წესი ფიც-ვერცხლისა?
ოდითგან ჭირ-ლხინში ფარად რომ გვეფარა.

თუ მართლაც ჩვენია, ჩვენს სისხლში ის წვეთი,
ფულისთვის კაცს რომ კლავს, დედას შვილს გასტაცებს,
ჯვრით უნდა განვწმინდოთ და მხოლოდ სიკეთით,
რაც ძალუძთ მღვდელმთავრებს, სხვა რჩეულ ვაჟკაცებს.

22 ივნისი, 2009 წელი, თბილისი

## სიბერე

რა ჩუმად მომადგა სიბერე ოხერი,
უპოვარ კუტივით ჩემს კართან ჩამოჯდა,
თავს ვიცავ,ხანჯალიც ხევსურის, მოხევის
შევმართე, მაგრამ ცდა უძლური აღმოჩნდა.
შემოდის სხეულში კაკუჩის კაკუნით,
წლებისგან დაცლილი სურა რომ გატეხოს,
ცად ამსვლელ სულს ჩემსას გაუდის ფხაკუნი,
ბრძოლისთვის მზად არის ყიჟინა ასტეხოს.

მაგრამ რა, ხმას როგორ, ანდა ვის მივაწვდნენ?
ამ სტუმარს ჩემგან მე, მაინც ვერ განვდევნი,
პურ-ღვინოს გავუყობ, ძილადაც მივაწვენ,
ვიგუებ, ჩემამდე უვლია ამდენი.

ერთს ვნანობ: გული რომ ვერ უნდა ვახარო,
რომ მის წინ, თავი მეც, ძირს უნდა დავხარო.

25 ივლისი, 2009 წელი, თბილისი

## ყველგან ეს გული ზის

ოდესმე ნახავენ, გულით რომ თან დამაქვს
წუხილი და ლხენა ლექსში რომ განვფანტე,
ყველა რაც გავლექსე თუ არ ჰგავს ანდამატს,
პეპელას ჩრდილივით ხომ მაინც ფარფატებს?

დიახაც, ბევრია შიგ სევდა, ნაღველი,
ყველგან ეს გული ზის ტკივილით მფეთქავი,
მაგრამ მე, ჯერ შორს ვარ, რომ ჩემი ნამღერი,
იყოს „ოროველა" მუხლების მკვეთავი.

ვინ იცის, ეგება ფარაში ვერძი ვარ,
არავის ეგონოს სვე-ბედზე ვწუწუნებ,
მრისხანე დროა და მეც მისი კერძი ვარ,
ყურებზე არ მკიდებს ალუბლის კუნწულებს.

რომელმა პოეტმა იცხოვრა განცხრომით,
თავის თავს ვინც ფლობდა, „თვით ლექსი თუ წერდა"?
არავინ! იყო ის იმედად მაცხოვრის
თუ ბრძოლა, თუ ომი ბოროტთან უწევდა.

დღესაც მე მარტოდ ვარ ჩემს ლხენა-წუხილთან,
არ ვიცი, დრო მომდევს, თუ მე მას მივყვები,
ტოგას არ მოვისხამ, მე ტანზე წუთხიანს,
MEMENTO MORI - მეც - მახსოვს ეს სიტყვები.

20 ივლისი, 2009 წელი, თბილისი

## დრო

ყველა რამ ჩემი ნაშენი,
ნაოცნებარი, ნაღვაწი,
შენ ერთი დარტყმით დაფშხვენი
და მერე ცეცხლით გადასწვი.

გზაგასაყართან მიმაგდე
მეგობრებშემოფანტული,
დაშალე ციხე-სიმაგრე
ჩემი, ქვით შემოსალტული.

აღარავინ არ მეძახის,
აღარც არავის ვახსოვარ,
ისევ თუ ვუსმენ შენს ძახილს,
ისევ თუ შენთან მარტოდ ვარ.

ყველა სტუმარი დამიფრთხე:
მთვარე, გუგული, ნარჩიტა,
მზად ვარ, თუნდ სისხლიც დაინთხეს,
შენთან ჩემს ომს თუ დასჭირდა.

თითქოს, ხე ვიყო ქარისგან
ძირს ტოტებჩამოლეწილი,
მსხვერპლი ჩემივე ქნარისა
მუზებით ბედაწეწილი,
ვერ შევძელ მსურდა თქმა რისაც
ზეცაში გამოწერილი,
არ მეყო შუქი მთვარისა,
მზე, მთებთან ამოწვერილი,
საგზალი შორი მგზავრისა,
ცა, ღრუბლით ჩამოწველილი.

გზაგასაყართან ვდგავარ მე,
შორს დარჩა ჩემი მაღრიბი,
აღარ ჩანს ჩემი სავარდე,
ობლობის ცრემლს რომ ვაღვრიდი.

12 ივნისი, 2009 წელი, თბილისი

## მეძვი და ნარი

ვინ იცის, ქვეყნად რამდენი
ლამაზი დაიბადება,
არც რა ღალატის ჩამდენი,
ურცხვად არ გაიბადრება.

მაგრამ, ცრემლების დამდენი,
გაქცევს კაცს ფიქრად, დარდებად,
გულში რა ცეცხლის დამნთები,
ისეთის, რომ აღარ ქრება.

პოეტიც ბევრი გაჩნდება
ქალის და მუზის მდევარი,
ორივე გულზე აჩნდება
ტკბილ-მწარე ნესტრით მკბენარი,
ტკვილი არ ჩანს, არც ჩნდება
ნეტავი სადამდე არი?
რამდენს ბოდვები დასჩემდა,
რომ ნახა ძეძვი და ნარი.

2 ივლისი, 2009 წელი, თბილისი

## ჩემო დისწულო მერაბ!

შენ ისევ ოცი წლის ბიჭი ხარ,
ჩემო დისწულო მერაბ,
ისევ ის პატარა ყმაწვილი,
მთვარეს რომ ხატავდა ფერადს.
ისევ ის ჭაბუკი, მტკვრის ღურღუმს
მხარულით რომ ჭრიდი, მერაბ,
უფლისციხესთან, აფხაზიშვილების
სადაც დაინთო კერა.

რა ლაღი სიცოცხლე, რა ქორფა,
თან ჩაგყვა მიწაში, მერაბ,
დედის და შენების ცრემლები,
რომლებიც არ გაშრა ჯერაც.

თან ჩაგყვა დედულეთის მზე
და ქვახვრელის ცა, მერაბ,
ოცი წლის ბიჭს რომ მოგტაცეს
შავმა ყვავმა და ძერამ.

ოჰ, რამდენ ტკივილს მანიშნებს
ნაღვლიან თვალთა მზერა,
წილად რომ გერგო დღე მოკლე
და შავი ბედისწერა.

რომ ვერ აღავსო სიმაძღრით
მზის და ლურჯი ცის ცქერამ,
შენი ოცი წლის სიცოცხლე,
ჩემო დისწულო, მერაბ.

18 ივნისი, 2009 წელი, თბილისი

## დაო თინათინ!

გარეთ მაისი ხარობდა,
გალობდნენ ბულბულები,
ალვები ტანად სარო და
მწყერჩიტა, გუგულები.

იასამანი ყვაოდა,
შენ კი გხდებოდა სული,
ჭიშკართან ცხვარი ბლაოდა
შენი გზის დასასრული.

გული ნაღველით აღსავსე
გამოხრა დარდის ჭიამ,
ჭიშკარს აღებენ გასასვლელს,
შენთვის საფლავსაც ჭრიან.

შენს კუბოს მხარზე შევიდგამ
ცრემლი დამახრჩობს ცხარე,
ჩემს წინ ხომ შენი ხვედრი დგას,
მეც ხომ ვერ გავიხარე.

პროცესი შენს ნეშტს მიარწევს,
როგორც ნიავი ტალღას,
მალე მკვდარ შვილთან მიაღწევ,
სულით კი ზეცას, მაღალს.

დაო, მე მიწას გაყრიდი,
შენს შავ ბედსა და ვარამს,
ვერც შენი მაშრიყ-მაღრიბი,
სამარეც რომ ვერ ფარავს.

გარეთ ხარობდა მაისი,
ჭრელ ყვავილებად თოვდა,
მკვდრის მზე მბჟუტავი დაისში,
შენთვის შენდობას მთხოვდა.
ქვახვრელი

16 ივნისი, 2009 წელი, თბილისი

## ხორუმი იყო დოლზე დაკრული

შენ ისევ ძველი წვალებით მისდევ
ამ წუთისოფლის აღმართ-დაღმართებს,
ყრმობიდან ითვლი, არ გახსოვს ის დღე,
შვება მოეცეს შენთვის მაღალ ღმერთს.

რა საშიშ წლებს და რამდენ განსაცდელს,
რამდენ ბნელ დღეებს გამოაღწიე,
რას არ ებრძოდი, რამდენ საწადელს,
რამდენი ლოდი მხრებით ასწიე.

შენ ბედისწერას მისდევ მწყემსივით,
ნარჩენ წლებს, შორით ცხვრებივით რომ ჩანს,
გული კი გტკივა გამწყდარ მყესივით,
ყრმობიდან ფიცხელს და არა ოჩანს.

არადროს ბედი არა გწყალობდა,
არადროს იყო შენი შემნდობი,
მხოლოდ თუ შენთვის შაშვი გალობდა
და ანგელოზი ზურგს უკან მდგომი.

წინ უფრო მეტი ტკივილი გელის,
არ გაერევა სიტკბო შენს იღბალს,
თასს მოგაწოდებს შხამიან გველის,
ღიმილითა და ღვინით შენიღბავს.

შენ დაცლი სასმისს, ბალღამს ნაჩვევი
არ მიეცემი სასოწარკვეთას,
სიკვდილი, ცრუს და მართლის გამრჩევი
ეცდება, მაგრამ თავს ვერ წარგკვეთავს.

და მაინც, შენი აწყმო და ნამყო
ხორუმი იყო დოლზე დაკრული,
ბედმა ლიახვის ტირიფზე გამყნო,
გამღერა ლექსად მხედრულ-მაყრული.

3 ივნისი, 2009 წელი, თბილისი

## მთვარე მომძებნის

მოვკვდები, მიწა ვერ შემინახავს,
დავიკარგები როგორც გრანელი,
იქნებ მეძებონ, მაგრამ ვერ მნახავს
ვერც ახლობელი და ვერც გამვლელი.

დავიკარგები ფიროსმანივით,
დრო საფლავის ქვას გადააგორებს,
ჩემი სახელი ძველ სამანივით
არავის რამეს არ მოგონებს.
მხოლოდ ჩემს ლექსებს თუ ვეხსომები
გულზე მძიმე ქვით შიგ რომ ვმარხივარ,
ვიცი, ვიქნები უფლის ცხონებით,
მაგრამ საძებრად იქნებ არც ვღირვარ?

ბალახად სადმე ველზე ამოვალ,
ანდა ტირიფად ლიახვის პირას,
ჩემს საძებრად კი მთვარე ჩამოვა,
მხოლოდ ის მიცნობს და არ გამწირავს.

ციდან ღრუბელი წვიმით დამნამავს,
ჭალის ქარი კი ქროლვით შემარხევს,

მთვარე მომძებნის, დრო ვერ დამმალავს
და ვერცხლის შუქში ნაზად შემახვევს.
წაიღებს ჩემს სულს, აქ არ დასტოვებს,
ვარსკვლავებსა და ლურჯ ცას მოაფენს,
მაღლა, უფალთან განმამარტოვებს,
და თეთრ ანგელოზს ჩემთან მოაფრენს.

29 მაისი, 2009 წელი, თბილისი

## წამიერი სიმშვიდე

გადაიჯირითა ქარმა ტყე, ქედები,
ღრუბლები მაღალ მთებს გადააწიალა,
სიწყნარე, სინათლე ჩამოდგა ედემის,
ცა ისე მეფურად გადააწკრიალა.

წამიერ სიმშვიდემ მომიცვა უეცრად,
უეცრად გული სხვა იმედით შეტოკდა,
ტკივილი გაყუჩდეს, მომეცხო თუ ეს ცვრად,
ხანგრძლივი?! ჩემს ყოფას სხვა ზღაპრით შემკობდა!

ვეფერე მაღლა ცას, ბრდღვიალა მნათობს და,
ფერად-ფერ ყვავილებს ძირს დედამიწაზე,
ვუსმენდი ტოროლას,სიცოცხლე მათრობდა,
ვდუმდი და ვფიქრობდი მხოლოდ ერთ იმ წამზე.

25 მაისი, 2009 წელი, თბილისი

## მახსოვხართ

მაისი დგას და სიყვარულით ფათქუნებს გული,
ველზე განფენილ თეთრ გვირილებს მსურს მოვეფერო,
თუ ტყეს მივეცე, საიდანაც მიხმობს გუგული,
ან ჩამავალ მზეს თან გავყვე და ქედს მოვეფარო?

ალსავსე არის ღრმა სიცოცხლით როგორც ბარძიმი,
ეს ლურჯი ზეცა, მინდორ-ველი უკვე სათიბი,
რა შეედრება? ყელსაბამი, ნეტა რა მძივი,
რა ძოწეული, რა ხავერდი ან რა ქათიბი?

და ყოველ ამას ჩემი გულის ღრმა ტკივილებით,
მინდა გავძახო, რომ მახსოვხართ! მაგრამ არ მყოფნის
ძალა, რომლითაც ვარსებობდი და ტკბილი ვნებით
მე, მათთვის ვენთე, გიჟმაჟიც და მთლად ავადმყოფიც.

სულ სხვა სიმძიმის ქვა მაწევს მე, ამ მაისობას,
როგორ გადვიტან, შარშან ჩემი მთვარით ვტკბებოდი,
მანამდეც ვიდრე, მარსი ცაში შუბს გაისროდა,
ღამის სიზმრებში მოძალადის ტყვიით ვკვდებოდი.

ყაყაჩოს ნამი, შიგ ოქროსფრად მზე რომ ციალებს
ცრემლი მგონია, სისხლის წვეთი, მე, შენს ლოყაზე,
ჭრილობებს შენსას, შენს გვირილებს, ველებს ცვრიანებს,
ხარივით მინდა, როგორც მარილს ენით ვლოკავდე.

14 მაისი, 2009 წელი, თბილისი

## სურვილი

უღრუბლო ცა მიყვარს, უღრუბლო ცა,
როდესაც მზე შიგ სხივებით ლივლივებს,
მით უფრო, იქიდან უფალი თუ მლოცავს,
მით უფრო მე მისკენ ცად კიბით ვივლი მე.

თითქოს, არ გამსვლია ჯერ წუთისოფელი,
თითქოს, მეც ახალი სიცოცხლე მეწყება,
შევყურებ ლურჯ სივრცეს, იქ მარადმყოფელი
ფერი ზედ მევლება და ხორცად მერწყმება.

ცას ზედ შევაფრინდე სურვილი არ მტოვებს,
როგორც გალიიდან თავდახსნილ შევარდენს.
როგორც ეს ყრმობისას, და განა მარტო ეს-
სურვილი, სანთლად, რომ სულითაც შევადნე.

ყაყაჩო მიყვარს მე, წითელი ყაყაჩო,
აღერილ ყანაში ქარზე რომ ლივლივებს,
ვიცოდე გზად სადმე ეშმაკი დამახრჩობს,
მე მაინც, ამ ჟინით, ცად კიბით ვივლი მე.

20 დეკემბერი, 2009 წელი, თბილისი

## ოდესღაც

ალდგომაა, ჭონას ვმღერი:
„ალათასა-ბალათასა,
აგიმაღლდეს, დედი, ჭერი,
კვერცხი ჩადევ კალათასა“.

კარებიდან, როგორც მთვარემ
გოგომ გამოანათა,
„წამომყევი, გოგო, ბარემ;
ერთი გვქონდეს კალათა“,

ერთი გვქონდეს ნაბადი  და,
მუთაქა და ბალიში,
რაც ატლასი მაბადია,
გოგო, ფეხქვეშ გაგიშლი.”

გოგო ნაწნავს ათამაშებს,
ყელს მაცდურად იღერებს:
„ეგ ნაკმაზი, ბიჭო, შაშვებს-
მიდი, ჭონა იმღერე“.

20 ნოემბერი, 2009 წელი, თბილისი

## ოღონდ ავიშვა, ოღონდ გაიღოს

ლურჯ ცას გავყურებ, გალეულ მზეს დეკემბრის თვისა,
და ცრემლი მომდის სამსხვრპლოსთან დაბმულ ხარივით,
მინდა ავიშვა, თუ უღელი არის ჩემთვის აქ,
დამადგით, გავწევ გუთნეულში დევის მხარივით.

ოღონდ ავიშვა და გავჭენდე ურა ცხენივით,
ჩემი ფაფარი ნიავ-ქარმა აშარიშუროს,
ზურგზე შემაჯდეს სერაფიმი სულის მხსნელივით,
წყალობა მიყოს და მათრახიც არ დაიშუროს.

ეს ცხრაკლიტული, ეს ცხრა კარი ოღონდ გაიღოს,
თუნდაც საომრად წავალ ჩემი შუბ-ფარ-შიმშერით,
მზე არ ჩავიდეს, მინდა მივწვდე, თან არ წაიღოს,
ის ცოტა სითბო და ნათელი, მე, რომ მიშველის.

ჩემსავე თავის ტყვე თვითონ ვარ, და ამ საკნიდან,
გამოფრენა მსურს რა ხანია მე, საგალობოდ,
ღვთისმშობლის ხატს ვთხოვ, გამიხსენოს, მიხსნას ნასკვიდან,
რომ ამ ტყვეობამ სულიერად არ დამაობლოს.

დეკემბრის თვის მზე სადაც არის ჩაიწვერება,
გვიანი ზამთრის ცივი ნისლი ბურავს ვენახებს,
უფლის წყალობით ლექსი ბევრი დაიწერება,
მაგრამ მე, რაა, მათში მაინც შვება ვერ ვნახე.

10 დეკემბერი, 2009 წელი, თბილისი

## საd გამაჩერებს

სიბერე მოდის, ფრთები დამცვივა...
მივალ, ბუხრის წინ მოვკალათდები,
და საბოლოოდ ცეცხლში ჩაცვივა,
ფიქრები, ჩუმი მოკამათენი.

კუნძს შევუჩხრეკავ მრავალ ფესვიანს,
ძლივს რომ იწვის და ჩემ თავს მაგონებს,
დრო მალე მესვრის თოფს კაჟ-კვესიანს,
რა სიმაღლიდან გადამაგორებს?

სად გამაჩერებს, წერტილს სად დასვამს,
მეღირსება კი მირონის ცხება?
მაგრამ მე მაინც მისგან შხამ ნასვამს
სიცოცხლის ჟინი არ დამიცხრება!

კუნძის კომლივით დარდი დამახრჩობს
მეგობართაგან განმარტოვებულს,
სული კი, რომ ჰგავს შეშის ანახრჩოლს,
მაინც შემრჩება მთლად მარტოდ ვნებულს.

მანამდე ჟამი ტკბილ-მწარედ იდენს
ბუხართან ოხვრით ჩამოჯდომამდე,
ღმერთი კი, ცოტას თუ მაცდის-ვქმნიდე,
ვილოცებ გულის ამოჯდომამდე.

26 ოქტომბერი, 2009 წელი, თბილისი

## ზამთარი

ჩამოღამდება ზამთარი,
ჩამოათოვებს ქედებსა,
ქარი, როგორც ტყის აფთარი
ავად შეუღრენს ჩემს ბედსა.

ველარ შევხედავ ლურჯ ზეცას,
ველარც მზესა და მთვარესა,
ნარინჯის ფერებს აკეცავს,
დაათოვს არე-მარესა.

მოფრინდებიან ყვავები,
გააძევებენ შაშვებსა,
და მეც ბავშვივით ავყვები
ათასგვარ ფიქრებს შავებსა.

მეუფევ, ცოტას დამაცდი
შევხვდე კიდევ ერთ ზაფხულსა?
თუ, ჰო და, ჩოხა ჩამაცვი
ცხენით მსურს ნისლში გაქუსვლა.

გავყვები დევის ნაკვალევს,
გადვივლი იმ მთას, ამ მთასა,
ჩემთვის ისეთ ხარს დაკლავენ,
გავდეს ღრუბლიან ზამთარსა.

25 სექტემბერი, 2009 წელი, თბილისი

# ბრალია

დღე და მოსწრება დროს მივსდევ,
ყრმობიდან მკერდგაღეღილი,
დღეს კი, ცხოვრება წინ მიძევს
როგორც ნაძოვი ჯეჯილი.

ხელიდან არ დამიგდია
ნიჩაბი, წიგნი, კალამი,
და მაინც ძლივს დამიდია
საპატარძლოს წინ ალავი.

ცხოვრება ზურგზე მეკიდა-
უსწორ-მასწორო კურტანი,
გულ-ღვიძლზე ცეცხლად მეკიდა
უსამართლობა მურტალი.

არ მინდა შარში გავეხვე,
ვთქვა: კუ, გამოძვრა საფრიდან,
ზედ ააცოცდა სანეხვეს,
ცაში ყვავივით აფრინდა.

დღეს ვინც ქანჩივით მოერგო
მანქანის ბორბლებ-ჭანჭიკებს,
ვინც სცადა რამე მოეგო
აიმ ნეხვიდან ჭიკჭიკებს!

მე კი, მომქონდა და მიმაქვს
რაც ბედმა კისრად დამადო.
ვამბობ დღეს ჩემთვის და მითქვამს,
არ გახდე სხვისი სამადლო.

ბრალია ცოტა ვიცინე,
ვიმხიარულე რა ცოტა,
დრო აღარ მრჩება ვიცი მე,
მივხვდე, მიმიძღვის რა ცოდვა.

3 ოქტომბერი, 2009 წელი, თბილისი

## დაუვიწყარი

*„პატარა ბიჭი ვიყავი,*
*პატარა ბიჭუკელაო“*

ბიჭი ვიყავი მერცხალა,
კენჭს ვგავდი შავი ზღვისასა,
გოგო მიყვარდა, მთის ყვავილს
ჰგავდა, შუქს მთვარის, მზისასა.
ბროლის ყელს მოიღერებდა
გედს ჰგავდა ლურჯი ტბისასა,
წითელი კაბის შრიალით
ტირიფს ლიახვის წყლისასა.
წელში ლელივით ტყდებოდა
ობოლ ნუკრს ჰგავდა ტყისასა,
სინაზით ია, ენძელას,
თვალ-წარბით ყორნის ფრთისასა.
წამოვიზარდე, ვეფერე
ჩემს ვარსკვლავს ლურჯი ცისასა,
ველის შროშანი ჩავაწან
ნაწნავს საცოლის თმისასა,
ნაბადი შემოვახვიე
არ წასულიყო სხვისასა,
ტუჩ-ბაგეს ვეწაფებოდი
წყაროს-მცხეთიჯვრის მთისასა,
ნეტარების თვეს ველოდი,
დღეებს ვენახის რთვლისასა,
დეკემბრის გრძელ-გრძელ ღამეებს
ჩემი თაფლობის თვისასა.

31 მარტი, 2008 წელი, თბილისი

## ჩემს ლექსებს

მე, თქვენ დაგეძებთ ბავშვობაში, ძველ ოცნებებში,
იმ ძველ ზღაპრებში, ოდესღაც რომ დედა მითხრობდა,
დღეობა დღისით, საყდართან მდგომ იმ მლოცველებში,
ყველა თითოდ რომ უფლისაგან შველას ითხოვდა.

მე გეძებთ, გეძებთ ბერის საყდრის ძველ ნანგრევებში,
ბებერ ცაცხვიდან მოლაღური ქვებს რომ დასტირის,
ზეკარა მთის და ჩაბარუხის ჩანარღვევებში,
ლიახვში, მე რომ მომიტანა ჩანგი და სტვირი.

მინდორში მწვანედ მოლივლივე ჯეჯილში გეძებთ,
მაისის მთვარით დამწუხრებულ მკრთალ ღამეებში,
იმ გზებზეც, სადაც ვერ ავცილდი ეკლიან ძეძვებს,
წინ რომ მხვდებოდნენ, მშობლიურ თუ სხვა მხარეებში.

გეძებთ მცხეთიჯვრის წყაროებთან, ცხრამურის, თხილის,
წიფლის ტყეებში, მეც იქ ერთ ხედ რომ გავიზარდე,
როგორც გუთნის ხარს, თქვენით მქონდა ქედი დახრილი,
ტკბილ-მწარე ხვედრიც, მე მარტო სულს, თქვენ განმიმზადეთ.

მოვივლი თბილისს, ქუჩაბანდებს, ლამაზ გამზირებს,
ხსოვნის ბურუსში მტკვრის ნაპირზეც იქნება გნახოთ,
როგორც მე, დედა, მომიყვებით ზღაპრებს და სიზმრებს,
რომ თქვენს წიაღში ჩავიფლო და შიგ ჩავიმარხო.

12 ივნისი, 2009 წელი, თბილისი

## სიცარიელე

ვეღარ ვჩერდები ერთ ადგილზე მთვარეულივით,
ერთი სული მაქვს როდის ვნახავ ჩემს არე-მარეს,
ჩემიანებშიც თავს უცხოდ ვგრძნობ გარეულივით,
დავეხეტები დაბნეული სულ გარე-გარე.

ერთი სული მაქვს მოვეფერო ვერხვებს და ალვებს,
ჩემს გაზრდილ ატმებს, ბლებს, ალუბლებს, ტყემლებს და ვაზებს,
ჩემი ვენახის წითელ ღვინოს თუ კიდევ დავლევ,
წავიღიღინებ, ხელს წამოვკრავ დოქს სქელ გავაზე.

მინდა გავქუსლო ისევ იქით, ისევ იმ მიწის
ათასფერადი ყვავილების ნამი შევხვრიპო,
ადგილის დედა, თვალზე ცრემლით ხელებს რომ მიწვდის,
ჩემი ჯალაბი დასალოცად მასთან შევკრიბო.

იქით მეწევა გული ჩემი, ჩემი არსება,
ზღვისფერი ზეცა, ჩემთვის ხომ ის მაინც არის სხვა,
მაისის მთვარე, ვერცხლის შუქით თასს რომ მასმევდა
ღამის  ბულბულიც, უბეში რომ ისევ ჩავისხა.

დავცარიელდი! სასმისს ვგავარ პირქვე დამხობილს,
მწვანე ტყეების მგალობელთა ფრინველთ ხმათაგან,
იქ მინდა დავდგე, სადაც მზე დგას ჩემი სამხრობის,
და თასი მივცე შესავსებად ყოველ მათთაგანს.

იქ მინდა ისევ სულით გვემულს, ხორცით განდევნილს,
ბერის საყდართან მაწყდებოდეს მქროლავი ქარი,
გუგულის ხმას კი, ზედ ჩემს გულზე წვეთად დადენილს
უერთდებოდეს სული ჩემი და ჩემი ქნარი.

როგორ მომწყურდა ტოროლას ხმა, ჯეჯილის ნამი,
ჩემი ცის წვიმა, ცისარტყელა, მეხთა ქუხილი,
სულ ერთხელ მაინც გადამევლოს ტანზე, თუნდ წამით,
რომ ჩამომბანოს მე ეს წყენა და ეს წუხილი.

დრო გადის დუნედ, როგორ მინდა ჩემი სოფლის ხალხს,
კვლავ გავერიო ტკივილების მოსაოხებლად,
დავემხო მიწას, ვთქვა- ჩემთვის: ,,-რა განძი ყოფილხარ!"
და რა ადვილი ველურთაგან მოსაოხრებლად.

ვიცოდე მაინც რა მომელის, ძვლებს მე სად ჩავყრი,
სად მივაბარებ მიწას სხეულს ან სულს სად ზეცას,
ფეხი დაგადგა მეღირსოს და შენს წინ თავს დავხრი,
მერე მე ვიცი, ცას ავწვდები, ავწვდები მზესაც!

1 ნოემბერი, 2008 წელი, თბილისი

## სიცარიელე- 2

შავი ბურუსით შემოსილმა წუთისოფლისა,
გუბე, ჭაობი გავტოპე და გამოვიარე,
რატომ მხვდა წილად ბედი ქრისტეს უარმყოფლისა,
ყველას ჭირ-ლხინთა მონაწილეს და მოზიარეს?

გამოვიარე, ცისფერ ნისლში რომ შევრეოდი
ჯეჯილში წითელ ყაყაჩოებს, დეკა-ხვიარებს,
გზად მე, დაღლილი, მუხლს მათკენ რომ ვერ ვერეოდი,
ვთქვი: მათ ვიყნოსავ და სხვა ხმით ცა ამახმიანებს.
სურვილი მკლავდა ამოვარდნილ ქარს შევხებოდი.
მზითა და მთვარით შორეული ბინდი გამყროდა,
იმედი მქონდა, ლურჯ ნისლეულს მეც შევხებოდი,
და შიგ გახვეულს, ყვავილები გულზე დამყროდა.

აჰა, მე აქ ვარ! სად რაღაა, სიცარიელე,
და მხოლოდ ქარი აქეთ-იქით დაბორიალობს,
აქ, ერთი ჩიტი,მოლაღური ვიცანი მერე,
დაეძებს თავის სულიერ ძმებს და მგლოვიარობს.

30 ნოემბერი, 2009 წელი, თბილისი

## ცალუღელა ხარ

ცალუღელა ხარ, პოეტო,
ცალუღელ ლეწავ კალოსა,
ცეცხლი შენს სულს რომ მოედო
ცაში უფალმა დალოცა.
შენც მიგაჯაჭვა კლდის ქიმზე
პრომეთეს რკინის პალოსა,
მარტოობაში რომ ქმნიდე
სიმღერებს სამომავლოსა;
შენ, სხვა არწივი გიკორტნის
მაგ მკერდს და ჯაჭვის სამოსსა,
და მაინც პოეტს ის გყოფნის-
ცად მზის და მთვარის ამოსვლა.
არავის ხელს არ გაუწვდი
ვინმემ რომ შეგიწყალოსა,
არც ჯაჭვის მსხვრევას დაუცდი,
არც უკვდავების წყაროსა,
ვერც დასძრავ ერთხელ ჩაჭედილ
შენში ღვთის რკინის პალოსა,
ღვთისავე ნალით ნაჭედი
ცალუღლად ლეწდე კალოსა.

27 ნოემბერი, 2009 წელი, თბილისი

## ვინ განმსჯის?

როგორც კი ჩემს მიწას ვაზივით მომკვეთეს,
ისეთი სევდა მაქვს, სულიც კი დაობლდა,
მარტო ვარ, დავშორდი ახლობელს, მოკეთეს,
და-ძმობის პურ-ღვინოც დაიქცა, დაობდა.

,,სულოო ბოროტო'',პოეტი გასძახის
საკუთარ ბედ-იღბლის შეუცნობ სიღრმეებს,
ვინ მეტყვის, ვინ განმსჯის თუ არის საძრახი,
თუ ბუდეამოშლილ ჩიტივით ვიმღერებ?

ვინ ხედავს ჩემს ტკივილს? სული ამ წამებით
როგორ გლეჯს, როგორ ღრღნის გულს როგორც აფთარი,
ვინ მკითხავს როგორ ვარ? რა დღით, რა წვალებით
მე, ხე მოკვეთილი და მიუსაფარი.

21 ნოემბერი, 2009 წელი, თბილისი

## წარსული

ვუახლოვდები სამოცდაათს, სასწორზე ვდგები,
დრო არ მოიცდის, ვიცი იქით გადასძლევს პინა,
მთელი სხეულით, მთელი სულით ნელ-ნელა ვდნები,
როგორც ქურაში შეგდებული მჭედლისგან რკინა.

წარსული ჩემი, გვალვით დამწვარ ყანას მაგონებს,
გაკაფულ ტყეში,ზაფხულის მზით,დამშრალ ნაკადულს,
რომელმაც ტანჯვით გააღწია ტყიან მთაგორებს
და ელოდება ღვთისგან იმედს უკვე დაკარგულს

სიმწიფის ხანა, ჭაბუკობა ლოთივით ვფლანგე,
დიდ სინანულს ვგრძნობ რაც სიცოცხლეს უფრო ვშორდები,
დრო მიტევს მკაცრად, ველარ ვიცავ სიმაგრის ფლანგებს,
და კიდეც მხვდება მოქნეული მისი შოლტები.

მსურს სადმეს შევხვდე ყოვლისშემძლე მიუნჰაუზენს,
ამ უფსკრულს როგორ გადავახტე იქნებ მასწავლოს,
ეს ღირს სიცოცხლედ! მკერდს მივუშვერ თუნდაც მაუზერს,
დავეცე ერთხელ, რომ წარსულმა აღარ მაწვალოს.

17 აპრილი, 2008 წელი, თბილისი

## ...და თქვას...

*ტატოს*

ოცნებებს შენსას, აფრენილს ზეცად
ბოროტი სული დღესაც კი წეწავს,
შემჯდარი ჭიად, ქცეული მხეცად,
შენს სიჭაბუკეს ამსხვრევს და ლეწავს.

მოვარდნილ ქარს და ჭიხვინა მერანს
სიყრმე და სატრფო თან გაატანე,
დროს, პოეტთათვის ყოველთვის ვერანს
ჩანგი ზედ ცეცხლად გადაატარე.

დღესაც დასჩხავის სული ბოროტი
შენს სევდიან ხვედრს, ბედსა და იღბალს,
,,განვედი ჩემგან!"-ეგ ხმა გოროზი
რჩებოდა შენში და ცათა მიღმა.

ყველა ყრუ არის, ყველა, გარშემო,
პოეტო, გულში ვიღა ჩაგხედავს?
მხოლოდ მერანი არის საშენო
და გასაფრენად გაწვრთნა, გახედვნა.

არის კი ვინმე ადამის ძეთგან
ამ ბოროტ ძალას თუ რამით სძლია?
მაშინ, მოხაროს მუხლი შენს ძეგლთან,
და თქვას: პოეტო, მთა დამიძვრია!

22 ივნისი, 2008 წელი, თბილისი

# სარკეში

სარკესთან ვდგავარ და ჩემს წარსულ ვიგონებ,
შემკრთალი შევყურებ ჭაღარა ორეულს,
შევიცნო, რა დავრჩი, ასე თუ ვიღონებ,
რა შემრჩა, მე დღემდე, რა-ხსოვნას შორეულს.

აღარ ჩანს თვალებში სიცოცხლის ციალი,
ნაღველი უხილავ ცრემლებად მოჟონავს,
საყდრისკენ ბერივით, რიყის გზით წიალი
აწყვია შენს ფეხებს და ხელებს კოჟროვანს.

ლოყებზე გაგიჩნდა ხანში სვლის ლაქები,
სადღაა ქოჩორი სქელი და ფაფუკა,
უბეშიც ვინც გისხდნენ ჭინკები, ამქრები
დრომ ერთად მოხვეტა და ცეცხლში ჩაფუქა.

ანაზდად კარს მომდგარ არც თუ ტკბილ სიბერეს,
გეტყობა, როგორ ღრმა ტკივილით განიცდი,
ცოტაც და გედივით ერთხელღა იმღერებ,
სიკვდილი მოვა და წუთსაც არ დაგიცდის.

განვედი! შესძახებ სარკეში ორეულს,
გინდა, რომ წარმოსდგეს შენს წინ ის ჭაბუკი,
თუნდ წუთით და თვალზე სევდის ცრემლს მორეულს,
შეიშრობ სიმღერით, ნაღარით და ბუკით.

და წახვალ მსუბუქად, შავ-თეთრი აფრებით,
ყვავილთა მორევში ნავივით შესცურავ.
წახვალ და ტანხორციტ ჭრაქივით ჩაქრები,
მხნე სულს კი, ცად უფალს კრავივით შესწირავ.

4 იანვარი, 2010 წელი, თბილისი

## დათუნა

ამ ძნელ დროში სიხარული მე ამ დონის,
არ მიგვრძნია ჩემს გარშემო მყოფთა წრეთი,
ჩემს ოდაში აჭიკჭიკდა იადონი,
ჩემი გულის კიდევ ერთი სისხლის წვეთი.

კიდევ ერთი ჩემი ხორცის ანაჭერი
ვაზის ნერგი, დაწიდნული ჩემში ფესვით,
ბალიშის ქვეშ ამოვუდე დანა მჭრელი,
ხარის რქით კი, ღვინო მისი მზისა შევსვი,

უფალს ვთხოვე, გზად მგლის მუხლი დაანათლოს,
იაროს და საუკუნე გაელიოს,
ლიახვზე კი ტირიფს ტყავი აათალოს,
მწყურვალს, პეშვით, მისი წვენი დაელიოს.

21 იანვარი, 2010 წელი, თბილისი

## მამას

წახვედი ომში, დამტოვე აქ მხოლოდ ერთი წლის,
დედის კალთაში,ძველი აკვნის ჭრელ არტახებში,
უმწეო, როგორც თოვლის ფიფქი, როგორც წვეთი წყლის
მცხუნვარე მზის ქვეშ დარჩენილი სურის ნატეხში.

ვიზარდე ობლად ჩემს გარშემო ძეძვის ეკლებში,
ჩემსავე მოყვასს სამარცხვინოდ ტანთ რომ ემოსა,
ყმაწვილს, რამდენჯერ მტრად მოსული შემცდა მეკვლეში,
მანაც იმდენჯერ განწირვისთვის ნარზე შემომსვა.

უსამართლობა, თავში ჩარტყმა, ჩაგვრა, დაცინვა
განკიცხულივით უშენობით განმაცდევინეს,
უფალმა იცის, რა უმანკო ცრემლი დამცვივდა,
რამდენი ჯამი შხამით სავსე დამაცლევინეს.

ტანით სიშიშვლე, სიცივე და ბევრჯერ შიმშილი,
დუხჭირი ყრმობა რა ულმერთო გადავიტანე,
იღბალი ჩემი ღობესავით მოშლილ-მიშლილი
დრომ უშენობით გაიმეტა ის თავიდანვე.

გეძებდი ყველგან, ზღაპრებში თუ დის ნახატებში
უკვე აღვსილი მძიმე სევდით, ჯერ უმეცარი,
ლოცვად შესული,ეკლესიის კედლის ხატებში
პატარას მსურდა, მათში ერთი, შენ იქ მეცანი.

ახლა მხცოვანი გუნებით ვგრძნობ, რა დარდი გაგყვა,
იმ სისხლის წვეთის უპატრონოდ აქ რომ დასტოვე,
უშენოდ მავალს, ბევრი სნება ფეხის მტვრად ამყვა‘‘
წყენა, ნაღველი, სულის ვნება და სიმარტოვე.

ყრმობიდან დღემდე მტანჯავს ფიქრი და სინანული,
რომ ვერ მოგძებნე, უფალს ასე რომ ჩავბარდები,
ჩაიწვერება მკვდრის მზე წითლად შუქმინავლული,
და მეც შენსავით, სადღაც დარდით დავსამარდები.

28 მარტი, 2010 წელი, თბილისი

***

დაგემშვიდობე მეგონა,
თითქოს წერტილიც დავსვი,
მე, რაღაც უნდა მეღონა
ყრუ-მუნჯი კაცის მსგავსი:

ყურები სანთლით დავიხშე,
ძელზე დავიბი თავი,
რკინის ჩაფხუტი დავიმხე,
რომ აგხვეოდა თვალი.

რადგან, აღარ მსურს ვათენო
ძველ ტკივილებით ღამე,
ჩემგან მონურად ნათმენო,
რომ არ ჩამძახო რამე.

არ წამცდენოდა სურვილი
შემომფრენოდი მხარზე,
არ მომძალვოდა წყურვილი
შევჯდე წიქარა ხარზე.

მაგრამ, რა ვქნა რომ მეხვევი
შენი გრძნეულის მკლავით,
და მეც მორჩილი ვემთხვევი
შენს ხელებს კრძალვით, მალვით.

მეფერები და მამშვიდებ,
ნაბავ ჯადოსნურ თვალებს,
ამბობ: ჯერ ცაა მეშვიდე,
ჯერ არ ჩასულა მთვარე...

3 აპრილი, 2010 წელი, თბილისი

## სვეტიცხოველი

კიდევ ათას წელს, შენს ბებერ ფუძეს
პატარა კენჭიც არ აატყდება,
იმ დრომდე, ვიდრე მცხეთაში ყურძენს
ბოლო მარცვალი ჩამააწყდება.

კიდევ ათას წელს მაგ ქვების ღაღადს
გულით უსმენდეს მოყვასი ჩემი,
შევიდეს ლოცვით ქრისტეში ლაღად,
განწმინდოს აწმყო, მყოფადი ჩვენი.

დრომ შენს ლოდებთან, შენს ცხოველ სვეტთან
წამოიჩოქა სამხვთო ხარივით,
ვერ შეგმუსრა და სისხლივით წვეთავს
შენი ოსტატის მოჭრილ მხარივით.

დაბერდნენ ცაში თვითონ ღმერთებიც
ამ ათასი წლის შორი მანძილით,
შენკი, ქართული სულისკვეთებით
უფრო აღმოჩნდი მათზე ხანგრძლივი.

ჩვენი ერთობის ცხოველო სვეტის,
კიდევ ათას წელს მოგვეც ჩვენ მადლი,
ავლოკოთ ჯვარცმის ცრემლების წვეთი
და შევეფაროთ ღვთისმშობლის მანდილს.

27 აგვისტო, 2010 წელი, თბილისი

***

აკვნიდან ვსვამდი დედის რძესავით
ლექსებს, ფშავიდან ვაჟას დაძახილს,
და მდენდა ტანზე უფლის ძესავით
ნაღველი, სევდა, როგორც ძანძახი.

მიტოვებული ვყავდი მეც ღმერთებს
ამ ქვეყნის ბოროტ კაცთა პირისპირ,
ვინც ჩემი ყრმობის თაფლოვან ღვენთებს
ბალღამს ურევდა ჩემი სტვირისთვის.

ახლა, როდესაც შევდგები მთაზე
და სულს მიბრუებს ალპური ველი,
პატარა ცრემლი მადგება თვალზე,
და ცას გავძახი, ხმით „ელი, ელი!“

10 სექტემბერი, 2010 წელი, თბილისი

***

ღვინის ლოთივით გავფლანგე მე დრო,
განძი, სიცოცხლით კაცს რომ ეძლევა,
ხალიჩასავით ის ცხვირწინ მეგო,
ლურჯი ფერებით, როგორც ენძელა.

უკვე ჭარმაგი, ბევრს ვნანობ ახლა,
რომ ვერ ვამჩნევდი ზედ მიწის ფერებს,
ოჰ, როგორ დიდი ტკივილი ახლავს,
აწყმო, ნამყოს შხამს ძარღვში რომ შერევს.

ამეხილა მე თვალი ლეკვივით,
და ვნახე მჭკნარი ნაწოვი ძუძუ,
სული დამშეულ ზეცას შეჰკივის,
ტანი განაგრძობს უმიზნოდ ძუნძულს,
გული ფართხალებს მოჭრილ ნეკივით,
და განა ვცოდავ ის წლები თუ მძულს?

ტკივილი ჩემი ორთავ თვალით ჩანს,
გამიმძაფრდება მერე და მერე,
დასჯილვარ ამით: ჩემს ლურჯ ხალიჩას,
რომ ვერ ვამჩნევდი ბნელ და შავ ფერებს.

22 სექტემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ვერ დაგივიწყე

ერთხელაც გნახავ, სადღაც შეგხვდები
და გული, ვიცი, ამიჩუყდება,
ვერ დაგივიწყე, რატომ ვერ ვხვდები,
ტკივილი რატომ არ მიყუჩდება.
დრომ გამიტაცა ურა ცხენივით,
ცხრა ქედი, ცხრა მთა გადამატარა,
მაინც არ გაშრა ძუძუს ხსენივით
ის, შენით რაც კი, ჩემში დამტკბარა.

მე, შენგან შორს და, ვინ იცის, შენ სად,
ვარსკვლავებს ვითვლით ბნელი ღამისა,
შევყურებთ ცას და, ამოგვდის კვნესად
გულიდან დღენი ჩვენი დრამისა.

მე, მარტო მყოფი, ობოლი სული,
ვცდილობ, როგორმე შენს კვალს მივაგნო,
მაგრამ, ჩემსავით შენც ხარ წარსული,
და გული რა წყალს, რა გზას მივანდო?

დაიწურება სიცოცხლე მალე,
და ბედი შენს თავს აღარ მაჩვენებს,
ეს წლებიც თუკი უშენოდ გავლენ,
იღბალს დავწყევლი და შევაჩვენებ!

15 ნოემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ეგ ჩემი სულია

ახლოა ზამთარი .ალუბლებს და ალვებს
ავად დასისინებს ქარი აბეზარი,
მოუძლვის ყიამეთს, მათ ცოდვით გაავლებს,
როგორც, რომ იუდა, ქრისტეს მაბეზღარი.

ზეცა აღვსილია ღრუბლებით და წვიმით,
ცრემლებად ჩამოსდით ხეებს ეს ნაწვიმი,
რაღაცა ფრინველი ხეზე ზის და წივის,
ვინ იცის ვისია სულის ეს ნაწილი.

აწყმოსიც, ნამყოსიც რაღაცა მეცნობა,
მარტოსულის ამ წივილით  ღაღადში,
მგონი გამახსენდა... და ყელში მეცობა,
ეგ მე ვარ, ამ ცივი ნოემბრის ავდარში.

ჯერ კიდევ ყრმობისას, ის ჩემი გულიდან
გაფრენას ლამობდა ფრთამალი ჩიტივით,
ეგ, ჩემი სულია ჩემი ღრმა წყლულიდან,
ხეზე რომ წივის და რაღაცას მიჩივის.

საშინლად მომინდა სიზმრები ამიხდეს,
თავი კი წარსულის ფიქრებით ბრუვდება,
მინდა ჩიტს შევეხო, რომ შვებად გამიხდეს,
ჩემი რომ არის და უკან არ ბრუნდება.

23 ნოემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ერთს ვნანობ

მოვკვდები, ველის ზამბახის თეთრი სუდარა მეფაროს,
გულზე კი, მაის-აპრილის ვარდ-ყვავილები მეყაროს.
ვაზის და ვარდის ფოთლები ჭრელი ნოხივით მეფინოს,
ანთებულ სანთლის ციალში ჩემს სულს მათ შორის ეფრინოს.
გადამეფაროს ქართლის ცის ლაჟვარდოვანი ზეწარი,
სამარადისო აღსავლად ობოლ სულისთვის ნეტარი.

შემოდიოდეს კარიდან მაისის წვიმის წანწკარი,
შაშვის გალობა, ნიავი ხან გიჟმაჟი და ხან წყნარი.
დრო და დრო ნისლებს და ღრუბლებს ელვა ქუხილით გამოკვეთს,
რომ ჩემთვის, ბოლოს, თუნდ წუთით ციდან არილი გამოკრთეს.
ცრემლი დამდინდეს ლიახვის წელში გადამტყდარ ტირიფის,
აქ, მე, რომ ვკვდები უმისოდ,ის, კი, უჩემოდ ტირის იქ.

წყლით განვიბანო ცხრამურის ჩამონადენი წყაროსი,
ემბაზი მზისა და მთვარის, მეცვას ცისფერი სამოსი,
მიტიროს ქარმა აპრილის, ატმის, ალუბლის ბაღებში,
სუდარა ამიფრიალოს ცისარტყელების თაღებში,
ჟუნა წვიმა მაისის ტიროდეს დედაჩემივით,
წყურვილს მიკლავდეს მაცხონოს ეულად მე დარჩენილი.

ტოროლამ ციდან დამტიროს ჯეჯილში წამოფრენილმა,
რძისფერმა ნისლმა ჩამძიროს სერებზე ჩამოფენილმა,
თავს მადგეს ცის ანგელოზი,ჩემები თავებდახრილნი,
ცოტა წუხილი, ცოტა სმა, მიყვარდა ღვინო და ლხინი,
დამაგალობოს ბულბულმა ჩემი თაფლობის დღეები,
ქართლის ლურჯი ცა, მამული, გადაბურული ტყეები.

ბალდახინი წინ, ჭიშკართან, მელოდოს შავი ცხენებით,
ისეთები, რომ განვლიონ ღამის უკუნი ჭენებით,
საიქიოდან მეეტლედ სულიერი ძმა მოვიდეს,
გამაქანოს მან, მანძილი ჩვენ შორის არცთუ შორი ძევს,
გამომყვეს უკან მე, ცოდვილს სევდა მწუხარე მთვარისა,
ცრემლები გულით ნადენი მხოლოდ ერთადერთ ქალისა!

ანგელოზი წინ წამიძღვეს ცისფერი კაბის მშვენებით,
წავალ, გავყვები ბალდახინს, მთვარესთან ჩავესვენები,
ერთს ვნანობ: ნატვრა თან მიმდევს წყენასთან დაწყვილებული,
საქართველო რომ ვერ ვნახე, მზესავით გაბრწყინებული...

30 ნოემბერი, 2010 წელი, თბილისი

# მოდი და მნახე

ჩემი დედ-მამის ბუდობა
ძველი ჯაჭვივით წყდება,
ვნაღვლობ და გულის წუხილი
ყოველ გასაძლისს სცდება,
რადგან, მაისის ღამის ცას
ჩემი ვარსკვლავიც სწყდება.

ყოველი ვზიდე მხარ-ბეჭით
მე, ადამისძის წესად,
დაღი ძმობაში ღალატის
აზის ჩემს ულვაშს, წვერსაც,
მოდი და მნახე ამ სასჯელს
როგორ მივათრევ დღესაც.

შუბლზე ღარებად გადამდის
ჩემი ბედ-იღბლის კვალი,
არავინ მძულდა ამ ქვეყნად
არავის მიმდევს ვალი;
ბევრი შემისვამს კახური,
ბევრჯერ ვყოფილვარ მთვრალი,
ვატარე, როგორც ყველამ მეც
ამ ქვეყნის ცოდო-ბრალი,
გავტყდები: ლამაზ ქალისკენ
დღესაც გამირბის თვალი.

ამ ქვეყნის ორღობეებში
რამდენჯერ შევხვდი ეშმაკს,
უმწყევსო ჯოგში ხარს და ხბოს
თავის უღლით რომ გეშავს,
ოცდაათ ვერცხლად ძველ ქამრით
ხმელ ფიჩხივით რომ შეკრავს.

მე სხვა გზა მქონდა მთვარისა,
სხვა რამ მასობდა ეკალს,
ჭალებში ჰელიკონისკენ
დინჯად ვადექი მე კვალს,
მენახა შიშველი მუზა
ციდან ღვთის ზარს რომ რეკავს,

პოეტს, რომ ჯადოს დაუგებს,
პოეტს, რომ კლავს და ვერ კლავს.

დღემდე მაისის ღამეებს,
დილითკი ცისკრის ვარსკვლავს,
შევხარი, რადგან ჩემში ბევრს
ნაღვლიან ფიქრებს ჩაკლავს,
და მეც ვიპოვნი, დრო მოდგა,
ჩემს სახნავსა და სამკალს.

მრავალი ღელე გავტოპე,
ფშანი და შენაკადი,
მთები, ქედები, მამულო,
შუქურად შენა მყავდი,
მიყვარდა შენი ლურჯი ცა,
ამ სიყვარულით მკლავდი...
ასჯერ მოვწყდები მე შენ ცას
ოღონდაც შენ აყვავდი!

3 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ნუ წამართმევ მუხლთა

არსთა გამრიგევ, თავს გავედრებ, არ მიმატოვო,
მეც მიმიყვანე, მიმიყვანე ღრმა სიბერემდე,
მზისა და მთვარის სავსე ძუძუ უნდა მაწოვო,
მანამდე, ვიდრე ბოლო სიტყვას დავიმღერებდე.

ზურგს ნუ შემაქცევ ამ ბოლო დროს, იქნებ ცოტა მეც,
უდარდელი და უშფოთველი დღეებით დავტკბე,
უჩინარ იყო, მხოლოდ მთვარე მიდგას მოწამედ.
სულის ჭრილობებს, რომ ვკურნავდი გველივით ნაკბენს.

სამარის კართან დადგომამდე ნუ წამართმევ მუხლთა,
არავინ მნახოს დავრდომილი, გართხმული მიწას,
იმ ღრუბელს ვგავდე გოლგოთაზე შენთვის რომ ქუხდა,
ან თაფლის სანთელს, შენს სახელზე, ხატებთან მიმწვარს.

ნუ წამართმევ მუხლთა, ამიყვანე რამე მაღლობზე,
მინდა ვიმღერო კიდევ ერთხელ, ზეცასთან ახლოს,
ჩემს გაყინულ სისხლს შენი მადლი მზესთან ალღობდეს,
ვკვდებოდე, მაგრამ მოტირალი არავინ მნახოს.

9 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ბაზარში

არ დამთავრდება საოჯახო გაწამაწია...
მტვრიანი ქუჩა, დანგრეული ''დეზერტირები'',
ფერად-ფერადი ხილეული ლაფში აწყვია,
თვალში საცემი, როგორც კინოს ფირზე ტიტრები.

ჩინური, თითა, ატენური, ატამი, ვაშლი,
ჩირი, ჩამიჩი, ჩურჩხელა და თხილი, ქოქოსი,
მომინდა სახლში... შემოდგომით ქარით ძირს გაშლილს,
გულზე ვიყრიდე ვაზის ფოთლებს ფერით ოქროსი.

ქორვაჭრები თუ ვაჭრუკანები, ქირის მუშები,
გლეხკაცის დოვლათს მანქანიდან აქა-იქ ცლიან,
უბრალო მყიდველს დაგეწყება გულის კუმშვები,
მოქალაქეებს რა გულდაგულ თევზივით ფცქვნიან.

ავიკაპიწე კოჭებამდე შარვლის ტოტები,
გადავალაჯე გუბეებს და სქელ-სქელ ტალახებს,
წინ მელობება თათრის გოგო წითელ ბოტებით,
ხელში მაჩეჩებს სხვადასხვა რამ ბაღჩის ბალახებს.

მახსოვს, აქ იყო ვიწრო ქუჩა და ქვაფენილი,
ღვინის სარდაფი და მეეტლე ზედ გაფრენილი.

13 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## სამოცდამეათე

სამოცდამეათე წელიწადს ვამთავრებ?
ეს კითხვა ჯიუტად ჩამიჯდა მე გულში,
ნუთუ ეს ცხადია? და წლები დავთვალე,
ცხადია! და თითქოს ყოფილა ეს გუშინ.

არ გალობს ბულბული, არც ქარი, არც წვიმა,
მთვარეც რომ აღარ ჩანს?მაშ ვიღას გავენდო?
ფრთებს სცვივა ბუმბული, მე ბედმა გამწირა,
არც კაცი ვინმე ჩანს, ფიცი ვთქვა და ვენდო.
და მაინც, შემეძლოს განვვლო გზა ახლიდან,
მიზნად მე, სხვა რამეს არ დავისახებდი,
მეწერა-ფორტუნა შუბლში ქვას მახლიდა,
არც გულში ბოროტ სულს არ ჩავისახლებდი.

დეკებრის მზემოკლე ცივ დღეებს, ღამეებს,
თითებზე ვითვლი, თვეს ხუთ დღეში მოვათევ,
ამოვა მთვარე ცად, დამლოცავს, მაამებს,
იქნება ჩემი დღის აღნიშვნის მოთავე.
რა ჩუმად, რა მალე ფეხებთან მოგორდა,
სამოცდაათი წლის ღრუბლების გორგალი,
შემცბარი სული მე დავაცხრო როგორღა?
ან გული, საძაგელ სიზმრებით მბორგავი.

ნუთუ ეს ცხადია!? სხვაც რამ ზის ჩემს გულში...
მგონია: ყმაწვილი ვიყავი მე გუშინ.

23 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ის ჩემში რაღაც

აუტანელი როცა ხდება ქუჩაბანდები,
ერთი სული მაქვს ქალაქიდან შორს გავაღწიო,
თავსაც ვამხნევებ: ,,მთლად ეშმაკსაც ნუ ჩაბარდები,''
რომ უნებლიედ გულში სისხლი არ გააცივო..

მაღლივ კორპუსთა შებინდული შუშაბანდები,
ქუჩის ასფალტი, ქვაფენილი, ღამის ნათება,
თითქოს მე მაწევს, და რაც ქვაა ქვაზე ნადები
სუნთქვას მიხუთავს, როგორც სიცხით ტანში ანთება.

ერთი სული მაქვს გადვიხვეწო სადღაც აქედან,
რომ შევერიო ლიახვის ან ალაზნის ჭალებს,
გავყვე ირმის კვალს ან აფრენილ ხოხობს და ქედანს,
იქნებ დავუსხლტე მეც მდევარის კბილებს და ბრჭყალებს.

როგორ მწყურია მოვეფერო ვერხვებს და ცაცხვებს,
ეს ვიცი, მახსოვს სიყვარულის რა ძალას აღძრავს,
ავლოკავ ცის ნამს მათ ფოთლებზე მირონად ნაცხებს,
გამილღობს სულს და ღვთის შეწევნით მთასაც კი დავძრავ.

როგორ მომინდა გადვიკარგო საიდღაც, სადღაც,
იქ მცირე მაინც, რომ სუფევდეს იდუმალება,
შევცურდე შიგ და ამოვიცნო ის ჩემში რაღაც,
რა ტკივილია, რა მაწვალებს, რა იმალება.

29 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## მიყვარს გაზაფხული

მიყვარს გაზაფხული,
მერცხალი, მზეწვია,
შობის მეკვლესავით
ადრე რომ გვეწვია.
მარტი და აპრილი,
ბულბული, მაისი,
წითლად მოელვარე
აისი, დაისი.

ორღობის ტყემალი
თოვლივით კაბაში,
ზედ ჭრელი პეპლების
ცეკვა და თამაში.

ალისფერ ყვავილში
ბაღებში ატამი,
მუხა და ალვის ხე
რა მხრები, რა ტანი.

მიყვარს ტყე ცოცხალი,
ნაძვები, ფიჭვები,
სოფლები, დაბები
და გოგო-ბიჭები.

ცაზე მზე ცხრათვალა,
მთვარე და ცისკარი,
და გულში ნასროლი
ამურის ისარი!

30 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## 2010 წელი

ისე დაბერდი, ისე წახვედი
არ დამრჩა რამე მოსაგონარი,
დღეები ჰგავდნენ ნიჩბით გახვეტილს,
ჩუმნი და ძნელად გასაგონარი.

მე კი, სხვა რამეს ვეძებდი შენში:
შემოსვლის დღიდან ქარივით ქროლვას,
სივრცეში ლაღად და არა ხვნეშით,
ნათელ იმედით ცისაკენ ლტოლვას!

წახვედი ჩემგან, არ მაგონდება
შენი ერთი დღეც ტკბილად მეგემოს,
წაიღე თან ის, რაც მაღონებდა,
იქნებ, სიზმარში თავი მეგონოს.

31 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი

## ვიცი ვიცირებ

*ერედვს*

წამოსვლის დღიდან სახსოვრად მაინც,
ხის ფოთოლიც არ გამომყოლია,
რა გვიან მივხვდი: შენს აპრილს, მაისს
ქვეყნად ბადალი არა ჰყოლია.

რა იქნებოდა, ჩუმად, უბეში
ერთი ყვავილი მაინც ჩამედო,
წამომყოლოდა როგორც ნუგეში,
მოვკვდებოდი და გულზე დამედო.

ოჰ, როგორ ვნანობ მე, შენი შვილი,
შენი რიყის ქვას ერთსაც ვერ დავწვდი,
რად ვიყა მაშინ როგორც შეშლილი,
რად დავძაბუნდი, წელში რად გავწყდი?

ლოყაზე ცხარე ცრემლი გორდება
შენი ყვავილის წვიმის წვეთივით,
მძიმე დარდივით გულში გროვდება
და შიგნიდან მჩხვლეტს შუბის წვეტივით.

ალბათ ვერასდროს გამოგიტირებ,
იქნებ გზა ჩემი სხვა მხრით გამეგნო,
სიკვდილის ჟამს კი, ვიცი, ვიტირებ,
შენი ქვა გულზე თუ არ დამედო.

10 იანვარი, 2011 წელი, თბილისი

***

ივლიან წლები, ასი, ათასიც,
წავლენ ძველები, მოვლენ ახლები,
რაც უნდა უფლის ვიჯდე კალთაში
ვიცი, მეც ბევრჯერ დავიმარხები,
დაღლილი, ბედთან, ღმერთთან კამათში,
მოვკვდები, ქვაში გარდვისახები.

წლების დინება მეც თან წამიღებს
როგორც ქარს მიაქვს თოვლის ნამქერი,
მთვარე სამოთხის კარებს გამიღებს
დილის მზის შუქით წითლად ნაფერი,
და თუ ღრუბლებით ზეცა აიმღვრეს,
ჩემი კვალი კი ბნელით ნაფენი...
მაშინ, გარემო ელვით გაირღვეს,
ნიშნად გამოჩნდეს მთვარის ნათელი,
ჩემს ფერფლს უფალი მუჭით აიღებს,
მთვარის გზას მოჰფენს უკვე გათელილს.

ის, ამაოთა ამაოება
ვიწამო? ეს, მე, მძიძგნის რა ხანი
დღესაც, რომ ისმის გამაოგნებლად.
კითხვა, ძველი და მარად ახალი.

15 იანვარი, 2011 წელი, თბილისი

## იქ მოდი ერთხელაც

საით გაგიტაცა ბედმა ასე შორს რომ,
შენი ლანდისაც კი კვალი წაიშალა,
ტყემლები, ბულბული გველოდნენ ჩვენ ორს რომ,
იქ მთვარე ნოხივით ისევ გაიშალა.

მოდი, ამ გლოვის ჟამს წუთით ზედ ჩამოვსხდეთ,
ზღაპარს მოგიყვები ათასერთ ღამისა,
გათენდეს, დაღამდეს, სულიც რომ ამომხდეს,
დე, ვიყო მსხვერპლი მე, იმ ერთი წამისა.
თუ გახსოვს ის მთვარე, და თუ მეც გახსოვარ,
შენს კაბის კალთაში ცრემლებით თავს ჩავრგავ,
შემიპყრობს წარსული მე მჭცოვანს, თან ხნოვანს,
რომ ველარ გიხილო, უფრო შორს დამკარგავს.

ტყემლები, ბულბული ისევ იქ გვიცდიან,
იქ მთვარის შუქია გაშლილი ნოხივით,
მათ მარწყვის გემოსი ამბორი იციან,
და ტკბილი ბინდ-ბუნდი ტყის თივის ქოხივით.

მოდი იქ, ერთხელაც, თუ კიდევ გახსოვარ,
მაშინაც მთვარის და ვარდების დრო იყო,
იმ ტყემლის ყვავილი მინდა შენს სახსოვრად,
მაჩუქე, მზისაგან დამჭნარიც რომ იყოს.

17 იანვარი, 2011 წელი, თბილისი

## თბილისი– 1990 წ

მაშინ სხვა ჟინი იყო,
სხვა სულის, ცამდე წვდენა,
როცა უეცრად გიპყრობს
ჯერ უცნობ ქართა დენა.
ჩვენ ერთი გვსურდა იქ მყოფთ:
ენა, მამული, რწმენა,
მწამდა, თავს დაფნით გვიმკობს
წმინდა საქმისთვის ზენა,
ისიც ვიცოდით ვინ გვყოფს
შიგნიდან ფენა-ფენა.

მაშინ, სხვა სისხლი დუღდა,
სხვა იყო აღმაფრენა,
ხალხი მეხივით ქუხდა-
,,ენა, მამული, რწმენა‘‘,
ცეკვა ცერებზე და მუხლთა,
სიმღერა, კოცნა, ლხენა,
იყო დალაშქვრა ზღურბლთა,
არწივთა გადაფრენა.

ცად აღმაფრენა იყო
და სულის ცამდე წვდენა,
ჩვენ ერთი გვსურდა იქ მყოფთ:
ენა, მამული, რწმენა!

23 იანვარი, 2011 წელი, თბილისი

## ქეიფში

ამივსეთ ყანწი, ან ეგ ფიალა,
ზედ დავეწაფო მწყურვალ ხარივით,
თუ ამიტოკდა გული ფრიალა,
თუ წავიქეცი მეც მუხრანივით,
თქვით, რომ ბახუსმა წამაწიალა
ვაჟას არწივის დაჭრილ მხარივით,
ლექსმა და ღვინომ გამატიალა,
დამკლა მამულში საღმრთო კრავივით.

არ წავიქცევი? ბედი მქონია!
ლაღი სიცოცხლის ჟინი მომივლის,
გაქრება ყველა მელანქოლია,
სული ცხრა ზეცის ლაჟვარდს მოივლის.

ღვინო და ქალი, მზე და მაისი,
ოჰ, როგორ გასძლებს გული ფრიალა,
აჰა, ხელადა, მიდი, დამისხი,
აჰა, ეს ყანწი, ან ეს ფიალა,
ვიცი მე, მათგან თავს ვერ დავიხსნი,
და თუ ბახუსმა წამაწიალა,
თქვით: მე, რომ ლექსი აბჯრად ავისხი,
გულს დარდად მედო, წამლად კი, არა!

21 თებერვალი, 2011 წელი, თბილისი

## უცნობ ლამაზს

რა დამავიწყებს სად შეგხვდი,
სად შემაფეთე თვალები,
ველარ გივიწყებ, მე შენი
ჯადოთი განათვალები.

შემოგევლები, როგორც ვარდს
მაისის დილის ნიავი,
თმებში ჩაგიწნა ჭრელ-ჭრელი
ყოჩივარდები, იანი.

ხელს მოგხვევ, გადამიტყდები
ლიახვის ჭალის ლელივით,
დამათრობს შენი სურნელი
თეთრი გვირილის ველივით,
მუხლებს წარმკვეთავს ტუჩ-ბაგე
სიპი ქვით ნალეს ცელივით.

წამლეკავს შავი ღრუბელი
შენი გიშერის თმებისა,
შემასმევს მწყურვალს პეშვებით
წყაროს მაღალი მთებისა.

ნეტარი ტკბობის ცრემლები
თვალებში ჩამიგუბდება,
ღრმა ძილის ერთი სიზმარი
შენით თუ დამიბრუნდება.

როგორც ცის ელვა, მკლავებით
თუ მხრებზე გადამევლები,
წყარო ვსვა უღლის ხარივით,
ვძოვო გვირილის ველები.

28 თებერვალი, 2011 წელი, თბილისი

## დაბადების დღე

სუფრა გაშლილა საჩემოდ:
მწვადები, ღვინო, ყანწები,
პური მოგვეცი გამჩენო,
ჩვენსავე ოფლში ნაწები.

სამოცდაათი შემისვამს
ჯიხვის რქით ჩემი სიცოცხლე,
დრო, ვიცი, ზურგზე შეისხმას
ლექსებს, რაც ვძოვე, ვიცოხნე...

წამოიფოფრა თამადა,
ყელ-კისერს ყანწით ილერებს,

თვალი ვისაცკი დაადგა
სძალავს ლექსებს და სიმღერებს.

მეც მინდა წავიღიღინო,
ურმული ღამის მეხრისა,
ჯერ ნაზად, როგორც ღიღილო,
მერე ხმით ციდან მეხისა.

მამა-პაპური ნამგლური
გულიდან ამოვიძახო,
ვეფხის მოყმისა და მგლური
„ჰკა მაგას“! მტერსა, ვიძახო.

ჰა, ლამის, როგორც ხანჯალი
დღესაც მსურს ამოვიწვართო,
ავისხა ტანზე აბჯარი
ნესტანი გამოვიტაცო.

ბევრჯერ ვყოფილვარ ძლეული,
უფრო მეტ ვძლიე მტრისასა,
დამიჩეხია გრძნეული
ლამს ჭამდა არაგვ-მტკვრისასა.

ჩემი აკვანი არწია
სიომ მცხეთიჯვრის ტყისამა,
ვერ მომკლა, ვერ დამაწია
შუბი მარჯვენამ მტრისამა.

სამოცდაათი დასრულდა,
წლები ლხინისა, ჭირისა,
რა მქონდა? ერთი, რაც მსურდა:
სიმტკიცე ქვის და კირისა.

უფლის ნებაც კი ვერ შემცვლის,
ვერც რაგინდ დრონი იცვალონ,
ასეთსა ვირჩევ მე ჩემს წილს
ასეთი გარდავიცვალო.

17 მარტი, 2011 წელი, თბილისი

# ათასი დღე დამიღამდა

*დედას*

მარტი დადგა, შენს საფლავზე
ია ამოვიდოდა,
ჩამოთბა და ღრუბლებიდან
მთვარეც გამოვიდოდა,
ვარდიც მალე აყვავდება
განთიადის ფერებად,
დილის ნამით დაცრემლილი
შენს სულს მოეფერება.
მაისობის თბილისი სიო
ტყემლის ყვავილს დაგაფენს,
მერცხალს მოგგვრის საჭიკჭიკოდ
თბილ ქვეყნებში გადამფრენს.
მეათასე ღამეს ვათევ,
დღეც ათასი დაღამდა,
ჭრილობა კი არ მოშუშდა
უფრო, უფრო, გაღრმავდა...
როგორ მინდა შენი კალთის
სურნელებამ დამათროს,
მე რომ მზრდიდა, ძუძუ-მკერდმა
კვლავ ბავშვივით გამათბოს.
ანთებული სანთლით ხელში
მუხლი მოგიყარო,
დამილოცო მონაგარი
მანდ რომ მოვიყვანო.
-,,ცოტაცა და დაგეწევი‘‘-
გზად შენს აჩრდილს შევძახი,
არ მპასუხობ, შვილს მანდეთკენ
სხვა დედა ვინ ეძახის.
ათასი დღე დამიღამდა
ღვთის სამართლის ცდაში,
ბედი მაინც ერთად შეგვყრის
დაწერილი ცაში.

18 მარტი, 2011 წელი, თბილისი

## რაც გულში რჩება

ლექსად ვთქვი ასი სათქმელი,
კიდევ ათასი დამრჩა,
დიდ ქვევრს მოვხადე სარქველი,
ვსვამ, ძირი მაინც არ ჩანს,
შიგ ელავს მთვარის სარკმელი,
ისიც, რაც გულში ჩამრჩა.

ვაი, რომ დრო აღარ მყოფნის,
კიდევ გავხედნო კვიცი,
გავლოკო ცოტაც ამ სოფლის
ერთი მარილის კვნიწი,
გავპოხო წვეთ-წვეთი ოფლით
თუნდაც მტკაველი მიწის.

რამდენს ათასი სათქმელი
ჩემსავით გულში ჩამრჩა,
როგორც ლამაზის სარკმელი,
როგორც დიბა და ფარჩა.

30 მარტი, 2011 წელი, თბილისი.

## ბაღის გუგული

აღდგომაა და მოვილოცო, მინდა, სამება,
გავიგონო, მსურს, დედო ზარის წმინდა გუგუნი,
თუ გაზაფხულიც მთაწმინდიდან მომესალმება,
ორთაჭალიდან გამომძახებს დილით გუგული,
განმიახლდება ჩემი გულის ძველით წამება,
პოეზიის და უფლის ცეცხლით გადაბუგული.

მსურს მოვისმინო პატრიარქის ქადაგებანი,
ვიცი იქ სულის ტკივილებიც დამიამდება,
განაძოს ჩემზე გადმოსული მავნე ვნებანი,
მირონის ცხებით მაზიაროს რჯულის დამდებმა,
განაძოს ჩემგან შეუცნობი უცხო სნებანი,
ვიდრე ჯერ ძალმიძს, ვიდრე მთლად არ დამიღამდება.

არარა შემრჩა ნიჭის გარდა ნებით ვეწამო,
უნარი, რას ხმობს დედო ზარის წმინდა გუგუნი,
აღდგომაა და არსობისა პურის მლეწავო,
,,ჭეშმარიტადო'', ვიძახდე მე, ბაღის გუგული,
გამამხნევე, რომ სიკვდილამდე თქვენით ვეწვალო,
ორ ცეცხლს შუა, რომ ჩავწვა ჩემი აზრი თუ გული.

24 აპრილი, 2011 წელი, თბილისი

## წლები

ცაში, რისხვით აგორგლილო ღრუბლებო,
მხარ-თეძოზე დიდ მუხის ქვეშ ვწვები,
დაიქუხეთ გაუვალო ჯუნგლებო,
გამახსენეთ ვაჟკაცობის წლები.

ტყვეობიდან მთვარე გამოუშვით,
თორემ წვეთ-წვეთ წყაროსავით ვწყდები,
სასთუმალთან ნაწნავს ჩამოვუშლი,
გამახსენოს სიყვარულის წლები.

თიბათვის მზე ცერზე ჩამოვისვა,
ავაფრინო გნოლები და მწყრები,
დილის ნისლი მხრებზე წამოვისხა,
გადავავლო ტანს ცხრამურის წყლები,
ატენური ღვინო ჩამოვისხა
სასმისებში დიდ ყანწს გადავწვდები,
დავლიო და ფრთები გამოვისხა,
გავიხსენო ჭაბუკობის წლები.

შვილიშვილი ზურგზე შემაცოცდეს,
აჩუ-აჩუს ძახილს დავიწყებდი,
ღმერთს გავუმხელ ჩემად ყველა ცოდვებს,
ცის ნამად და ცვარად ავირწყვები,
ჩემს მხცოვან თავს ცოტა შევაცოდებ,
გამახსენოს სიყმაწვილის წლები.

29 აპრილი, 2011 წელი, თბილისი

## ყვავილო!

ყვავილო, მცხეთის ბაღისა,
სანამ დუღს გულში ჟინი,
ვიფაროთ ბნელი ღამისა,
ლოგინად თივის ზვინი.
გნახო, თუ ზენამ მაღირსა
საკინძე გადახსნილი,
ველარ ვიჭერდე ალვირსა
შენს ყელზე გადასკვნილი.

აღარ მახსოვდეს არავინ,
აღარც მზე, აღარც მთვარე,
თითქოს მწურვალმა ქარავნის,
წყლით სურა მოგიპარე,
გმალავდე სოსანს არაგვის
ძლივას რომ მოგიკარე,
ველოდო ეტლით შარაგზის
მოლექსეს, მოგიტარეს.

მზე ჩადის, შენ მაგონდები,
ღამე და თივის ზვინი,
ყვავილო, გულს აღონებდი,
გულს, რომ უდუღდა ჟინი.

11 მაისი, 2011 წელი, თბილისი

## მომიკითხავენ

როცა იქნება, შენ, ჩემო წიგნო,
შენც წაგიკითხავს ვინმე ჭკვიანი,
მომიკითხავენ მე, გული მიგრძნობს,
მაგრამ იქნება უკვე გვიანი.

იხეტიალებ როგორც უცნობი,
როგორც ობოლი სხვათა კარდაკარ,
ვიღაც შეგნიშნავს, ვარდის ფურცლობის
და იასამნის ფერი რომ დაგკრავს.

შენ, მათთან ჩემი სული იქნები
და მიუვალი ციხის გოდოლი,
ამოუცნობი მძაფრი ფიქრებით,
გამოკეტილი შიგნით ობოლი.

19 მაისი, 2011 წელი, თბილისი

## ვიცოდი?

ამ ქვეყნად ბადაგი, შარბათი ბევრი ვსვი,
ყანწიდან, ფიალით, თუ ქალის ბაგედან,
ერთი დღით დავბრუნდე, ქუდს ჭერში შევისვრი,
იქ დრო ჩემთვის რომ ბროლის კოშკს აგებდა.

სად დამრჩა, ვიცოდე, რომელი მთის იქით,
სიკვდილის გზაც იყოს წავალ მე, იქ, ნებით,
ხელით, რომ ვერ ვწვდები და ვეღარც მისტიკით,
მხოლოდ თუ ქარივით აშვებულ ფიქრებით.

ნუკრივით ვწოვე მე, ქართული ვაზის და
ჩემი ცის შავლეგა ღრუბლების ძუძუნი,
ვიცოდი? მე ობოლს თუ ასეთს გამზრდიდა
მათი რძე და ქარის ჭადრებში ზუზუნი.

წამომკარ ბეჭზე და, პირიდან დამცვივა
ჩემი დედაენის რითმა და მარცვალი,
მეტადრე, თუ ღამით ვარსკვლავნი მაცვივა,
დღისით კი, თავს მადგას ზღვისფერი ცარგვალი.

გამიხევ პერანგს და, როგორც ტყის შაშვები
ამოფრინდებიან ,,მხედრული‘‘, ,,წინწყარო‘‘,
,,ხორუმი‘‘, გულ-ღვიძლში ქარიშხლის ამშვები
და შენი ღვთაება ზეკარის ცისკარო.

ამიტომ, ვიცი მე, ვინ ჰომეროსია...
ისიც, სად მთავრდება ჩემი ,,ოდისეა‘‘,
ფორტუნა სხვა სტუმრად დიახ, მეც მომსვლია,
შემწევნი? არ იყო და არც როდისმეა!

28 მაისი, 2011 წელი, თბილისი

## შემოდგომა

*ლექსი პატარა ბექასთვის*

შემოვიდა შემოდგომა
წითელ-ყვითელ ფერებით.
ვენახიანს, პურ-ხორბლიანს
მამულს მოვეფერები.

გადავხედავ შიდა ქართლის
ატმის, ვაშლის, ბაღებს,
ლურჯმთებიან კავკასიონს,
ორთავ ლიახვს, ლაღებს.

მომინდება მერცხალივით
ცაში ფრთებით ფრენა,
ფრთებს, რომ ჰქვია მამული და,
ჩემი დედა ენა.

21 აგვისტო, 2011 წელი, თბილისი

## შემოდგომა

*ლექსი გიოსთვის*

ოქროსფრად შეფერიანდა
ვერხვი, წიფელა, ჭადარი,
ზაფხული მიიწურა და
ყანა სამკალად მზად არი.

დატკბა დამასხი, ოტური,
კომში, მაყვალი, ქლიავი,
ვენახებიდან უბერავს
ვაზის სურნელის ნიავი.

ყურძენი დაიწურება,
ქვევრში იდუღებს მაჭარი,
ფრონედან ამოიყრება
კალმახი, მურწა, ჭანარი.

უფლის ნებითა და მადლით,
ქართლში ცა გადიწმინდება,
და მაშინ, ჩვენი სამშობლო,
მზესავით გაგვიბრწყინდება!

21 აგვისტო, 2011 წელი, თბილისი

## მუხადგვერდი

*ჯარისკაცების საძმო საფლავთან*

გეძახდათ სამშობლო ლუხუმებს,
ზეზვას, ვოჟას და მგლისმუხლა მინდიებს,
თქვენა ხართ მტრის ტანკის ლულებს და მუხლუხებს
უშიშრად, გულმკერდით ცეცხლში რომ მისდიეთ;
თქვენია, ცხინვალთან სისხლი რომ ჩუხჩუხებს
შინდისში- საკვირვლად მიწიერთ, ცისიერთ!

ბიჭებო, იცოდით, განა არ იცოდით,
ნაგეში პირსისხლა რა მგლები გეხვიათ,
მაგრამ არ შეშინდით, ქართულად ფიცხობდით,
ერთი თქვენგანი ხომ ათისთვის მეხია!

მტერს მაძღრად აჭამეთ ლამი და ქვიშანი,
მუმლი მუხასაო, მუმლი კვდებოდაო,
თქვენებრი მამაცნით და არა მშიშარნით,
მუხა ნამეხარი ფეხზე დგებოდაო...

ქედს ვიხრი თქვენს წინ და, შინდისის ბაღების
ბულბულის ნატირალ ვარდებს ზედ დაგაფენთ,
თითოს, თქვენს სახელზე ზეციურ თაღების
ლაჟვარდში მიმინოს, შევარდენს ავაფრენთ!

უფლის სასოება იმ დედას ვინც ძუძუ,
გაწოვათ და გზარდათ ამაყნი ჩაუქნი,
ისეთნი, მამულში დახვდება მტრის ძუნძულს
ვეფხვივით, ტურა რომ არაფრად ჩაუქრის!

8 აგვისტო, 2012 წელი, თბილისი

## სად მიმიჩენენ სამარეს?

სიკვდილს ვინ დაეჩემება...
მოვლენ ჩემები ქელეხზე,
თუ წამიტირეს ჩემებმა,
სხვანი:-,,აჰ, ვიღაც მელექსე’’...

ჩემზე ვინც წაიფშრუკუნებს
ყალბი იქნება ისიც,
რად უნდა ის ჩემს უკუნეთს
რაც ვერა ვნახე მზისით.

სად მიმიჩენენ სამარეს
მუხადგვერდი თუ კუკია?
მე, თორემ ვინმემ ამ რამეს
თავი ზედ გადაუკვლია?

სამ-სამი ჭიქის მერე კი
ხორცს დააყრიან ქცნატებს,
გავაძღობ რამდენ შერეკილს
რამდენს გონებით მჩატეს.

იქ, ჩემი ნეშტი დარჩება
და გამკივანი ილოლი,
ერთი ღრმა ორმო გაჩნდება
ქვა-ღორღით ამოქოლილი.

სული ჩემი კი შაშვივით
ვერხვის ტოტს შეაფრინდება,
იტირებს ობოლ ბავშვივით
მზე ჩადის, ცა რომ ბინდდება.

დრო გავა, თვითონ დრო იტყვის,
რომ გრანელივით მეძებოთ,
სული მთვარის გზით ცად ილტვის,
აქ ვერსად , მნახავთ მე, ძმებო.

ჩემი ლექსები ინახავს,
ჩემი ძვალ-რბილის სავანეს,
ვინც წაიკითხავს, ის ნახავს
თავი სად დავისამარე.

9 მარტი, 2013 წელი, თბილისი

## დროს უცდის სხვა ჯოგი

აღარ მინდოდა, მე, ფესვით მოკვეთილს
ცის ანგელოზი კვლავ გამომეხმიანა,
ქიშპობა ძმებ შორის, ახლობლის, მოკეთის
ჩახლეჩილ ყელიდან ამომეხრიალა.

აღარ მინდოდა, მე, მუზის პირბაგით
მეყვირა საქვეყნოდ: მტრის წინ „ნუ იყოფინ",
ნუ მიეცემით საღათას ძილს ბანგით,
მტერი გვყავს ცბიერი გარეთ თუ შინ მყოფი.

მრავალმა ქართველმა სამშობლო დაავდო,
საით და სად აღარ გაფანტა განგებამ,
მაშ რა ვქნათ? ტაძარი, ვინც ჩვენთვის ააგო,
სხვას დარჩეს სანამ აქ ეს ქარი ჩადგება?

შევაბათ ჩვენს მამულს ჯურხაის ფარ-ხმალი,
თან უნდა შვილები ვამრავლოთ წყვილ-წყვილად,
დროს უცდის სხვა ჯოგი, არ არის ახალი,
ლუკმად არ ვეყოფით, როგორც ქორს წიწილა.

დიდად საფიქრალი საქმეა ერისა,
თვისსავე მამულში ჯიშად არ დაიმცროს,
წყურვილი ჩვენი ცის ზურმუხტის ფერისა,
ათასი წლის მერეც ვერავინ დაიცხროს!

15 მარტი, 2013 წელი, თბილისი

## დასასრულთან ვარ

გადავიარე ველ-მინდვრები, ბევრი ძეძვნარი,
თვალს და ხელს შუა გამელია წუთიც სოფლისა,
ცოტა ბადაგი, უფრო მეტი შევსვი მე ძმარი,
ბევრი ვიყნოსე სურნელება მიწის ორთქლისა.

დასასრულთან ვარ, ამდენ წლების ნაწვიმ-ნათოვლი,
ვით გუთნისდედა ვდგავარ ბოლო ჩემს ხნულის კვალთან,
ნუგეში ჩემი-ცხელი სისხლით გული ნათრთოლი,
და ჩემს მამულზე დაბერტყილი ღვთის უბე-კალთა.

დასასრულთან ვარ, წუხილით და სევდით ვივსები,
ჩემი მზე თვალწინ, როგორ ჩადის ვარდის ელფერით,
გულზე მოწოლილ ნაღვლიან ფიქრს ავი თვისების,
მე, როგორც კაცი ისე ვხვდები, როგორც შემფერის.

მწუხარების ზარს ჩემს სახელზე თუ ვინმე დაჰკრავს,
ჩემი არყოფნა თუნდაც წუთით სოფელს აუწყოს,
ალბათ მიცნეს და დღესვე ვიტყვი რაც გულზე მაკრავს:
მაცადე, ღმერთო, მადლი, თვალში ცრემლით ავურწყო.

18 მარტი, 2013 წელი, თბილისი

## გამახსენდეს დრო რომელი?

გამახსენდა შორი წლები:
ღვინით თრობა, ტკბობა ქალით,
დარდიმანდის თავში მწყრებით,
თავში ველის ნიავქარით.

ჭაბუკობის შორი წლები,
ჩემი ტკბილი ოქროს ხანა,
დამიბრუნდეს? ჩავიწვები
შიგ ვით ცეცხლში პურის ყანა,
ისევ ისე თავში მწყრებით
ვუყურებდე ამ ქვეყანას,
ქალი, ღვინო დიდ ყანწებით,

ლხენით დღენი გამეყვანა,
ვერცხლის პერანგს, რომ ვაცმევდი
მთვარე ხელში ამეყვანა,
ღმერთო, მირონს თუ გასცემდი
დიდ ლიახვთან ჩამეყვანა,
იქ, გველეშაპს თუ ავცდები
ჩემთან სახლში წამეყვანა,
იარაღად ქვას დავწვდები,
სამშვიდობოს გამეყვანა...

ოჰ, სიცოცხლის ის მორევი,
დარდიმანდის ოქროს ხანა,
გამახსენდეს დრო რომელი?
სხვა დრო არის-გულზე ფხანა!

23 მარტი, 2013 წელი, თბილისი

## სამღურავი

ჩემი ობლობის პურ-ლუკმავ,
ამონაწებო ნაღველში,
იღბალო, პირით უკუღმავ,
ნაგდებო გველის ნახველში.

ტანჯვით ვატარე, ვათრიე
ბავშვობა უსიხარულო,
დღენი ვაღამე, ვათიე
უბედოდ, უსიყვარულოდ.

გზა მეგდო ეკალ-ბარდებში
სიკვდილ-სიცოცხლით ნაზავი,
ტყვედ გყავდი ჩიტი ბადეში
დედის წამებით ნაზარდი.

ცა ჩემთვის ჯერ არ გახსნილა,
არ მყავს მეოხი, ნუგეში,
გული ზღვა სევდით აღვსილა,
მძიმე ქვა მიდევს უბეში.

რატომ ვეწამე, რად ვევნე,
რა ბრალი მქონდა, ვის ვცოდე?
შენი მსაჯული, სავერნე,
ამ ხარკს რად მდებდა, ვიცოდე!
არ გადავსულვარ ზღვარს იქით,
მაშ რად ძმრად წამოდენილი?...
მე, გადაჭრილი ვაზის რქით
ცრემლს, შენით გამოდენილი.

26 მარტი, 2013 წელი, თბილისი

## იცყვიან?

წიკწიკებს საათი,
ზამბარა აწვება ქანქარას,
სიცოცხლეს ჩემსას თვლის წუთებად,
დრო მიაქვს საითღაც ქარ-ქარა.
დღეებად, თვეებად და წლებად.
ის წყარო, ჩემს გულს რომ უხდება
მწუხარს ხორშაკით ნაქარალს,
ვინ მეტყვის? ნეტავი ვინ ხვდება?
ჩემთვის სად, ან როდის დაწყდება?
იტყვიან? დააკლდა ამ ქალაქს
სიცოცხლის ძაფი რომ გაწყდება?

მე, მუზა მყავდა დაქალად
სულის და ხორცის განმწმენდად,
ზოგჯერ, დემონიც ამქარად
გულში ამბოხის დამწყებად.

1 აპრილი, 2013 წელი, თბილისი

## „კოკასა შიგან რაცა დგას“

არავის ეგონოს ვწუწუნებ, ვტირივარ,
დედის კალთიდანვე ეს ჩემი ხვედრია:
მე ჩემი სევდის და განცდების სტვირი ვარ,
რაც თვალით მინახავს, რაც გადამხდენია.

ვინ იყო პოეტი ამ ქვეყნად, მანიშნეთ,
მდიდრულ პალატებით თუკი არ ზეობდა,
ტყვედ ჰყავდა კოშმარულ ზმანებებს საშინელთ
და მაინც შაშვივით ის ენამზეობდა...

იმას ვწერ, რაც დღემდე ვიგემე, ვიწვნიე,
თაფლის და ნაღველის ნარევის ფიალით
აღავსილს, ბაგეთგან, ვით ყველა მიწიერს,
სამდურავი მდის ეს ოხერ-ტიალი.

11 აპრილი, 2013 წელი, თბილისი

## და დღესაც ნუთუ?

ჩემო მამულო, მრავალჟამიერ
ქრისტეს გზით გევლოს,
მოსწყდეს შენს უბეს იმერ-ამიერ,
ვინც შენს ძუძუზე გველობს.

ვერ დააბერტყე ბუგრი და მუნი
ცეცხლით აალებულ თონეს,
რად უნდა გედგას დღეები ჟრუნი
შენი წარსულის მქონეს!

ისევ შენს ძეთა საქმენით ავით
შობს შენში დანით კაენს,
და შენ, ღალატით დაკლული კრავი
გულს გაუხარებ ყაენს.

ეს უკვე იყო! ჩიბუხში თუთუნს
ტენიდა კრემლში, და დღესაც ნუთუ?

12 აპრილი, 2013 წელი, თბილისი

ჯამრატჯა

1961-1964 წ.წ.

## პატარა ჩიტო!

შენ, სულ პატარა, ჟღურტულა ჩიტო,
რად მოწყენილხარ ასეთი მარდი?
ვიცი, რომ გცივა, ზამთარმა გიმტრო,
შენ კი გწყურია ცაში ნავარდი.

იქნებ გაფრენილ და-ძმებს ჩამორჩი
და ბედი ქარში ამ ტყეს მიანდე?
ასეთი სუსტი, ციცქნა და ნორჩი
თავს რომ უშველო, მყუდროს მიაგნებ?

ო, რა საშინლად უბერავს ქარი,
ოჰ, რა ყინვაა საბრალო ჩიტო,
მოფრინდი ჩემთან, სტვენით მითხარი,
მე და შენ ბედმა ასე რად გვიმტრო?

1963 წელი, 5 მარტი, კამჩატკა.

## ყველგან ნაზია

შემოდგომა რომ ყველგან ნაზია,
მე კამჩატკაზე მტკიცედ ვირწმუნე,
ოქტობრის თვეში მკაცრი აზია
მოსაფერებლად არ დავიწუნე.

სად მთა ყაზბეგი და სად სოპკები,
ზოგი მაღლობი ბოლავს ჩიბუხით,
მიწას აკვრიან როგორც კოპები,
არსად უფსკრული, არსად ჭიუხი.

დავეხეტები არყის ტყეებში
მძიმე ფიქრებით და ნოსტალგიით
ამ გაუსაძლის დასჯის დღეებში
შეპყრობილი ვარ რაღაც მაგიით

ზღვას გადავყურებ არის მოქცევა,
ყრუ ხმით გუგუნებს გემის საყვირი,

იყო წამოსვლა თუ გამოქცევა?
მძიმე ფიქრებში ჩემს თავს დავყვირი.

ნაღვლის და სევდის სიმების ქნარი,
როგორც ტყვე ჩიტი გულში წრიალებს,
ჩემს წინ კი ცივი, ოქტობრის ქარი
ხმელ ფოთლებს ბლუჯად მიაწიალებს.

იმ დღით, მღელვარე და შფოთიანი
წყნარი და მშვიდი იყო აზია,
სუსტი მზე, ტყე კი ხმელფოთლიანი,...
მწამს შემოდგომა აქაც ნაზია.

ოქტომბერი, 1963 წელი, კამჩატკა.

## ახლა შორსა ვარ

გახსოვს? ვიყავით მინდორში ორნი,
ცისფერ გვირილებს ვკრავდით კონებად,
ის ყვავილები, ის დღენი შორნი
მე დამჩა მხოლოდ ტკბილ მოგონებად.

შენ მინდვრის ქარი გიშლიდა შავ თმებს,
გიშრიალებდა ალისფერ კაბას,
ის ერთი დღეც კი, მე რომ ვერ დავთმე,
ისევ იქ მითრევს, ისევ იქ მაბამს.

ავი ქარისგან მუხლს იფარავდი
და გიღიმოდა მარჯნის ბაგენი,
იმ ერთხელ კოცნას მე, რომ გპარავდი
სად დამეკარგა, ვერ მივაგენი.

ახლა შორსა ვარ, ის ქარაშოტი
წეწავს კამჩატკის ველურ ბალახებს,
ქორივით დაჰქრის არყებს აშოლტილს,
მაგრამ შენს მუხლებს არ დამანახვებს.

ახლა შორსა ვარ, ვულკანთაგან ახლოს,
აღარ ნელდება იმ ცეცხლით გული,
სული მძლევს, ჩვენი მინდორი ვნახო,
იმ გვირილებით ამოქარგული.

20 აპრილი, 1963 წელი, კამჩატკა.

## ავაჩის ყურის ნაპირთან ნოსტალგია

უკვე მერამდენედ გავდივარ ნაპირთან,
ტანში შემცივნული ბოძს ავეყუდები,
სად არის ზურგქარი, მე, რომ ზღვა დამპირდა,
და ნაწყენ ბიჭივით ბედს გავებუტები.

სადა ხარ, მზიურო, საქართველოვ ჩემო,
ჩემო საყვარელო დედი,
როგორ მინდა ღმერთმა ძილში მომაჩვენოს
შენი გადაშლილი მკერდი,
მეუფის ტახტისთვის მიწავ მონარჩენიო
ასჯერ აღამდგარო მკვდრეთით,
მეჩვენე სიზმრად, რომ იქნებ მომარჩინო
სნეული ამ მკაცრი ხვედრით.

სადა ხარ, მზიურო, ჩემო საქართველოვ,
ჩემო საყვარელო დედი,
გატეხილი გული როგორ გავამთელო,
როგორ შევიცვალო ბედი,
ზღვას გადავაფრინდე, სივრცე გადავთელო,
მომეცი ფრთები ქედნის.

აქაც, მე, კაჟს ვგავარ, და მცვივა ტალები,
როგორც ხალიბურ ფოლადს,
არ გავდედლებულვარ მე, ჩემს სხვა ტოლებში,
ვგავარ ცეცხლს ცაში მბოლავს,
სულს მიღრღნის მე; სულ სხვა ჭია და მატლები,
სხვა ქარს მივყავარ მქროლავს,
და ვიდრე მე, კაცი, სრულად არ გავტყდები,
რაღაცა ძალა მქოლავს.

მე ვერ მომერია ვერც ეს ქარაშოტი,
ვერც გაუსაძლისი ყინვა,
ყაზარმის ბიჭებთან ჭიდილი და შფოთი,
აქ ბევრმა გამიცნო ვინ ვარ;

ბედისგან აქამდეც ვიყავი ნაშოლტი,
ბევრჯერაც ყელს მჭრიდა მძინარს,
და ვერც მეთაურთა ბრძანება აღმშფოთი
ვერცა ზღვის ტალღათ გმინვა,
მე, ვერ მაშინებს და რა დღითაც დამშორდი,
ვერ ვიგებ, სხვა რაღაც მტკივა.

II

სადა ხარ, მცხეთიჯვრის წიფლის ტყევ ქოჩორავ,
ჩემო ბერისწყაროვ თხილის და ცხრამურის,
ჩემო გამოზრდილო ნიკორა ბოჩოლავ,
ჩემო სიყვარულო - ისარო ამურის,
ჩემო მუხის კუნძო, ბუხარში რომ ბოლავ,
ცაში რომ ლურჯად გდის სიკეთის ალმური.

ოჰ, როგორ მომინდი ლიახვზე, ზაფხულო,
შიშველი, რომ ვგავდი კალმახის ლიფსიტას,
მხოლოდ თუ ღრმა ძილში, სიზმრად თუ გნახულობ,
მაშინ, რომ ვაჯექი ყმაწვილი ჩიტის ფრთას.

ზღვაზე თუ ხმელეთზე ტრიალებს ქარბუქი,
ვეება ტალღები აწყდება ნაპირებს,
სულში ძლივს ციალებს მბჟუტავი პატრუქი,
და ვუსმენ გემების შორეულ საყვირებს.

მივედი ნაწილში, დავწექი საწოლზე,
ვერ ვგრძნობდი რით ვიყავ იმ დღისით ავად მე,
მაშინ, მე, უფსკრულთან ვიდექი სასწორზე,
და მაინც ნაღველი ვერავის გავანდე,
ეს კი ვთქვი ხმამაღლა: „დროა რომ გავსწორდე"!
და „ვეფხისტყაოსანს" შუბლი ზედ დავადე.

20-25 დეკემბერი,1964 წელი, კამჩატკა.

***

ზამთარო, როგორ გაგრძელდი,
კამჩატკის ცის და მიწისა,
ჭრილობასავით გაძნელდი
ნატყვიარ გულის ფიცრისა.

როგორ დაბერდით, დაძველდით
შენც და ეს ცივი სხვისი ცა,
გამთოშე ხორცით და ძვლებით,
მძევალი მხედრულ ფიცისა.

როგორ მომწყინდი, მომძულდი
სუსხიან ქართა ქროლვებით,
ტყე-ველი შენით მოძრული,
ღრმა თოვლით ჩანაქოლები.

მე ხომ მზის ქვეყნის შვილი ვარ,
თამარის წყარონასვამი,
ხარივით დაგეშილი ვარ
ქრისტეს ხელგადანასვამი.
წავალ დედასთან, შინ მივალ
დილის მზის ამოსვლასავით,
ღვთის ანგელოზი წინ მივა
ცისფერი წამოსასხამით,
ამინთებს სანთელს წირვისა,
დრო დამეწყება ახალი.

***

დღითი-დღე ზამთარი, აპრილით დაჭრილი,
კვდება და ნელა-ნელ იღვიძებს ბუნება,
თუკი რამ შემყარა ხორველა და ჭირი,
ჩამოვიბერტყო მე, დიდია ცთუნება.

მაისმა, მწვანედ და ველური ბალახით
არყის ტყის ველებზე გადაიხასხასა,
ჟუჟუნა წვიმებით, აზელილ ტალახით
ჩემს თვალწინ სამყარო მზით გარდაისახა.

შორს მოჩანს, ზღვის იქით, მბოლავი ვულკანი,
დილის მზე დალივით ტყის ფშანში ბანაობს,
ჟინჟლავს და მომინდა, როგორც ეს მურყანი
მეც ცისარტყელების ფერებით განმბანოს.

ის, აქ, მე ვახარე, მარტოა ჩემსავით,
რაღაცას მიყვება, რაღაცას მეძახის,
უკან ზღვა, წინ ტყე და წავიდე მე, საით?
ღრუბლებით მოპარულ უცხო ცას შევძახი.

***

მეც გარდავისახე, როგორც ეს მთაბარი,
ათასი უცნობი ყვავილით, რომ სუნთქავს,
თუ იყო აქეთ რამ, წალკოტის მაგვარი,
მე, ჯერ არ მსმენია, არავის არ უთქვამს.

უფრო ღრმად შევდივარ, წვიმის ცივ წვეთებში
ჩემს ირგვლივ მზე ყველგან ალისფრად ციმციმებს,
ნანატრი სითბო და ორთქლი დგას ეთერში,
და წუთით მავიწყებს კამჩატკებს, ციმბირებს.

არყების ამ ტყეში, ყვავილთა ამ ზღვაში,
წავაწყდი ლურჯად შლილ ჯეჯილის ღიღილოს,
გავცოცხლდი! მეცნო და ფერთა ამ ნაზავში
მომინდა გავგორდე და წავიღიღინო ...

ყვავილში ბრწყინავდა პატარა ცის ნამი,
ჭალარა დედის და სატრფოს ცრემლს რომ ჰგავდა,
ავღელდი, ამ წვეთში ქართლის მზე ვიცანი,
მანამდეც ტკივილით გული ზღვად ბორგავდა.

გადაშლილ ყვავილთა ბუჩქებს და ღეროებს,
მოვხვიე მკლავები მე, მთელი ძალღონით,
ავხედე უცხო ცას, გადამფრენ წეროებს,
და უცებ ფრთანატკენ ჩიტივით დავღონდი.

***

ჩემო ყვავილებო, გვირილა, ღიღილო,
და შენ, არყის ხეზე ასულო ხვიარა,
ასე გულდამწვარმა, როგორ გაგიღიმოთ,
ნაღველმა თუ კი ჯერ არ გადამიარა.

რატომ მომაგონეთ ჩემი საქართველო,
ლიახვი, მინდვრები, სათიბი ყანები,
დღეს კი ეს ხვედრია - ფიქრებს დავათენო
ცივი და უმთვარო საშიში ღამენი.

და შენც, წვიმის წვეთო, ფოთოლზე რომ ბრწყინავ,
რატომ მომაგონე ჩემი მზე, ჩემი ცა,
იმ ჩუმ ცრემლს, რომ არ ჩანს თვალზე ვინ მომწმინდავს,
იღბალი? ჩემთვის ის უროა, გრდემლიცა!

ეს ბედისწერაა! ალბათ აქ დრო შემცვლის,
მამულის სიშორე გარდამქმნის სხვა კაცად,
თქვენს წვეთებს შევხვრიპავ ოქროსი და ვერცხლის,
და მჯერა ვიქცევი ჯერ ჩვილი-ვაჟკაცად!

მე გული ბევრს მიგრძნობს, ხვალაც და წლის მერეც,
ბევრჯერ მოგეხვევით ბუჩქნარს თუ ყვავილნარს,
სიზმრად ხომ მაჩვენებთ სამშობლოს ცის ფერებს?
და შიშველ ფეხებით ყრმობაში გავლილ ნარს.

***

ტოროლა გალობდა ვერცხლისფერ ღრუბლებში,
მზის შუქიც ხანდახან ცას წითლად ფარავდა,
გავჩერდი, ღილს ვიხსნი, ხელს ვიყოფ უბეში,
მეგონა გულს თითქოს ვიღაცა მპარავდა,
დავმწუხრდი, ოჰ, როგორ მწყურია ნუგეში,
სამყარო ჩემი აქ, რომ დაპატარავდა.

სიცოცხლით ხარობს ეს პატარა ველობი,
ბილილის, ღიღილოს სურნელით ვბრუვდები,

ამ ფერებს, ამ ფრინველს მე, აქ არ ველოდი,
და ქართლის მინდვრებში ოცნებით ვბრუნდები.

უეცრად ჩემს შიგნით ათასჯერ გამძაფრდა
სადღაც გადახვეწილ ნაღველი კაცისა,
რას ვიზამ? თუ ბედმა, მე, აქ არ გამზარდა,
მაინც მსურს ტრფიალი ამ მიწის, ამ ცისა.

***

ერთხელაც, ივლისის კვირა დღით სისხამზე,
მომინდა სალდათის ხუნდები დავყარო,
ვიღაცა მეძახდა მაცდურად სხვა ხმაზე:
„გადახტი მესერზე, გაიცნე სამყარო“!

და მეც ხმას გავყევი, ვიდრე ბუკს დასცემდნენ
მეზობლად გორაკზე დილის მზეს წინ დავხვდი,
ცა ლურჯი, მზე და ზღვა ჭრელ პერანგს მაცმევენ,
რომლებიც ოცნებებს და ჩემს სულს წმინდას ხდის.

გავყურებ ლურჯ სივრცეს, სოპკები, ვულკანი,
ზღვა და ტყე სამარის სიჩუმეს მოუცავს,
ეს მიწა, ეს კუთხე ცივი და მსუქანი
მაოცებს, ბუნებას რა კოხტად მოურთავს.

ვფიქრობ და ყურს ვუგდებ გემების საყვირებს,
დრო და დრო ხსოვნა ჩემს მიწაწყალს მაგონებს,
მოვეჭდე არყის ხეს და სივრცეს გავყვირე
ტკივილით, რომელიც ამ წუთში მაღონებს.

ძახილი, სად ქართველს ფეხი არ დაუდგამს ...
ხუთი დღით სამხრენი, ქამარი შემომხსნეს,
დამრღვევი სალდათის დასჯას წინ რა უდგას?
და მე, ბნელ საკანში, ხმელ ნარზე შემომსვეს.

23 ოქტომბერი, თბილისი.

***

ხანმოკლე ზაფხული მკვდრის მზით და,
ზღვის ქარით, ღრუბლებით, წვიმებით გავიდა,
ღიღილო, ქართლში მე, ცისფერით რომ მზრდიდა,
ნელ-ნელა გახმა და მიწაში ჩავიდა.

ოქტომბრის ბოლოა, თითქოს თოვს, თანაც წვიმს,
სულ მალე ჩამოთოვს ორ მეტრს და სამსაც კი,
ხუთიოდ ქართველნი ვღიღინებთ, განა გვწყინს,
ამაყი სულით და გულებით მამაცის.

ბეტონის გზას მივდევთ ხელგადახვეულნი,
,,საქართველოო ლამაზო‘‘, ვმღერივართ,
ვაზი ხარ ულვაშით სარსგადახვეული,
ჩვენ კი მაგ ფესვების აქ თითო ღერი ვართ!’’

დავსველდით, თოვლწვიმა სახეზე ჩამოგვდის,
ტუჩებზე ვილოკავთ წვეთებს და ფანტელებს,
რასაც ჩვენ ვიძახით, რაც გულით ამოგვდის
ქარს მიაქვს და სწვდება გემების ანტენებს.

***

ყაზარმაში, ჩემს ლოგინზე ფანჯარასთან,
წამოვწექი და ვკითხულობ ბელას, ანას,
თავთით მედო - სულ დამქონდა ფანჯარასთან,
უეცრად, რომ რაღაც ძალამ შემაქანა.

მიწას მკაცრი, ყრუ გუგუნი აღმოასკდა,
ტორტმანებდა ყაზარმა და ზეცაც მგონი,
ხის კედლები, ფანჯრის შუშა ისე დასკდა,
ჯერ არ მქონდა არავისგან განაგონი.

ვულკანი ბოლავს და ხეცხლსა ჰყრის ჰეფესტო,
ცას სწვდება ყვითელი ფერფლი და ნაცარი,
თითქოს ხმალს უჭედავს ტროელთა მეფესო,
ჩაქუჩის ისეთი და უროს ხმაც არის.

ზეცა და ტყეები, ყვავილთა ველები
ყვითელმა ფერფლმა მთლად თიხისფრად დაფარა,
ღრუბლები წვიმით და ქუხილით, ელვებით,
ვულკანს ზედ დაეხვა აგეჯრილ ფაფარად.

***

ოქტომბრის მიწურულს, სცვიოდა ფოთოლი
ველებზე გაშლილ და ბორცვებზე არყის ტყეს,
ვხედავდი სერებზე ნაადრევ მოთოვლილს,
მედუზებს, ზღვის ტალღით ნაპირზე გაყრილებს.

ტყეში ღრმად შევედი უსაგნოდ, უმიზნოდ,
ფიქრებით დავძიმდი დაგდებულ კუნძივით,
რაც მე მჭირს, ისარი რაც გინდა უმიზნო,
ააცელ, მრუდეა ეშმაკის კუდივით.

ბებერ ხეს მივეყრდნე ძირს ტოტებდაშვებულს,
მესამე წელს ვითვლი, თვეებს და საათებს,
ველარ ვძლებ, ტყვეს ვგავარ ჯაჭვიდან აშვებულს,
სხვის ჭერქვეშ ერთ დღესაც, რომ აღარ გაათევს.

პირქუში დღე არის, ქარი ტყეს წივილით,
სტვენით და გრიალით ქორივით გარს უვლის,
მეც ასე - სიცოცხლის ნაწილი ყივილით
დამძახის, აქ რომ ვტოვ, არც ფუჭად გასული

## აჰა, ეს ხურდა

მშვიდობით, წყნარო ოკეანევ, ლურჯო უდაბნოვ,
თვალუწვდენელო, ტალღათა და ქართა სამეფოვ,
განშორებისას კიდევ ერთხელ ჩემს გულს უნდა რომ,
შენი მორევის ამ გუგუნში სულით ჩავეფლო.

გადმოსასკდომად ერეკები ვით ცხენთა რემას,
ქარით წამოშლილ, აქაფებულ, ფაფრიან ზვირთებს,
ვუყურებ შენგან უკაცრიელ ნაპირთა ნგრევას,
და რაღაც ძალა შინაგანი კვლავ შენსკენ მითრევს.

დღეს ბოლო დღეა, მოვედი, რომ მახსოვდე მარად,
ისეთი, როცა პიტალო კლდეს შემოასკდები,
რომ სული ჩემი, მაშინაც კი არ იყოს წყნარად,
როცა დრო გავა, როცა ხსოვნას შემოაკლდები.

მე ჭაბუკი ვარ, შენი სივრცის იდუმალებას
მთელი სისხლ-ხორცით შიგ ვერევი ლურჯო სტიქიავ,
წილი შენც გიძევს, ამ ტყეების ყრუ მდუმარებამ
უფსკრულისაკენ დღემდე რომ ვერ გადამიქნია.

აგვისტოს მზეა, ტანზე მესხმის შენი შხეფები,
და ვემსგავსები ნათლობის წყლით წარმართს განბანილს,
ჩემს პოეზიას სიკვდილამდე შენი შეხებით,
ფუძეთ ექნება ეგ შფოთვანი როგორც ანბანი.

აჰა, ეს ხურდა! იქნებ ბედმა კვლავ გადმომაგდოს,
შენს ველურ ტალღებს შევეგებო ახალს და ახალს,
ჩემს სურვილს ვიტან ამ მონეტას - ლამაზ მონაგონს,
მაგრამ, მე ვიცი, დაგტოვებ და ვერასდროს გნახავ!

აგვისტო, 1961-1964 წელი, კამჩატკა.

აგვისტო - 2008



# მე დავბრუნდები

მე დავბრუნდები სამაჩაბლოში,
ლიახვს ავყვები წყალ-წყალ როკამდე,
ჩემს მეგობრებთან სადმე დაბლობში
ღვინის ჯამს დავლევ გამოლოკვამდე.

გავიშხლართები წყალთან გულაღმა,
ჩემს ცას მეწამულს ,,ლილეს‘‘ შევძახებ,
გადავერევი ღურღუმს მუდამ ღრმას,
და მერე მამულს ტუჩებს შევახებ.

შემოვეჭდობი მთებს მაღალ-მაღლებს
მცხეთისჯვრის ტყისას, ორბოძელასი,
მოვძოვ ხარივით მათ იალაღებს
პირიმზის, ქუჩის და ენძელასი.

ავყვები ხევ-ხევ ბერისწყაროებს,
ვნახო საყდრები, ხრამთან ელია,
გავასუფთავებ სანგრებ-ხაროებს
მტრისას, დღემდე, რომ არ დამელია.

ავყვები მაღლა პატარა ლიახვს,
გავქელავ შამბებს ჩაბარუხამდე,
აქაც გავივლებ წყალში ტანს, დიახ!
ვიდრე ერთ არაყს გადავხუხამდე.

ტანზე მოვიხვევ ყლორტებს ტირიფის,
რომ გამიყუჩოს ძველი ტკივილი,
მტრედს გადავაფრენ მთების პირიქით
ქორებს რომ გააქვთ წივილ-კივილი.

მოვეფერები ყველა ჩემს სტუმარს,
ვინც ჩემთან მოვა პალმის ღეროთი,
მე ვარ! შევძახებ ზეკარას მდუმარს,
მე, შენი შვილი, აქ რომ ვმღეროდი.

2008 წელი, თბილისი.

# ჩემსას რად ეპოცინები?

რამ გაგამხეცა, რუსეთო,
ასე რამ გაგანადირა?
ვახტანგ მეფემ რა, ხოხობზე
შენს სტეპში გადინადირა?

შუბი შენს მთვარეს ესროლა
თუ ფეხი შენს მთებს დაადგა?
მაშ, რა სურს შენს შვილს, ჩემს მიმართ
უკეთურ გზას რომ დაადგა?

რამ გაგამწარა ასე და
ასე რამ გაგაბოროტა?
საქართველო რა, ათას წელს
შენ უნდა გადაგყოლოდა?

რამ გაგაცოფა, რუსეთო,
არენის წითელ ხარივით,
იმან, რომ აღარა გყავარ
გვერდში მარჯვენა მხარივით?

მე რა, დამკარგა ვინმემ და
შენ მგზავრმა გზაში მიპოვნე?
თუ ხმლით და ნიჭით მოვსდევდი
ისტორიანის ვიწროვნებს.

განძი რამ ხომ არ გგონივარ
შარაგზად ნაყაჩაღარი?
ან გასაცვლელი მონეტა
ბანქოში ნაჩალიჩარი?

ჩემი სამშობლო ვინმემ რა,
ფეშქაშად ხომ არ გაჩუქა?
რომ ველარა სთმობ რაც ძალით
შეგკვრა ნამგალმა ჩაქუჩმა.

თუ ლამაზები გაგტაცე,
ელენე, ყამარ-ნესტანი?
მაშინ საიდან, ეგ ბოღმა,
ეგ შხამიანი ნესტარი?

შენი გაქვს მაშრიყ-მაღრიბი
მე, ჩემი მთების ტინები,
მაშ, რა არ გყოფნის, რუსეთო,
ჩემსას რომ ეპოტინები?

27 ივნისი, 2008 წელი

## გიორგი ღონიძეს

მოდი, გოგლა, ერთხელ კიდევ
ჩემი ოლე ნახე,
ლიახვთან, რომ კიდით-კიდე
ცა, შავ ღრუბლებს ახვევს.

შიგ რომ ჩემი ბუდე იყო,
პირმშო ლერწმის აკვნით,
ცეცხლს მისცა და ნგრევას მიჰყო,
მოსპო ერთი დარტყმით.

მოდი, ნახე, ლურჯა რაში
,,მიწას მიჭედილი'',
ამოწვდილი ხმალ-ქარქაში
ყელზე მიჭერილი.

ნახე ოლე, დამეხილი
რუსის ტანკის ლულით,
და ღალატით გატეხილი
მთვარესავით გული.

მოდი, ნახე, ოლე, გოგლა,
,,დამრეც'' კლდეზე მდგარი,
ნახე, მტერმა როგორ მოკლა,
როგორ გდია მკვდარი.

თქვი, გოგლა, რომ ეს ,,მარტო'' ხე,
ეს ობოლი ბუჩქი,
არ ეძებდა სხვა სამოთხეს,
სული ედგა ურჩი.

ცის ელვა თუ ღრუბელთ მეხით
თუ ზეკარას ქარით,
შემოდგომის წვიმის შხეფით,
მოტეხილი მხარით,

იქ უნდოდა ქაჯებისგან
მოტაცებულ ნესტანს,
ოღონდ, დახსნა ჯაჭვებისგან
კლდეზე დაბმულ კენტავრს.

მოდი, გოგლა, ეს ღვთის კრავი
ხელში აიყვანე,
შემოხვიე მწყემსის მკლავი,
დედას მიუყვანე.

მოდიოდა შენსკენ მაგრამ,
მგელმა კბილი გაჰკრა,
სისხლი სდენდა წვეთ-წვეთ, გრამ-გრამ,
და ოცნებაც გაჰქრა.

მოცურავდა, როგორც ტივი
შენსკენ ყველა ფესვით,
ტირიფისგან გათლილ სტვირით,
სალამურის კვნესით.

მოცურავდა, როგორც მორი
შენთვის დედაბოძად,
წამების გზა ეგდო შორი,
არავინ ჰყავდა მოძღვრად.

მოდი, გოგლა, მნახე ოლე
გამოღადრულ ყელით,
რა უღმერთოდ ჩავიქროლე
მოღალატის ხელით.

ბატკანივით, ერთხელ კიდევ
ხელში ამიყვანე,
ცას შეუდგი დიდი კიბე,
ღმერთთან წამიყვანე.

15 ოქტომბერი, 2009 წელი, თბილისი.

## შენ

პურიც გაჭმიე, ღვინოც გასმიე,
ქალიც მოგეცი გიშრის თმიანი,
მიწა ჩემშვილთა შენთვის დავთმიე,
მიწა, მინდორ-ველ, მაღალ მთიანი.

შენკი, რა ჰქენი, მადლს ასე მიხდი
ღალატით, როგორც მტერი ვერაგი?
ასეა ეს და, ნეტა თუ მიხვდი,
ტანთ ვინ ჩაგაცვა სისხლის პერანგი!

10 დეკემბერი, 2009 წელი, თბილისი.

## არ შემხსნა რკინის კარები

არ შემხსნა რკინის კარები
ზეკარა, იალბუზისა,
არ დამიდუმო ზარები
ბიჭვინთის ტაძრის ფუძისა.

არ დამიწყვიტო ენგური,
ლიახვი, ფრონე, მეჯუდა,
სადაც მარხია ეს გული
და ცა დამნათის მე, ლურჯად.

მთებო, ძუძუნი აწოვეთ
წყაროებს ბერის, თხილისა,
ცაო, აწვიმე საძოვრებს
და ტყეებს მუხა-რცხილისა.

არ დამიწყვიტო გამჩენო
ფშანები, ღელე-ღულები,
აქ, არასოდეს მაჩვენო
ტყვიით ნატენი ლულები.

არ დამიდუმო ჩიტები
მზეწვია, შაშვი, ბულბული,
არ დამიფეთო გვრიტები,
არც გაზაფხულის გუგული.

ღმერთო მიმრავლე ოთხკუთხივ
ოდა სახლები, კერები,
და შიგ ჭიკჭიკა ოთხ-ხუთი
გოგო და ბიჭუკელები.

ნუ გადააგვი ამ მიწას
ჩემი წინაპრის ნაკვალევს,
მაყურებინე ღამის ცას,
მთვარეს, მზესა და ვარსკვლავებს.

აქ, ჩემი ფუძის ანგელოზს,
ნებას გთხოვ, ასვა ბადაგი,
მომმადლოს ტყე-ღრე ვაგელვო
ცხენი კენტავრის სადაგი.

დავაფრთხო ყველა ნადირი,
შუბი ვუწვდინო მთვარესაც,
ვპოვო მოყვარე ნამდვილი
მტერს ვძლიო შინაც, გარეთაც.

30 იანვარი, 2007 წელი.

## აქედანა და როკამდე

ჩამავალი მზე ციალებს
კარალეთის გზის ჭადრებში,
ქარი ნისლს მიაწიალებს
მთებს, რომ მოასხას ჩადრები.

აღმოსავლეთით ზეკარას
ოქროს სხივები ლოკავენ,
ნეტა რა ძალამ შეჰყარა
ქაჯები იქ რომ როკავენ,

ეს ჭირი რატომ შემყარა
აქედანა და როკამდე.

გადავირბინეთ მარანა,
ტყვიავი, ტირძნის-შინდისი,
გზად ვფიქრობ: ფასობს განარა,
თუ არა კაცთა სინდისი,
ბოლმა აქვთ ამათ, თანაც რა,
ძუძუ მომჭრან შიგ ძირში.

გამოჩნდა ჩემი სამტრედე,
ყვავს დაუდვია კვერცხები,
მოვა დრო, ჯოხით ვამტვრევდე
რომ ვაჭიკჭიკო მერცხლები,
დავყვირებ, ცამდე ამტვერდეს,
ცხენთა ნალს დინდეს ცეცხლები.

ლიახვის სიპზე ავლესავ
ხორანსულ ხანჯალს ამჯერად,

ზვავად მივალ და წავლეკავ,
მტერს მოვჭრი ძირში მარჯვენას!

15 სექტემბერი, 2006 წელი, თბილისი.

## ვირომ თქვა

*მერაბ მინდიაშვილის ხსოვნას*

ვირომა მინდიაშვილმა
კეხვში კლდეს დასცა ისარი,
გზა დილაღამით ჩახერგა
ჯერ ცას არ აჩნდა ცისკარი.

მტერს კი ხმამაღლა შესძახა:
ეს მიწა დედაღვთის არი,
ზედ ჩემი კვალი ღაღადებს
როგორც ხანჯალზე ტვიფარი!

ვერ გაძეხ ქართლის ძუძუთი,
ვერც ჩემი პურით, ღვინითა,
მოხვედი უჭმელ-უსმელი,
აგავსე ქეჭრელ-ხრილითა,

მერე და მერე უმადურს
სხვადასხვა გვარის ხილითა,
მერე, ჩუმადაც მპარავდი
გუდით, გოდრით თუ ხვირითა;

ახლა, მიწა გსურს წამართვა,
ნეტა რა ნამუს-პირითა?
წადი, წარმართო, მიხედე
სამშობლო ხომ გაქვს იქითა?

თორემ, ბერდენკას შევმართავ,
ტანს ზარავს შავი ბზინვითა,
მე, მამულს ვიცავ, იცოდე
გადაგძოვ ბალახივითა!

17 თებერვალი, 1991 წელი, თბილისი.

## შვილი შენიც

ბეჟანიც მოჰკლეს! გაუყენეს ძმის კვალს იგიც და,
გვამის გარშემო „სიმდს“ ცეკვავენ ბაღათარები,
ქურდულად დაგხვდნენ და მახვილი ველარ მიგიწვდა,
რომ ნადირისთვის დაგეთხარა ბილწი თვალები.

ვაი მამაშენს, შესანდობარს შენს ძმისას ვსვავდით,
შენით ცოცხლობდა და შენც, აგერ, ბედმა გიმუხთლა,
ეს ხვედრი მძიმე, ლოდზე მძიმე სამასჯერ სამგზის
ვინ აზიდვინოს, შვების სიტყვა ვინ უნდა უთხრას?

ვალში კი არ ხარ, მისთვის წოვე ძუძუ ლიახვის,
რომ მტრისთვის რისხვა ყოფილიყავ, მოყვრისთვის მხარი,
აქ ალგეთია, შვილიც შენი ტყვიას მიახალის
იმას, ეს მიწა ვისით არის ასე მწუხარი.

28 თებერვალი, 1992 წელი, ერედვი.

# პოპოვიჩს!

გახსოვდეს, ჯავრს ვიყრი მანანე რაც კი მე,
არ მერქვას ქართველი, არ ვიყო კაცი მე.
არაფერს დაგითმობ, არაფერს შეგარჩენ,
იქნება, სწყევლიდე გაჩენას, შენს გამჩენს.

ისეთ შუბს გავჭედავ გველეშაპს ამხობდეს,
რომ მის გველ-წიწილსაც ძილშიაც აფრთხობდეს.
და თუ შენ მოგიქნევ, იცოდნენ შენებმა
ათას წელს გაქრება აქ შენი ხსენება.

ნათელჰყო რუსებთან ღალატით რუდუნმა
ეგ შენი მოსვრილი დუნდული თუ „დუმა".
ეგ დევი, ეგ დათვი, დრო მოვა წავა შინ,
დაგაგდებს ლეშივით, შეწყდება თამაში.

მაშინ, შენ, მაგ ცოდვებს ამიხსნი რა ენით,
როგორც, რომ იუდა თუ როგორც კაენი?
ჩემმა წინაპარმა ქვას დასდო, მადლი ქმნა,
მე, მის შვილს წინ დამხვდა, ოღონდ, მტრად გარდიქმნა.

იქნება მზე ჩაქრეს, ზღვა კოვზით აირწყოს,
ლიახვა დინება უკუღმა დაიწყოს...
შენ ვერ ეღირსები ზატულინს, კოკოშინს,
ჩემი მიწაწყალი წაუღო მოსკოვში.

თუ მაინც, როგორც კუ დაუსტვენ მაღლობზე,
და ჩვილი ხბოსავით დათვის წინ ლაღობდე,
გახსოვდეს, ჯავრს ვიყრი მანანე რაც კი მე,
თუ მქვია ქართველი, თუ კი ვარ კაცი მე.

5 დეკემბერი, 2007 წელი, ერედვი.

# შენ რომ მოგიტაცონ

შენ რომ მოგიტაცონ, შენ რომ დამეკარგო
სისხლი გამიშრება, გული მომიკვდება,
დარდი დამაჭლექებს, ვაზი სადღა დავრგო,
ჩემი პურის ყანა სადღა მოიმკვება!?

ნაღვლით ავივსები, როგორც ღვინის დოქი,
როგორც ჩიტმზეწვიას ბუდე მოუშალო,
ხატს შევეხვეწები, უფალს მუხლის ჩოქვით,
მაშინ შემინდოს და ცრემლი შემიმშრალოს.

ძარღვებს გადგიჭრიან, შენი ლურჯი მთები,
შენი ირმის ყელი იქნებ დამავიწყონ,
შენი მიწის მადლი, რითაც დღემდე ვთბები
ორმა ბარბაროსმა თითოდ გადაირწყონ.

შენ, რომ მოგიტაცონ დარდით ჩამოვხმები,
როგორც ჩვილი ბავშვი ძუძუს მოწყვეტილი,
ულვთო ძალადობით, მტრისგან ნაოხრები,
ვივლი დუნიაზე შენზე მოწყენილი.

სატანის ნათალ ქვით ციხე-კოშკს აგებენ,
გალავნის კედელი ლამის ცას აწვდინონ,
ორასი წელია ნაგაზით დაგდევენ,
რომ მოგიტაცონ და შიგ გამოგამწყვდიონ.

არ მჯერა! და მაინც თუ სწიეს საწადელს,
ვეფხვის პოემიდან გადმოვლენ მხედრები,
შენს თავზე, ქაჯთაგან მოვლენილ განსაცდელს
უშველონ, მუხლჩოქვით ღმერთს შევევედრები.

7 დეკემბერი, 2007 წელი, თბილისი.

# როდემდე სხვის ხელში

ცხრაასჩვიდმეტი წლის ცეცხლმა და მახვილმა
შენც დაგწვა, დაგჩეხეს, იყოფდნენ ნაწილებს,
ვერარა უშველა წინაპართ ძახილმა
შენთა შვილთ, ეს მხარე უღმერთოდ გასწირეს.

იყო აღზევება ქაჯთა და ეშმაკთა,
აპოკალიფსური მხედრები როკავდნენ,
სატანის ზეობამ მკვდარი მკვდარს შემატა,
შენი თავი კი აჩუქეს როკამდე.

დაეხსნა ტყვეობას, რამდენი ეცადე,
რამდენჯერ ოცნება გაგიფრთხა ხელიდან,
ამ მთებზე ორბივით ფრთებს უნდა კეცავდე,
შენ კი დათვს უპყრიხარ გამომძვრალს ხვრელიდან.

ზეზე ვერ ადექი სარგადატეხილო,
ჩემო მოუვლელო ობოლო ვაზის ხევ,
ქორბუდა ირემო ხრამს გადაჩეხილო,
ისევ ის ყორანი საძიძგნად გაზის ზედ.

ცდილობ და ბნელ ძალას ჭრაქი ვერ მიანთე,
ორივე ლიახვზე ზარებიც არისხე,
კვლავ დაგჭრეს ზურგში და, მხარს მაინც მიათრევ
ჩემო მოტირალო ობოლო ვაზის ხევ.

ოცი საუკუნის ლიახვის ტირიფო,
ჯერ ნუ წაგიხდება სიცოცხლის ხალისი,
არავინ არა თქვას შენზე, რომ ტირისო,
ამ მთებზეც ჰკიდია ფარი ჯურხაისი!

როდის გაჭენდები ზღაპრული რაშივით,
ფირუზის მძივებით მიწავ დარასხტულო,
როდემდე სხვის ხელში გაყიდულ ბავშვივით,
მიწავ ფიროსმანის ფუნჯით დახატულო.

4 იანვარი, 2007 წელი, თბილისი.

# საქართველოს

წმინდაო დედავ, ღვთისმშობელო, მე, შენსა წილხვედრს,
ამ ათასი წლის შემდეგაცკი მკორტნის ყორანი,
ნაყივჩაღარნი, მონღოლარნი მადენენ სისხლებს,
და ჩემს ძუძუზეც ამოფორთხდა მათი ფორანი.

შემოგავედრებ ჩემს მიწაწყალს და შვილებს ჩემსას,
გზას ნუ წაგვიშლი შენი ხატით ჩვენს მიერ გავლილს,
აფხაზეთის და სამაჩაბლოს განმრიდე კვნესას,
და ნუ მომწყვეტავ მკერდიდან ამ ორ ლამაზ ყვავილს.

მე, ნაცრემლარი, ნასისხლარი, ნაამაგარი
გამოვედ ლოცვად, შენ და შენს ყრმას მოგაპყრობთ თვალებს,
რაღა ვიქნები, მკერდმოჭრილი დედა ამგვარი?
რაღა ვიქნები, თუ მომწყდება ეს მზე და მთვარე?

5 სექტემბერი, 2007 წელი, თბილისი.

# ჩემი მამული

*„რაშო, მიწას მიჭედილო, ვეღარ აიქროლე"*
*გიორგი ლეონიძე*

იყო აქ, რცხილნარის, ოდესღაც ტევრები
ლიახვთან, ლელის და ტირიფის ჭანჭრობი,
მოვიდა ასფაგურ, დაარსა ქრცხინვალი,
ქალაქი, ნაქები ხელოსნით, ვაჭრობით.

შვიდმნათობიერი მეფე, აქ, თამარი
დაბრძანდა ლიახვთან მზით ნათელ კარავში,
განაგო საქმენი და ბრძანა მთავარი:
„ჩრდილოდან, ამ მთებზე გადმოძვრეს არავინ! "

გაშენდა სოფლები საყდრებით, ტაძრებით,
ციხენი: ვანათის, სვერისა, კეხვისა,
ენთო აქ, მრავალი ბრძოლების ხანძრები,
ომები, ძვალ-რბილის ხმალ-ხანჯლით ჩეხვისა.

ყოველ ქვას, ყოველ კლდეს ქართველის მარჯვენა,
ჩაქუჩით, საჭრეთლით ბეჭედად ატყვია,
ზეკარა შეუდგამს ზეცისთვის საბრჯენად,
ორთავე ლიახვი ზედ ქამრად არტყია.

გამოუცნობია ბედი იდუმალი...
დღეს ტახტი უპყრია ცხინვალში სატანას,
პერგამოა თუ? მთებიც კი მდუმარი
ტირიან, არ ძალუძთ ამდენის ატანა.

ცრემლი სდით მარტო მათ? გადაჭრილ ძარღვივით
მოწვეთავს ნაღველი ყველას კარ-ეზოდან,
მშვიდობის პალმის რტო არ ხარობს, არ ღვივის,
გუბის წყალს უსხამენ თვალდათვალ მეზობლად.

იმედი დიდია, ქართველის მარჯვენამ
ტაძრებზე მტევნები და ჯვარი ამოჭრა,
ზეცას მხრით შეუდგა ზეკარა საბრჯენად,
ლიახვი ოდესღაც ქამრად, რომ ჩამოჭრა,
მიწა ეს ღვთისგან ნაკურთხი სამჯერად,
არ დავთმო გოჯიც კი, ყელიც, რომ გამომჭრან!

21 მაისი, 2007 წელი, თბილისი.

## და რაც იქ მოხდება

შემოიჯირითა ყურძნობამ სოფელში,
რთველობაა, დავეძებ გოდრებს და კალათებს,
ტკბილ ნაჟურს ჩავასხამ ქვევრებში, დოქებში,
ფიალა, ბადაგით, ცეცხლივით ამანთებს.

ვახსენებ წინაპრებს: დედის სულს, მამის სულს,
დავლოცავ ამ მიწას, ჩემს აკვანს-ჩემს ძუძუს,
ეს ჩემი წესია, მე, ასე ჯამით მსურს...
არავის არა ვმტრობ! არავინ არა მძულს!

სალოცავს ჩემსას აქ დააწვა ბურუსი,
ზედაშე ვერ მიმაქვს დღეა თუ ღამეა,
დაძრწიან ტყის გზებზე ჩეჩენი თუ რუსი,
და მშვიდი ცხოვრება შემდგარი ნაღმზეა.

ვიცი, მათ სადღაც აქ, ამ გზებზე, ამ ნიშთან,
ჩაჩქნიან ქართველთან მოუწევთ შეხვედრა,
კითხვა ეს: სტუმრობა ამ ტყეში რას ნიშნავს?
და რაც იქ მოხდება, რა უნდა მიხვედრას?

3 ოქტომბერი, 2007 წელი, თბილისი.

## წინ-წინ განჭვრიტე

ერთი წუთითაც არ მოდუნდე, არ ჩაიძინო,
მტერს ბედოვლათი არ ეგონო, არ ჩაიცინოს,
ბრძოლის ველზე ხარ, ომში რომ ხარ არ დაგავიწყდეს,
მამული, რომ არ დაგვეფანტოს, რომ არ გაგვიწყდეს.

სხვა ზომისა და ვერაგობის მტერია შენს წინ:
გაიძვერობით ცნობილი და ხვანჯების ძერწვით,
მგელი ცხვრის ქურქით, მტაცებელი მშვიდობის პალმით,
და მამულს გვიჭამს დღისით-მზისით, ცხადლივ თუ მალვით.

შენ არ შეშინდე, არ დაიბნე, წუთით არ შედრკე,
არ დაემალო ნაღარის ხმას-ქართველთა შემკრებს,
წინ-წინ განჭვრიტე მომავალი რასაც გიმზადებს,
რომ ამოიცნო მტრის გულში რაც ბოროტ მიზნად ძევს.

25 მაისი, 2008 წელი, თბილისი.

# სისხლიანი აგვისტო

*უმთვარო ღამე*

თიბათვის, მკათათვის ღრუბლების მაგიერ,
მსხვილ-მსხვილი კალიბრის ქვემეხთა ხმა ისმის,
აქ, აღარ მღერიან არც მრავალჟამიერს,
აღარც რამ სიკეთეს ელიან ხვალისთვის.

ჯოჯოხეთს უფრო ჰგავს ეს ბნელი გარემო,
სოფლებს რომ ზედ აწევს საფლავის ქვასავით,
ველარც თქვენ, გაფანტავთ ციურო ზარებო,
ნისლიან ამ წყვდიადს, უძიროს ზღვასავით.

შემოვა პირსისხლა რუსი და ჩეჩენი,
ოსი და ვინ იცის, ოხერი ვინ აღარ,
უმწეო მოხუცებს ბუხართან შერჩენილს,
დაადენს სხეულზე სისხლების ნიაღვარს.

საათი პირველს თუ ღამის ორს გადასცდა,
გული მეკუმშება, რაღაც ცუდს მკარნახობს,
ახალე შუბლი ქვას, არ შველის არა ცდა,
ამ მიწამ ნგრევა და სისხლისღვრა არ ნახოს.

8 აგვისტო, 2008 წელი, ერედვი.

# ნაღირი ღიღია

გვირაბით შემოსულ მტრის ურდოს ქართველნი,
უშიშრად დაუხვდნენ ჯავამდე, როკამდე,
რიგები მათი იქ არიან ნათრევნი,
დახოცილ-დაჭრილნი ღორღს და ქვებს ლოკავენ.

სამი დღე, ოთხი დღე ამ რკინის ნიაღვარს,
მრავალი ცისკარა, წინ უდგა კლდესავით,
და თითქოს ებრძოდნენ მღელვარე ღია ზღვას,
რომ ველარ შესძლებდნენ ჩანდა ეს დღესავით.

დღეს მამულისთვის, აქ, საღვთო ომია,
აქ არის კრწანისი, მარტყოფი, მარაბდა,
ებრძვიან ბიჭები ცხრათავა გოლიათს,
ბედად, რომ არგუნა უფალმა მარადჟამს.

სანგრებში ყუმბარით, ბომბებით, ნაღმებით,
ჯავშანზე, მუხლუხზე იწვება ძვალ-ხორცი,
აქ, ყველა თავს სწირავს და სისხლის გაღებით
ყველაა ურდოთა შეტევის აღმხოცი.

მაგრამ შენ როდემდე? ნადირი დიდია,
გვირაბიც ღიაა-გველების საძრომი,
ვიცი შენ ზეზვა ხარ და ბერი მინდია,
მოყმე ხარ ამ მხეცის ტყავისა გამძრობი,

ჯურხაის ფარი ხარ ბეთლემს, რომ ჰკიდია,
და შენი წინაპრის ადათის განმგრძობი,
მაგრამ, შენ როდემდე? ნადირი დიდია,
ძალააა ულმერთო, საშიში დამპყრობი.

9 აგვისტოს ღამე, 2008 წელი, ერედვი.

## ვაი, შენ სოფელო!

,,გრადების‘‘, ნაღმმტყორცნთა, ქვემეხთა გრიალი,
ღვთის ნებით, ცისკრისას მიყუჩდა როგორღაც,
აგვისტოს მზეც მალე ამოვა ბრიალით,
ეს სისხლი, ეს ომი შეჩერდეს ოღონდაც.

ჯარები, ბრძანებით სტოვებენ ხეობას,
მოდიან, თან მოაქვთ შარა გზა მტვრიანი,
მოწმე ვარ! არავის არ აკლდა მხნეობა,
არავინ ჩუნჩლა და არავინ მტირალი!

,,კაპრალო, რა ხდება?‘‘ - ვაჩერებ მეომარს,
,,მოდიხართ მარშით და მგონია სიმღერით‘‘,
,,ვბრუნდებით, შენც წადი, გირჩევ ვით მეგობარს,
ჰაერით გვაჯობეს, არა გვაქვს ,,სტინგერი‘‘ ...

ვაი, შენ, სოფელო, მტრის ურდო შენს შვილებს,
ფუძეკარს დაუნგრევს, მიწასაც დაბუგავს,
და სისხლის წყურვილით ჭკუიდან შეშლილებს,
ანტიქრისტე აქ მოუწყობს საბუდარს.

ვაი, შენ, სოფელო, განდევნილ შენს შვილებს,
სხვის ჭერქვეშ შეხიზნულთ, ვაი, მათ გასაჭირს,
უფრო ღრმა ტკივილი ცას ასწვდეს მეშვიდეს,
ეს ბრბო თუ მკერდიდან ამ ძუძუს აგვაჭრის.

10 აგვისტო, 2008 წელი, ერედვი.

## ჩემს ერედვს

ისევ შენთან ვარ, შევხედო შენს მზეს,
მზე თიბათვისა როგორ ამოდის,
ჩემი გზა რთული, ის გადის შენზე,
სადღაც წასული, ბოლოს აქ მოდის.

დილა თენდება შენი, ზღაპრული,
წითელ და ცისფერ ცოცხალ ფერებით,
თვალს მტაცებს ქედი, მთები ალპური
ამომავალი მზით ნაფერები.

ჩემს წინ მოხტუნავს პატარა ღელე
როგორც შვლის ნუკრი, როგორც ქურციკი,
ტირიფი იქვე ბულბულს ამღერებს,
ღამე ათიეს მთვარის თუ ცისკრის.

ვჯდები ნაპირთან, წყალში ვყოფ ხელებს,
მიწის ამ მირონს სახეზე ვისხამ,
ცის ალიონი ისევ მახელებს
და ვხვდები ცრემლით დილის ამ სისხამს.

ეს არის წუთი, არ დამავიწყდეს
შენი ეს მიწა, ეს ნაკადული,
შიგ გულში ძარღვიც რომ გადამიწყდეს,
სადაც გინდ ვიყო გადაკარგული.

სადაც კი წავალ, უკან მომდევენ
შენი ლურჯი ცის ლეგა ღრუბლები,
მე, მათი ზურგით, რომ გვანან დევებს
ისევ და ისევ შენ გიბრუნდები.

შენს მიწაში მაქვს ფესვი გამდგარი,
გული შენს ცაში ღრმად ჩაძირული,
ძვლები შენი მზით, მთვარით დამდნარი
საყდრის ფუძეში შიგ ჩაკირული.

ყრმობის აკვანი ჩემი ბავშვობის
შენი ტყის ვერხვთა ქარმა არწია,
და ის რაც არის ჩემში ნაშობი
შენმა მიწამ და ცამ შემაწია.

ის რა წუთია, რომ დამავიწყდე,
რა დღეა ის დღე, რომ არ მახსოვდე,
მაშინ იმედი მეც გადამიწყდეს
შენი მიწაწყლის ბოლო ახომდე.

ვიცი მე, ვნებულს შენი მიწით, ცით,
ასეთ დილის მზეს ბევრს მომიგორებ,
ამავსებ მადლით, მერე ვინ იცის,
ერთხელაც ალბათ, მკვდარს მომიგონებ.

22 ივნისი, 2008 წელი, ერედვი.

## ახალი ვანდალები

აღზევდა ფაშიზმი ორგული, ორსული,
ქართული ეთნოსის მიწიდან აღსაგვად,
მოსკოვში რუსული, ცხინვალში ოსური,
ქვეყნად კი მშვიდობის პალმის რტოდ გასაღდა.

არა აქვს საზღვარი აქ ამათ მხეცობას,
მრავალი ქართველი დახოცეს, განდევნეს,
აქ, ქვაც კი ატირდა, აქ, იწყებს ხეც ხმობას,
ყველა ჰგავს ნადირის ნაკბენს და ნადევნებს.

ათასი წლის სოფლებს ფუძემდე ანგრევენ,
საფლავებს, ქართველთა კვალი რომ წაშალონ,
ზეკართან, ესენი ლიახვსაც ამღვრევენ,
რუსული, ოსური დროშა რომ გაშალონ.

ცა შესძრა ათასთა წუხილმა, ვარამმა,
უცოდველ სისხლის დგას ტბორები, გუბენი,
ნაპალმით გადასწვა სტეპების ვარანმა
ამ მიწის კალთა და ძუძუთა უბენი.

დაბუგულ ჩემს მამულს ვუყურებ ბორცვიდან,
ლიახვი მღვრიაა გველების ნარწყევით,
დაუწვავთ ხატები, მამა, რომ კოცნიდა,
და ჩემი აკვანი დედისგან ნარწევი.

ერთი მსურს გავძახო ამ ახალ ვანდალებს:
,,ჩვენ ისევ აღვსდგებით ფერფლიდან, ნაცრიდან,
ათასი წლის მერეც როკაში წყალს დავლევთ
მკალად რომ გვეხვიოთ მარჯვნიდან, მარცხნიდან! ''

საქმენი უფლისა ამოუცნობია,
ჩვენს მიერ დარგულ ხეს სიმართლით ახარებს,
რა ელის თქვენს სულებს სისხლიანს, ცოდვიანს?
შვილები თქვენი, რომ ძილშიაც გნახავენ.

15 აგვისტო, 2008 წელი.

## მოროცი ძალა

მოედვნენ შიდა ქართლს ცეცხლით და მახვილით,
რას აღარ სჩადიან, რა აღარ იკადრეს,
,,გვიშველეთ!'' - ცას სწვდება ქალ-ბავშვთა ძახილი,
და მაინც ესვრიან ,,კასეტებს'', ,,ისკანდერს''.

გადასწვეს გორი და ტყეები, ყანები,
სროლის ხმა აყრუებს ქუჩებს და მოედნებს,
როგორც მსხვერპლს სვავები, ძერები, ყვავები,
სოფლებს და ქალაქებს მუმლივით მოედვნენ.

გადაითარეშეს გზები და ტრასები,
სისხლი სდის ჩემს მიწას, ურდოთა ნაკვალევს,
ცოტაც და ბიბლიის კაენის მსგავსები,
სამშობლოს და თბილისს კრავივით დაკლავენ.

და მერე, ნახე შენ, რამდენ ჯამს შეხვრეპენ
ურჯუკნი, სისხლს ნადენს გულ-მკერდის ძარღვიდან,
ის აღარ შეგაკრთობთ ვინც მაშინ ემსხვერპლნენ,
ლეგენდად მონათხრობს შორეულ წარღვნიდან.

***

მე, გამახსენდა წარსული დრო, მონღოლ-არაბი,
ვხედავ, თურქობა დიდრუსობამ როგორ შეცვალა,
ჭირისუფალი, როგორც მაშინ გვყავდა არავინ,
ამ ნადირის წინ დღესაც დავრჩით მარტოდ, ერთცალად.

მაგრამ, სანთელი სიმართლისა და საკმეველი,
გზას არ დაჰკარგავს, გზას წყვდიადში მაინც გაიგნებს,
ბოროტი ძალა, უფლის ნებით დასაძლეველი
კართაგენია, და ის მალე უნდა დაინგრეს! .

17 აგვისტო, 2000 წელი, თბილისი.

## ერედველებს და ყველას

ნუ შეშინდები, ქედს ნუ მოუხრი
ამ ველურთაგან მოსულ განსაცდელს,
შენს ფუძეს მტერი ძირს თუ მოუთხრის
მიწას დაემხოს ცა, თუ დასცალდეს!

ჩემო ჯილაგო და ჩემო ჯიშო,
თავს ძირს ნუ დახრი, მხრებს ნუ ჩამოყრი,
აჭრილი ვაზი, ყლორტს, როგორც, პირმშოს
შენს ნაფუძარზე ისევ ამოჰყრის.

მკერდიდან ქრისტეს ჯვარს ნუ შეიხსნი,
ღმერთი სატანას  შორს არ მიუშვებს,
,,წიწილებს“, შენ რომ ფრთებქვეშ შეისხი,
ოღონდ, სხვა ლოყას ნუღარ მოუშვერ.

არ გაბოროტდე, კბილი კბილის წილ
ბევრ უცოდველ სისხლს კიდევ დააქცევს,
არც შენი კრავი ღვთისკენ ივლის წინ,
და არც მტერს შენსას, შორს არ გააქცევს.

თავს ძირს ნუ დახრი,  ჭრილობა ღრმაა,
შურისძიებით გული აღვსილი,
უნდა გაუძლო, სამყარო ბრმაა,
დრო მუხანათი, ბედი თახსირი.

უნდა გამაგრდე, დარდს უნდა სძლიო,
როგორც ზღაპარში გრძნეულს ცისკარამ,
ყველა ვარამი უნდა დასძლიო
ვიდრე ხიზნად ხარ, ცხოვრობ სხვის კარად.

მე, ვიცი, მჯერა, შენი დროც მოვა,
ქორი დააფრთხობს საბძლის ბეღურას,
შენს ცაზე მალე გადივლის გლოვა
შავი ნისლივით თავს რომ გებურა.

შენ გელოდება დამწვარი მიწა,
როგორც შვილს დედა საომრად წასულს,
აკვანი შენი სადაც დაირწა,
სადაც შენ ზრდიდი ვაჟსა და ასულს.

2-3 სექტემბერი. 2008 წელი. თბილისი.

## მგლად მინდა ვიქცე

მამისეულ სახლს დაბუგულს, დამწვარს,
შევყურებ სიმწრით, რისხვით აღვსილი,
მგლად მინდა ვიქცე ამ წუთს და ამ წამს ,
კბილი მტრის სისხლით მქონდეს გასვრილი.

რა სიყვარულმა უნდა აშენოს
ჩემში ამგვარი მტრობით ნანგრევი,
ბოროტი ძალა რამ შეაშინოს?
გველი, ძმობაში შხამის გამრევი.

ნახანძრალს ვქექავ, ფერფლში ვნახულობ
სურათებს ძმების, დედმამის, ჩემს დის,
ვაი, შენ, სევდით გულო დახრულო
მუხანათ დროსთან და ჭირთან შეზრდილს.

მგლად მინდა ვიქცე! ფესვი გამოვხრა
ამ უმადურთა, რაღაცა მძალავს,
მივუზღო ერთად რაც მათ გამო მხვდა,
მაგრამ, რა ვქნა რომ რჯული მიკრძალავს.

6 ოქტომბერი, 2000 წელი, თბილისი.

## ჭია

დევს მოჭრილი თავიდან
თუ გამოძვრება ჭია,
თუ დაინდე და წავიდა
თავისას გააღწია,

ბრძოლა მოგიწევს თავიდან,
და თუ რამ დაგაღწია,
აგინე შენს თავს თავი და
თქვი: რა ყოფილა ჭია!

17 აპრილი, 1991 წელი, თბილისი.

# ობოლი

დაღონებული მინახავს
ბეღურა ბუდემოშლილი,
ობოლო ბიჭო, ვინა ხარ?
სიცივით გამოთოშილი.

ჩიტი მგონიხარ ნიბლია
უკეთურ ბედზე ნაწყენი,
რა დარდით გადაგიღლია,
გული რითი გაქვს ნატკენი?

სადა გყავს ნეტა დედ-მამა,
საით არიან და-ძმანი?
ბედმა, როგორც მტრის მხედრმა
რად გასვა შხამი და ძმარი?

ამ ქვეყნად არავინ არის
ეგ ცრემლები რომ შეგაშროს,
ჯვრით გადაგსახოს მძინარი,
ეშმა განდევნოს შენგან შორს.

ვიხსენებ წარსულს და ვხედავ,
ჩემს თვალებს შენი ცრემლი სდის,
დავიხსნა გაბმულ მახედან
ის ჩიტი დღემდე მე მიცდის.

ღმერთო, ეს ბიჭი ახარე,
ქართლში კრავივით აძოვე,
ლიახვის ვერხვი დახარე
და მისი ძუძუ აწოვე!

26 ოქტომბერი, 2008 წელი, თბილისი.

# პუტინს!

არა ერთს და ორს, ცოდვებს სხვა მრავალს
ინანიებდი ქრისტეს ტაძარში,
კეთილი სისხლი, როგორც ბევრ მტავრალს
შენ არ გიდუღდა გულში და ძარღვში.

სიყალბე იყო იქ შენი ყოფნა
და ცრუ, ლოცვანი ურწმუნო კაცის,
ჩანდა-ცინიზმი მეუფებს სოფლად,
და შეყარა მუჭით თვალებში ნაცრის.

ცას შეჰღაღადებს და პასუხს ითხოვს
ბესლანი, ოსთა ჰინომის ველი,
მოვა ჰეროდე შენთან, რომ გკითხოს
ვინ მეტი? - ისიც ყმაყვილთა მკვლელი.

საქართველოშიც სისხლის კალოსთვის
უფლისგან ხვალ-ზეგ განსჯას ელოდე,
არ გეღირსება ხელი წყალობის
როგორც პილატეს, როგორც ჰეროდეს.

პერგამოშია დღეს შენი ტახტი,
ზენიტში არის შენი დიდებაც,
მაგრამ ივერთა ღვთისმშობლის ხატი
მადლით შენ მაინც არ დაგდინდება.

ეს ომიც ალბათ ეშმაკს გაანდე,
გჯერა, რომ ცეცხლი შენ არ მოგწვდება,
გსურს კავკასიას ფეხით დაადგე,
მაგრამ მთებს დიდი ზვავი მოსწყდება,
შენს ქვეყანასაც დაშლის, დაანგრევს,
ჩემს მიწა-წყალს კი ომით ნაავდრევს,
ალალ ცრემლს ღმერთი მალე მოწმენდავს.

26 ოქტომბერი, 2008 წელი, თბილისი

## ისევ პუტინს

მსოფლიოს თვალწინ, მსოფლიოს თვალწინ
შენ გამოგვდევნე მშობელ მიწიდან,
ჩეჩნეთის ომში ნაომარ „არწივს“,
ერთი „დიდება“ აქაც გიცდიდა.

ყოვლად უსირცხვოდ, მსოფლიოს თვალწინ
მავთულხლართების აშენებ სარტყელს,
და ჩემი მიწის უკეთეს ნაწილს
საჩუქრად აძლევს გუგულის ბარტყებს.

მსოფლიოს თვალწინ, ჩექმებით თელავ
მთელი პლანეტის წესებს, კანონებს,
შენი უმსგავსო საქმენი ყველა
ძველი სამყაროს ბნელეთს მაგონებს.

მსოფლიოს თვალწინ, არაფრად გიღირს
გატეხო სიტყვა ფიცვერცხლ ნაჭამი,
რადგან, არასდროს არ გისვამს ღვინის
ქართლში კაცებთან ქვევრის მაჭარი.

როგორც დამპყრობელს სხვისი მიწების,
აღგნიშნავს რუსი „ლეტოპისეცი“,
მე კი, ვინ იყავ, როგორ იწყებდი,
და კრილოვის მგლად როგორ იქეცი.

27 მარტი, 2009 წელი, თბილისი.

## ვანდალები

ნეტა ვინ დაზარდა, ძუძუ ვინ აწოვა
ამ გველის წიწილებს, ძაღლების ამ ხროვას,
ღვთის ნებით, მათ ცოდვებს მოუწევს აწონვა,
ჩვენ აქ, რომ ათას წელს დაგვრჩება სახსოვრად.

თითქოსდა დაბრუნდა მონღოლთა ეპოქა,
და კოჭლი თემურიც კუბოდან წამოდგა,
იმდენ ჯარს მოუძღვის, სივრცე არ ეყოფა
მშიერ და ბოგანო სტეპების ამ მოდგმას.

განა გადაშენდნენ, აქვე აქვთ ბუნაგი:
როკაში სორო და სტეპები, ტყეები,
მოუნდა? ჯაგლაგ ცხენს დაადგამს უნაგირს,
აიკლებს მამულს და მიუდის ტყვეები.

ნეტა რა შესცოდე ქორბუდა ირემო,
გაწეწვა შენი, რომ ჯერაც არ დასრულდა,
ღვთისმშობლის წილხვედრო და ქრისტეს მიერო,
ხორცებს რომ გაგლეჯენ კბილებით, სპარსულად.

მაგრამ არ შერჩებათ, დრო მალე დააშრობს
ბოროტების ამ დინების სათავეს,
არ არის ქორბუდავ, ის წუთი ძაან შორს,
ტანჯვა და წამება შენი რომ დამთავრდეს.

7 სექტემბერი, 2008 წელი, თბილისი.

## ჟურნალ „გზის“ გარეკანზე

თავს დავდებ კუნძზე მე, თუ ვინმე ოსტატი,
ამ ომის დღეებში ფუნჯისა, სიტყვისა,
უკეთესს იტყოდა ვიდრე ,,გზის‘‘ მომხატი,
დათვისა და კაცის ერთიან სიბრტყისა.

პუტინს რა მზერა აქვს, რა პირი, რა კბილი,
ზურგში, რომ მოქნეულ ოსების ხანჯლებს ჰგავს,
ყბები კი, ჟღალ წვერში ისეთი ჩაფსკვნილი,
საკუთარ დედასაც ულმობლად გაგლეჯავს.

ვუყურებ ჟურნალს და ძნელია ატანა,
მგონია თავი შიგ გამოყო სატანამ.

21 სექტემბერი, 2008 წელი, თბილისი.

## ცვივილი

გავიდა ზაფხული, ივლისი, აგვისტო,
დღეები თონიდან ავარდნილ ალს ჰგავდა,
ასეთი, უფალმა, სხვა ნუღარ მაღირსოს,
ვნებული გული ტყვედ ეშმაკს თუ ალს ჰყავდა.

მე, მახსოვს მრავალი ლამაზი დღეები:
მცხუნვარე მზეების და მთვარის აგვისტო,
ამან კი, გადასწვა სოფლები, ტყეები,
თვალები მდუღარე ცრემლებით ამივსო.

მე, სად აღვსრულდები, უფალს სად შევხვდები,
სამარის კარამდე ეს ფიქრი დამიგდო,
ვერ ვნახო ბავშვობის ჭადრები, ვერხვები,
აგვისტომ ისეთი ხაფანგი დამიგო.

ნაღველით სავსე მაქვს გული და თვალები,
ახალი ბადაგით მამულს რომ ვერ ვლოცავ,
მიხმება გული და მაჯა და მკლავები,
რომ ველარ მოგვწვდი მე, ჩემო მზევ, ჩემო ცავ.

გავიდა ზაფხული, მცხუნვარე აგვისტო,
მერმისთვის მოველი სხვა ივნისს, სხვა ივლისს,
ტკივილით, ამ თვემ, რომ მე უბე ამივსო,
ნეტა თუ მორჩება, ნეტა თუ გამივლის?

1 ოქტომბერი, 2008 წელი, თბილისი.

## ომოლის ცრემლო!

*„ოლე, ოლე მე ლიახვთან დავინახე წამით...“*
*გიორგი ლეონიძე*

ეს, მერამდენედ, ჩემო აკვანო,
თეთრმა ყორანმა ისევ ჩაგყეფა,
ბუდეში უნდა ახლა ჩაგკლას რომ,
ფრთა არ გაშალო შენ ამა ქვეყნად.

ჩემო ტირიფო, შენს ტოტზე ბუდეს
ეს მერამდენედ ყვავი მიწეწავს,
შენი მიწაწყლის კალთას და უბეს
ბასრი ნისკარტით კერას მილეწავს.

ჩემო ლიახვო, დღეს როგორც ძველად
შენ ისევ ჩემი სისხლით შეგღებეს,
კვლავ რჩები ტყვედ აქ, ყვავების მძევლად,
და არ ანაღვლებთ ცაში ეს ღმერთებს.

შენს მზეს ღრუბელი გადაეფარა,
მთვარეც ბნელი მხრით შენსკენ მობრუნდა,
გზად დიდი მხეცი გადაგეყარა,
ნაღალატარო ჩემო ქორბუდავ.

ტანჯულო მიწავ, დღეს შენთან იწვის
ჩემი სხეული, ფიქრი და ჯავრი,
ცოდვად ვინ ჩათვლის თუ მახვილს მივწვდი,
მტერს თუ დავადე მე ჩემი მსჯავრი?

რა უბედური ბედის ყოფილხარ,
რა საშინელი წილის და ხვედრის,
ობოლის ცრემლო ამ ცრუ სოფლისა,
ძეძვებს ვერ გასცდი, ვეღარ გახვედი.

20 სექტემბერი, 2008 წელი, თბილისი.

## დამწვარი მიწა

ვისთვისღა ბრწყინავ, ცისკარო,
ორბოძელასა მთაზედა?
აქ, შენით ვიღამ იხაროს
შენი ციმციმით ცაზედა?

ან მზე ვისთვისღა ამოდის,
ან მთვარე ღამის ზამბახი?
აქ, მიწის დედა გამოდის
და წასულ შვილებს გასძახის.

ვისთვის შრიალებთ, ალვებო,
პატარა ფშანის პირზედა?
თქვე მკვდარი დედის მკლავებო,
გაწვდილნო შვილთა ჭირზედა.

ვისთვის მწიფდები, ყურძენო,
ვის უნდა ასვა ბადაგი?
სადა ხართ, ქალნო თუ ძენო,
სად გადაგყარეს, სადამდის?

სალოცავებო, ვის ელით,
თქვენი მრევლი აქ სადღაა?
ფუძე; მათი აქ, მტრის ხელით
ნახნავი აღმა-დაღმაა.

გოგო-ბიჭებო, სადა ხართ?
ნათია, გოჩა, ლელაო,
აქ თქვენი ვარდი გადახმა,
ზედ გველმა დაახველაო.

დილით მზე, ღამით მთოვარე
რა უსიცოცხლოდ ანთია,
სადა ხარ, ცრემლით მგლოვარე,
გოჩა, ლელაო, ნათია?

მაგრამ, მტერს არას შევარჩენთ,
არც გავახარებთ ჩვენზედა,
ავაფრენთ ქორს და შევარდენს,
მაღლა, ზეკარას ქედზედა!

27 სექტემბერი, 2008 წელი, თბილისი.

## მაშინ მიყვარხარ

*ზურაბ ქაფიანიძეს*

მაშინ მიყვარხარ, როცა არაგვში
ხარის ბეჭებით ტყლაშას მოადენ,
მომაგონდები ქვევრთან მარანში,
და ნასვამს თვალზე მგლის ცრემლს მომადენ.

მაშინ მიყვარხარ, როცა შესძახებ:
,,მამულს არავინ შეგვეცილოსო‘‘...
მე, ვეძებ, რაღაც ხელის შესახებს,
მტერს დავცე, ღმერთმაც ჩემთვის ილოცოს.

მომაგონდება ჩემი ლიახვი
და გული ღელავს ნორჩი წნორივით,
შენსავით მინდა, ვარ თუმცა ამ ხნის
შიგ გეგდო მუხის მოჭრილ მორივით.

ჩაბარუხიდან ტალღებს გამოვყვე,
ვნახო მინდვრები, ყანა, ჯეჯილი,
ერთხელ დავხედო დამწვარ სამოყვროს
მკერდიდან მე გულამოგლეჯილი

16 დეკემბერი, 2008 წელი, თბილისი.

## რუსეთო, გხედავ

გხედავ, სამხრეთით როგორ მობობღავ,
რუსეთო, როგორც გამყინვარება,
როგორ გაგიძლოს ერმა ობოლმა
და წეროებმა ცად მყივარებმა.

ჩემს დედულ-მამულს მოახვევ ბადეს
როგორც პეპელას შავი ობობა,
ფრთა, რომ შეასხა შენს გულში ნაღებს
,,გარიჩინივით’’ ჩემსკენ მობობღავ.

აქ თუ დამკვიდრდი, ხმა ჩაუწყდება
ყველა ტოროლას, ჩემს ყველა ბულბულს,
მოხვალ და წყარო კვლავ დაუწყდება
ყველა ალვის ხეს და ყველა სულდგმულს.

დამიჭკნობ ყველა ვარდს და გვირილას,
მარჩენალ მიწას გამივერანებ,
დამიშრობ ლიახვს, ფრონეს, ყვირილას,
დიდი ხნით, მრავალჟამიერამდე.

ვინ შეგაჩეროს ასეთი დათვი?
მე, ისევ ვენდე ცვედან ევროპას,
მე ხომ დამგლიჯე, დროს უცდი მათთვის,
ხვალ ან ზეგ ალბათ იქაც შეტოპავ.

ვაი, რომ დღესაც ცოდვილ მიწაზე
სუფევს ტაიგის მკაცრი კანონი,
სუსტს ჭამს ძლიერი, მე ეს ვიწამე,
ოდესმე დაცხრეს? მე არამგონი.

23 მარტი, 2009 წელი, თბილისი.

## ერედვს!

მე, აქ ტყვე ვარ, მაგ უბიდან
შენი შაშვი გაშვებული,
ან ფოთოლი, ალუბლიდან
ძირს ფარფატით დაშვებული.

მომენატრა შენი ქარი,
ალვის ხეთა წელში რხევა,
დედის ხელით გამომცხვარი
შენი თონის პურის ხმელა.

მომენატრა ეგ ღრუბლები,
ღელე-ღულე, წყარო მტკნარი,
ეგ ქუჩები და უბნები
უჩემობით უკვე მკვდარი.

მომენატრა შენი ზეცა,
ორბოძელას ცისკრის დილა,
პერანგივით, მე, რომ მეცვა
შენი ნისლის თეთრი ფთილა.

შენს ჯეჯილში ფეხით გავლა
იყო ჩემთვის ნეტარება,
აღმართ-დაღმართ ავლა ჩავლა
როგორ, როგორ მენატრება.

როგორც ვაჟკაცს მოენატროს
გულის სწორი, გულის სატრფო,
მეც ისევე მსურხარ, გნატრობ,
ობოლივით რომ გამათბო.

31 მარტი, 2008 წელი, თბილისი.

## ცის ფუფალავ!

ჩემი სევდის მოზიარე, მარტ-აპრილის მთვარევ,
მომიყევი, გაზაფხულდა ჩემი სოფლის ცის ქვეშ?
ეს თვეები ტუსაღივით თითზე გადავთვალე,
რომლებმაც მე, სატანჯველად ბოროტ ძალას მიმცეს.

მომიყევი, თუ აყვავდნენ ჩემი ალუბლები,
ჩემი ვაზი მოტირალი, ფეხდა-ფეხ რომ დამდევს,
თუ შენიშნე წეროები, გუთნად გაბმულები,
ჩემს ხელის გულს და იქ ზეცას შავ ხაზად რომ გასდევს.

ბულბული თუ გალობს ისევ იასამნის ტოტზე,
შენ თუ ზიხარ ვით მეუფე ორბოძელას მთასთან,
თუ გასძახის შენს მკრთალ ნათელს ჭოტი სევდის ნოტზე,
და თუ კიდევ მშვიდ ღამეებს შენც ათენებ მათთან.

მომიყევი რას გაბარებს ჩემთან მცხეთიჯვარი,
ცხრამურის და თხილის წყარო-წყლულის მოსალბუნე,
დედის სული, თან რომ გაჰყვა, მთვარევ, ჩემი ჯავრი,
შაშვი, ბედზე მომჩივანი, ღმერთთან მოსაუბრე.

საყდრის ჩიტი ბიჭო-გიო, იქ ჩემს ხვედრზე ტირის,
აღარა ჩანს ის ღრუბელიც სოფელს პირს რომ ბანდა,
ცეცხლს შთაუნთქავს ქართულ ჰანგზე მოშაირე სტვირი,
და თარეშობს სისხლიანი ყაჩაღების ბანდა!

მომიყევი ცის ფუფალავ, ლიახვებზე რამე,
წყურვილი მკლავს, სათავეში მსურს მუხლჩოქვით ჩავდგე,
გვიანდება, მალე მინდა, ამ სისხლიან დრამებს,
დავეხსნა, რომ ფენიქსივით, იქ ფერფლიდან აღვსდგე.

8 თებერვალი, 2009 წელი, თბილისი.

## უფალო, მისმენ?

ღმერთო მაღალო,
მძიმე ფიქრებში განილივნენ დღენი ჩემი
სისხლიანი აგვისტოს  შემდეგ,
განვლო ზამთარმა, გაზაფხულიც კარზე მომადგა.
კეთილო მწყემსო, გზააბნეულთა, ცოდვილთა შემნდევ,
არ დაწმენდილა ყაჩაღთაგან მიწა და ცა ჯერ,
და არც ის მკვლელი, შენზე მლოცველს  თავთით, რომ მადგა,
არსად წასულა, ზურგში დანა, რომ ჩამცა ცხრაჯერ.

უფალო ჩემო,
იქ, ლამაზ სერზე, შენი სახლი დგას ბებერ მუხებში,
შიდა ქართლის ველს მწუხარებით, რომ გადაჰყურებს,
გამახსენდება გზა შენსკენ და მკვეთავს მუხლებში,
ჩემი სანთელი საყდრის ქვებს, რომ წვეთს არ აპკურებს.

გულთა მხილველო,
ეკალბარდებით სურთ დაფარონ ეს გზა ჩემი
შენსკენ მავალი,
სიცოცხლის ვაზი გადამიხმეს შენს სახელზე
მე, რომ გავზარდე,
სურთ დამავიწყონ მიწა ჩემი, რომ მიუზღეს
ტანჯვა მრავალი,
მამული ჩემი - ბავშობა , ყრმობა შენს ხატებთან
სადაც აღვზარდე.

ცათა მეუფევ,
მოგიახლოვდე, გთხოვ, ნება დამრთე,
მოვიდე და შენს ფერხთა წინ მიწას გავერთხო,
განმიკითხე და თუ არ ვტყუი, მე, ამ წარმართებს,
რით მოვრეოდი ? შენზე ლოცვით, როგორ დამეფრთხო?
განმიკითხე და,
თუ მე, მათი ცოდვა რამე კისერზე მაწევს,
თუ, არ მივეცი ცის ქვეშ ჭერი, მშიერს ლუკმა, შიშველს სამოსი,
არ გამახარო ჩემი ზეცით, არც ჩემი მზის ჩასვლა-ამოსვლით!

თუ დავაშავე, მსხვერპლად მოვალ მე, რომ დამაჭყლიტო ჩემსავე მიწას,
ან, წინაპარმა ჩემმა ოდესმე, თუ უსამართლოდ ხელი აღმართა,
ყველა სიავე თუ რამ მიმიძღვის, გთხოვ დააწერო ჩემს გულის ფიცარს,
შენ შემოგჩივლონ, რა ვალი მმართებს ამ უწმინდურთა, მე, ამ წარმართთა.

უფალო მისმენ?
ვერ მოინელებს უცბათ ჩემს სისხლს ვერც ერთი მტერი!
შენ თუ ახსოვხარ, დაიჩოქონ შენი რისხვის წინ,
მოინანიონ! შთააგონე - არ არის ტევრი,
არ განისხვიპოს ავი საქმით - „სისხლი სისხლის წილ!“

16 აპრილი, 2009 წელი, თბილისი.

## არ გადაივიწყო!

ნუ შეეგუები მტრის ასეთ განაჩენს,
ათასი წლის მერეც შენ ხიზნად რომ იყო,
ვალი გაქვს, გადასცე თაობებს დანარჩენს,
სად დაგრჩა ფესვები, არ გადაივიწყონ!

არ გადაივიწყონ პაპების, მამების
საძვალე ვაჟკაცთა, ხმალ-ხანჯლით გაჭრილი,
მხრებით რომ ატარეს ტანჯვით და წამებით,
ცოდვილი ეს მიწა შიგ გულში დაჭრილი.

ასეთ ცას, ასეთ მთებს ველარსად ვერ ნახავ!
ცისფერს და გოლიათს ზეკარას, ბორბალოს,
ვერც მიწას, გვარის და ჯალაბის შემნახავს,
შვილივით მიგიღოს, ეგ ცრემლი მოგბანოს.

იქ უნდა გაზარდო მომდევნო თაობა!
დიდი და პატარა ლიახვის წყალი სვან!
თუ გინდა ის სული, შენ იქ, რომ გაომა,
ჩაიდგან და ის მზე უბეში ჩაისვან.

არ დაივიწყო ტაძრები, ციხენი,
კეხვის და ვანათის, ერედვის ძუძუს ქვა,
სადაც ჩვენ ცოდვილი სულები ვიხსენით,
საყდრები, შემვრდომნი გლახაკთა, უძლურთა.

ის მიწა, ოდესღაც ღვთისაგან ნაკურთხი
შენთვის და სათავე, ვინ გშობა, ვინ იყო,
საქართველოსთვის კი, ლიბოში ქვა კუთხის,
არ გადაივიწყო, არ გადაივიწყო!

21 აპრილი, 2009 წელი, თბილისი.

## არაგვთან

რაც არის, ეს არის, მეც დავლევ, დამისხით!
დღეს მხარს მეც აგიბამთ, განზე არ გავდგები,
მომძულდა ეს ყოფა, მომწყურდა კარგი ხმით
სიმღერა, ჩემს გულში ყოველის თავმდები.

გემო და სურნელი წამიცდენს ხანდაზმულს
ღვინისა, როგორც ვაჟს საცოლის ტუჩები,
წალეკავს ყველა დარდს ჯარივით დარაზმულს,
და ღამით ცუდ სიზმრებს ხომ გადავურჩები?

აქ მინდა, არაგვთან, ლიახვს რომ მაგონებს
დავლიო, მაგ ყანწმა თანაც რომ მიტანოს,
გავძახო ხმამაღლა ღრუბლებს და მთაგორებს:
ეს ღვინო, ეს სუფრა იქ გადამიტანონ!

და ვიდრე მზეს ვხედავ, ეს ღვინო უფალო,
წიქარა ხარის რქით იქ დამალევინე,
იმ მიწას, მე რომ მშვა, მკერდი მეც ვუფარო!
დავეცე, ოღონდ მარცხს ნუ განმაცდევინებ!

2 მაისი, 2009 წელი, თბილისი.

## ქუხილი

ქუხილმა შემაკრთო მაისის ზეცისამ,
ისეთმა, ჩვენში იქ როგორიც მიყვარდა,
ცხენების ჭიხვინი, ეტლის ხმა ზევსისა
როცა განიმედი ზეცაში მიჰყავდა.

მიწა გამახსენდა, მე , რომ მელოდება,
ჯეჯილის, ვაზის და ყაყაჩოს სურნელა,
ცის ცვარი, რომ მასვეს მისმა მდელოებმა,
დღეს რომ ხრავს უჩემოდ თაგვი და თხუნელა.

გადაიჯეკება ატამი, ხეხილი,
ერედვის ძუძუს ქვაც ჩემს ბედზე იტირებს,
ჩემი ცა,მტრისაგან საკინძე შეხსნილი,
ცხარე ცრემლს დააყრის ციხეთა ქვითკირებს.

წყნარად მსურს ძილი და ის წვიმა მესიზმროს,
ალუბლის ფოთლებზე ჩემთვის რომ მღეროდა,
იმ ხმებით ვტკბებოდი, ხდებოდა ეს იმ დროს,
მუზა, რომ დიოდა ლერწამის ღეროდან.

5 მაისი, 2009 წელი, თბილისი.

## ორი მარგალიტი

***Мы у грузий отвоевали два жемчуга"***
***А.Проханов***

,,ჩვენ წავართვით საქართველოს ორი მარგალიტი,
ეს იქნება სხვათათვის მკაცრი მაგალითი.

ზღვისპირა აფხაზეთი, და მთიანი ,,ოსეთი''
ძველ საზღვრებში აღდგება დერჟავა რუსეთის.

არ შევუშვებთ ნატოში რუსთმოძულე ,,გრუზინებს''
ამით ნატო ციმბირის გაზს და ნავთობს უმიზნებს.

თითქმის ყველა ატლანტელებს დაშლა უნდა რუსეთის
ჰაი, დედას, ის დრო როცა ჯარს ევროპას ვუსევდით!

კავკასიას დავაჩოქებთ, თბილისს, ბაქოს, ერევანს,
მიწა, თორემ, ვინ-ვინ არის ერთმანეთში მერევა.

უკრაინას წავართმევთ სევასტოპოლს, მთელ ყირიმს,
დავშლით ძველი ეტლივით, ნატო მსურსო, რომ ყვირის.

და თუ ფლოტის ყოფნა იქ, შავმა ნისლმა დაჩრდილა,
წამოვალთ და ჩვენია სოხუმი, ოჩამჩირა.

ჩვენს საზღვრებში შავი ზღვის მთელი აკვატორია,
შემოვა და ქალაქებიც: ფოთი, ევპატორია.

ჯავის მთებში განვალაგებთ ორ ასეულ ,,ისკანდერს'',
გორს დავცხებთ და თბილისს ,,მიგით'' გავუკეთებთ მისამღერს.

ქართველებს კი, ადვილია, ერთმანეთზე წავკიდებთ,
სააკაშვილს ჩამოვაგდებთ,ერთ ადგილით დავკიდებთ.

ტახტზე დავსვამთ იმ მოხელეს, ვინც ჩვენია, თუნდ ყოფილს,
აბაშიძეს, გიორგაძეს, ან სხვა ვინმე რუსოფილს!

ტრაბახობდა ეს გორილა, ტვირთი მაწვა ესოდენ,
გადავრთე და ქართველები, ერთმანეთს ქვებს ესროდნენ!

6 მაისი, 2009 წელი, თბილისი.

## მიწაო ჩემო!

წელიწადია, მტერმა მოსისხლემ
მოაჭრა მკერდზე ჩემს მამულს ძუძუ
ატყვია სისხლის ლაქა ოსის ხელს
და რუსის ჩექმის გორამდე ძუნძულს.

წელიწადია, რაც ჩემი მიწის
აღარ შემისვამს ჯეჯილის ნამი,
გულს ჩემსას მისი წყურვილი წიწკნის
და შურისგების წუთი და წამი.
აღარ მინახავს ბერის წყარონი,
ჩემს სისხლძარღვებში დღესაც რომ დიან,
აღარც ბავშვობის იმ სამყარონი
ჩემგან არასდროს რომ არ მიდიან,
არც ღამის მთვარე, ცის კამაროვნით
ვერცხლად ლიახვში მე რომ მიგდია,
არც მცხეთისჯვარი,წინ სამაროვნით
დედის გულზე რომ ჯვარი მიდგია.

წელიწადია, უკან მეძახის
მე ხიზანს ჩემი მამულ-დედული,
სისხლი, რომელიც მსაჯულს შესძახის
იქ დაქცეული, წმინდა, მხედრული!
წელიწადია, სიზმრად ვნახულობ
მიწაო, ჩემო, შენს სალოცავებს.
ფეხი დავადგა ვნატრობ, ვმარხულობ,
გადმოყრილ მატლებს, შენზე მცოცავებს.
მიწაო ჩემო, ბოროტი თესლი

ჩემს ნაფუძარზე არ გაახარო,
ძირში მოჭრილი, მანდ ჩემი ფესვი
სიყვარულით, რომ ისევ ვახარო

შენი მართვე დღეს მანდ აღარ ყივის
და აღარც შენი ისმის ,,ჩაკრულო‘‘
მგალობელ ჩიტის ბუდის ბარტყივით
ღალატითა და მტრობით ჩაკლული

რა დრო სჭირდება, წვერიახოზე
ვოჟა ჯურხაის ფარი დავკიდო ?
ეს, შენს შვილს მარად უნდა მახსოვდეს
ღმერთმა სიზიფეს ქვაც რომ ამკიდოს

28 ივნისი, 2009 წელი, თბილისი.

## „გველივე ჰშთემა გველად“

ყალყზე დგას ულაყი,
ბრინჯაოს მხედარი
სივრცეებს გაჰყურებს გაწვდილი მარჯვენით,
ჯოხით და მათრახით რუსეთის მხედნავი,
სისხლით და სიკვდილით საქმეთა განმსჯელი.
გატოპა ჭაობი,
ტუნდრა და ტაიგა,
ციმბირი, კამჩატკა,ჩუკოტკა,ალასკა
გაპოხილ ჩექმაზე ნალივით აიბა,
მრავალი ეთნოსი დაიპყრო, დალაშქრა!

მე, შიშმა შემიპყრო
მხედარი ამ ქვიდან
სამხრეთით უფრო დიდ სხვა ნახტომს აპირებს,
ამოვა ჯინივით მუხლუხის სარქვლიდან,
მიუსევს ქართველებს ძაღლებს და ვამპირებს.

გრანიტზე ასპიტი, ბოროტის სათავე,
სიმბოლო კრემლის ბევრ ბინადარს მაგონებს,
მე მათი ნაგესლი, იმდენი დავთვალე,
როგორღა ვარსებობ, მიკვირს და მაოგნებს.

1 აგვისტო, 2009 წელი, თბილისი.

# ერთხელ ჩამძახოს

მაღალო ღმერთო,
ჩემი სიცოცხლის მხცოვანების ჟამს
ბოროტმა ძალამ ხიზნად მაქცია,
შენ იცი მხოლოდ დარდი რატომ მჭამს,
მწუხრის პერანგი რატომ მაცვია.
შენ იცი მხოლოდ
ჩემს სულში რა დემონი ბუდობს,
როგორ მსურს ნათლით გაიწელოს, როგორც კომეტა
დავბრუნდე იქ და გამოვგლიჯო სისხლიან ურდოს,
ლიახვში ვერცხლის ჩაგდებული ჩემი მონეტა.

ჩემსავე ცის ქვეშ უსამშობლოდ დავიარები,
არ აქვს საზღვარი ჭირთა თმენას ჩემო მეუფევ,
ის, ისე ღრმაა, ზურგში დანით ნაიარევი,
თუ გამრთელდება, აღარ მჯერა, ღმერთო, მე, უკვე.

ცათა მეუფევ,
ცოტაც და ვიცი დამიძახებ შენს საუფლოში,
მაგრამ იქ მინდა დამაყენო სამარის კართან,
ჩემს მიწა-წყალზე, ერთიანსა და განუყოფში
სამკვიდრო მქონდეს, ყველასთან და შენამდე მართალს.
თუ არ მაღირსებ სიცოცხლეში მშობლიურ მიწას,
თუ არ დამცალდა, იქ ჩემს მოყვასს ლექსით გავძახო,
მიეც შვილს ძალა, რომ შეეხოს ჩემს კუბოს ფიცარს,
სადაც ვესვენო, დავბრუნდიო, ერთხელ ჩამძახოს!

და მაშინ, ღმერთო, სული ჩემი ასი წლის მერეც,
ლურჯი მტრედივით სიხარულით აღუღუნდება,
გაალვივებენ სიყვარულით მინავლულ კერებს,
შენ სახელზე კი დიდი ზარი აგუგუნდება.

მცხეთიჯვრობისას დააცხობენ თაფლიან კვერებს,
ასკილით თაგვებს განდევნიან თითოდ გუნდებად,
ორთავ ხეობას, არა მარტო წამებულ ერედვს
შენ შეხსნი, ღმერთო, რაც ხელ-ფეხზე ედოთ ხუნდებად.

13 აგვისტო, 2009 წელი, თბილისი.

# შემოგვესია რუსეთი

შემოგვესია რუსეთი,
ვენახი გადაგვითელა,
ტყე გადაგვიწვა ისეთი,
სულ მუხა ნაძვი და თელა.

აგვიწიოკა შვილები
გიორგი, ნანა, ნათელა,
წარბ-წამწამ გადაშლილები
ტანად სარო და სანთელა.

სოფლები დასწვა, გაძარცვა
ბრბოს მისცა ფეხქვეშ სათელად,
იყო გოლგოთა და ჯვარცმა,
გვამები ძაღლთა სათრევად.

მზეს დენთის კვამლი ბურავდა
მთვარეს ემოსა ძაძები,
ზედ სისხლის კალო ბრუნავდა
ჩემი შვილების, და-ძმების.

კევრს ასხდნენ თითქოს არაბნი
ათას წლის უკან საძებნი,
ღვთისნიერ კაცი არავინ
სისხლისღვრით მისაბაძენი.

გადამთიელთა რაზმები
გვირაბით ტყე-ღრე ნაძვრენი,
კალაშნიკოვის ვაზნები
და სისხლი ჩემი და-ძმების

13 სექტემბერი, 2009 წელი, თბილისი.

## ცხინვალში ქართული წიგნები დაწვეს

შენ, ისევ იმის სისხლი დაღვარე
ვინც შეგიცოდა და შეგივრდომა,
მუცლით მოხოხდი ქართლის საზღვარზე,
ყმობა გინდოდა და შეგირდობა.

შენ ძოვდი ბალახს, გკლავდა სიყმილი,
ეს ფაქტი ძველთ-ძველ ანალებშია,
გადამკრავს პირზე მწარე ღიმილი
იყო ეს შენს თავს, განა შემშლია?

ცეცხლში სწვავ წიგნებს: ვაჟას, ილიას,
ყოველსა ქართულს ებრძვი ნაკვალევს,
ჯერ ის, მაგ ცოდვით რაც წაგიშლია,
დრო მოვა, შიშით აგაკანკალებს.

დრო გადაივლის როგორც ღრუბელი,
ქართული ციდან სეტყვისას რომ ჰგავს,
დაშრება ყველგან ცრემლის გუბენი,
შენ კი წაგლეკავს ნევა და ვოლგა.

ვაი, შენ, თორემ, ქართული წიგნი
კიდევ ათას წელს გადაიშლება,
ნაკვალევს ჩემსას ტყუილად ჯიჯგნი,
წარღვნა მოვიდეს-არ წაიშლება!

18 სექტემბერი, 2009 წელი, თბილისი.

## იგორებს ვაშლი?

მამულო ჩემო,
ვინ აღარ გჭამა,ვინ აღარ გძიძგნა:
სულთანი მაჰმუდ, მონღოლი თემო,
სპარსი აბასი და რუსი ძიძა.
ფიქრობდი მორჩა,
შვილთათვის შენდა მშვიდობა მოვა
მტერი აქვეა, მთის იქით მოჩანს:
რუსეთის ,,დუმა‘‘, დიმა და ვოვა.

მამულო ჩემო,
ბევრჯერ დაგლაშქრა შენ თესლმა სხვისმა,
მაგრამ უკვირდა ცაში ღმერთს ზემოთ
რაც შენ დაგმართა შენსავე სისხლმა.

რუსის ჯარს დროშით,
შემოჰყვა სოსო, ფილიპე, სერგო,
სისხლი და ნგრევა, როგორც ძველ რომში
უძღებ შვილთაგან თბილისსაც ერგო.

ჯავშანში სხედან,
ვინც შენი ძუძუ ალგეთზე წოვა,
არ გადუტყდება ხმალი შენს მხედარს,
მათთვის დიდება ერთხელაც მოვა!

მამულო ჩემო,
ახლა გჭირდება ანდამატობა,
ვინც იცის შენი გულ-ღვიძლის გემო
მასთან ბრძოლაში დღეს ხარ მარტოკა.
ახალი დროა,
დრო არც ახლდება, არცა ძველდება,
იგორებს ვაშლი? იქნება ტროაც
და ილიადა კვლავ გაგრძელდება.

მამულო ჩემო,
ახლა გჭირდება დიდი ხელკეტი,
და დიდი სიბრძნეც უნდა აჩვენო,
ვაჟნი, ქაჯეთის ციხის შემტეხნი!
შემწევნი იყავ მათთვის გამჩენო!

22 ოქტომბერი, 2009 წელი, თბილისი.

## გაუფრთხილდი საქართველოს!

მიდი, დახედე ალაზნის ველს ვაზის რთველობას,
რა ფერებით ჰგავს თუში ქალის ნაქსოვ ხალიჩას,
შაჰ-აბასმაც კი უცოდველი სისხლის თრობისას,
საქართველოსგან ეს წალკოტი,რომ ვერ გახლიჩა.

დახედე მიდი, ალაზნის ველს ხორნაბუჯიდან,
კახელების ამ, მზით გაფერილ გაშლილ ხალიჩას,
მიუახლოვდი და განსაჯე ორნაბიჯიდან,
რატომ არ დასთმო წინაპარმა-ცალი თვალით ჩანს.

მცხეთიჯვრის მთიდან გადახედე შიდა ქართლის ველს,
ცრემლი მოგივა, რა სამშობლო ღვთისგან გებოძა,
ორას წელიწადს ტყვედ, რომ ჰყავდა გაუმაძღარ გველს,
ქართულად ნანა არ გემღერა, როგორ გებრძოდა.

გაგრის მთებიდან გადახედე შავი ზღვისპირეთს,
რიწა, ბიჭვინთა, შეუვალი ლათა, კოდორი,
როგორც ინდიელს, ამ მიწიდან აღგვას გიპირებს,
პუტინი რუსი, ახალ დროის კონკისკადორი.

28 ოქტომბერი, 2009 წელი, თბილისი.

## საფლავს გიცოდვებ

*რუს დამპყრობლებთან ომში დაღუპულ*
*ქართველ მეომრებს ვუძღვნი მე ამ ლექსს.*

ჰაი, დედასა, სად ვკვდები,
სად გადამიტყდა გორდაი,
მე, მტრის ბუნაგის ამკლები,
როგორც მინდია ხოგაი.

სად შემომაცვდა ბეგთარი,
საბარკულ-ჯაჭვის პერანგი,

ვეშაპთან ყალყზე შემდგარი
აქ, სად წამექცა მერანი.

ვაი, დედაჩემს, რომ ვკვდები,
რომ ვერ ვკარ შუბი გვირაბსა,
ვერ ჩამოვშალე ვერც კლდენი
ბრჭყალებით ზღუდრის ძირასა.

მტერმა სიმრავლით მაჯობა
და არა მამაცობითა,
არც ჯიშად ქართველს არ მჯობდა,
არც არა ვაჟკაცობითა.

თორემ, ქერივით ვაჭმევდი
ლიახვის ლამს და ქვიშასა,
ხმალი, ხალიბის ნაჭედი
არ მერტყა მოყმეს მშიშარსა.

მე, ვკვდები წვერიახოზე,
ტირიან ჩემზე ვერხვები,
წინაპართ სამოსახლოზე
მათ ძვლებს და სულებს ვეხები.

საფლავს გიტოვებ, ქვის ლოდი
დამადე ბერისწყაროდან,
მამულს მე მსხვერპლად მივსვლოდი
იყო ეს ჩემთვის წყალობა.

ძელის ჯვარს თავთით აღმართავ,
ფეხთით მუხის ხე დამირგე,
პურ-ღვინის ტაბლას გამართავ,
წესი ქრისტესი ამიგე.

24 დეკემბერი, 2009 წელი, თბილისი.

# სად დამეკარგენით

სად არის ჩემი ცა, მამულ-დედული,
მზე და ვარსკვლავები, დილა და ცისკარი,
კალო თეთრ ნისლებში, მთვარე შიგ შებმული,
ყაყაჩოს ყვავილში ჩაღვრილი ცის ცვარი.

მე, რომ ეს ყოველი ვარვარა შამფურით,
აკვნიდან სულში და ზედ გულის ფიცარზე
უფლისგან მატყვია ღრმად ამოშანთული,
ღვთისმშობლის წინაშე ხმამაღლა ვფიცავ მე.

გულში ვინ ჩამხედავს რა მწვავედ განვიცდი
დანაკარგს, რაც მკერდზე მეხატა აკვნიდან,
მაშინ ვინ მეტყოდა, ან ახლა რა ვიცი
დრო ასე სასტიკად თქვენგან თუ გამყრიდა.

ქარს ვანდობ გულისყურს, იქნებ მან მომითხროს
სად დამეკარგენით, სად დარჩით, სადა ხართ?
ვიცი და, ძველთ-ძველი ადათი მოითხოვს:
გუგულის ბარტყები ბუდიდან გადავსხა...

10 თებერვალი, 2011 წელი, თბილისი.

# ლოცვები საქართველოზე



***

უფალო ჩემო,
მე მოგეახლე წყნარი ლოცვით,
წყნარი ჩურჩულით
და შენს ფერხთა წინ მხოლოდ ერთი ყვავილი დავდე,
ბებერ ცაცხვთან კი, შენს წმინდა ნიშში
ხელის თრთოლვით
ფეტვის და ხორბლის მარცვლები ჩავდე.

გთხოვ მაპატიო, უფალო, თუ,
შენს წმინდა ტაძარს
მე უბადრუკმა ვერ შევმატე ძვირფასი სხვა რამ,
მე კი, მსურს - ცოდვილს
შეგავედრო სამშობლო, იქნებ,
შეუმსუბუქო სიმძიმილი და
განარიდო ჭირსა და ვარამს.

ვიცი, გაიღებ მოწყალებას, უფალო, რადგან,
დიდსულოვნების მადლით სუფევს შენი საუფლო,
მე კი, ნებას გთხოვ, ვეამბორო შენს ფეხის ნადგამს,
რომ მიგვანიშნო, გადარჩენის რა გზაა უფრო.

6 ნოემბერი, 1995 წელი, თბილისი.

***

აი, აქ, ბებერ მუხებთან,
ამ დაქცეულ ბერის საყდართან,
მე ჯერ ბავშვმა დავიჩოქე,
ღმერთო, შენს წინ და,
,,საქართველო!“ -
აღმომასკდა მე გულის სიღრმიდან.
ლურჯ ნისლეულში, როგორც ნავი,
მიირწეოდა ჩემი სამშობლო,
და შენ, უფალო, წმიდათაწმინდავ,
დღესაც ისევე, როგორც სიყრმიდან,
მჯერა, ზურგის ქარს მიაშველებ მენავეს რადგან,
შენსკენ მოილტვის,

შენს წიაღში ჩასაძირავად.
ამ ნანგრევებთან ინაბება სული ჩემი,
ვით ლურჯი ია
ამოსული სადმე კლდის ძირას,
და ცრემლით თვალზე, უფალო ჩემო,
შემოგავედრებ სამშობლოს და,
ლოცვად დავდგები
შენი უსაზღვრო საუფლოს პირას.
ღმერთო მაღალო,
შენი თვალებით გადავყურებ ამ სიმაღლიდან
შენით ბოძებულ ედემის ბაღს,
ცისფერ გვირილებს,
და ვიდრე შენ ჰფლობ ყოველთა ცათა,
ჩვენში იქნები, ჩვენ შენში და,
ვიცი, მადლს კვლავაც ბევრს დაგვირიგებ.

7 ნოემბერი, 1995 წელი, თბილისი.

***

მე, ფეხშიშველი მოვდიოდი,
ღმერთო, შენს გზაზე, რომ
თავს დამატყდა კოკისპირული
გამჭოლი ქარით,
მე, დავიბენი,
ტრიალ მინდორზე სად მეძებნა თავშესაფარი?
ან წავსულიყავ, ღმერთო, საით,
რომელი მხარით?
დიდხანს ვიდექი ასე უსასოდ,
ზეცა სკდებოდა შენი ქუხილით
და ვბუტბუტებდი, ღმერთო, შსენს სახელს;

გული, შენი ნათლით აღსავსე
სცემდა მკერდის ქვეშ ჩუმი წუხილით;
მე კი, უბირი, ძლივსღა მივხვდი, რომ
სადღაც გზიდან გადავუხვიე,
და მოვატარე დაბნელებულ გარემოს თვალი,
და ჰორიზონტზე ნათლის სვეტი შევნიშნე უცებ:

ეს შენ ხარ, ღმერთო!
სიბნელიდან გამოსვლის და ნათელი ხვალის,
და ჰა, მიმიღე,
როგორც ბალღი მოვექანები,
რომ განვიბანო, ღმერთო, შენი ნათლის სხივებით,
და რაგინდ ბნელშიც არ ავღმოჩნდე,
არ ავცდე გზას და,
შენს კვალს გამოვყვე, უფალო, შვებით.

10 ნოემბერი, 1995 წელი, თბილისი.

***

მეოცდაერთე საუკუნე შემოაბიჯებს
სულ მალე, და დაიწყება
შენი სიცოცხლის კიდევ ერთი ათასწლეული,
უფალო ჩემო.

რითი შევხვდებით ჩვენ ამ ეპოქას?
ჩვენს წინ დგახარ და ვერ შეგიცანით,
განა რაიმე ვისწავლეთ შენგან?
გვგონია რაღაც ვიცით, მაგრამ
ტყუილად ვჩემობთ.

ღმერთო მაღალო,
მეოცდაერთე საუკუნე შემოაბიჯებს სულ მალე და,
თუკი მოიტანს უმეცარ ხალხთა შეხლა-შემოხლას,
დედამიწის გავერანებას,
გადმოიხედე მოწყალე თვალით,
ნუ მიგვატოვებ გონდახშულთ და,
დაუმორჩილე ყოველივე
შენს კეთილ ნებას.

გულთა მხილველო,
გადმოხედე ჩემს საქართველოს,
რომ ამ პატარა მარგალიტმა
გიწამოს და შენს ფერხთით ევლოს.

14 ნოემბერი, 1995 წელი, თბილისი.

***

ღმერთო ძლიერო,
უხსოვარ დღიდან შენს ნაკვალევს
მივსდევ, როგორც მთის ნაკადული
აღავსილი შენი სიბრძნის წმინდა წყაროთი.
საუკუნეთა ქარტეხილებს შენმა რწმენამ
გადამარჩინა,
და მე, შენს გარდა, არ ვიწამო,
არც იეღოვა,
არცა ბუდა,
არც საბაოთი.
უფალო ჩემო,
მოგვხედო იქნებ;
ცრუმორწმუნენი დაძრწიან და
გზას უბნევენ ადამიანებს,
ნუ ჩაუგდებ ხელში ჩვენს სულებს,
მრავალ ჩვენთაგანს განუნათლე დახშული გონი.
და ისევ შენ, მაღალო ღმერთო,
თუ არა შენ, განუყოფლობას ჩვენი ერის
ვინ განასრულებს?

15 ნოემბერი, 1995 წელი, თბილისი.

***

სად არ ვყოფილვარ,
სად არ მინახავს, უფალო ჩემო,
საოცრებანი შენს ხელთა ქმნილთა,
გადამისერავს კონტინენტები,
მდინარეები, ტყე უდაბური,
გზა ღორღიანი,
მთა ძლივს აღმართი,
მთა საშინლად გადასახედი,
მაგრამ ნათელი, მეუფეო, ესაა და ეს,
ეს მოგვანიჭე ჩვენ ცოდვის შვილთა.
ო, საქართველოვ, დედაღვთის მიწავ,
გზაჯვარედინო,

ძელისჯვარო,
ცრემლო თამარის,
შენს თავს ვავედრებ უზეშთაესს, რომ
ზეცის ნათელში,
ცის სილურჯეში,
ცისკროვანებდეს შენი მთა-ბარი.

20 ნოემბერი 1995 წელი თბილისი

***

ჩემო მეუფევ,
ამ უსასრულო სამყაროში, ცოდვილ მიწაზე,
ათასი რჯულის ხალხთა მორევში,
ხის ნაფოტივით დატორტმანებს საქართველო და,
მესამე ათასწლეული შენ უკვე იცი,
ვის აღხოცავს პირისგან მიწის.

უფალო ჩემო,
ამ შენს სამოთხეს,
ამ შენს კუნძულს შენი კალთა გადააფარე,
რწმენის კედელი აღგვიდგინე იმ ქვითკირისგან
შენი საქმენი, რომ ადუღაბებს.
გადაუწმინდე ღრუბელთაგან დღე, მზე ცხოველი,
ღამე კი მთვარე.

მაღალო ღმერთო,
ამ მესამე ათასწლეულში
სადაც შენ უნდა მეუფედ იჯდე,
საქართველო ჩანს, როგორც ერთი ვარსკვლავი ცაზე,
როგორც კუნძული ქარიშხლიან ოკეანეში,
შემოგავედრებ, ნუ მოსწყდება ცას,
ნუ გადალეკავს ამ ლამაზ კონცხს ამტყდარი ტალღა,
ნუ გაიმეტებ ვეშაპთაგან დასაღუპავად,
იდგეს მიწაზე, როგორც შენი ტაძარი დგას და,
ერს შენთან მართალს,
თავი ყველგან ეჭიროს მაღლა.

21 ნოემბერი, 1995 წელი, თბილისი.

***

მაღალო ღმერთო,
მე ისევ აქ ვარ, ამ ძველ საყდართან,
აქ გადმომაგდო გულმა ჩემმა სევდით აღსავსემ,
რომ დავიჩოქო შენს ფერხთით და
ამ სიმაღლიდან, კვლავ მოვავლო ჩვენს სამკვიდროს
თვალი ჩემი ცრემლებით სავსე.

ჩვენს წმინდა მამულს, ჩვენს სამლოცველოს,
დასჭირდა სისხლი უფალო და უხვად გავიღეთ,
სატანა  მძლავრობს, ხან სამაჩაბლო,
ხან აფხაზეთი,
ჩემი სამშობლო ადრეც ასე მგლურად გაიყვეს.
ჩემო მეუფე, ჩემი მთა-ბარი,
ველ-მინდვრები თუ მდელოები,
გადაპენტილი იყო თეთრი ვარდ-ყვავილებით,
ეს ბოლო წლები სისხლისფერი ყაყაჩო სჭარბობს,
და მაგონდება დაღუპული ჩვენი შვილები.

მაღალო ღმერთო,
თუ ჩემს ვედრებას, თუ ლოცვას ჩემსას
არავინ ისმენს მოხეტიალე აქ ქარის გარდა,
შენ მომისმინე უზეშთაესო, გახსენი ცანი
და მამულის დამცველთა სული, ჰყავ ნათლით მარად,
ხოლო ჩვენ, ღმერთო, ჩვენი მიწის ეს ტკივილი,
ეს ცრემლები გვაკმარე დარდად.

იანვარი, 1996 წელი, თბილისი.

***

ღმერთო, მაღალო,
ამ საყდრიდან, რომ გადავცქერი მზის დასავლამდე,
ეს მიწა-წყალი, მაღალი მთები შენი ნათლით გაბრწყინებული
დედაა ჩემი, მის წიაღში მსურს დავსამარდე,
ლურჯ ცას შევერთო, ღმერთო, სულით მე წამებული,
რომ ქარმა იქნებ ამიტაცოს შენი კარვის ოქროს კარამდე,
იქნებ ვიხილო სრულქმნილება, რაც არ მეღირსა ჯერ მე აქამდე.

უფალო ჩემო,
ცხოველი მზით და სავსე მთვარით საქართველოს გზა გაუნათე,
მოუმყუდროვე როგორც შენთვის ანთებულ სანთელს,
შენს ზარს რეკავდეს სხვა ათას წლებს, როგორც ცის მნათე,
იყო ის შენთან, კვლავ შენთან მოდის, რათა შეერთოს შენს ციურ ნათელს.

4 თებერვალი, 1996 წელი, თბილისი.

***

დრო, როგორც ქარიშხალი მიჰქრის და მიაქვს
ჩვენი სიცოცხლე წამიერი,
და მიჰქრიან ათასი წლები,
მთებიც ილგვებიან მიწის პირისგან,
ყოველი კერპი,
ყველა ბელადი გაცამტვერდა, უფალო, შენსწინ,
ყველა კვარცხლბეკი ნაშენები თვით ქვითკირისგან
მოისრა,
და მხოლოდ შენი ბრწყინვალებაა, უფალო, ჩემს წინ.

არის სხვა ერთიც მეუფეო -
საქართველოა!
რომლის ხსენებით ფერმკრთალდება ჩემში სხვა ყველა:
ყველა ბელადი,
ყველა მეფე,
კერპი თუ გმირი,
თვითონ სამყაროც, სადაც ჩვენი ბედი ტრიალებს,
და, მეუფეო,
საქართველო დაიფარე, გთხოვ, დაიფარე!
გთხოვ, ეს შროშანი არ დააჭკნო, მზით გაგვიხარე,
მტრად ვინც მოეპყრას მეხის დარტყმით გაატრიალე!

9 მარტი, 1996 წელი, თბილისი.

***

ჩემს შარა გზაზე, დღიდან ჩემი გაჩენისა,
მეტი დავფარე, ვიდრე დამჩა, უფალო ჩემო;
და მე მეგზური მოვიჩქარი შენს შესახვედრად,
რომ განვერიდო კაცთა ბოროტთა, ცრუ წუთისოფელს,
და მე შენს მონას, სულის სავანე იქნებ მაჩვენო.

ვიცი, ჩემს სხეულს უფრო მეტი ტანსჯვა მოელის,
ვიდრე გავივლი დანარჩენ გზას, ჩემო მეუფევ,
მე უკვე მზად ვარ მოგეახლო, უფალო და, შენი სახლისკენ
ფეხებდამსკდარი ხრიოკ აღმართს დინჯად შევუყვე.

მაღალო ღმერთო, და როდესაც ჩავისვენებ შენს საუფლოში,
განმსაჯე მეც და სული ჩემი, ასე დევნილი
ჯერ ცას კი არა, დააფინე ამ ზეგანზე,
ამ საყდრის ქვებთან,
რომ ჩემი მიწა ყვავილებით გადაფენილი,
ათრობდეს მას და ქედანივით მოჰქროდეს შენთან.

აქ დაივანოს გულმა ჩემმა, შენით რომ თრთოდა,
ჩემმა სიცოცხლემ,
რომელიღაც ვარსკვლავივით ცაზე რომ კრთოდა.

6 დეკემბერი, 1996 წელი, თბილისი.

***

მაღალო ღმერთო,
ჩემი პატარა გონების თვალით რასაც ვუყურებ,
ქვეყნიერებაა შენი ოქროს ხელით შექმნილი,
და მომაგონებს შროშანთა ველს,
ვარდებისა და გვირილების გაშლილ ხალიჩას,
როცა ვუყურებ ამ სიმაღლიდან ცასა და მიწას
შენი სიკეთით ზღვასავით სავსეს,
გულს მიკლავს სევდა საქართველოზე.
სატანამ ასე როგორ გახლიჩა?
იესო ქრისტევ,
გლახაკთ შემვრდომო და ცოდვილთა მპატიებელო,

შეგვიწყნარე და ნუ მოავლენ ჩვენსა ზედა
სხვა რამ განსაცდელს,
ჩემი მამული, როგორც მუხაა მუმლდახვეული,
ლერწამიც არის ქარიშხალში
და შენ, უფალო,
მოგვეცი ძალა, მიმოვფანტოთ წყეული მუმლი,
ქარიშხალმა კი ვერა სწიოს თავის საწადელს.

10 იანვარი, 1997 წელი, თბილისი.

***

ჩემო მეუფევ,
აჰა, აი, ჩემი ორი სანთელი,
თქვენ ორს რომ მინდა შემოგწიროთ
ჩემი სიცოცხლის შემოდგომის ჟამს,
იესო წმინდავ, მეორე სანთელს
სამშობლოს ვუნთებ, შემოგავედრებ მის ჭრილობებს
მტერთან გადახდილ მძიმე ომისას.

უფალო ჩემო,
ამ სანთლებივით იწვის სული, შენსკენ მქროლავი,
ასევე იწვის ჩემი გული - ნაღვლით აღსავსე
ჩემო მეუფევ, შენთვისა და მამულისათვის,
და მეც დამფაროს მშობელმა მიწამ და ლოდო ჩემი
არ გადაგორდეს საფლავიდან, დროში დახავსდეს.

ღმერთო, ვიცი, რომ ყველგან არის შენი სუფევა,
ვიცი, რომ მისმენ, ვიცი მოხვალ, უფალო, ჩემში,
ამ ცრუ სოფელში ნუგეშს ვეძებ, შენგან კურთხევას,
ვიცი, მოხვალ და ოქროს თავთავს ჩამიდებ ხელში.

11 იანვარი, 1997 წელი, თბილისი.

***

გულთა მხილველო,
მეუფევ ჩემო,
როცა მოაღწევს ჟამი ჩემი ამ ქვეყნიდან განშორებისა,
შენს აღმსარებელს მოწყალება მიბოძე ერთი,
გამოანათე მაისის თვეში და ციურ ზარებს,
შემოარტყი, ზენაარო, ეგ ოქროს კვერთხი,
და მხოლოდ ერთხელ დამანახვე მშობლიური ცა, მინდორ-ველები...
მზე დამანახვე,
საქართველოს მზე - კავკასიონთან ჩამავალი, ამომავალი,
შენი სიკეთით, მოწყალებით მე ნაზიარევს,
და შენი ნებით,
და მაშინ მხოლოდ,
მე სულთან გაყრილს დამეკრიფოს გულზე ხელები.

როგორც მიმიღებს დედამიწა ო, მეუფეო,
ვინ დამიტირებს?
მოიცვას ზეცა ღრუბლებმა და დამიტირონ ვით მარტოსული,
ქარიშხლით, წვიმით, ყრუ ქუხილით, ელვით და ჭექით,
ჩემი გამოზრდილი ვაზი დამიტირებს,
დედის საფლავზე ია ამოსული,
სულს განმინათლებს ღვინო, საფლავთან დაღვრილი ჭიქით,
და, მეუფეო,
თუ ღირსი ვარ,
შენი სუფევა ცით გადმოსული.

25 იანვარი, 1997 წელი, თბილისი.

***

ღმერთო, მაღალო,
აჰა, ჩემს წინ გადაშლილა ჩემი გოდების კედელი - ქართლი,
მინდვრად გასულა ჩემი ხალხი, ვინ ამკობს ვენახს, ვის პური მოჰყავს,
რომ მოგეახლონ, მეუფეო, ღვინის ზედაშით და პურის მადლით,
რომ მიუტევო შეცოდებანი ჩემს ქართველ მოყვასს,
შეუმსუბუქო ხვედრი მძიმე ომებში გაზრდილთ,
სულის და ხორცის ჭრილობები დღემდე რომ მოჰყვათ.

ო, მეუფეო,
ქვეყნიერება მსურს მოვიარო, ვილოცო მინდა
ყველგან, სადაც კი შენს სახელზე ქვა დადებულა,
შემოგავედრო საქართველო, მამული წმინდა,
გაამთლიანე დარღვეული ჩემი სამშობლო,
და მე მის მონას, ინებე და, როგორც ხარს შვინდას,
შენი უღელი მიხაროდეს, მე, მის შვილს ობოლს.

29 იანვარი, 1997 წელი, თბილისი.

***

მალე გადირბენს დედამიწიდან
ორი ათასი წლის ეპოქა, ცათამპყრობელო,
წავა ეპოქა, კაცთა შორის სისხლის თხევის და
უსასტიკესი ყოფნა-არყოფნის ჟამნი სატანის,
სახელმწიფოთა აბჯართმსხვრევის, შენი სხეულის ჯვარზე ატანის.

იესო ქრისტევ, შენს აღმსარებელთ
განა გვასწავლა თავგანწირვამ შენმა რაიმე?
არა და არა!
ეს საუკუნე სისხლის უფრო ღრმა ტბას ვაწაფეთ,
უფრო შევტოპეთ სოდომ - გომორის ლაფში ცოდვილმან,
ვენახი - ღვინის საზედაშე ჩვენვე ავკაფეთ,
იმძლავრა უფრო ძალამ ეშმაკის შენგან გმობილმა.

აჰა, მოგვადგა მეოცდაერთე, დასაწყისი ახალი ერის,
ჩვენ რითი ვხვდებით შენს ახალ დროს, უფალო ჩემო?
გზააბნეულნი, დაფანტულნი,
თითქოს დარჩით ცხვარნი უმწყემსოდ,
გზა ჭეშმარიტი დავივიწყეთ შენი ტაძრისკენ,
დრო ულმობელი დაგვტრიალებს,
როგორც გრიგალი ჯეჯილს აღერილს.

შეგვინდე, ღმერთო, შეცოდება -
თუკი რამ ვყავით შენს წინ უწესოდ,
მოგვეცი ძალა ვუპატრონოთ მამულს გაწეწილს.

8 თებერვალი, 1997 წელი, თბილისი.

***

როგორ გაჭენდა ულაყივით ჩემი სიცოცხლე,
ვერც კი გავიგე, უფალო ჩემო,
ჰა, მივაღწიე სამოც ათეულს,
შენ იცი მხოლოდ სადაცა ზის ჩემი სამანი,
და ვიდრე მოვალ ო, გამჩენო შენს ნატერფლამდე,
მე გადავხედე გადარბენილ ჩემს წელთა ნახირს,
ახლაღა მივხვდი, შენს ნათელთან, შენს საუფლოში
ჩემი სიცოცხლე ჩიტის ერთხელ სტვენადაც არ ღირს.

რით ვიამაყო ო, მეუფევ, რა საქმეებით,
რა სარკინოზი მე გავდევნე ანდა მონღოლი?
რით შევეწიე საქართველოს ვიღაც მე ერთი,
ანდა შენ რითი გემსახურე ვარ მე როგორც?
ო, მეუფეო, ამ ვერაგ დროში
შენი შეწევნით განვვლე წლები, წლები სატანის,
გმადლობ, უფალო, რომ აღმართში არ მიმატოვე,
შენ იცი მხოლოდ სიყრმის მხრებით ვერ გასატანი ...
რა ტვირთი ვზიდე, რა ნაღველი, რა სიმარტოვე.

უფალო გისმენ! შენ ხარ ჩემთან და საქართველო!
და ვიდრე მეც ვარ სამყაროს და თქვენი ნაწილი,
აღსასრულამდე, როგორც გლახას, ზეცის ნათელო,
თქვენსკენ მექნება სამოწყალოდ ხელი გაწვდილი.

29 აპრილი, 1997 წელი, თბილისი.

***

ჩვენთვის, გლახთათვის და
უმადურთათვის ნაწამებო, იესო ქრისტევ,
გზას აცდენილნი, ბევრნი კვლავაც შენს გზას ვადგავართ,
მაგრამ მრავალნი კვლავ მისდევენ სატანის მცნებას ...
ჩემი ლოცვით და ჩემი ვედრებით მოყვასსა ჩემსა შემოგახვეწებ,
მიუტევე შეცოდებანი ო, უფალო, ისევ და ისევ.

შენს მარადიულ სამკვიდროში, განა რა არის ეს დრო, რაც ეშმამ
უწმინდურ ხელით გამოგვტაცა შენი პატრუქი,
შემოალაჯა, როგორც მგელმა ცხვრებზე ნაგეშმა,
და რა მონღოლი, რა არაბი, ანდა რა თურქი ...

გვიხსენ, უფალო!
შენს აღმსარებელთ, მართლმადიდებლებს,
როგორც არასდროს, დღეს გვჭირდება შენი ნათელი,
რომ წინ აღუდგეს მწვალებელთ და სხვა მქადაგებლებს,
რომ ქართველების შემომკრები, მარად ენთოს ჯვართან სანთელი.

26 მაისი,1997 წელი, თბილისი.

***

ღმერთო მაღალო,
მალე დადგება ჩემი სიცოცხლის მიმწუხრი და,
ჩამოჰკრავს მნათე ბოლო დღეთა ზარს საბოლოოს,
გამახსენდება თაგოობა,
ასკილის ეკლით ეშმაკს ვდევნი, ბავშვი, ბუხრიდან,
გამახსენდება საბრალო დედა,
ხატთან მიდის, რომ ეს ყოველი
შენზე ლოცვით დააბოლოოს.

ღმერთო ძლიერო, მადლობა შენდა,
რომ ეს შორი გზა ქვა-ღორღიანი, აღმართ-დაღმართი
ფეხებდასისხლულს მხრებზე ტვირთით გადამატარე,
ვერც კი გავიგე მე, გლახაკმა, წმინდანის კვართი,
უფალო, ობოლს სად და როდის გადამაფარე.

ო, მაცხოვარო, მომეცი ნება,
ჩემი სიცოცხლე შენი ნათლის ქვეშ ცეცხლივით ენთოს,
აღსასრულამდე და საბოლოოდ ვიდრე გარდავალ,
და ესეც სხვისთვის, იქნებ ვინმემ ძვლები გაითბოს,
ჩემს ტანჯულ სულს კი შენ გწირავ და
შენს ტერფებთან შვებით განერთხოს.

1 ანვარი, 1998 წელი, თბილისი.

***

ადრე თუ გვიან მუხლს მოიდრეკს
შენს წინაშე,
გლახაკი თუ მზვაობარი, უფალო ჩემო;
ყველა მოგიხმობს,
ყველა შეგთხოვს, რომ მიუტევო შეცოდებანი,
უძლურს თუ ამაყს, ვინმე რამეს შენს წინ თუ ჩემობს.

ჩემო ღვთაებავ, გთხოვ მაპატიო,
რომ გვიან მივხვდი მცირედიდან ამაღლებულ შენს სიდიადეს,
კაცთა მოდგმას რომ ბნელს უნათებ ჯვარცმულის სისხლით,
რომ გვიან ვცდილობ შესაწირით შენი ტაძრის კარებს მივადგე,
იქნებ მცირედი ცოდვა მომხსნა, რაც დამაქვს კისრით.

1 იანვარი, 1998 წელი.

***

ღმერთო მაღალო, გადახედე ამ შენს საუფლოს,
ზღვა ხალხი დადის,
აგერ, მინდორშიც გამოსულან სახნავ-სათესად,
სამშობლო ჩემი გადამტანი ამდენი დარდის,
კვლავ აღასრულებს შენს წინაშე რაც ერგო წესად.

უზენაესო,
მათ შორის მეც ვარ, ვინც შენს მაღალ უბრალოებას,
შემოავედრებს საქართველოს ჭირვარამთა განსარიდებლად,
მე საფიცარი ესღა დამრჩა, სხვა ყოველის ამაოება
ვიწამე, ღმერთო, და არად მიღირს, შენს წინაშე ვინმეს დიდება.

ცათა მეუფევ,
გულმოწყალევ ცოდვილთა და გზას აცდენილთა,
ჩემი სამშობლო გზად გაჰყვება ახალ ასწლეულს,
გთხოვ, დაიფარე, დაიფარე ჩემი ხალხი განსაცდელისგან,
მოგვეცი ძალა, ამოწვართვა მახვილისა დავასწროთ გრძნეულს.

1 იანვარი, 1998 წელი.

***

ო, ღმერთო ჩემო, იქნებ შენგან მაქვს
მომადლებული,
შენი საუფლოს სამლოცველოსთან
მივხვდე, რას ამბობს ავი სტვენით ბოროტი ქარი,
მივხვდე, უფალო, ამ მუხებში, ამ გაზაფხულზე
რას გალობს შაშვი სევდიანად,
შენით ბოძებულ სიცოცხლით მთვრალი.
სად აღარ ვეძებ სიმყუდროვეს, ადგილს რაიმეს
განსარიდებელს,
და აჰა, აქ ვარ — შენს სიახლოვეს
დაღლილი სულის და სხეულის კვლავ მოსათქმელად,
და ის, რომ მესმის ქარიშხლის ენა,
შაშვის გალობაც გულისგულს სწვდება,
ეს შენი მადლით, მე კი ნაწამებს
ძალა არ მყოფნის სამადლობლის გამოსათქმელად.
ო, ღმერთო ვიცი, სადღაც აქ არის
შენი აჩრდილი,
შენი საუფლოს სამლოცველოსთან,
ვიცი, ეს ქარი შენი კვართის კალთასაც არხევს,
შაშვის გალობაც შენს სმენას სწვდება,
უფალო, აქ ვარ, შეიწირე სანთლის ეს შუქი,
გადმოდი ჩემზე,
და ჩემი გული შენი მადლის ცხებით გაალხვე.

მარტი, 1998 წელი

***

როდის დავშორდი შენს სამყოფელს, მეუფეო, მე, კარგად მახსოვს,
შემოსაწირის ძიებაში შემოდგომაც კარზე მომადგა,
დავეძებ ფარდაგს, ო, უფალო, მზის სხივით ნაქსოვს,
რომ დაგიფინო და ჩემს სახლში ფეხი შემოდგა.

ო, მაპატიე მაცხოვარო, განა არ მახსოვს შენი კვართი და
ღვთაებრივ ხელზე დაფშვნეტილი ხორბლის თავთავი?
შენ უბრალო ხარ, საგანძური, ვიცი, არ გინდა,
უზეშთაესის ნება ხარ და სიტყვა მართალი.

ო, მეუფეო, შემომხედე, სამოსელში მიჩანს სხეული,
და ფეხსაცმელსაც რა ხანია გაუცვდა ძირი,
რა გამაჩნია? სული, ღმერთო, გულმკერდიდან ამოხეული,
რომ შემოვწირო შენს სათნოებას და მოვკვდე, როგორც მღვიმეში მწირი.

ნოემბერი, 1998 წელი.

***

წელიწადია, მეუფეო,
აღარ მოვსულვარ შენს კარიბჭესთან,
და აღარ მითქვამს საქმეთა შენთა სადიდებელი.
დღეს შენთანა ვარ,
შენს სიტყვასთან ხმალივით მჭრელთან,
გულით, რომ დამაქვს, როგორც ჭირთა ამრიდებელი.
ჰა, მოვედი აღსარებად იმ დღეთა გამო,
წრფელად გიამბო, სად გავტოპე, სადაც დავეცი,
სად სასოებით მეც წამეცხო შენი მალამო,
ოდესღაც მრავალ უპოვარს, რომ უხვად გაეცი.

ყველა ბნელი გზა შენი ნათლის შუქით გავლიე,
და აღარ მიჭირს მხრებზე მაწვეს ბედი ლოდივით,
უფალო ჩემო, იმ მცნებათა წყარო დავლიე
შენ რომ ახარე უდაბნოში პალმის ტოტივით.
მაღალო ღმერთო, იესო ქრისტევ,
შემინდე გლახას,
შეცოდებანი
რა გინდ წმინდა მონას რომ ახლავს,
შემასწარ, ღმერთო, მადლიერო, შენით ცის გახსნას,
რომ ვეზიარო შუქს შენი სიბრძნის ახალს და ახალს.

6 ნოემბერი, 1998 წელი.

***

მინდა ამოქროლდეს დიდი ქარბორბალა,
მიწიდან ფესვებით ხესავით მომთხაროს,
გადამატაროს ცა და დედამიწა,
დამაგდოს სადღაც და ლერწივით მომხაროს.

დაცემულს მკლავდეს მე შიმშილი, წყურვილი,
მახრჩმობდეს გველი და უდაბნოს სამუმი,
დავმუნჯდე ისე, რომ არსაით მესმოდეს
იესოს ლოცვა და დავითის ფსალმუნი.
უფალო, მე შიში ამ ტანჯვის, ამ გვემის
არა მაქვს, რადგან შენ შუქი ხარ ჩემი და
ხსნა ჩემი. მომხედე, უფალო, მეც იქნებ,
მასავით გადავრჩე, ვინც შენში შევიდა.
აქ ვეღარ ვეტევი, მინდა ქარიშხალი,
არ ახდა ოცნება, სიზმარი არც ერთი,
რად მერგო ასეთი ხვედრი მე, უფალო,
ან რატომ ჩამიდგი სული, მე, ასეთი?
მე მარტოდმარტო ვარ, თუ შენში მამყოფებ,
ვივლი მე კვლავ ას წელს მათხოვრის სამოსში,
უფალო, მომხედე, მეც იქნებ გადავრჩე,
ამ ცოდვილ მიწიდან ადენილ ქაოსში.

28 მარტი, 1999 წელი, თბილისი.

***

ორიათასმა წელმა განვლო, რაც ცად ამაღლდი,
უფალო ჩემო,
და სიტყვა შენი აჰა, აღსრულდა,
მოედვნენ ჩემს ერს ცრუ მოციქულნი, ბევრმაც იწამა,
და გზები მათი, შენსკენ, ღმერთო, კიდეც დასრულდა.

,,ქართველო, დექ“!
რა ათასგზის გინდა გაცდუნონ,
თუ გსურს გადარჩე სხვა მომავალ ათასწლეულებს,
თუ გსურს მიხვიდე სასუფევლის სულ წინა კართან.

,,ქართველო, დექ“!
დრო ულმობელი, მუხანათი მოემართება,
და როგორც ბევრ სხვას, შენც არ დაგინდობს,
არ შეგაცდინონ ქრისტეს სახელით,
და უფალი, რა ცოდვანიც გინდა გტანჯავდნენ
ყველას შეგინდობს.

„ქართველო, დექ!“ არ დაივიწყო, რა ანგელოზმა
გამოგატარა ათასწლეულთა ჯოჯოხეთი მოაქჟამამდე,
ნუ დაადგები საფათერაკო კვალს სატანისა,
რომელიც ასე ნაბიჯ-ნაბიჯ დღემდე თანა გდევს.

24 აპრილი, 1999 წელი.

***

ორიათასი წლის ეპოქა დაილია, ჩვენო მეუფევ,
შენი ჯვარცმიდან,
ავაზაკთაგან დაღვრილი სისხლი დღესაც ღაღადებს,
და დედას შენსას, მარიამს, რომ ცრემლი დასცვივდა,
სინათლით კრთის, რომ ქვეყანაზე აღარ დაღამდეს,
შხამის სასმისი, მამისაგან, რომ არ აგცილდა,
ჩვენთვის, ცხვრებივით, საწუთროში, რომ არ დავღავდეთ.

უფალო ჩვენო, მონანულათა,
კეთილო მწყემსო,
სხვა ათასი წლის კიდეთვე ერთი დგება ეპოქა,
ჩვენ შენთანა ვართ, ამ შორ გზაზე კვლავაც გვიმწყემსო,
ღმერთო, ეს გვინდა, მშვიდობა და ცრემლი გვეყოფა.

მაგრამ, უფალო, მძლავრობს სატანა, შენი შეწევნით თუ ვძლევთ გან-
საცდელს,
შესთხოვე მამას, ჩვენ, „შენს“ მოწამეთ, შენს სიყვარულში ერთნი რომ ვიყოთ,
რომ შენში ყოფნა, ჩვენო მეუფევ, ამ ათას წელსაც იქით გადასცდეს,
რომ ჩემმა მოძმემ, ამ შორ სივრცეში ათასმა ვერცხლმაც ვერ გააბრიყვოს,
რომ შენს სამწყსოში, იესო ქრისტევ, ერთი ბატკანიც ფარას არ ასცდეს,
რომ შენგან, ღმერთო, ქართველთა ნავი, ზღვის ქარიშხალმა შორს არ გარიყოს.

10 დეკემბერი, 1999 წელი

***

უფალო, ახლაც
ცას შევყურებ,
დეკემბრის ღამის ცას,
იქნება მივაგნო როგორმე შენს ვარსკვლავს,
მოგვების სამგზავრო სამოსი ჩავიცვა,
გამოვყვე ბეთლემში მის ციმციმს კვალდაკვალ.

დავემხო შენს წინ და ვადიდო ღვთაება,
წმინდა მარიამის ვემთხვიო სამოსელს,
მოგართვა გუნდრუკი, ვიწამო სამება,
მსუბუქი გზა მქონდეს მე, შენსკენ წამომსვლელს.

არც დრო, არც მანძილი მაშორებს, უფალო,
შენი მოვლენიდან მე მოაქჟამამდე,
ოცი საუკუნე შენს ვარსკვლავს საუფლოს,
შემოაქვს ნათელი ჩემს სულში აქამდე.

მხოლოდ შენ, უფალო, თორემ ჩვენც, ქართველებს
გაგსვრიდა ათასგზის ჰეროდეს ჭაობი,
მადლი შენს მოციქულთ, ჟამსათვლის ამთვლელეს,
ჩემგან და კიდევ სხვა ათასი თაობის.

25 დეკემბერი, 1999 წელი.

***

უფალო, ინებე მოვიდეს ჩემო დრო,
წავიდე სოფელში, რომ ვაზი ვახარო,
სევდა მკლავს, აქ ვიცი, ვერასდროს მოვრჩები,
მამულში შევიდე, საწიდნე გავთხარო.
დავწუროთ ყურძენი, ზედაშით მოვიდე,
გადიდო, ღმერთო შენ, დაგინთო სანთელი,
შენს ახლოს კვარცხლბეკზე მე მუხლებს მოვიდრეკ,
იქნება მეღირსოს ვიხილო ნათელი.
ინება მეუფევ, რომ კრძალვით შევეხო
შენს კალთას, რომ მოვრჩე ამ ნაღველს, ამ სევდას,
მსუბუქად ყოფნა მსურს მიწაზე და მეც ხომ,

ყრმობიდან შენი ეგ სიკეთე მავსებდა.
ინებე, მეუფევ, დავწურო ყურძენი,
დედ-მამის სული, რომ ღვინით შეგავედრო,
ჩემებნი ძლიერ ჰყავ ასულნი თუ ძენი,
რომ იქნებ ოდესმე მე, მათ მხრებს დავყრდნო.
ინებე, უფალო, წავიდე სოფლად, რომ
მამულში გავიდე, ვაზი გავაშენო,
ცოტა მეც დავისვენო, დაღვრილი ოფლად რომ
დავჯდები, ულვაში ღვინით დავიმშვენო.

8 იანვარი, 2000 წელი.

***

მეუფევ ჩემო,
ტბაში ჩავარდნილ ფოთოლივით დავფარფატებ
წუთისოფლის მღვრიე ტალღებზე,
და მე არ ვიცი, ქარიშხალი ფსკერზე როდის დამასამარებს,
ან სად ამიყვანს ბედი მუხთალი,
რომელ ქარაფზე, რომელ მაღლობზე,
სად გადამჩეხავს, სად დამიბნელებს ცას ვარსკვლავიანს,
მზესა და მთვარეს.

ჩემი სიცოცხლე ბედს მიენდო, როგორც ფოთოლი ქარის მოსვლამდე,
და რას მიმზადებს დრო მუხთალი, უნდო, ვერაგი
შენ უწყი მხოლოდ,
და ჩემს წილ ბალღამს ვიდრე მოვსვამდე,
შემომაცვითე ტანზე წლები, როგორც ყრმობისას თეთრი პერანგი.

მოძღვარო ჩემო,
არ მიმატოვო განსაცდელის ჟამს
როდესაც მე დამატყდება ბედითი ქარი,
როდესაც მოვა მუხლთა წარკვეთა,
მკლავთა ძაბუნი და თრევა ტანის,
მაშინ შემინდე ო, უფალო,
გამიხსენი მე შენს მონას ზეცათა კარი,
ამყოფე მშვიდად, მხნედ ამყოფე
სული ჩემი – ცად ასატანი.

6 თებერვალი, 2000 წელი.

***

ღმერთო, მაღირსე ტვირთის ზიდვა,
ტანჯვა და ჯვარცმა,
თუ საჭიროა, დამამუნჯე რომ,
არ გავცე ძეხორციელს
არც სიტყვა,
არც ხმა.

ამკიდე ტვირთი – უსაშველო რამ შესაწირი,
და როგორც ქარი აათრთოლებს მდინარის ტირიფს,
თრთოლვით მოვიდე შენთან მე, ვით მღვიმეთა მწირი,
მანამდე, ღმერთო, გადაჭრილი ვაზივით ვტირი.

დავსამარდები მეუფეო, შენსა ფერხთა წინ,
როგორც მთის კალთას მოწყვეტილი სალი კლდის ლოდი,
არ შევდრკე შენსკენ მომავალი ელვა, მეხთა წინ,
ოღონდ ვიცოდე, ტვირთის ზიდვას მაღირსებ როდის.

1980 წელი

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

## მონოლოგები

# „მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ“

*მთაწმინდას*

შემომალამდა, მთაო წმინდავ,
შენს დაბურულ ტყიან კალთებთან,
ვით ჩემებრ მწუხარს,
მეც შენთან მინდა მოვიმიმწუხრო,
შენს ვარსკვლავებთან,
შენი მთვარის შუქთა ნათელთან.

ვის მივეკედლო?
ვის გავენდო,
თუ არა შენ-ჩემებრ სევდიანს?
აქ მინდა მხოლოდ ლამპრად ავენთო
და გზას გავუყვე ხრიოკს, ეკლიანს.

შენგან დავიწყებ ო, მთაო წმინდავ,
ლოცვას მამულზე, ლოცვას ქართლისთვის,
სატაძრო აგურს მხრებით ავზიდავ
შენს მწვერვალამდე სვეტის ნათლისთვის.

შენახარ, მთაო, ჩემი ხატება:
მთა ელეონის და მთა თაბორის,
ჩემი გოლგოთა, ჩემი პარნასი,
და თუ საწუთროს აქვს რამე არსი.
ისევ შენით, რომ მე აქ ნათება
მაცოცხლებს შენი მზისა და მთვარის,
მაცოცხლებს შენი მიწის ამბორი.

მთაო ცხოველო,
ო, მთაო, წმინდავ.
კაცთაგან, არსთგან მხოლოდ შენ იცი,
მხოლოდ შენ განდე ჩემს ფიქრთა ღელვა,
და თუ საწუთრომ გადამაგდო სადმეს შორს შენგან,
თავს დამატეხა გრიგალი, ელვა,
ან თუ მომიხდა მე, სიკვდილთან უდროო ძლევა,
ხმით ველარ მოგწვდე, თვალით ვერ გნახო,
ვერ შეგელევი,
შენი მზის, მთვარის,
შენი ცის ქვეშ მსურს დავიმარხო..

შენ მიიბარე ტანჯული გული
და მცირე ცრემლი წვიმად მაწვიმე,
ხოლო თუ მოვკვდე სადღაც ბედკრული,
და შენთვის თავი თუ ველარ გავწირე,
თუ სხვის მიწას მე, ჩემი მხედრული
ტანით ავღმართავ საფლავის ბორცვად,
იქაც მეყაროს ეს მიწა მცირე,
რომ სულს მოეცხოს შვებად და ლოცვად.

24 იანვარი, 1981 წელი, თბილისი.

## ხმა მომავლიდან

მესმის, ხმა მოდის მომავლიდან,
რაღაცა უცხო, მგვანი ქუხილის,
ჰგავს კვამლს ავარდნილს ცეცხლით, ალისგან,
მესმის რაღაცა დროთა დუღილი.

ხმები მოდიან ქარიშხლის, გრგვინვის,
ღმერთო, მივაპყრა ყური რომელ ერთს?
მგონია დევნის, მგონია გმინვის,
ჰგავს, თითქოს ცეცხლი მოაქვს პრომეთეს.

ჩემს მეგობართა და ტოლთა შორის
ხმა იდუმალი მესმის ვიცი ერთს,
ვიცი, ერთს მიძევს ტანჯვის გზა შორი,
ბედის სიმუხთლეს ვნახავ არა ერთს.

წავალ, შევხვდები ამ ხმებს იდუმალთ,
თუნდ დავითრგუნო, თუნდ ჩავიქოლო,
ოღონდ, გავცილდე ამ დღეებს მდუმართ,
ოღონდ, ახალმა სიომ მიქროლოს.

ოღონდ, შევიცნო, ხმა ვისგან მოდის,
ხმა შეწყალების თუ ხმა დევნისა,
თუ ჩემს გარშემო ცოდვილთა გმობის
და მათი, სულით, ხორცით გვემისა.

26 ივნისი, 1981 წელი, თბილისი.

## საცრფოს!

ო, ცისიერო, რად მიღიმოდი,
რატომ მიგებდი მახეს მე, ბედშავს,
ტანჯულ სულს ვიცი, ვერ გამითბობდი,
ჰა, თქმა მინდა და ვერ გამიბედავს.

ვგრძნობდი, მომკლავდი,
მაინც ვენდე ვნებიან ქარებს,
მე, უბედური აჰა, მოვთავდი,
ჩემს მწარე ნაღველს რა გააქარვებს?

როგორ ვღელავდი, როგორ ვშფოთავდი,
მეგონა, ვარსკვლავთ და სავსე მთვარეს
ციდან ჩამოვხსნიდი, შენს თმებს მოვრთავდი,
თურმე, ვინ ახსნის ცხრა კლიტეს კარებს?
შენ, ასე ველის შროშანს რომ ჰგავდი,
ყნოსვად მე ყარიბს ვინ მიმაკარებს?

წინანდლის ვარდო,
შენს ხატებაზე მე, გულით მლოცველს
ნეტა იცოდე რა გეენა მწვავს,
სიზმრად საყურის ჩრდილის მე, მკოცნელს
ვიცი, შენს მგოსანს ბედისა ბრმად მწამს! ...

ვაი, რომ ვერვინ,
ვერვინ ამომგლეჯს
შიგ გულში ნასროლ ამურის ისარს,
ნაღველო ჩემო, შენ რა გამოგლევს,
რა გაამრთელებს ჩემს გულის ფიცარს?

მე, ისღა დამრჩა,
ცრემლით დავალტო
სიყვარული და შენდამი ტრფობა,
ვაი, თავს ჩემსას, რომ ვერ ვღალატობ
იმ ნეტარ დღეებს, შენით ჩემს თრობას,
შენი თასითკი ღვინო, მალამოდ,
ვსვა, ეცხოს ჩემს გულს, ჩემს ღვთიურ გრძნობას.

1981 წელი, 30 ივნისი, თბილისი.

## ცარიელი ყაბახი

გავალ ყაბახზე,
მაგრამ რაღაა,
ველარ ვიხილავ გულისა სწორს,
ჩემს გულის ნუგეშს,
რა გამახარებს?
გედი ჩემი გაფრენილა შორს,
თეთრი კაბები გაუხდიათ მთაწმინდის ნუშებს.

ო, ღმერთო, ღმერთო,
რატომ დამსაჯე?
მქონდა მაინც ჯანმრთელი ფეხი,
რისხვა ჩემდამი ჯერ ვერ განვსაჯე,
რატომ და რისთვის დამარტყი მეხი.

თუ არ მაღირსე,
იმ მთიებს და იმ ცისფერ ყვავილს,
მქონოდა მაინც ჯანმრთელი ფეხი,
გავყვებოდი ჯარს არაგვზე გავლილს,
იქნებ შეგვეპყრო დაღესტნის ვეფხვი.

ახლა კი რაა,
რაღას ვუყურო,
გაუფერულდა, გაქრა ყაბახი,
მინდა რაღაც ვთქვა, მინდა ვიყვირო,
გავძახო სივრცეს რაღაც მაღალ ხმით,
მაგრამ, ყველაა უთვალ-უყურო,
ხმას ვის მივაწვდენ?
სად მოვძებნი ადგილსა მყუდროს?

3 ივლისი. 1981 წელი. თბილისი.

## უკრავენ ჩონგურს

მე ასე მწუხარს,
ასე სევდიანს,
მომესმა შორით ჩონგურის კვნესა,
ფიქრები მისკენ სმენად მდევნიან,

განსაქარვებლად კაეშნის ჩემსა.
გულს მტლედ ედება,
ჩემსა მოკლულ გულს
ჩონგურო შენი სიმების ჰანგი,
მაგონებს ჩემსა ტკბილ-მწარე წარსულს,
წლებს გარდასულებს,
წლებს ჩემი ტანჯვის.

ღმერთო, მასმინე,
მასმინე ჩონგურს
განსაქარვებლად ჩემს მძიმე ფიქრთა,
იქნებ წუხილი გაეყაროს გულს,
შემიმსუბუქოს სიმძიმე ჭირთა.

5 ივლისი, 1981 წელი, თბილისი.

## მთვარიან ღამით

ჭადრის ხეებთან განმარტოვებულს
შენ მომაგონდი, შენი საყურე,
ველარ ვერევი დარდს დატოვებულს,
შენზე ვფიქრობ და შენს გზას გავყურებ.

ვით ზღვა მღელვარე
დარდი ჩემს სულს ნთქავს,
და შენ მოგელტვის ამარტის შროშანს,
საყურის ჩრდილ ქვეშ ვნატრობ მე, სუნთქვას,
რომ არ მეღირსა შენს ერთგულ მგოსანს.

ო, რა შორსა ხარ,
როგორც ეს მთვარე,
მთაწმინდაზე რომ ნაზ შუქად დნება,
ო, როგორ ვნატრობ, შენს ცისფერ თვალებს,
რომ ვიგრძნო წუთით მე, სულის შვება.

ოჰ, როგორ ვნატრობ გიშრის დალალებს,
მკერდზედ მიმოყრილს ნიავით, ქარით,
ღმერთო, ეს ღამე როგორ მაწვალებს,
ღმერთო, საშველი მამცნე სად არის?

8 ივლისი, 1981 წელი, თბილისი.

## ბაზართან

დაღვრემილს, პირქუშს, სიცხით მიბნედილს,
ბაზრის მახლობლად შემოვხვდი თულუხჩს,
ბედისგან ისიც მოჰგავდა დევნილს,
კოკისგან მხრები ტკივილით უწუხს.

შევთხოვე წყალი, მასვა და ხურდა,
არ ვიცი, რატომ არ გამომართვა,
მე კი მწყუროდა, გული მიხურდა,
მეტი არ ვთხოვე საბრალოს, მართლაც.

ჩოხის კალთაზე ხუთიოდ წლის ყრმა
მოსჭიდებოდა, მიმზერდა ცნობით,
მისი თვალები ცისფერი და ღრმა,
იყო აღსავსე ლხენით, ანცობით.

მე ჩავიმუხლე, ვერცხლის მონეტა
ჩავუდე ხელში, მოვეფერე ბავშვს,
ოცდაშვიდის ვარ, ვეღირსო ნეტავ,
ვთქვი და დავსტირე ბედსა ჩემსა შავს.

ავდექი, გავყე ქუჩას მოკირწყლულს,
მეხურა ზეცა ზღვასავით ლურჯი,
ძლივს მივათრევდი უკურნებელ წყლულს,
მძიმეს, ვითარცა კოკას თულუხჩის.

10 ივლისი, 1981 წელი, თბილისი.

## ჩივილი

სულით დავობლდი, დავკარგე შვება,
იმედი ყოვლის ჩამიკვდა გულში,
და სიმძიმილი, როგორც ეშმა,
როგორც წყეული ჩამიძვრა სულში.

ის ერთი სხივიც,
ის ნაპერწკალიც,
იმედის შუქად ბნელში რომ ენთო
ჩაიწვა, ჩაქრა და შხამ-ეკალი,

დაუნდობლად მჩხვლეტს, მაწამებს ერთობ.
თითქოს ტოლ-სწორნი
ყველა აქა მყავს,
მაინც უდაბნოდ მექცა ტფილისი,
ობლობა სულის ნელი-ნელ მნაყავს,
ვგავარ შებორკილს ჯადო-თილისმით.

მე აღარავის,
მხოლოდ თუ უფალს
გავანდობ გულში დამარხულ ფიქრებს,
ზეცას მივაპყრობ ჩემს ყურსა და თვალს,
სულისა შვება იქ ვპოვო იქნებ.

ძნელი ყოფილა,
უსაზღვროდ ძნელი
სატრფოს დაკარგვა, დაკარგვა სწორის,
და რა გზაც უნდა განვვლიო გრძელი,
რა მხარეც უნდა ვიმგზავრო შორი,
არ მომცილდება ტკივილი ძველი -
ეს შხამიანი, ასპიტი გველი.

10 ივლისი, 1981 წელი, თბილისი.

## ისევ მთაწმინდაზე

ისევ შენთან ვარ, ჩემო მთაწმინდავ,
მე უბედური,
დავრდომილი,
დევნილი,
მკვდარი,
დაშლილი ტანით ნაწილ-ნაწილად,
ვიწვი მე, როგორც ფიჭვის ხის კვარი,
ბედმა ასე, რომ ულვთოდ გამწირა.

ვაი, ჩემს თავსა,
სად დაივანებს სული ჩემი, ასე დევნილი?
ეს რა შურია,
რა განაჩენი,
რატომ ვარ ასე ბედით ტყვევნილი?

სად არის, ღმერთო,
მამცნე ოღონდაც,
ჩემი სიცოცხლის ტანჯვის სათავე,
ყორანივით, რომ მაზის გულზე და
ჩემს წეწვა-გლეჯვას აღარ ათავებს.

მამცნე, ვინ შეკრა,
ფერხთ ვინ დამიგო
ჩემს სატანჯველად ჯადო, ხვანჯები,
ვის რა მივაგე?
ვის რა წარვსტაცე
ასე ულმერთოდ რომ ვიტანჯები?

როდის ექნება,
ღმერთო, ოჰ, როდის
ბოლო ამ ტანჯვას, ამ საზიზღარ ხვედრს,
მეტს ველარ ვიტან,
მეტს ველარ ვზიდავ,
და ვიცი, ალბათ, მეც ამამხედრებს.

19 ივლისი, 1981 წელი, თბილისი.

## საჩივარი მამაღმერთთან

ღმერთო ძლიერო,
მე, ჯერაც ჩვილმა,
ჯერაც უსასომ
ყოველი მცნება შენი ვიწამე,
მაშ ბავშობიდან
ჯერ უასაკოს,
რისთვის მაჭმევდი, ღმერთო, სიმწარეს?

მაშ, რისთვის მწამდი?
თუ განსაცდელში
ხელს არ გაუწვდი შენს ძეს შეცთომილს?
თუ არ წარმივლენ ბოროტსა ვნებებს -
ბედისგან ასე დევნილს და გმობილს?

ბევრჯერ მოგიხმე,
ბევრიც გევედრე,

მაგრამ ჩემდამი ყრუ იყავ, ღმერთო,
არ მიმსუბუქებ სიმძიმილს, შავ ხვედრს,
ასე, რომ მტანჯავს, მაწამებს ერთობ.

მე მგზავრს დამაშვრალს,
მგზავრს ბნელი ღამის,
წყალი მწყუროდა შენს წმინდა წყალთა,
შენ კი შემასვი შხამი, ბალღამი,
და გადამხადე მფარველი კალთა.

ოჰ, როგორ მსურდა
ჩემს ნავის აფრას,
რომ ეფრიალა ნაზ სიო-ქარზე,
შენ კი უწყალოდ მომწყვიტე საფარს,
და დამილეწე ნავი ქარაფზე.

ო, ღმერთო, ღმერთო,
გგონია ვდუმარ?
არადა არა!
ჯერ სისხლი თუ დუღს, ვაჟკაცი თუ ვარ,
ჩემი ასეთი ეს ყოფა კმარა.
როგორც გრიგალი,
როგორც ზღვის ტალღა,
ჟინი ბობოქრობს ჩემში ტიალად,
და შენს შემზადილს,
შენგან დაწყევლილს
შევსვამ ამ ბალღამს მე, ერთ ფიალად,
როგორც მორევი,
როგორც მთის ზვავი,
წავლეკ შენს მცნებებს ერთხელ მთლიანად,
და თუნდაც მოვკვდე,
თუ შენი მსჯავრით
დავილეწო მე ხორცით, ძვლიანად,
რისხვად გადმექცეს ეგ ლოცვის ჯვარი,
მომთხაროს სოფლით ფესვძრიანად,
არრას ვინაღვლი, ჯობს ვიყო მკვდარი,
ვიდრე ეს სევდა მაჩნდეს იარად!

23 ივლისი, 1981 წელი, თბილისი.

# სულ მცირე შვება

ჰა, როგორც იქნა, იმედის შუქი
მგონი გამოკრთა, მადლობა ლევანს!
სულ მცირე შვებას ვპოვებ მე თუკი,
წავალ, წავყვები ლევანს ნახიჩევანს,
წავალ, შევიცვლი გარემოს, ადგილს,
იქნებ დაეხსნას სულს ტანჯვა, გვემა,
აღარ შევდრკები, მე, ამ შორ მანძილს
გავივლი, თუნდაც დამგესლოს გველმა.

ერთი რამ მიჭირს, თქვენ, რომ დაგტოვებთ
ჩემო ტფილისო, ჩემო მთაწმინდავ,
თქვენ, აქ შველოდით ჩემს სიმარტოვეს,
უთქვენოდ რას ვიქმნ, ნეტა, რას ვიზამ?

ეხ, საკითხავი განა ეს არის? ...
სატრფოა-ლანდად თან რომ დამყვება,
ამ ლანდსაც გული ისე შეჰხარის
მთის ყვავილივით მკვდარს თან ჩამყვება.

მაგრამ რა ვუყო, თავს სად წაუვალ,
თუ განგებამ ეს მარგუნა ბედად?
აღარ დავიხევ, თუნდ ტყეს გაუვალს
შევეჭიდები, დავლაშქრავ მედგრად.

აღარ შევდრკები, ნეტავ უფრო შორს
გადამისროლოს, დამკარგოს ბედმა,
ვერც მზემ, ვერც ქარმა ველარ გამაშროს
ოდეს დამესხმის ცით სეტყვა, დელგმა,
და მრუმე ღამე ელვით ნახევი
აღარ მაძლევდეს რამე არჩევანს,
არა ვარ მაინც უკან დამხევი,
მაინც გავყვები ლევანს ნახიჩევანს.

1981 წელი, აგვისტო, თბილისი.

# ფიქრი ქარაფზე

და გაემგზავრნენ... უკვე ცისკრისას
კრწანისს მიადგა ეტლი მქროლავი,
აქ შეიცადა... მძიმე ფიქრისა
წეწავდნენ პოეტს ყორან-ქორანი,
იყო ის, წვეტი, როგორც ისრისა,
უშელავათო და ჩამქოლავი.

გახედა ტფილისს, ნისლში ჩაძირულს
და მწველი ცრემლით აღევსო თვალნი,
მიხვდა: სიყვარულს, უკვე განწირულს
თელავდა დრო და ცხენების კვალი.

„გავქროლოთ, ლევან, თუ ძმა ხარ ბიჭო,
ჩქარა წავიდეთ, ლამის ავტირდე,
გადავიჩეხო მე, სადღაც, მიჯობს,
ვიდრე ეს სევდა ბოლომდე მჭირდეს,
ჩქარა, რაიმეს მინდა ვებრძოლო,
ქარიშხალს, გრიგალს, ან ურჩხულს, ციკლოპს,
მივხვდი: ჩემს ტანჯვას არა აქვს ბოლო
და თავგანწირვის სურვილი მიპყრობს"!

„შენ უკვე სტირი, რა მოგდის ტატო" ?

„ჩქარა გავშორდეთ! არსად შევჩერდეთ!
ჩემს თავს გავექცე, რა ხანი ვნატრობ,
და თუ ფათერაკს გზად შევეჩეხეთ,
გთხოვ, რომ გამიშვა, ვიბრძოლო მარტო!"

„რას ამბობ ტატო!
ჩემს მგოსანს ასე, როგორ გაგწირავ?
რას ვაქნევ ჩემს ხმალს, მტერსა და დუშმანს
მე თვით ავჩეხავ ნაწილ-ნაწილად!"

უთხრა ღიმილით და ჩასხდნენ ეტლში,
მეეტლემ ცხენებს ჰკრა ტაჯანგალი,
გაქროლეს ველზე, გაეხვნენ მტვერში,
ელავდა ცხენთა ზანზალაკ-ნალი.

ერთი დღე-ღამე აჭენეს ცხენნი,
განვლეს დაბლობი, გასცდნენ ასტანბეღლს,

ასევე ლაღნი, ისევე მხნენი
ვერ დაეთრგუნა გზას შორს და დამღლელს.
ლევანი თვლემდა, ტატო კი ჯერაც
ებრძოდა ფიქრებს გულს, რომ უღრნიან,
და მყივარი ხმით რაღაც სიმღერა
შესძახა უცებ მთებს შავღრუბლიანს.

იქუხა კიდეც და მთებთან ზეცა
თვალისმომჭრელად აელვდა ერთ წამს,
ასეთი გრგვინვა შეაკრთობს მხეცსაც,
თვითონ ყაჩაღსაც, მკვლელს და გარეწარს.

- ,,რა მოხდა, ტატო? ბევრი მეძინა?
ან რა გამღერებს ასეთ თავსხმაში?
ქართლში მესმოდა ეს ხმა მე წინათ
იყო რაღაცა ჟინი ამ ხმაში‘‘.

- ,,თავად არ ვიცი რას ვმღერ, რას ვყვირი,
რა გითხრა ლევან, როგორ აგიხსნა?
ალბათ დევნილი სული მიყივის,
ალბათ სიმღერით ცდილობს თავის ხსნას‘‘.
ლევანმა ტატოს შეხედა მწუხარს
და არაფერი არ უთქვამს მეტი,
გაჩუმდნენ, მხოლოდ ისმოდა ქუხვა
და ლანძღვა ცხენთა, ნაწყენ მეეტლის.
ეტლი გაჩერდა. იქვე ხრამის პირს
გადმოხტა ტატო და გზას გაუყვა,
ლევანი ფიქრობს, ფიქრობს და უკვირს,
,,ნეტა ამ ჭაბუკს რა სწყენს, რა უყვარს?
თუმცა კი ვიცი, მაგრამ ნუთუ ღირს
ახლა, თავს რატომ, რაისთვის იკლავს?’’

შეჩერდა ტატო, გახედა ხევებს,
ცას ქარ-შხაპუნით მთებზე დამხობილს,
,,ახლა ვგრძნობ ძალას, რაღაც მაღზევებს,
მსურს რასმე მივწვდე ქარიშხლით შობილს,
რაღაც მიბიძგებს, ბრძოლით აღმანთებს,
ჰა, ლამის არის ავფრინდე ცაში,
ჩავყვე შამბიანს, მთათა აღმართებს
ავყვე ზეცისკენ ცეცხლისმფრქვევ რაშით.

ახლა მე, მზად ვარ, მსურს რაღაც დიდი,
დავიდგა მხრებზე, გოლგოთას ავყვე,
მინდა პირველმა გავდო ხრამს ხიდი,
რომ მოძმე ჩემი უშიშრად გაჰყვეს;

ახლა შევიცან მე სიდიადე
თავისუფლების, ამ წუთისოფლის,
დავსჭექ და ღმერთებს სხვა ხმას მივაწვდენ,
ვგრძნობ, ასპარეზი, რომ აღარ მყოფნის!

გავივლი ბნელ გზებს: ხრიოკს, უკვალავს,
დე, განვიწონო ელვის ისარით,
ჯერ კი გავუთელ მოყვასს მე ამ კვალს
და მერე გასკდეს გულის ფიცარი.
აგერ, ყორანიც, შავი დემონი
დამჩხავის თავზე, სწყურია სისხლი,
მაგრამ ბედს მე დღეს აღარ ვემონვი,
მიცდის ფეხმარდი მერანი მკვირცხლი".

21 ოქტომბერი, 1981 წელი, თბილისი.

## მწყემსებთან

იარეს მთელ დღეს, ნაწვიმ-ნამეხებს
ტყეებს მისდევდნენ, არ ჩანდა ველი,
და დღის დასასრულს მწყემსთა ფარეხებს
მიადგნენ მგზავრნი შემცივნულ-სველნი.

ტანთ აქ გაიშრეს, დარჩნენ იმ ღამეს,
გათბნენ, დანაყრდნენ, მიეცნენ შვებას,
მწყემსნი შესთხოვდნენ, ეჭამათ რამე,
ღვინო შეესვათ ყანწით, პეშვებად.

მგზავრნიც მიენდვნენ, ზომიერად სვეს,
და ძილს მიეცნენ ღრმას და უდრტვინველს,
წასვლა კი დათქვეს-ვიდრე ინათლებს,
დაასწრონ ცისკარს, დაასწრონ ფრინველს.

მაგრამ მწყემსებმა აცალეს ძილი,
მგზავრობით დაღლილ სტუმრებს შორ მხარის,
შეიტყვეს, ჯერ წინ ედოთ მანძილი,
ნახიჩევანი ჯერ ხომ შორს არის.

ხოლო, როდესაც, მოწმენდილ ცაზე
წითლად აელვდა შემოდგომის მზე,
და სხივი, დილის ნამის წვრილ ცვარზე
ათას მზედ იქცა მჭკნარ ბალახებზე.

მაშინ კი ერთი, უფროსთაგანი
შეეხო ფრთხილად ტატოს და ლევანს,
„თავადნო, დროა, უფრო სხვა გზანი
წინ გიძევთ, ვიდრე მიატანთ სევანს,
ცუდი დრო დადგა, გზაზე ყაჩაღნი
დათარეშობენ, ძარცვავენ ყველას“.

გამოიღვიძეს, წამოდგნენ ფიცხლად,
პირზე კლდის ცივი წყარო ისხურეს,
„სროლა ჩვენც ვიცით!“ -უთხრეს და მკვირცხლად
ნაბდები მხრებზე წამოიხურეს.

დროც არ ითმენდა, გაქროლეს იქით,
ვიწრო გზა ველებს მისდევდა სადაც,
მეეტლე ცხენებს ტუქსავდა რიხით,
მგზავრნი კი ისხდნენ დინჯად, მამაცად.

29 ნოემბერი, 1981 წელი, თბილისი.

## სევანის პირთან

აჰა, სევანიც! ვით ზეცა ლურჯი
პირველ ქმნილ ფერთა სივრცედ ლივლივებს,
დგას ტატო ტბასთან ამაყი, ურჩი,
ებრძვის უკურნებ სულის ტკივილებს.

„ო, ჩემო სულო, ჩემო ვარსკვლავო,
რატომ დამტოვე ვით სენაკს მწირი,
რატომ მაჩვენე ღვთის სასაკლაო,
ვიყავი შენთვის, მე შესაწირი.

შენთვის მინდოდა, მუზათა ჩემთა
მაღალ პარნასზე აგება ტაძრის,
შენ კი გამცვალე, არჩიე ჩემს თავს
ტახტი ოდესმე მსხვერპლი ქარ-ხანძრის.
ვაი, ჩემს თავსა! ჩემს ამ მწარე ხვედრს,
ვერც შენ რას გეტყვი, ვერც ჩემს მკვნესარ გულს,
რა ვქნა, უყვარხარ, ველარც რასმე ვყვედრ
შენთვის დაფერფლილს და შენსა ერთგულს.

ოღონდ ესაა, ველარ მოგწვდები,
როგორც ტბის წყალში მზეს ღრმად ჩაძირულს,
და ვგრძნობ, შენგან შორს სადღაც მოვკვდები,
ვხედავ ჩემსა ხვედრს უკვე განწირულს".

ნოემბრის ქარი არწევდა ტალღებს,
ნაპირთან ჭადრებს წელში ღუნავდა,
პოეტი, თეთრ ქაფს, როგორც რძის ნაღებს
შუბლზე ისვამდა, თითქოს კურნავდა.

ნოემბერი, 1981 წელი, თბილისი.

## ნახიჩევანის ქუჩებში

ორი დღე-ღამე იარეს ჩორთით,
არსად გაჩერდნენ, ცხენებს თუ ცვლიდნენ;
მგზავრნიც ჰა, თმენის ფიალას ცლიდნენ,
თქვეს, როგორც იქნა გზა განვვლეთ, მოვრჩით.

მიადგნენ ქალაქს, ტატოს აოცებს
ათასწლოვანი კედლების ზღუდე,
შესცქერის ხარბად კოშკებს-საოცრებს
და ფრთხილად ფეხს დგამს ქალაქის ზღურბლზე.

დიდხანს უცქირა იქ ერთ მინარეთს-
ეშხით ალკაზმულს, აზიდულს სვეტად,
და მაღალ-მაღალ, ტანად ჩინარემბს
თვალს ვერ აშორებს, ეამა მეტად.

აგერ მიზგითიც, გლახაკთ და მლოცველთ
მუხლი მოერთხათ, უხმობდნენ ალაჰს,
და მუეძინი, ხალხს მის გარსმომცველთ
ზედ დაჰყიოდა, ესმოდა ქალაქს.

ეჩვენა ორმოდ და ქვეყნის კიდედ,
რომ ვერ მისწვდები, ხმას ვერ მიაწვდენ
და საკუთარ ყურს ჩასძახა კიდეც
„ვინ მეყოლება, ღმერთო, მე, აქ მწედ?“

„თავადო, შესცდი! შენ ვერ დაგიტევს
ვერც ნახიჩევანი, ვერც ეს ლურჯი ცა,
შენ ვინ ხარ?! მსხვერპლად მუჭში ჩაგტევს
საწუთრო, ყრუ და, ბრმა და მუნჯიცა.

იქნებ გამწირეს? თუმცა არ ვყვედრი,
ალბათ მეც ვინმეს ვესობი ეკლად,
სიტყვას ძალა აქვს, და ვიცი, ბევრი
პოეტი მთქმელი მოუკლავთ ქვეყნად.

მაგრამ, ჯალათო, მე, ჯერ არ მითქვამს
სიტყვა მძლეველი შენ, რომ გაშინებს,
ვიტყვი და შესძრავს ყოველ არსს, თვით ქვას,
და მოყვასს სხვა გზას, სხვა კვალს ვანიშნებ!
ცდები, ჯალათო! სიტყვას ვერ მოჰკლავ,
ლექსში ჩაკირულ ვერც სულს პოეტის,
გინდ ასჯერ შენით განვძევდე შორს კვლავ,
დარჩება ჩემი დანატოვები.

მძიმე ეჭვებით გულმძიმე მგოსანს
სევდა მოაწვა, ფრთადაჭრილს ჰგავდა,
ტყვედ იგრძნო თავი და, როგორც ფრთოსანს,
ცაში ნავარდის სურვილი ჰკლავდა.

ნოემბერი, 1981 წელი

## მაიკოს

„თუ სადმე რამე საფიცი რამ მაქვს
შენ შემოგფიცავ, დაო, მაიკო,
მე, შენი წიგნი თან უბით დამაქვს,
სულს შენღა მითბობ, ჩემო დაიკო.

ვერ წარმოიდგენ აქ, ამ ჯურღმულში
მეგობრის წერილს რა ფასი აძევს,
ვგდივართ აქ ორნი, შხამი დუღს გულში,

და ნუგეშს ქვეყნად არავინ მაძლევს.
მხოლოდღა ერთი, ხანის ქალია,
თვალ-წარბ-ტანსრული გონჩა-ბეგუმი,
ტანჯვით, სასახლე ექცა გალიად
და მეგობრად მას მეღა ვეგულვი.

აქ გავიცანი სევდის ლექსებს წერს
და ცხარე ცრემლით, დასტირის შავ ბედს
თავს უუფლებოს, უსუსურს, ვით მწერს;
ამბობს, ხანს მონად, როდემდე ვყავდე?

ჩვენ, ორნი ერთად, ქვის შადრევანთან
ვხვდებით ხოლმე და ვუსმენთ სათარას,
ვკითხულობთ ჰაფიზს, შემდეგ ლევანთან
მივდივართ და ვცლით ღვინის მათარას.

მე ვთარგმნი მის ლექსს, შენ, როგორც დობილს
გამოგიგზავნი, ეს არის და ეს,
ეს თუღა ართობს შენს ბედკრულ ძმობილს,
და რა ვქნა ბედად თუ წილად მხვდა ეს.

დაო, მაიკო, მე, აქ ვერ გავძლებ,
ზამთარს განვლევ და დავტოვ ნახიჩევანს,
ტყუილად ვშრომობ, არავინ რას მაძლევს,
სახლი კი მაწევს მე, ერთ მარჩენალს.

არც სიყვარული, აღარც სამშობლო,
ამ უდაბნოში თითქოს მზეც ჩაქრა,
და რა ვქნა, ასე ყოველმხრივ ობოლს
თქვენ მენატრებით, მსურს გნახოთ ჩქარა.

და ეს სიშორე, სევდა ამ ბოლოს
ჟამიდან-ჟამზე ბრჭყალივით გამკრავს,
მთაწმინდას, ტფილისს შევნატრი მხოლოდ
მათი სიშორე, მათი დარდიც მკლავს."

1 დეკემბერი, 1981 წელი, თბილისი.

# წინ ტფილისისკენ

და მართლაც, ერთსა მშვენიერსა დღეს,
მოახტა ტატო სწრაფადმავალ ეტლს,
თუმც მოატყუეს, გული მაინც მღერს,
და არ დაეძებს სხვას არაფერს მეტს.

ეტლი მიჰქროდა ტფილისისაკენ,
პოეტის მკერდში ზღვად დუღდა გული,
და ჰგავდა ფრინველს მზისკენ, ცისაკენ
აჭრილს, არ მცოდნეს საწყის-სასრულის.

მხრებით მოჰქონდა თბილი მზე, მარტი,
ტყემლის და ნუშის თეთრი ფერები,
აღვსილი ლხენით, მოძრავი, სხარტი,
სავსე სხვა შუქით, სხვა სიმღერებით.

დღე ილეოდა, კრწანისის ბაღებს
როცა მოადგა ეტლი გრიალით,
კვირტი გახსნოდათ ბლებს, ჭადრებს-მაღლებს,
ტოროლა სტვენდა წრიალ-წკრიალით.

გაზაფხულის და მშობელი მიწის
ნიავმა შესძრა პოეტის გული,
ზეზე წამოდგა, ჰა, ლამის იწვის,
მეეტლეს სთხოვა ჩქარი სვლა, სრული.

ნარიყალამდე განვლეს ჭენებით,
აქ ტატომ ბრძანა შედგომა წამით,
დაქანცა გზამ და დაშვრნენ ცხენებიც,
ქალაქშიც შესვლა უნდოდა ღამით.

აუყვა აღმართს და დიდი პაპის
ნაომარ კრწანისს მოავლო თვალი,
„ღმერთო, ნუ გახდი მსხვერპლს კვლავ ღალატის,
უწყოდეს ყველამ სამშობლოს ვალი,
ის ხომ ერთია, მამულ-ალაგი,
ჩვენთა წინაპართ ძვალთშესალაგი“.

ჩაიჩურჩულა და ნაშალ კედელს
მხრებით მიეყრდნო, დიდხანს ფიქრობდა,
წარსულს თვალთაგან ცრემლის დამდენელს,
პოეტის ფიქრი სადღაც მიჰქროდა.

24 იანვარი, 1982 წელი, თბილისი.

## წავიდეთ განჯას

ორსა თუ სამ თვეს დატკბა ტფილისით,
მოვლო თაბორი, მთაწმინდა ნახა,
შეკრულს რომ ჰგავდა დღემდე თილისმით,
დღეს მზრალი სული თითქოსდა გალხვა
სამშობლოს ზეცით, ქართლის მწველი მზით,
და საქართველო იხილა რახან,
ვეღარ ისვენებს, არ ცხრება ახლა.

აღივსო ლხენით, როგორც მორევი,
და გრძნობდა რაღაც სამარადისოს,
დროც აღარ იყო მისი მომრევი,
და თითქოს მისდევს ველურ ნადირსო,
ვერ აკავებდა თავს, ჟინს აწყვეტილს,
სურს ან შეაკვდეს, ან ხელთ იგდოსო;

ხან ტორტმანებდა არაგვის ტალღად,
ჰა, გადიღვრება თითქოს ნაპირსო,
ჩიტივით ფრენა, ნავარდი ლაღად
ღმერთმა დღეს მაინც იქნებ აღირსოს.

როგორც მზეწვია გვაუწყებს ხოლმე
ნანატრ გაზაფხულს თუთის წვეროდან,
მოსვლა აუწყა ხან ვის, ხან რომელს,
უთრთოდა გული, სულით მღეროდა.
მიუგალობა ლევანს, მამუკას,
მაიკოს-გულის მესაიდუმლეს,
იხსენებდნენ ძველს, დღეებს სანუკვარს
მყოფადი რითაც მარად სულდგმულებს.

გაჰქონდათ სუფრა მტკვრის პირს, ტივებზე,
და სამშობლოს მზეს, მთვარეს ლოცავდნენ,
ხან ნადირობდნენ ხოხობ-იხვებზე,
ხან ნარიყალას კლდეზე ცოცავდნენ.

და დღესა ერთსა, ბედისწერის დღეს
მამუკამ უთხრა მხიარულ პოეტს:
„მივდივარ განჯას, გული აქ ვერ სძლებს,
ვიცი, სიმშვიდეს შენც ვეღარ ჰპოვებ,

წამოხვალ ჩემთან? სხვას გთხოვ, ნუ ეძებ,
ნუ წახვალ კახეთს, ნუ მიმატოვებ''.

''მოვდივარ შენთან ჩემო მამუკა!
წუთსაც არ ვფიქრობ, დე იყოს განჯა,
ის ძველი დარდი მე დღემდე მომყვა,
სულში მიზის და მაწამებს, მტანჯავს,
ვიცი, რომ განჯაც არ გადმექცევა
ობოლი სულის ნავთსაყუდარად.

და თუ მერანი იქ წამექცევა,
დამაწვეს განჯის ჯანღი სუდარად,
თუ ნასროლი ქვა იქ დამეწევა,
თუ ბედი შემკრავს მტკიცე ჯაჭვებით,
თუ ბედისწერა იქით მეწევა,
თუნდ დავიფლითო ვეფხვის კლანჭებით.

აღარ ვინაღვლი,
რა მსურდა განა?
სიყვარული და მზის სხივი ერთი,
საწუთრომ ისიც ქარს გაატანა,
ეკლის გვირგვინი დამიგდო ფერხთით,
სულში ჩამისვა ძმაო, სატანა,
და წასასვლელად ჩემთვის ერთია,
განჯა თუ კიდევ უფრო სამხრეთი.''

,,ტატო ღმერთს სცოდავ, რა დროს ეგ არი,
შენი მერანი ჯერ ბევრს დაქელავს
ველებს შამბიანს, მთებს მშობელ მხარის,
ძალას არ გატან, გსურს, წადი თელავს,
მაგრამ მე შენთან გული მიხარის,
იმიტომ გთხოვე, ასე რად ღელავ?
თუ გაწყენინე რამე - მითხარი''.

,,არა, მამუკა, მე ჩემთვის ვჩივი,
ჩემს უბედობით არავის ვემდური,
ველარ ვჩერდები, სისხლი მიყივის,
თითქოს მეჭამოს რაღაც ველური,
გადახვეწა მსურს, მსურს გადავარდნა.
ზღვას ან ქარიშხალს თან გავყვე მინდა,

სიჭაბუკე ჰა, მხრებზე დამადნა,
ვერ დავსტკბი მისით, ისე გაფრინდა,
წამოვალ, დიდხანს არ დაგაყოვნებ,
უკვე გადაწყდა, წავედით ხვალვე,
რაკი ჩემთან გსურს არ დაგალონებ,
წავიდეთ განჯას, მაგ გზასაც გავლევ“!

15 მარტი, 1988 წელი, თბილისი.

## უკანასკნელი გზა

და წავა ტატო...
უკან დარჩება მტვერი შარაგზის,
და ცხენთა ფლოქვთა თქარა-თქურის ხმა
შორს გააქანებს შავ ბედით, შავ გზით.

წავიდა ტატო...
წინ ედო შორი მანძილი განჯის,
გამოეთხოვა ქართლის ცის ტატნობს,
განთიადს, ცურვილს ფერებში მარჯნის.

მიჰქროდა ეტლი, უკან რჩებოდა
გზა ორთაჭალის, ტევრი ჭალების,
ხვედრი-ეჭვი წინ არ გაჩნდებოდა,
ეტლს ზედ ეკიდა ბასრი ბრჭყალებით.
უკვე ინათლა, მტრედისფერ ცაზე
ჯერ ისევ კრთოდა ნაზად ეოსი,
როცა, ქარიშხლით, ცოდვილ მიწაზე
დგებოდა ეტლთან თვით ეოლოსი.

და მიაფრენდა პოეტს განჯისკენ
იქ, სად ელოდა სიმწრის ფიალა,
რომ დაღლილს, სულის, ბედის ტანჯვისგან
შეესვა იგი ბოლოს მთლიანად.

საზღვარს რომ გასცდნენ საქართველოსი,
გატეხილ ხიდთან ჩამოხტნენ იქვე,
იხარეს მწვანით მტკვრისპირ მდელოსი,
ხან გულაღმა და ხან იწვნენ პირქვე.

ვიდრე შესაქცევს, ხელადით ღვინოს
მეეტლე ფრთხილად მოლზე აწყობდა,
მამუკა ცდილობს, რომ მოალხინოს
პოეტი, რადგან სევდას ატყობდა:

„ტატო, მოიწი, თითო გადავკრათ,
წუთით მოეშვი ფიქრებსა და ჯავრს,
მერე კი ცხენებს მათრახები ვკრათ,
გადვევლოთ შამქორს, მივუხტეთ განჯას.
მოდი, გეყოფა,
ნუთუ ისევე გიყვარს ის ქალი,
რომელმაც შენს თავს განცხრომით ყოფა
არჩია, შენ კი მოგთხარა თვალი?!“

„არა, მამუკა!
ვიცი, გოდება აღარას მარგებს,
მაგრამ მას ჩემთვის ხელი არუკრავს,
მის ბედს ხომ, ძმაო, სულ სხვა განაგებს?

დროა მუხთალი!
ო, ღმერთო როდის,
როდის დაუკრავს
ხმა მოწოდების, ძველს რომ დაანგრევს,
ხელ-ფეხს ამ ვეშაპს როდის გაუკრავს,
როდის დასცემს და როდის დაარღვევს,
რომ სიყვარული შრომასთან ერთად
თავისუფალი შეიქმნას ქვეყნად! ”

ადგა პოეტი, გახედა ჭალებს
და გზას, რაღაცა იდუმალს რომ ნთქავს,
არდაბრუნების ფიქრი აწვალებს,
თავს ებრძვის, ცდილობს არაფერი თქვას.

„თითო რა არის, შევსვათ მამუკა!
ღვინოს ეტრფოდნენ ჰაფიზ, ხაიამ,
მომეცი ყანწი, სად გაქვს, რა უყავ?
მაგით კი ბევრჯერ გამიხარია,
დღეს თითქოს ეტლი დაღმართს დაუყვა,
წინკი, რაღაცა, ბნელი ხრამია,
შენ იცი, გული, მე, ვის გავუყა,
ეს მკლავს და მტანჯავს მე, რა ხანია“.

კარგა ხანს ისხდნენ, მზე ზენიტს გასცდა,
დრო იყო წასვლის, აღარ დაყოვდნენ,
მეეტლემ ცხენებს ყიჟინა დასცა
და გატეხილ ხიდს სწრაფად გაშორდნენ.

## ცრემლი

იდგა ივლისი, თაკარა მზისგან
იწვოდა მიწა, მთელი სამხრეთი,
მგზავრებს არ აჩნდათ რამ დაღი გზისგან,
არ უჩიოდა დაღლას არც ერთი.

გზა, დახლაკნილი შამბნარში ეგდო
როგორცა თოკი, ყელის საბელი,
ტატო უმანკო მას მგზავრად ენდო,
გზას ზედ, რომ ეცხო სისხლი აბელის.

დადუმდნენ ორთავ, მხოლოდღა ცხენთა
ფლოქვთა ხმა ისმის ჩორთით მავალთა,
თვალი მილულა, იგონებს მცხეთას
პოეტი-მთმენი ჭირთა მრავალთა.

იგონებს ქსნის მთებს, დის ქორწილს ზღაპრულს,
სპარსელ სათარას, ახალგორს, ოძისს,
ველმინდვრებს ქართლის, დილის ცვრით ნაპკურს
და წამით ტუჩზე ღიმილი მოსდის.

იგონებს სატრფოს, იმ გაყრის დღესაც,
დრემდე ასე, რომ გულს ლოდად აწევს,
რომ ვერ გაექცა ბოროტ სულს ვერსად,
სატრფომ, საწუთრომ ასე რომ დასწვეს.

და წვეთი ცრემლის მის გრძელ წამწამებს
გადმოეკიდა, ჩამოჰყვა ლოყას,
შეკრთა პოეტი, მის სულს ნაწამებს
ცრემლიღა აკლდა? და სწყევლის ყოფას:

„ეს მერამდენედ, დალახვროს ღმერთმა,
ცრემლი მეძალვის, რა მემართება?
ნუთუ, დაშვება დაიწყეს ფრთებმა,
ნუთუ, შეერყა სულს შემართება?“

ო, არასოდეს! არა და არა!
შევიშრობ ცრემლსა ჭირთმანელებელს,
ხვედრმა თუ ხორცით დამასამარა,
სული მფლობს, ბრძოლობს, თავს არ მანებებს,
და რა ვუყოთ, რომ მე დანაცრულმა
თვით ფერფლიც სულის შევწირე სატრფოს,
ოღონდ ჩემს დღეთა აქ დასასრულმა
მისი ნახვით კვლავ მაცოცხლოს, მათბოს!

ჰეი, მეეტლევ! გადასცხე ცხენებს,
ასეთ სვლით, აბა როდის გავლევთ გზას?
მოუთმენლობა უკვე მახელებს,
ჰა, ვემსგავსები ვეფხვს, ტყვე ავაზას,
დასჭყივლე თორემ, ეს მოდუნება
ვშიშობ, შთანთქავს ჩემს სულის სილაღეს,
თუ არ ქარიშხლით, სიოს დინებად
მე ვერ მივაღწევ მთათა სიმაღლეს!

მაშ, გააჭენე! მე კი, მსურს ფრთები,
ადინე ბული ამ ცხელ გზას განჯის,
მინდა გარდავვლო კლდოვანი მთები
თუნდაც დამაწყდეს ძარღვები მაჯის,
მინდა შევერთო ცისა ლურჯსა ფერს.
მივწვდე მთვარეს, მზეს, ავღზევდე ზეცად,
ოხ! დუელს ვნატრობ, ხანჯალს ფხით ნაფერს,
რომ ბოროტსა სულს ვუზღა ასკეცად,
ან მოვკლავ, ანდა დამცემს, გადამთქერს,
ოღონდაც მოხდეს, აღარ მსურს მოცდა!“

„ახლა მომწონხარ! ასე შეგფერის,
ახლაღა გხედავ ნაღდ ბარათაშვილს,
შენს ლექსებს, ტატო, ცისკრით შეფერილს,
ასე უხდება, ლაღად, ფრთაგაშლით!“

მკვირცხლად შესძახა პოეტს მამუკამ,
მკლავი მოხვია, გულწრფელად აქო,
ეტლმაც გაქროლა, შარას გაუყვა,
განვლეს თაუზი და გასცდნენ შამქორს.

6 აგვისტო, 1982 წელი, თბილისი.

## განჯის მისადგომებთან

„აგერა განჯაც! ტატო, თუ ამჩნევ,
აი, ამ მაღლობს, ზედ რომ  დგას ციხე?
აჰა, მოვედით, მადლობა გამჩენს,
გზას რომ გადვურჩით, ამ უღვთო სიცხეს?

პოეტი ადგა, სივრცეს გახედა,
ლურჯად ღუოდა ზეცის თავანი,
მოჩანს განჯის ბჭე, სადაც დგას ხედავს
თავისი ხვედრის  ბოლო სამანი.

მიადგნენ განჯას, შეჩერდნენ წუთით,
ჩამოხტნენ, ცხენებს აჭამეს, ასვეს,
პურ-ღვინო რამე გააჩნდათ თუკი,
შეექცნენ და მგზავრთ ხალისი ავსებთ.

„ეს არის განჯა? განჯა ნიზამის,
ციხეც, ჩვენს კახს რომ ბევრჯერ ულეწავს,
რა მეჩეთია? ლურჯად მბზინავი,
აი ოსტატი, ხელობა ეს მწამს!“

„ეგ შაჰ-აბასის დიდებისაა!“
„შაჰ-აბასისა?!
წყეული არის იგი შაჰ-აბას!
ქართველმა ხალხმა დასწყევლა იგი,
ჩვენს დევნაში მას, როგორც შავ ნაგაზს,
ბრჭყალი დააცვდა, დასცვივდა კბილი,
მეფის ირაკლის სიბრძნე რომ არა,
მოგვთხრიდა სპარსი, იცოდეს ღმერთმა,
დრომ უკარნახა მეფეს, რომ მარად
ჩვენ შეგვიერთა დიდმა რუსეთმა“.

„სწორს ბრძანებ ტატო, სპარსმა, თურქეთმა
ლამის მოგვასპეს, გვიხნა რუსეთმა,
მაგრამ დაგვკარგეთ თავისუფლება,
შეცვალა უფრო ძალამ  უხეშმა“.

„ეს ცარიზმია, ჩემო მამუკავ!
ხალხი დროს შეცვლის, მე მტკიცედ მჯერა,

ვიცი, საყვირი მალე დაუკრავს,
მოჰყვება ძველის ფუძემდე ნგრევა,
დრო ასე დიდხანს დუნედ არ იდენს,
და რა ძალასაც დღეს მოაქვს რბევა,
ხვალ, ვიცი სისხლად უნდა დასდინდეს!“

„ჩემო მგოსანო, ხომ არ აჭარბებ?
თუ შეთქმული ხარ, ჰა, ვცეთ საყვირი,
გცნობდი პოეტად და როცა წარბებს
შეიკრავ ხოლმე, მგონიხარ გმირი,
ერთად ვიაროთ და ხალხს ნაწამებს
ავუნთოდ იქნებ ბრძოლის წადილი!“

„არა, ძმობილო, მაგ საქმეს სხვა დრო,
სხვა დრო მოიტანს, უნდა სხვა გმირი,
ხალხს, რომ წარუძღვეს ბრძოლებში სამკვდროდ,
რომ დასცეს მძლავრად დაფდაფ-საყვირი“.

„ეჰ, ტატო, ტატო, ეგ დრო შორსაა,
გამოჩნდება კი გმირი? ვინ იცის,
ჩვენ კი, წავიდეთ, ვივლით ორ საათს
განჯის მაზრა და საქმენი გვიცდის“.

18 აგვისტო, 1982 წელი, თბილისი.

## აქ ნუ დამმარხავ

სამ დღეს თუ ოთხ დღეს ნახა პოეტმა
ქალაქის ყველა კუთხე, უბანი,
და აქაც, სულით უმარტოესმა
რომ ვერ იხარებს, მიხვდა გუმანით.

„რა ნახიჩევანი და რაღა განჯა,
უდაბნოონი ყოფილან ორთავ,
სევდა ისევე მგესლავს და მხანჯლავს,
სული ისევე ყივის და ბორგავს.

ველარ ვჩერდები ერთ ადგილზე და
დავეძებ რასმე მყუდრო სამყოფელს,
გავშორდე ათას ვერსის მანძილზე
ამ გაუტანელ და მუხთალ სოფელს.

ცოტა დავმშვიდდი, სული პლატონის
და გიორგისაც, რომ ვაწირვინე,
აღარც ღვთის მჯერა-ქვეყნის პატრონი
აღარა ვგონებ, თუ დარჩა ვინმე.

გადავიღალე, შემხუთა სიცხემ,
ველარ ვძლებ, ტყეში გავქუსლო უნდა,
ახლა ვგრძნობ, ყველგან მექცევა ციხედ,
და სულის კლიტედ სავარდე თუნდაც!

სთქვა და წამოხტა, თავის მსახურსაც
არ დააცადა შეკაზმვა ცხენის,
მოახტა, დეზი ჰკრა და გაქუსლა,
გაჰკვეთა სივრცე მშრალი და ცხელი.

უუნაგიროდ, თოკის აღვირით
გაუყვა შარას, როგორც ისარი,
თითქოს უხმობდა ბრძოლის საყვირი
და მიჰქრის კიდეც მხნე, უშიშარი.

მიჰქრის, დაქელა მტვრიანი შარა...
სახეს სცემს მქროლავ ცხენის ფაფარი,
სულაც გაუშვა ხელი ავშარას
და მტკიცე სული ფარად ნაფარი,
როგორც ალამი ქარზე გაშალა.

მურუთთან ახლოს მისწვდა აღვირს და
ცხენი ტყის ვიწრო ბილიკს მიაგდო,
განჯაკ-მდინარის მიადგა ნაპირს -
დაბურულს, ერთხელ აქ რომ მიაგნო.

გადმოხტა, ცხენი მიუშვა ტყეში,
თავად კი, როგორც დაჭრილი ვეფხვი,
შევარდა ტირიფ-ჭადრების ტევრში,
გახედა შორ მთებს და, როგორც მეხი,
ხმა რაღაც მჭეხი აღმოხდა მის გულს.

ექო ემსგავსა ჩაძახილს ქვევრში,
ჰგავდა სანიშნო მძლავრ დაკრულ დუმბულს.
გადიძრო ტანთ და წუთით არ შესდგა,
შიგ გადაეშვა, მიეცა ტალღას,
ყელამდე მდგარმა ლურჯ ცას შეხედა
და შეჰღაღადა, ასე ღმერთს მაღალს:

„ო, ღმერთო ჩემო, მისმენ? სადა ხარ?
თუ მე, ჯერ ჭაბუკს, სიკვდილი მელის,
აქ ნუ დამმარხავ!
მაღირსე მაინც ცრემლი მშობელის,
გული მსურს ჩემი ესვენოს ქართლში,
სული ნატანჯი, სული ობოლი
მიჰქროდეს ცისკენ, მიჰქროდეს ქარში.

სამშობლო მიწას მაღირსე, გვედრი,
მთაწმინდის მთვარის მაღირსე ნათელს,
და მაინც, თუმცა მკლავ ასეთ ხვედრით,
აგინთებ, ღმერთო, შენ ათას სანთელს!

ღმერთო, შემინდე, თუ რამ შეგყვედრე,
თუ რამ შეგცოდე,
მაგრამ სატანა როგორც მულიდი,
მოვიდა, ჩამცა ხანჯალი მკერდში,
არც ვარ, არც ვკვდები, სისხლი გულით მდის
და რა ხანია, ვითვლები მკვდრებში".

თქვა, ნაპირისკენ, როგორც კალმახი
გასცურა, დაჯდა ჩრდილში ტირიფის,
გრძნობდა, ხსნა არჩანს, ტყვეა კვლავ მახის,
და სურდა პოეტს მოთქმით ტირილი.

2 დეკემბერი, 1982 წელი, თბილისი.

# ვაითე მოვკალ

„ფრთხილად, თავადო, როგორ შეგვაკრთე,
შეუკაზმავ ცხენს როგორ ენდობი?
ასე ჭენება მხოლოდ მას მართებს
ვინაც მხედრობით არის ნაწრთობი''.

უთხრა მსახურმა უკვე მშვიდ პოეტს
და ჩამოართვა კრძალვით აღვირი,
სხვაც ბევრი უთხრა, განა მარტოეს,
ცხენი, რომ ნახა ოფლად დაღვრილი.

„დარდს ნუ გაივლებთ! არც მე მაკლია
წვრთნა მხედრობით და ფარიკაობით,
თქვენ ეს მითხარით, ეს რა ხალხია,
რას შეკრებილხართ, რატომ დავობდით?''

„თავადო, ცუდი ამბავი მოხდა:
ვიღაც ყაჩაღმა ცხვარი გაგვტაცა,
ტყვია გვესროლა, მწყემსს გულში მოხვდა,
აქვე აქვთ მკვლელებს ბუდე სადღაცა''.

„შეკაზმეთ ცხენი! სამი ჩაფარიც
გამომაყოლეთ, კვალს მივყვეთ მყისვე!''

„მაგრამ, თავადო, მათი საფარი
არავინ იცის, კვალს საით მივყვეთ?''

„საფარს ვიპოვით! გავქუსლოთ ვიდრე
დრო ჩვენს ხელთაა, მზე არ ჩასულა,
თორემ ცხვარს სადღაც შორს გაარიდებს,
გადიმალება, დავკარგავთ სულაც!''

ფიცხლად შეკაზმეს მდევართ რაშები,
აისხა ყველამ თოფ-ხმალ-დამბაჩა,
მიყარ-მოყარეს გვერდზე ბავშვები
და მხედრებს განჯა მათ უკან დარჩა.

მთებს, რომ მიადგნენ ტატო შეჩერდა,
„ხედავთ? ჩვენ ფუჭად როდი ვიქროლეთ,

შეხედეთ აბა, აი, იმ ფერდას?"
„თავადო ჩვენ იქ ვერაფერს ვხედავთ,
მთა ბევრია და შევხედოთ რომელს?"

„სულ მაღალს ვეჟო, კლდეებთან, თხემთან,
ნუთუ ვერ ამჩნევთ, უნდა ვიჩქაროთ,
დაღამებამდე მივიდეთ მწყემსთან!"

ეს სთქვა პოეტმა, და როგორც მეხი,
გავარდა იქვე ახლოს დამბაჩა,
იწივლა ტყვიამ, ტოტები ვერხვის
დალეწა, ტატო ბეწვზე გადარჩა.

„ჩაგვსაფრებია! აგერ სად გარბის,
არ წაგვივიდეს, მივყვეთ, ბიჭებო,
წინ მე გამიშვით, მე მკლავდა მაგის...
რომ ტყვია ზურგში მე მივაჭედო!"

გამოენთნენ და მხედრობით ნაწრთობს,
ტატოს ვერავინ წინ ვერ გაასწრო,
გაქცეულს მიჰყვა, მან გზა არ დასთმო,
ყაჩაღსაც სროლა მანვე დაასწრო.

„ვაითუ მოვკალ!" შეხედა დაჭრილს
ცხენიდან მიწას როგორ დაასკდა,
„ნეტა, ვიცოდე ამ ოხერს სად სჭირს,
ჩემს აშლილ ფიქრებს ნუთუ ეს აკლდა?""

ტატომ იაბო ძლივს შეაჩერა,
სხვებიც მოცვივდნენ, შემართეს ხმალი,
დაჭრილს სისხლი სდის მკლავიდან ჩქერად,
კვნესის, მწყურვალმა ითხოვა წყალი.

„რა დროს წყალია, მოვკლათ თავადო,
მის ტყვიას იყო ბეწვზე გადურჩი,
რა ღირსი არის მას მტლე დავადოთ,
ყაჩაღია და მკვლელი და ურჩი".

„მაგის სიკვდილი ჩვენ არას გვარგებს,
გმირობაში ჩვენ არ ჩაგვითვლიან,
არც იმპერიას არ გაამაგრებს...
სწრაფად მობანეთ მას ნატყვიარი,

შეუხვიეთ და ვკითხავთ, ვინ არი,
მხოლოდ კანონი მიუზღავს სასჯელს
და კანონივე უპოვის დამსჯელს''.

,,თავადო, თუ ჩვენ ხელთ ჩაგვიგდებენ,
ცხენის ფეხებ ქვეშ არ გაგვიგდებენ?''

,,ჰქენით ის, რაც ვთქვი!
დროა წავიდეთ, უკვე დაბინდდა,
ვიჩქაროთ, თავი აღარ აქვს სუნთქვის,
ჩანს, დაჭრილს ბევრი სისხლი დასდინდა''.

9 დეკემბერი, 1982 წელი, თბილისი.

## ციება

ბევრი შეიპყრო, ბევრიც განდევნა,
სად-აღარ სდია, სავალ-უვალში,
ტყვია ესროლა მკვლელმა რამდენმა
ცეცხლი ნატენი თოფის ლულაში,
მაგრამ, ფარავდა თითქოს განგება,
არ გავარდნია ღერიც ულვაშის.

როგორც აშოლტილ ფოთლოვან ჭადარს,
შეუჩნდნენ ცბიერ და ღრღნან ჭიებმა,
ისე სისხლსავსე, ვაჟკაცს ჯანმაგარს
შეუჩნდა განჯის ავი ციება,
შხამად, სამსალად ძვალ-რბილში გამჯდარს
ვეღარ გაუძლო ასე ძლიერმა.

და ავადმყოფმა, რამდენჯერ კიდევ
შემოუარა მთელ განჯის მაზრას,
რამდენჯერ იყო გატეხილ ხიდზე
და არ მოსვლია არც ერთხელ აზრად,
რომ უკვე ბედის გადასახადზე
დგას და გასცქერის სიცოცხლის საზღვარს.

და ათასრვაას ორმოცდა ხუთის
შემოდგომაზე, სექტემბრის დამლევს,
მიდის სალარალს, სხეული უთრთის,
გზას ქარ-წვიმიანს ძლივსღა გალევს,
ხურვება, სიცხე სულის შემხუთი
ახრჩობს, ძლივს ახელს შუქჩამქრალ თვალებს.

სუსტი, მიხდილი, ძალწართმეული
სალარალიდან დაბრუნდა განჯას,
ყელს მოხვეოდეს თითქოს გრძნეული,
თითქოსადა მკერდში უყრიდნენ ხანჯალს,
მისი სხეული ძვალ-ხორც გვემული
მოეცვა ულმრთო თრთოლვას და კანკალს.

ქვის საფეხურებს აუყვა ტატო,
სახლში შევიდა, კატინას თასით
ღვინო შესვა მან მხოლოდ დღეს მარტომ,
ვერც კი დაცალა - კრულვა ათასგზის
მიაგო ხვედრს და თავს უკვე ატყობს,
რომ ქრება შუქი მის მთვარის და მზის:

ლოცვა მოუნდა ღვთისმშობლის ხატზე,
ველარც ეს შესძლო,
ნაბიჯი წარსდგა,
და გაუხდელი დავარდა ტახტზე.

29 დეკემბერი, 1982 წელი, თბილისი.

## მზე ჩემი ქრება

„ჰა, დავიხარჯე,
აღარა ვარ,
ნელი-ნელ ვქრები,
აღარ იმზევებს ჩემი მზე და მთაწმინდის მთვარეც,
უჩემოდ სხივებს ვერცხლისფერს დააფრქვევს ტფილისს,
ზამთარიც მოვა, მტკვრის ნაზ ტირიფებს დაეფინება თეთრი ფიფქებით,
და მე კი სადღაც, აქ ვხუჭავ თვალებს,
უჩემოდ მოვა გაზაფხულიც, მაისს და ივლისს,
ველარ ვიხილავ მტკვრის ნაპირზე, ქსნისა თუ ივრის.

ჰა დავიფერფლე ვით ვაზის ლერწი, ცეცხლი შეენთო ჩემს ყველა ვნებას,
აჰა, წერტილიც უკვე დაისვა, ფრთები დაემსხვრა ყველა ოცნებას,
ჩამოვდნი, ისე, ვით შეწირული თაფლის სანთელი რამე სამლოცველს,
მოდის ურჩხული, სულს ამომხდის და სამყაროს შთანთქავს ჩემს გარემომცველს.

აქა ყოფილა, თურმე, განჯაში, მთა ზეთისხილის, მთა ელეონის,
და ჰა, ვსვამ კიდეც საჩემო ბალზამს, მსხვერპლი შევიქენ ბედთან მძლეობის.

აჰა, მზე ჩადის,
მზე ჩემი ქრება,
ქრება ლურჯ ცათა დაფიონში სხივი მთიების,
თვალთა შუქს ჩემთა ეფარება ღრუბელთა წყება,
ტანში სიგრილემ დამიარა ბნელი მღვიმების,
ჰა, ნაწამები, მწარე ხვედრით ვთავდები, ვკვდები.
რა ცუდ დროს, ღმერთო,
ქართლში დგანან დღენი ღვინების,
რა ადრე, ღმერთო,
ოცდაშვიდის სიკვდილსა ვხვდები.

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, აჰა, ამიხდა რაც ვთქვი „მერანში",
ნუ დამიტიროს სატრფომ, ნურც მოძმემ, ასრულდა კიდეც, რაც ვთქვი
მე მაშინ,
საფლავი სვავმა აქ გამითხაროს, უდაბნოს ველზე ტიალ-ვერანში,
სული ცას მისწვდეს, ძვლები მაშვრალი ქარმან ხორშაკმან შთანთქას
ღელვაში.

მოდი წყეულო, ბოროტო სულო, ჰა, ჩემი სისხლი, ჰა, ჩემი ხორცი,
არ ვდრკები, თუმცა სიკვდილი მადგას ყოველთა ჩემთა ძალთა წარმხოცი,
რამეთუ მტკიცედ, დავამჩნიე მე, ნაფეხური მშობლიურ მიწას,
რამეთუ ლექსი, ქართული ლექსი, ახლად ჩამოვქენ, შევასხი ფრთები,
რამეთუ ვალად არარა მიდევს, ღმერთი ხედავს, რომ მე მშვიდად ვკვდები,
რამეთუ მოძმეს გზა გავუთელე, გზა გავუკაფე ძეძვში, ჯაგნარში,
რომ მოძმემ ჩემმა ადვილად განვლოს, ჩემი ბილიკი ტევრში, მაღნარში,
რამეთუ მოყვასს ბრძოლისკენ ვუხმობ, ჩემს თავგანწირვას ვუგდებ
ანდერძად,
და თუ ღირსად მცნობს, მიხმობს თავისთან, მყოფს უკვდავად და აღმაგებს
ძეგლად,

მიხმობს, რომ ხორცით იქ ჩავიფერფლო, ჩემი სამშობლოს მიწის
წიაღში,
სული ჩემი კი, ლურჯ ცას შეერთოს მთაწმინდის მთვარის
შუქთა ციალში,
ჩემს სამარეს კი, მარად ამკობდნენ ველის შროშანი, ნაზი სუმბული,
საფლავს მითბობდეს სამშობლოს მზე და ზედ დამგალობდნენ
შაშვი, ბულბული.“

სიკვდილ სიცოცხლის გაყრის წინ კარმა
გაიჭრიალა, და ბნელ ოთახში მზე შემოიჭრა,
მზე ოქროსფერი,
ვით იასამნის ბუჩქი ცისფერი
ააფოფინოს ძლიერმა ქარმა,
მზის მუჭა სხივმა ტატო მკვდრის ფერით,
გულით აღაგზნო და წამოიჭრა:

,,მანდ რომელი ხარ?! ’’
შესძახა შავ ლანდს,
ღია კარში, რომ ბუნდოვნად ჩანდა;

’’მე ვარ, ბართლომე!: - იყო პასუხი,
და მღვდელი მყისვე ტატოსთან გაჩნდა.
’’რა მოგდის შვილო, მთლად სიცხით იწვი!’’...

’’გმადლობთ, მოძღვარო, რომ მოხვედი და
ლურჯ ცას შევხედე მე სიკვდილის წინ ’’.

’’რაისთვის ღელავ, შვილო, შენ ხომ, მუდამ ხარ მშვიდი?
გფარავდეს ღმერთი, ჯერ ხომ შენ ხარ სულ ოცდაშვიდის,
ლოცვა ვთქვათ სულის გადარჩენისა’’...

’’არა, მოძღვარო! აღარ მჭირდება,
ლოცვა, არც კალთა ღვთის, გამჩენისა,
ჩემი მღელვარე ობოლი სული,
ჩემს ლექსებშია მიმობნეული,

მას მხოლოდ ხალხი თუ გადაარჩენს,
რაიც არ ძალუძს, მოძღვარო გამჩენს!’’

’’შევთხოვოთ, შვილო, შებრალება, ღმერთი დიდია!’’.

’’სთხოვოს მან, ვისაც ცოდვა რამე კისრად ჰკიდია,
მე კი, რა ვთხოვო, ვკვდები, მამაო,
გახედე? ცაზე ვხედავ ჩემს ვარსკვლავს,
როგორ მიმქრალა, როგორ ქანაობს,
ცრემლს აბელისას ვხედავ გულსაკლავს,
ვხედავ კაენსაც სისხლში ბანაობს...

მე, უცოდველი, ბოროტ კაცთა მსხვერპლი შევიქენ,
გვედრი, მოძღვარო, კისრად ილო თხოვნა შენ იქნებ;
დამასაფლავეთ გიორგისთან, ჩემი ძმის გვერდით,
ერთი ხე დარგეთ კვიპაროსის, ამაღლა გვერდით’’...

გათავდა, ტატო! :
შესვა ბედისგან შემზადილი სიმწრის ფიალა,
მოსწყდა ტოროლა ლურჯი ცის ტატნობს;
და პოეტის ხმა მაცნე, წკრიალა
აღარ უმღერებს ხვალ მზეს, ცის მნათობს.

დადუმდა ტატო!
დადუმდა ჩანგი ორფევსისა, ჩანგი დავითის,
სულით ამაღლდა, შეუერთდა ცის ირმის ნახტომს,
რომ ერთ ვარსკვლავად იციმციმოს დღეს და ხვალისთვის.

1983 წელი, 12 იანვარი

# ყუბანის სისხლიანი
# ლიმნები

მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მამისა და ძმის, დავით და ეფრემ ბერუაშვილების, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის გმირის, გიორგი ბერუაშვილის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი მე ამ პოემას

# ჩემი სოფელი

შიდა ქართლში, დიდ-პატარა ლიახვს შორის,
მთის ფერდობზე, სოფელია შეფენილი,
ყველა სახლი, ყველა ოდა მოჩანს შორით,
როგორც მძივი ალიონით შეფერილი.

სოფლის მინდვრებს ზედ დასცქერის მცხეთისჯვრის მთა,
ორბოძელა, მძინარ ქალის მკერდის მსგავსი,
მეწამულ ცის ზედ ახურავს უბე-კალთა,
მიწა მოჰგავს ფურ-ირემის რძეთი გავსილს.

შუა სოფელს ჩამოუდის  ბერის წყარო,
ახოები მწვანე სარტყლად ზურგზე აკრავს,
გარშემო კი ათასობით ალვა ხარობს,
ჰგავს შორიდან მზის და მთვარის შუქთა კარავს.

გადმოსცქერის კავკასიის ლურჯი მთები.
თოვლიანი ზეკარა და ჩაბარუხი,
ზედ ტყე აკრავს დაისის მზით სხივნანთები,
ტყე ვერხვის და ტყე წიფლის და რცხილა,მუხის.

უნდა ნახოთ ცის ლაჟვარდში  მოწკრიალე,
ტოროლა და აღერილი პურის ყანა,
ლიახვის პირს ვერხვის ჭალა მოშრიალე,
ლურჯ ფერებში ჩაძირული აქ ქვეყანა.

უნდა ნახოთ, აქ ცისკარი დაფიონზე,
და მინდვრები სად გვირილა ცისფრად ელავს,
მოუსმინოთ მწყრის ქვითკიროს ალიონზე,
და უცქიროთ ქარისა და ყანის ღელვას.

აქ, გაზაფხულს იასამნის ფერი ამკობს,
ზაფხულს დაჰკრავს სურნელება ტკბილი ზღაპრის,
შემოდგომა გულს ახარებს და თვალს ატკბობს,
გაგაოცებთ თოვა, ბარდნა წყნარი ზამთრის.
აქ, კარავი დაუცია თეიმურაზს
ველ-მინდორი გადუთქერავს სააკაძეს,
პრომეთე აქ მიაჯაჭვეს მთებს ბუმბერაზს,
ისტორიის ქვა ქართველთა ერთიც აქ ძევს.

ხალხი ცხოვრობს აქ კეთილი, სანდო, ტკბილი,
გოგო-ბიჭი ტანმაღალი თეთრ- ყირიმზის,
ალვის ტანით, ბაგით მარჯნის, ბროლის კბილით,
ღიმილით კი, იის ვარდის და პირიმზის.

ქალი, კაცი, ერთი სულით, ერთი მხარით,
მიწას უვლის, ეფერება შრომობს, ილვწის,
დიდ-პატარა ლურჯ ზეცას და მზეს შეჰხარის,
ყველა ლოცავს ნაოფლარს და ნაყოფს მიწის.

II

ასეთ ხალხში, ასეთ ცის ქვეშ
წილად მეც მხვდა ვშობილიყავ,
მეც შევყურებ ამ მთებს პირმშვენს,
და ვგრძნობ, ძვლამდე როგორ მიყვარს.

ბავშობიდან უბით დამაქვს
საკუთარი შრომის ლუკმა,
გული მომყვა, სხვა მე რა მაქვს,
რწმენა, სიმხნე მომყვა უკან.

დავყვებოდი დედას, და-ძმებს,
ნაწვერალში ვკრებდი თავთავს,
ხელეურებს, ბულულს და ძნებს,
ვდგამდით სოფლის ბეღლის კართან,

შემიბია კალოს ხარიც,
მიმღერია ჩიტის ხმაზე,
ვგავდი ფრინველს, რომ შეჰხარის
მზეს და მთვარეს ფირუზ ცაზე.

საოცნებო და ზღაპრული
მთვარის ღამე მითევია,
ციგა შეშით წნელდაკრული
წითელ გზებზე მითრევია.

ჭალის წისქვილს მინდი ვზიდე,
ბიჭს ლიახვი გამიტოპავს,
ქარი ხევებს როგორ მისდევს,
ვნახე, ვერხვი როგორ ტოკავს.

ორბოძელა დამილაშქრავს,
თოფი კლდისთვის დამიცია,
ღამე ვეტრფე ვარსკვლავთ ლაშქარს,
ვეტრფე მთიებს და მის ციალს.

წყარო მისვამს ცხრამურის და
დედოფლის და თხილის წყარო,
ღვინოც მისვამს, სად მუხის და
ტყე რცხილის და წიფლის ხარობს.

ავყოლილვარ აღმა ლიახვს,
მისვამს მდელოს დილის ნამი,
დამიყნოსავს ველის ღვია—
რძისფერ ღრუბლით დანანამი.

ტყენი, ღრენი დამივლია,
ირმისა თუ მგლის ნახტომი,
მთის მწვერვალზე მიყივლია,
ხელით მეპყრა ცის ტატნობი.

მთვარის შუქი მისვამს პეშვით,
გული მზესთან ამისვრია,
ზედ ვერთვოდი წვიმა-თქეშში
ელვა-მეხის ღამის გრიალს.

უბეს მეჯდა ტოროლა და
ცისკრის ვარსკვლავს მივწვდი ხელით,
სატრფოც მყავდა ჩემიტოლა
წვრილი წელით, გედის ყელით.

აქ ვშობილვარ როგორც ნამი,
როგორც კვირტი აქ გავშლილვარ,
არ ვივიწყებ აქ, არც წამით,
ამ ხალხის წინ რომ ვალში ვარ.

ომი დაიწყოვო...

1941 წლის 22 ივნისი

## ნაწილი I

იმ ზაფხულს ნათიბში მწყრის ჩოჩრებს დავსდევდი,
უსაზღვროდ ლურჯ ცაზე გალობდა ტოროლა,
სტვენით და სიმღერით მეც მინდორს ვავსებდი,
ხალხი კი შრომობდა ვინ თითოდ, ოროლად.

ჩემს კბილა ბიჭებთან თიბათვის ცის ფერებს
ვერთვოდი, ვხარობდი ფრთაგაშლილ ბარტყივით,
ვუსმენდი ლიახვთან ზღაპრებს და სიმღერებს
ჯიქნიანს, გემრიელს ტყის ველის მარწყვივით.

იმ ზაფხულს, მახსოვს, რომ ვიღაცამ კაცებთან
ცხენი გაოფლილი მოაგდო, რა მოხდა?
გადმოხტა, მიუშვა აღვირი ნაცელთან,
ომი დაიწყოვო, მკვდარი ხმით აღმოხდა.

კაცები გაფითრდნენ, ზღვისფერ ცას თიბათვის
ღრუბელი გადეკრა მეხით და ელვებით,
აღარ არსებობდა დღეიდან იმათთვის
სიმშვიდე, ეს ცა და ტყეები , ველები.

სოფლის გზას გაუდგნენ მრისხანე შუბლებით,
ჩვენც უკან გავყევით სირბილით, ჩანჩალით,
სამშობლოს გვართმევსო? რა ნება-უფლებით
,,ლემენცი‘‘ ოხერი, დამრბევი, ყაჩაღი.

## წავიდნენ

ვისაც კი შეეძლო, ვის ჰქონდა ეს ვალად,
აიხსნა აბჯარი, შეიბა მახვილი,
წავიდნენ, სად მტერი გვესია ჩვენ მკალად,
საითაც უხმობდათ სამშობლოს ძახილი.

იმ დღეს მამაჩემმა, ჩემმა ძმამ, პეშვებით,
ჩვენი წყაროს წყალი გულზე დაისხურეს,
მიწა ჩაიყარეს მცირედი ფესვების,
წავიდნენ ომში და კარი გაიხურეს.

იმ დღიდან დაიწყო სოფელმა დაცლა და,
დავობლდით ბავშვები დედებით, მამებით,

თიბათვის მზის სხივთა ხვრეპა არ დაგვცალდა,
ბავშობა დიოდა ტანჯვით და წამებით.

აღარ არსებობდა ჩვენთვის სიხარული,
აღარცა სიზმრები ტყის მარწყვის ფერისა,
ყველას თან დაჰქონდა წუხილი ფარული
და შიში ჩაქრობის საკუთარ კერისა.

არავის ახსოვდა სიცოცხლე პირადი,
დიდი თუ პატარა მინდორში ათევდა,
არ იყო ჩამუხვლა შაბათს თუ კვირა დღით,
ერთმანეთს უხმობდნენ — „დაღამდა, გათენდა!“

**მამის წერილი გორიდან**

„გორში, იქ სადაც მტკვარი, ლიახვი,
ერთად მისდევენ შიდა ქართლის ველს,
სადაც ციხე დგას მკაცრი, მთლიანი,
და ისტორია სივრცეს ჰფენს ნათელს,
მტვერში გასვრილნი, მთლად გუნგლიანნი,
ვდგავართ ბანაკად, ვაოცებთ მნახველს.

ვინ ვის გაჰყვირის, ვინ ვის დაეძებს,
ვინ ვის ჰკარგავს და ვინ ვის პოულობს,
გაცვლაც ხდება აქ, ვინმე რამე ძველს
შინელს, მაისურს, ჩექმას შოულობს.

გავცქერი ბანაკს, ყურდამხშობ გნიასს
ველარ ვუძლებ და ვეკვრები მესერს,
სხვადასხვა რჯულს და სხვადასხვა ზნიანს
ვუყურებ ჩემებრ მხვნელსა და მთესველს,
შევნატრი დღეებს სამკალად მზიანს,
და ცელს გაკვერილს ყანაში მკვესელს.

ჩამოდი გორში, საქალამნე ტყავს
აქ იაფია ვუყიდი ბიჭებს,
ამ ჯგლითში მე კაცს დრო ტანჯვით გამყავს,
თქვენზე ფიქრი მღრღნის და ყელში მიჭერს.

გიგზავნი წერილს, აჰა, საყვირიც
დასცეს სანიშნოდ ჩვენი მზადყოფნის,

„ოთხად დაეწყვეთ!“ ვიღაც გაჰყვირის,
გაყუჩდა თითქმის ყველა აქ მყოფი,
ბრძანებს: - „წვეული ყველა ამ კვირის
წავალთ“! ყვირის და ხმა ძლივსღა ჰყოფნის.“

### უკაცო სოფელი

გავიდა თიბათვე, დაგვიდგა აგვისტო,
სოფელი მოხუცთა, ქალ-ბავშვთა ამარა,
თავისთვის დოვლათის ციცქნასაც არ იტოვს,
დიდი და პატარა შეკრულა კამარად,
ოღონდ იქ ეშველოს ბრძოლებში თავის ტომს,
შიმშილს და სიშიშვლეს ჩათვლიან არარად.

აგვისტოს ლურჯი ცა ისევე ღაღანებს,
როგორც რომ წასვლის დღეს მინდვრიდან მცელავთა
და სავსე მთოვარეც ოქროსფრად ღაღადებს,
არსად ჩანს ღრუბელიც ქუხილთა, ელვათა.

ნაწვერალს, ნაცელავს დილიდან ღამემდე,
ოთხთვალა ტრაქტორი გუგუნით სერავდა,
ცისკრიდან მზემდე და მთვარიდან მთვარემდე,
სახნისი, საკვეთი ხმალივით ელავდა.

უმძიმდა უღელი შვინდა ხარს იქნება,
ისიც ხომ ეწევა ჭაპანსა და გუთანს,
არც გუთნის დედათა არ იყო იქ ნება,
თვალი არ შეევლოთ ნახნავს და ნაგუთნარს.

ბიჭ-ბუჭებს, მოზარდებს ერთს სძინავს ჩალებში,
მეორე მჭედელთან ხარ-კამეჩს წაასხამს,
მესამე უძილო, უღონოდ, წვალებით,
მოელის ტრაქტორს, რომ შიგ წყალი ჩაასხას.

ადრიან, სისხამზე გასძახის ჯგუფხელი:
„ქალებო, წამოდით, ავკრიფოთ კაჭაჭი
გამოვჭრათ სიმინდი ნედლია თუ ხმელი,
გავრეკოთ მინდვრიდან ყვავი და კაჭკაჭი.“

თან მივსდევთ ბავშვებიც პატარა სურებით,
ძლივს მიგვაქვს წყალი და ვართ პურის ნატრულნი,

თითქოსდა ავად ვართ, გამხდარნი სრულებით,
რაღაცა დაღი გვაქვს ცულივით დაკრული.

შუადღით ჩამოსხდნენ ბებერი მუხის ქვეშ,
ოფლი მათ შუბლებზე წვეთებად ჩამოსდით,
,,ქალებო, ქალებო, გახედეთ‘‘? — ერთხმაად თქვეს,
ფოსტალიონია, ქიტაა, აქ მოდის!‘‘

ყველანი შეცბუნდნენ, შეშინდნენ, დადუმდნენ,
აქ ვისთან მოჰქონდა სამკუთხა წერილი?
მოსვლა არ აცადეს, წინ ერთად გადუდგნენ,
დედა უკან დადგა გულგადაფერილი.

მოვიდა, წერილი დედაჩემს გადასცა,
,,დათა გწერს წერილსო‘‘— ჯერ გორში ყოფილა,‘‘
ვატყობ, რომ ღელავს და სიტყვაც კი არ წასცდა,
მთრთოლავი თითებით შუბლს იწმენდს ოფლიანს.

,,ქალებო, ქალებო, აქ მოდით,
წერილი მივიღე დათასი,
გახსენით, არ ვიცი, რა მომდის,
ფიქრები მაწუხებს ათასი.‘‘

კითხულობს ერთი და თან დედას ამშვიდებს:
,,ნუ ღელავ, გორშია, ჩასვლას გთხოვს მარიამ,
ღმერთო, შენ დასწყევლე ვინც ჩვენ და ჩვენ შვილებს,
მშვიდობა წაართვა, ქვეყანა არია‘‘.

**გორის ბანაკი**

,,გორში ყოფილა და მე კი ვერ გავიგე,‘‘
თქვა დედამ წყენით და სამზადისს შეუდგა,
,,ეს რა დამემართა, თვალები დამიდგეს,
რის თქმა სურს იქნება, ვინ იცის რა უნდა.‘‘

ერთ ლოცვას ამბობს და სხვას იწყებს ახლიდან
ადათის წესები ლაღადყო მან ყოვლად,
მე და თინათინი დაგვტოვა სახლში და,
ძმა ჩვენზე უფროსი გორში გაიყოლა.

ბანაკში შეუშვეს, უთხრა ქმარს ვეძებო,
აქა-იქ ჰკითხავდა ჰქვიაო დავითი,
გუშინ წაიყვანეს, ტყუილად ეძებთო,
ვინ საით, სად მიჰყავთ, დაო, ვინ დაითვლის?

„გუშინ წაიყვანეს"?! — სასო წარეკვეთა,
მესერთან მივიდა, ხელები ჩასჭიდა,
გულში შხამ-ნაღველი მწარედ ჩაეღვენთა,
და თითქოს ვიღაცა ხორცს დანით აჭრიდა.

სევდიან თვალთაგან დასცვივდა მდუღარე,
ვანოც მის კალთასთან საბრალოდ ატირდა,
სად აღარ ვივლიო, დღისით და თუნდ ღამე,
თავსაც შევწირავო თუ კი მას დასჭირდა.

— „ნუ ტირი, დაიკო, ბიჭიც ხომ ცოდვაა,
წაბრძანდი სახლში და შვილები გაზარდე,
აქ ვის, რას იპოვნი, შინ წასვლის დროცაა,
ჯარისკაცს ვეტყვი და გაგიყვანს ბაზრამდე.

ამშვიდებს ზემდეგი, დედა კი პურმარილს
ურიგებს იქა მყოფთ ხილს, ღვინოს და არაყს,
ეამათ ტკბილი და გულუხვი სტუმარი,
სვამდნენ და ხუმრობდნენ, ყვებოდნენ ბევრ არაკს.

**შამქორი**

უჭირდა, უმძიმდა გამურულ ორთქმავალს.
ქშენით და ქოშინით მისდევდა ლიანდაგს,
მისედვდა მტკვარსა და ხეობას, ბოლს მრავალს
აფენდა, ფარავდა მზით დამწვარ ნიადაგს.

ჩამოსხდნენ შამქორში, გაუდგნენ გზას მწყობრით,
მტვრის ბული ადინა მშრალ მიწას ფეხის ხმამ,
გუდააკიდებულ რიგებად დაწყობილთ,
თან სდევდა ზემდეგთა ძახილი, შერისხვა.

კაცების ეს გროვა დიოდა ღვარივით,
მთვარის მკრთალ ნათელზე ქელავდა ვრცელ მინდორს,
ყველას შუბლს ატყვია ამოჭრილ ჯვარივით:
მტერს რისხვა! რაც ქვეყნად სუფევდა იმავ დროს.

მიწა ტორტმანებდა ათასი ფეხის ქვეშ,
დინება ეს კაცთა სუნთქავდა ქარივით,
ჯერ იგი არ ჰგავდა შავ ღრუბელს, მეხის მჭექს,
ჯერ წყნარად ღელავდა, დიოდა მტკვარივით.

ზემდეგთა, სერჟანტთა ამ ასში, ათასში
ისმოდა ყვირილი, რიგებში, წინ სადღაც,
მთვარე კი ნელინელ ღრუბელთა კალთაში,
კრთებოდა, ინთქმოდა ვარსკვლავნიც და მთლად ცაც.

**შამქორი(2)**

იმ ღამეს ზეცა, მზით დამწვარ ტრამალს
დაემხო წვიმით, ქუხილით, ელვით,
ღრუბლები ფარად ქარიშხალს ფრთამალს
მოჰქონდა წეწვით, ტრიალით, თელვით.

დასტრიალებდა სტვენით ყაზარმებს
უკვე ცივი და გამჭოლი ქარი,
მოაგორებდა ღრუბლებს საზარლებს,
დიოდა ირგვლივ წვიმების ღვარი.

ჯერ არ ეყივლა მამალს, რომ განგაშს
დასცეს და ყველა, როგორცა ერთი
გარეთ გაიჭრნენ, თავსხმაში სანგარს
თხრიდნენ და სადღაც აფეთქდა დენთი.

„– ბიჭებო ჩქარა! – იყო ძახილი,
მტერი მოგვადგა, ჩავძვრეთ მიწაში,
მოვა და დავხვდეთ, ჩავცეთ მახვილი
მუცელში, ფერდში, გულის ფიცარში!“

ჯერ არ გაევლო წუთს სამათეულს,
რომ ყველა თავის სანგარში იწვა,
რომ ნიჩბით მბურღავ ასს, ათასეულს
ფარავდა ბინდი, წვიმა და მიწა.

დილიდ ბინდ-ბუნდში მხედრებს სანგრიდან,
უჩანდათ მხოლოდ ხიშტი, ჩაჩქანი,
დუმდა გარემო, თითქოს ავდრისგან
სოცოცხლე იყო ირგვლივ ჩამქრალი.

გაისმა ზათქი, როგორც სანთური
მნათი შუშხუნა ცას დაეკიდა,
შეტევაზეო, ძილში გართული
გაიჭრა ჯარი, ,,მტერს‘‘ გაეკიდა.

გადაირბინეს სანგრები და ბნელს
არღვევდნენ მკერდით, ხიშტით ,,ვაშათი,‘‘
შუშხუნა კვლავაც ველს ნაზეპ-ნარბენს
ზედ დაჰნათოდა ფერთა კაშკაშით.

გადაუარეს ყველა ბარიერს,
ბინდში სირბილით გასცდნენ პოლიგონს,
კბეჩდნენ, ყლაპავდნენ სივრცეს ცარიელს,
გადაალაჯეს მგონი ჰორიზონტს.

**შამქორი(3)**

გათენდა, შეწყდა წვრთნა, დაეწყნენ რიგებად,
ითვლიდნენ, მებრძოლნი იყვნენ იქ თუ სრულად,
ვინ ტოლაღს ჩამოშლილს, ვინ შინელს ირგებდა,
ბრძანებდნენ მებრძოლებს ქართულად, რუსულად.

,,მოსწიეთ ბიჭებო თუთუნი , ,,მახორკა‘‘,
ჩვენც შევისვენებთ და მიხედეთ იარაღს,
შემდეგ კი მოგვიწევს მუცელზე გახოხვა,
გადავთელთ, მგონია, მთელ მინდორ-იალაღს.‘‘

დაღლილი მხედრები ჩამოსხდნენ აქა-იქ,
ჯგუფებად, ოროლად, ზოგნი კი სამ-სამად,
სწევდნენ და ჰკითხავდნენ ურთიერთს: — ,,რასა იქმ?‘‘
,,ეჰ, ძმაო, ომია, შევსვამთ შხამს, სამსალას.‘‘

ძლივს უთხრა დავითმა ერთ მათგანს და იქვე,
წამოწვა თეძოზე, დაეყრდნო ზურგჩანთას,
ბევრი რამ სამოყვრო თუ სამტრო მათ იქ თქვეს,
ტალახში ამოსვრილთ პირი ძლივს უჩანდათ.

,,გახედეთ, ბიჭებო, მზე როგორ ამოდის?!
როგორც შიდა ქართლში ჩვენ ორბოძელათან,
გგონია ზეციდან მიწაზე გადმოდის,
მოდის, რომ ნათელით მოგვდიოს ყველას თან.‘‘

„როგორ, ჯარისკაცო? მიწაზე გადმოდის?!,
ღმერთმანი კარგად თქვი, მოგვფინოს ნათელი,
შენ რა გვარისა ხარ? მოხვედი აქ როდის?“

–„ბერუაშვილი ვარ დავითი, ქართლელი,
ჩვენ, ახლებს, ჯერ კიდევ მწყობრი არ გამოგვდის...
მხვნელთა და მთესველთა ჯგუფია აქ მთელი,
ბევრია მჭედელი, კუთხის ქვის გამთლელი.“

–„დროებით მივაგდოთ ნამგალი, ჩაქუჩი,
გავიწვრთნათ ბიჭებო, მტერს ის დაამარცხებს,
ვინც არის ნაცადი, მამაცი ჩაუქი.“

„გვესმის, მეთაურო, ვარჯში რომ გვმართებს,
ბრძოლასაც ვისწავლით და მტერს მზეს ჩავუქრობთ,
ცოცხლებს ჩვენ სამშობლოს ვერავინ წაგვართმევს!“

„ფაშისტი სანგარში ჩვენს მიწას, წყალს ხაპავს,
აბა ჯარისკაცნო, მუცლხოხვით მზისაკენ,
გველეშაპს ჩვენი მზე, მზე გადაუყლაპავს,
წავართვათ და ისევ ვისროლოთ ცისაკენ!“

მზე ასცდა ჰორიზონტს ოქროში ცურვილი
სისხლისფერ ნისლებში ვარდივით ღუოდა,
ხოხავდნენ, ისროდნენ, მათ გაწვრთნის სურვილი,
გულ-მკერდში ედგათ და ლველფივით ღვიოდა.

**მტერი თერგზეა**
1942 წლის აპრილი

ვინ დათვლის, რამდენჯერ ველები შამქორის,
ბნელში თუ ნათელში დაბდღვნეს და დათქერეს,
„ვაშას“ შეძახილი ქარივით ნაქროლი,
ხვეტავდა მიწიდან მტვერსა და ნამქერებს.

რამდენჯერ შეჭამეს სანგრების მიწა მათ,
ფიქრობენ ზღუდეთა აღების კვლავ ცდაზე,
წვალობდნენ ჯერ აქ, რომ შემდგომ არ ეწამათ,
ხიშტებს უღერებდნენ შავ ღრუბლებს ლურჯ ცაზე.

დროც დადგა, დროშის წინ ჯარები პოლკებად
დაეწყვნენ, ფიცი თქვეს ერთი ხმით, გუგუნით,

რომ სისხლი შესწირონ სამშობლოს უკლებლად,
რომ მტერი დამარხონ წყვდიადით, უკუნით.

„აჰა ჯარისკაცნო! ჯერი ჩვენც დაგვიდგა,
მტერს დავხვდეთ იქ, სადაც ცეცხლი და ქარია,
იგი ჩვენს თერგზეა, სიცოცხლე რად გვინდა!“
ამბობს ტრიბუნაზე ვანო ქანთარია.

„ოთხასმეთოთხმეტეს ჩვენც შევუერთდებით,
ჩავკეტავთ ბაქოს გზას, სულაკს და გუდერმესს,
მტერს ნავთი სწყურია, დავხვდეთ ხმლის კვეთებით,
ავჩეხოთ, ვინატრებთ სხვას რაღას უკეთესს!“

„მხედრებო, ფაშისტი ცეცხლით და მახვილით,
მოდის და მოადგა ჩვენს მთებს და ჩვენს მიწებს,
ჩვენ, ქართველები ვართ! ეს გადაძახილი,
ჩვენზეა, ამ ომში, ეს რომ ვთქვათ, ჩვენც გვიწევს.“

„მტერი ძლიერია, არ ვმალავთ, თქვენც იცით,
მაგრამ მომხდურია, დამპყრობი, ვერაგი,
პირი გავუტენოთ რუსეთის შავ მიწით,
ასი წლის შემდეგაც ხელყოს რომ ვერავინ.“

საღამოს, საჭურვლით, სურსათით ჯარები,
ბაქოსკენ დაიძრნენ ორთქმავლის ჭენებით,
რკინით, რომ შეეკრათ დერბენდის კარები,
მიჰქროდნენ მთელი დღე და ღამის თენებით.

### 1942 წლის 24-25 აგვისტო
### ლაშქრობა თერგისკენ

მთვარე აგვისტოსი სუნჟას ანათებდა,
სძინავთ დაღლილ პოლკებს გაშლილთ სულაკამდე,
ფხიზლობდნენ არავინ ასანთს არ ანთებდა,
შენიღბვით, შეფარვით იყვნენ სულ აქამდე.

ეძინათ ველებზე, ათასს სხვას კარავში,
დიოდნენ ხმაურით სუნჟა და სულაკი,
ბანაკთან ცოცხალი ჭაჭანებს არავინ,
მხოლოდ თუ გუშაგი თუ ტორავს ულაყი.

იდგნენ მედიდურად მთები კავკასიის,
ფეხთ ეგდოთ ყიზლარის დამწვარი ველები,
თითქოსდა, გუშაგად ზღვისა კასპიის,
აქ მშვიდი ღამისა და აქ ქართველების.

წყალს ჯერ არ მოსვლოდა ძილი, რომ გუშაგმა
გაიგო რაღაც ფაჩუნი შორიდან,
,,შესდეგ მანდ‘‘! — შესძახა მხედარმა გულშმაგმა,
,,ყაზბეგი‘‘, — მოსცა ხმა ერთ-ერთმა ორიდან.

,,აბა, ჯარისკაცო, სასწრაფო განგაში,
ერთ წუთში ასეულს საბრძოლო მზადყოფნა,
გერმანელს თერგთან ჩვენ ჩავასწროთ სანგარში,
ინებებს გადმოსვლას? ჩავხოცავთ, ჩავთოფავთ!‘‘

სცეს საყვირს უეცრად, წამოხტნენ, დაეწყვნენ,
გზას მარშით გაუყვნენ საჭურვლით, აღალით,
ჩანდა, რომ ყველანი საბრძოლოდ განეწყვნენ,
მხნე ჰქონდათ ნაბიჯი და გული ალალი.

,,რას იტყვი, დავითო, მეომრებს ჯერ ვგავართ?
ვიბრძოლებთ მართლა თუ ისევ მანევრია?

,,მგონია, ვიბრძოლებთ, როგორც კი თერგს გავალთ,
დაჯაბნე გოგია, ეგ შიშის ნერვია.‘‘

,,შენთან, ძია დათა, მე რა შემაშინებს,
აქ თქვეს ლემენციო, მუმლივით ბევრია ‘‘...

,,ნუ დარდობ, რად გვინდა ხიშტები მაშინ ეს,
,,მუმლი მუხასაო‘‘ და ჯერ ხომ არ შეგვყრიან?‘‘

წავიდნენ, მიდიან და თითქოს მიწასაც,
უჭირს რომ ქელავენ, ზეპავენ ჩექმებით,
ადენილ ბუღისგან ახველებს ვიღაცა,
ბინდია, ვიღაცა ეცემა ხეთქებით.

მიდიან მარშით და, როგორც ტყე ნიავზე,
ხიშტები მკრთალ შუქზე ტალღებად ირწევა,
მთების შუბლს დილის მზე ვიდრე სხივს მიამზერს,
ასეულს სურს თერგთან დროულად მიღწევა.

მთვარე გადახრილი ცივად კიაფობდა,
მხრებზე შავად აყრილ ხიშტების წვერებზე,
როგორც შავი ტალღა, ბინდ-ბუნდს მიაპობდა
სხვა ათასეულიც დაბლობზე, სერებზე.

დილით კი, ოცდახუთ აგვისტოს გამოჩნდა
ჩერვლენაია და თერგის ნაპირები,
საველე დურბინდით ნისლებში აღმოჩნდა,
ფაშისტთა მსროლელთა და სხვა ნაწილებიც.

**ბრძოლა თერგთან**
**25 აგვისტო 1942 წ**

მთების წინეთიდან, ველიდან ყიზლარის,
ნიავი მოჰქროდა - გრილი და გიჟმაჟი,
მოჩანდა ფერები მსგავსი რამ სიზმარის,
რძისფერი ნისლების, აგვისტოს რიჟრაჟის.

გათენდა და კიდეც გამოჩნდა დურბინდში,
თერგისკენ დაიძრნენ ფაშისტთა რიგები,
რამდენი ყოფილან, არ ჩანდნენ სრულ ბინდში,
ვერც ლელი ფარავდა და ვეღარც ჩირგვები.

,,ვაშაო'', შესძახეს, ქართველთა ლაშქარიც
ფერდობზე დაეშვა ველური ღრიალით,
დათქერეს ბუჩქნარი, კლდეები ნაშალი
არწივის ყივილით და თვალთა ბრიალით.

ნიაღვრად, ერთდროულ მისცვივდნენ ნაპირებს,
მარცხენას მტერი და მარჯვენას ქართველნი,
დამპყრობი იქით წყლის დალევას აპირებს,
აქეთ კლანჭს ლესავენ არწივის მართვენი.

ნაღმმტყორცნი, ქვემეხი, შაშხანა ჭექავდნენ,
სკდებოდნენ ჭურვები საშინელ ქუხილით,
მხედრები მტრის ნასროლ ცხელ ლითონს ღეჭავდნენ,
და თითქოს თერგსაც კი გაჰქონდა დუღილი.

იმძლავრა მტერმა და მუმლივით მოედო,
აქ მდორედ მიმავალ თერგის წყალს, შამბიანს,

ბევრი აქ ქართველთა ხიშტზე წამოეგო,
ბევრი ცეცხლს ვერ უძლებს და უკან გარბიან.

—,,შეხედე, დათიკო, რა ჩუმად მოძვრება?
რაღაცა ფოთლები ფარავენ იმის თავს,“

,,ხედავ ამ წურბელას, რა ხერხი მოძებნა?
ესროლე გიორგი, მაგ ძაღლს და ვირისთავს!“

გაისმა ჭექა და, ისიც და ბევრი სხვაც
ჩასძირა მდინარემ, დაახრჩო, წალეკა,
ზუსტ სროლას ზედ ერთვის თან ვაშას მჟღერი ხმაც,
სიხარულს მოუცავს ბიჭები შავლეგა.

მეორე შეტევით დალაშქრა მდინარე
მტერმა და ჩაიგდო დროებით ნაპირი,
დაატყდა ცეცხლი კვლავ თავსაგადამდინარე,
და უკან განდევნეს, როგორც რამ ნახირი.

აქა-იქ ხელჩართულ რკენაში, ქაოსში,
გიორგის ესროლა მტერმა სულ ახლოდან,
ეს კი მტერს ყელში სწვდა, ძიძგილით დაოსილთ
ერთმანეთს ახრჩობდნენ, არავინ ახსოვდათ.

,,არ შედრკე, გაუძელ, აქა ვარ გოგია!,—
შესძახა დავითმა უკნიდან ამხანაგს,
- რას სჩადი, შე ძაღლო, თავი სად გგონია!,“
გადიგდო შაშხანა, კეფაში ახალა.

,,დამჭრა მაგ ოხერმა, ვახრჩობდი, გავბრაზდი,
რატომ არ მაცადე, რა ჰქენი დათიკო!“

,,შევშინდი, დიდი ჩანს, ნაკვები, ნაზარდი,
მტერს უნდა დაასწრო, ჩაჭრა და ჩათიბო!“

ზვავივით მიაწყდნენ მდინარეს ქართველნი,
გათელეს მტერი და წყალს მისცეს ცოცხალმკვდრად,
გაღმითაც ჩათიბეს ნაღმებით მათ მთელი,
პოლკი და ბანაკი უქციეს ოხრად მთლად.

## 1942 წლის დეკემბერი
## შეტევა თერგზე

ზამთრამდე გადახდათ ეს მცირე ბრძოლები,
მოუხდათ თერგს იქით მრავალჯერ დალაშქვრა,
ატყობდნენ, დროც არის, იცვლება როლები,
ფეხს ითრევს მტერი და ახლა აქვს ძალა სხვა.

პირველ-ორ დეკემბერს შესდგა აქ აღლუმი,
თვით ბაბალაშვილი სინჯავდა მხედრიონს:
„საბრძოლო მზადყოფნა იგრძნობა ძალუმი,
მხდალი აქ თქვენს რიგებს არ უნდა ერიოს;
ბიჭებო, დადგა დრო, ჩვენც ვცადოთ შეტევა,
ძალები არ ჰყოფნის, დაზვერვით ვიცით ჩვენ,
ვოლგაზე ტყვეები ფეხათ ვერ ეტევა,
ჩვენც უნდა დავარტყათ, ვალი გვაქვს ფიცით ჩვენ.
რითი ვართ ნაკლებნი?! გმირებს სტალინგრადის
მივბაძოთ და ჩვენი წვლილითაც შევავსოთ
და როგორც დონზე მას ზურგზე ალი ასდის,
ჩვენც დავცეთ, მახვილი შიგ გულში შევასოთ!“

დეკემბრის სამ რიცხვში, რიჟრაჟზე, მუქლურჯად,
ღრუბლებში აელვდა სანიშნო რაკეტა,
და უცბად გრიალმა ქვემეხთა ჯგუფ-ჯგუფად,
ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდი ცეცხლებით გაკვეთა.
როგორც ყრუ ქუხილი, ქვემეხთ კანონადა
კასპიის მხრიდანაც მოჰქონდა ცივ სიოს,
ყველა მოძრაობდა, ომის კანონს, ჩანდა,
შეეპყრო ყველა, ვინც მტერს უნდა მისდიოს.

ცას ჯერ არ ენათლა, ქვემეხნი ქუხდნენ, რომ
გაისმა— „მომყევით, დღეს ჩვენი ჯერია,
დღეს უნდა ვაგემოთ, დღეს უნდა მიხვდნენ რომ,
აქ მათი არც სახლი, მიწა, არც ჭერია!“

შესძახეს „ვაშა“ და წინ გაჭრილ კაპიტანს
გაენთნენ, მიჰყვნენ და ჯიქურ თერგს მისცვიდნენ,
ციოდა, ყინავდა, ხეთქავდა სახის კანს,
მაგრამ ვის ახსოვდა, და არც ტანთ იცვლიდნენ.

სხეულზე შეყინულ ტანსაცმლით ხოხავდნენ,
თერგს გაღმა წართმეულ ერთ მომცრო პლაცდარმზე,
ოფლით და გულმკერდის სისხლით თოვლს პოხავდნენ,
ცოცავდნენ ღველფებზე, ცეცხლსა და ნაცარზე.

ასში და ათასში დავითმაც ნაპირი,
გასცურა უვნებლად, საჭურვლით, „ვინტოვკით",
ბევრს სისხლით გასვრია გულმკერდი, თავპირი,
ვინ მოდის დაჭრილი ბარბაცით, ვინ ტოკვით.
„სად ხარ გოგია!"– გასძახა შემკრთალმა,
„არ მოჰკლან ემანდა, შინ მივალ რა პირით?.."

„აქა ვარ დათიკო, მაყლაპა თერგწყალმა,
ჭაობის ტალახით მოსვრილ მაქვს თავპირი."

„ეგ არაფერია. მეც ვყლაპე, ჩვენია,
ტყვია არ გვაყლაპოს მტერმა და თერგს გოგი,
ლიახვის გემო აქვს ჩვენ ეგ გვირჩევნია ..."

„ლიახვის გემოც და სისხლისაც, მგონია,
ცოცხლები მკვდრებისგან ძლივს განირჩევიან .."

ღრმად იყო ჩამძვრალი მიწაში ფაშისტი,
არ თმობდა არცერთ გოჯს, ერთ ნაბიჯს, არც მტკაველს
მიუხტნენ, ჩახოცეს კონდახით და ხიშტით,
მტერი, რომ ჩაკვროდა ხავსივით ამ მთა-ველს.

სისიხლისმღვრელ ბრძოლებით, ხელჩართულ, პირისპირ,
ანგრევდნენ მავთულხლართს, უვლიდნენ ზედ სანგრებს,
უშენდნენ ზარბაზნებს, ასპობნენ ძირისძირ
მტრის ყველა თავსაცავს და ყველა სიმაგრეს.

სადაც ვერ მიუწვდნენ ქვემეხით, მტერი იქ,
ამბრაზურებიდან ტყვიამფრქვევს ისროდა,
შეფერხდა წინსვლა და პათოსი შემტევი,
სანგრებში მხედართა ლანძღვაღა ისმოდა.

„ჰეი, მანდ ვინა ხარ! ვინ შესძლებს ყუმბარით
მიხედოს, მოასპოს, ხედავთ, რომ დაგვჯაბნა!"

„მე წავალ! – წარმოსთქვა გოგიამ მუქარით–
თუ სხვებთან მეც მომკლეს, რა ვუყოთ ჯანდაბას!"

გაოცდა დავითი: ,,ვაჟკაცი გამხდარა‘‘...
,,ეცადე გიორგი, არ იშლი რახანაც.‘‘

მიხვდა, რომ ეს სიტყვა არ იყო ლიტონი,
და არც რამ ტყუილი, ბაქი და მუქარა,
უკან არ დაიწევს, დასწვან თუნდ ლითონით,
ისეთი ხმა ჰქონდა, მკაცრი და მქუხარა.

შეისხა გოგიამ ყუმბარა, აბჯარი,
თოვლნარევ მიწას ზედ ლასტივით გაეკრა,
ჯარი კი თხრილებში სოლივით ჩამჯდარი,
გაკვირდა, შესძლებს კი დოტისთვის დაეკრა?

შესძლო და გააჩნდა ბევრი სხვა თვისებაც,
მიხოხდა სულ ახლოს, დოტსა ჰკრა ყუმბარა,
დაამხო, გაერთხა ზედ მიწას, ქვიშებმაც
უშველეს, დიუნმაც ფარივით უფარა.

,,ბარაქა გიორგი შენს გამზრდელს ბარაქა!‘‘
გასძახა დავითმა, ამოხტნენ თხრილიდან,
,,ჩვენ სოფელს ეს საქმე მიუვა არაკად,
კარი რომ გაგვიხსენ დახშული დილიდან!‘‘

,,მომყევით!‘‘ გაიჭრა ნიკო ამირიძე,
კომბატი შეტევას გაუძღვა პირადად,
,,შერცხვეს, ვინც ქვეყნისთვის ტყვიას აირიდებს,
დედის წინ სიცოცხლეს ვინც ჩათვლის ჩირადაც,
წინ, კომუნისტებო! დავიპყროთ სიმაღლე,
ვაჩვენოთ გმირული შეხვედრა სიკვდილთან!‘‘
შესძახა, დაიძრნენ, შეეტყოთ სილაღე,
დროშა წაიმძღვარეს წითელი წინსვლის თან.

ის იყო აოტეს მტერი, რომ კაპიტანს
უცებ ხმა წაერთვა, შესდგა და შექანდა,
დაეცა, მაღლა სწევს დასისხლულ, დაჭრილ ტანს,
,,ბიჭებო, წინ! — ყვირის - არ შედრკეთ ემანდა!‘‘

გასთელეს მტერი და ბრძოლებით აიღეს
თამაზოვო და სოფლები მრავალი,
მოზდოკიც, სისხლი აქ მრავალი გაიღეს,
მრავალმა შესწირა გული აქ აღალი.

## ბრძოლის ველი

მინელდა დროებით ვაშა და ყიჟინა,
დრო იყო მოშუშვის ჭრილობის, იარის,
მტრის დევნა გადექცათ სურვილად თუ ჟინად,
ძლივს დაცხრნენ, მიჩუმდა სროლა და გრიალი.

დრო იყო დამარხვის დაღუპულ მებრძოლთა,
შეაბეს ცხენები, გამართეს აღალი,
გაუყვნენ ბრძოლის ველს, ლომისებრ ებრძოლათ,
უვლიათ ,,ვაშათი‘‘, დაფით და ნაღარით.

ეყარნენ ტანკები, დაშლოდათ მუხლუხი,
მოეცვა ცეცხლის ალს, დასწვოდათ ჯავშანი,
ძრავებს ქვეშ სდიოდათ მაზუთის წუნწუხი,
კორპუსი გამსკდარი, ყუმბარით ნაშალი.

მებრძოლთა სისხლისგან, ნათოვლი ახალი
ყაყაჩოს ფერებით აქა-იქ ელავდა,
მუხლუხი მიწაში ჩაყინულ-ჩამხმარი,
ბერ მათგანს ზედ აწვა ჭყლეტავდა, ქელავდა.
ზედ იყვნენ მიმწვარნი საომარ იარაღს,
დასწვოდათ სამოსი, ტანი და პირსახე,
სდიოდა წვეთი-წვეთ სისხლი მათ იარას,
გაჟღენთილ მაისურს, ჩექმას თუ ფეხსახვევს.

ერთმანეთს ჩაკრულნი ესვენნენ ქართველნი,
ვინ ცალკე, დაცლილი ჰილზების გროვაზე,
მომკვდარან, დაიცვეს მოზდოკის მთა-ველნი
ბევრჯერ, რომ მისულან მტრის რიცხვმეტ ხროვაზე.

აგროვებს დავითი მეომრებს და თითქოს
აბოდებს:– ,,ბიჭებო, გცივათ ხომ ყინვაში?
ვაი, თქვენს დედ-მამას, ვიღამ განიკითხოს,
ვერც ერთი თქვენგანი ვეღარ რომ მივა შინ.
ვაი, თქვენს დედ-მამას, დებ, ძმებს და სატრფოებს,
დაახრჩობთ ცრემლი და ლოდინი დაადნობთ,
ვაი, თქვენს ულვაშებს, თვალებს შავს, ფართოებს,
დაფარულს ღიმილით ვიღას რას გაანდობთ.

ცოტა წინ, ზარბაზნის დალეწილ ლაფეტზე,
ეკიდნენ პირქვე და გულაღმა ბიჭები,
ზედ ეგვნენ აგლეჯილ ლითონის ნაფლეთზე,
გავდნენ ზედ შეზრდილებს, შეზელით, მიჭედილთ.
სანგრებთან კომბატი ესვენა გულაღმა,
ზედ ეგდო ნატყვიარ-ნასისხლი პლანშეტი,
„რა ადრე გიწია მტრის ტყვიამ თუ ნაღმმა,
რა ადრე, რა ხნის ხარ, ოცდაცხრის? ან მეტის?“

მოვიდა გიორგიც, შეეხნენ ნეშტს ფრთხილად,
ასწიეს, ახურავს ბრგე ვაჟკაცს მაზარა,
ყველა კაცს ჭრილობა გულში აქვს მეტწილად,
ნაღმისგან, ტყვიისგან ნაწეწი საზარლად.

„ო, ღმერთო, ნუთუ შენ, ხოცვა ეს, კაცთ ეს კვლა,
გწყუროდა ეს მსხვერპლი, ან ეს სასაკლაო?
სისხლი ეს, ვინც ნახა, აიღებს მახვილს კვლავ,
შემართავს და აქცევს მიწას სასაფლაოდ?“

ჩუმად თქვა დავითმა, ნატვირთი აღალი
მათრახის ტყლაშუნით ნელი სვლით დაიძრა,
მოძებნეს, გათხარეს ადგილი მაღალი,
დაკრძალეს, როგორცა ოდესღაც ცხრაი ძმა.

1943 წლის გაზაფხული

**ნაწილი II**

**შევაბათ სოფელში ხარები**

მძვინვარე ბრძოლების პირველი ზამთარი
გავიდა ყინვებით, ჭირვებით, ვარამით,
მინდორი მარტის მზით, აპრილით გამთბარი
გველოდა, სოფლად ხომ მუდამჟამს ვართ ამით.

გუთნეულს ვაბამდით, ვასწრებდით ალიონს,
ტოროლა ჩვენს შემდეგ, ჩვენს შემდეგ გალობდა,
ბებერი მეგუთნე ეწევა ყალიონს,
ვხნავდით და ვთესავდით თუ ღმერთი გვწყალობდა.

„დაგვიგდეს მიწა ჩვენ, მოხუცებს და ქალებს,
ბავშვებიც აგერა, ჯერ რძე არ შეშრიათ,
შემეძლოს ნეტაი, დავთხრიდი მეც თვალებს,
გიტლერს, რომ მოდის და ჩვენსკენ რომ გეში აქვს.“

„ამბობენ, პაპა, რომ მტერი კავკავშია,
გრიალიც ისმოდა დღითაც და ღამითაც...“

„ხმა რომ აღარ ისმის?! საქმე, მაშ, რაშია?
მტერი უკან იხევს, მივხვდებით ამითაც,
ეჰ, ჩემი გიორგიც მანდ იბრძვის, ჯარშია,
თუ მალე გარეკეს, მოუსწრებს მამითადს.“

– „ასედაც ვიცოდი... ექვს თვეში მოსკოვსო,
ბერლინში ჩავიტან ამბობდა გიტლერი,
ვატყობ მე, სტალინი, მას ისე მოსპობს, რომ,
არარა დარჩება, აღარცა მის მტვერი.“

„შევაბათ ხარები, შვილო, და გასძახე
მეხრული, წკრიალა მაგ შენი ჩიტის ხმით,
კვალი და სიმღერა მისწვდეს რომ გაღმა ხევს,
გავმხნევდე იქნება, გული მკლავს, ტირის ხმით,
ეჰ, ჩემო სიბერევ?!... წერილს თუ ღებულობთ,
მამისა შვილო და ძმისა ეფრემისა?
რას იწერებიან, რამეს თუ გებულობთ?
ძმა თურმე ყოფილა ოსტატი ფრენისა.“

„მამიკომ მოგვწერა, თერგი დავლაშქრეთო,
დოტი  მოასპოვო გოგიამ ყუმბარით,
საცეცხლე წერტილი ბევრი ჩავაქრეთო,
გვიქესო სოფელი, სახელი თუ გვარი.“

„ყოჩაღ, შვილო, გოგი?! ნეტა კი მაჩვენა...
უფალო, გავედრებ გიორგის სიცოცხლეს,
იქნება ვახტანგსაც ეწეროს დარჩენა,
მამა ვარ, დავბერდი, მეყო, რაც ვიცოცხლე,
სანაცვლოდ მე ვიყვე, მათ შერჩეთ მარჯვენა.“

**შევთხოვდი მთვარეს**

ცოტა შორს, ოთხთვალა ტრაქტორის გუგუნი
ისმოდა, ერთვოდა ნაღვლიან ჩემს მეხრულს,

ვხნავდით და ვფარცხავდით დღისით და უკუნით,
საერთოდ ღვედს ვწევდით, ჭაპანსა და ფერხულს.

ვათევდით აპრილის, მაისის ღამეებს,
მეცვა ძმის შარვალი და მამის ფარაჯა,
უღელზე შემჯდარი შევთხოვდი მთვარეებს,
მდგარიყვნენ მიწის და ჩვენი ცის დარაჯად.

შევთხოვდი ნისლებში ჩაძირულ ამაყ მთებს,
მტერს ჩაუხერგონ გზა ჩვენსკენ, ზვავებით,
მე კი აქ, პატარას ციაგით ამანთებს
ოცნება, ნამდვილთა ზედ შენაზავები.

კოფოზე შემომჯდარს თან მსდევდა მე სევდა,
მაკრთობდა მეურმის ძახილი „ჰაამო",
მთვარის შუქს ურემი ჭრიალით მისდევდა,
ფრთხებოდა რული და ოცნება საამო.

ოცნება, მამა რომ სახლისკენ მოჰყავდა,
ოცნება, ჩემი ძმა მებრძოლი ზეცაში
მტერს როგორ აცხრება, მტერს როგორ ხოცავდა,
მტერი რომ ვერ სჯობნის ფრთის გაშლა-კეცვაში,
ორდენი, მედლები მკერდს როგორ მოსავდა,
და მისი მუნდირი მე, როგორ მეცვა შინ.

ჰეჰეი! ტიალო ქარებო, იმ დროთა,
თურმე სად მარხავდით ოცნებებს ბავშვისა,
ქარებო, ტყეთა და ველთა და მინდორთა,
ქვითკირო მწყრისა და გალობავ შაშვისა
რომ ჰგავდით ოცნებებს, ჩემს ფიქრებს მიმნდობთა,
საითკენ მივყავდი ფრთებს თქვენსას გაშლილსა?
ქარებო, ტყეთა და ველთა და მინდორთა,
ნაცვლად, რომ მოგქონდათ ობლობა ბავშვისა,
ცრემლი და წუხილი, ვაება იმ დროთა,
გოდება ქალთა და ჩივილი შაშვისა.

**მინდორში**

თიბათვის მზე გვწვავდა, ვზიდავდით პურის ძნებს,
შუადღით დავსხედით მუხის ქვეშ, მდელოზე,
ავუშვი ხარები, ღელეში ღრმას ვეძებ,
რომ გავაგრილო და მივრეკო ბრელოზე.

გაშალეს მწვანეზე მცირედი ხორაგი:
ჭადი და მაწონი, წიწმატი, ბოლოკი,
-,,მოიწევს თურმე და არ დათმეს გორაკიც,
ეჰ, ექნება ნეტა, ამ ომსა ბოლო კი?.

-,,რას ამბობ, თრეგიდან და უფრო შორსაც კი
გარეკეს, გიორგა, თურმე და მოზდოკიც
წაართვეს ლემენცს და პირველი სწორად თქვი,
კლდესავით დგანანო სტალინიც, მოსკოვიც.‘‘

-,,გამჩენმა გისმინოს! მაშ ერთი დაასხი,
დავლოცოთ შვილები და ჩვენი აბჯარი,
კაცმა თუ არ იცის თავისი, რაა სხვის,
უმტყუნებს ბრძოლაში ხმალი და ხანჯალი.‘‘

-,,ერთი შენც დალიე ნიკა და ღვთის პირით
დასწყევლე ლემენცი, ჩვენ ჯვარი გვეწეროს.‘‘

,,ო, ღმერთო მაღალო, მოთხარე ძირ-ძირით,
მტერი, და დუშმანი ძნებივით გველეწოს!‘‘

-,,დალოცე, გიგოლა, შენც, აჰა, ღვთის მადლი,
მადლი ჩვენს ქრისტეის ნათელი შუბლისა.‘‘

,, ღმერთო, შენ მოსწყვიტე კუდი მას ცხრა ადლი,
იყავ შენ მპყრობელი უძლეველ შუბისა,
ფარავდე წითელ ჯარს და შვილებს შვენს გაზრდილთ,
გვეფრქვიოს სიუხვე შენს კალთა-უბისა,
დაამხე მტერი შენ, ურჩხული ეგ ღამის,
დასაკლავ ცხვარივით ჩვენს ცას რომ შებღავის.

,,ამინ!‘‘
,,ამინ!‘‘
,,ამინ!‘‘
გადაჰკრეს ყანწები თითო მათ ბებრულად,
და მგონი გასწორდნენ წელშიც კი მხედრულად.

,,ბიჭო, შენც დაჯექი მგლის მუხლი როდი გაქვს,
შეჭამე რამე და გაფრინდი წყაროზე.‘‘
-,,პაპა, გაიხედე? ვიღაცა მოდის აქ.‘‘
-,,პირდაპირ ჩვენთან თუ ქალებთან კალოზე?‘‘

მოვიდა კაცი ის, ჩამოხტა ცხენიდან,
მხცოვანთ სცა პატივი ადათის მიხედვით,
ცხენს აჰკრა აღვირი, გაუშვა ხელიდან,
ჩვენც, გოგო-ბიჭები სულ ახლოს მივედით,

ხალხმა წრე შეჰკრა და წრის შიგნით ის კაცი
ამბობდა: - ,,ძალა არ დავზოგოთ შრომისთვის,
უკლებლივ რაც მოგვყავს, შევძლებთ ჩვენც რასაც კი,
მხოლოდ თუ ფრონტისთვის, მხოლოდ თუ ომისთვის.
წითელმა არმიამ სძლია მტერს, გილოცავთ,
აზოვის ზღვამდე და მირეკეს დონამდე,
აქაც ხომ ფრონტია, ჩვენ მათთვის ვცდილობთ აქ,
ვიშრომოდ უმწიკვლოდ, ბოლო ძალ-ღონემდე.‘‘

-,,მინდვრიდან არც ერთი თავთავის მე ღერი,
არ მომიპარია, მაღალ ღმერთს ვფიცავარ,
ჩუმ-ჩუმად დაცალეს ,,წითელი‘‘ ბეღელი,
მარცვალიც არ შეგვხვდა ჩვენ მინდვრად ვინცა ვართ.‘‘

-,,ეს როგორ გავიგოთ? ხარივით კაცი რომ,
იქ ფრონტს თავს არიდებს, აქ ქალებს არ ინდობს?‘‘

-,,ზოგმა კი, ვიცი ეს, არ არის საცილო,
დანაყა წალიკა და ფეხზე დაიდო!‘‘

,,ჯარში ერთს ეკუთვნის, მაგრამ სხვას აგზავნის,
ლტოლვილებს დასდევს და ქორივით რომ აფრთხობს?‘‘

,, ის უკეთურია აიცდენს ამ გზას ვინც,
მოვხუცდი მე, მაგრამ მტრის ბოლმა მეც მახრჩობს!‘‘

მზე გადიწვერა და მორჩა ის ბჭობა იქ,
ამხილეს თვალთმაქცნი, დოვლათის მპარავნი,
სოფელში ცოცხალთა, მკვდართ შორის ჯობდა ის,
არ დარჩენილიყო მათგანი არავინ!

**ნიკალა**

ორი დღის შემდეგ ცამ იღრუბლა, იქუხა,
და ქალებს თოხნის დროს სიმინდში მოასწრო,
დაანთეს ცეცხლი და ვინ სველ გვერდს იხუხავს,
ვინ კაბა გახდილი ზედ ალზე მოაშრო.

„მოიწი, მარიამ, გაშერი, სულ დუმხარ,
რა მოგდის, თრთი როგორც ტირიფი, მოცხარი
„რა ვუყო თამარა, ვუსურვებ სულდგმულს არ
ჩემს ყოფას, ან თავი რად მინდა ცოცხალი...“

„მარტო შენ ხომ არ ხარ? ჩვენცა გვყავს ქმრები იქ,
ჩვენც გვიჭირს, რა ვუყოთ, ომია მარიამ.“
„მე სულ სხვა ტკივილით და სულ სხვა ფიქრებით
ვკვდები და იმ ოხერ ნიკალას ბრალია...“
„მეც გზას არ მაძლევდა... სულ ასე ვიქნებით?
მოგვივა პატრონი უყურეთ! – მთვარლია“

„რას ამბობ, თამარა, ქალებო, რა მოგდით?
სად დაუღამდება ვინ იცის ჩვენს პატრონს,
ვაჩვენოთ სეირი, გახედეთ, აქ მოდის,
ისეთი, ძაღლის სვეც რომ ვეღარ ინატროს!“
„ვაჩვენოთ!“
„ვაჩვენოთ!“
„ვაჩვენოთ!“

მოვიდა ნიკალა, ქალთა სველ თეძოებს
უყურა წუწკად და ავხორცად, უჯიშოდ,
ქალებმა წრე შეკრეს, სწვდნენ ჩალებს, ძენძოებს,
ესროლეს, დასძახეს: – „დაქოჩრეთ, ნუ შიშობთ!“

ხელი ჰკრეს, ნიკალა წაიქცა ტლაპოში
ცხვირიდან სიმწარე ძმარივით მოსდინდა,
„ჩემი დათა იქ სისხლს ღვრის, თავს იკლავს ომში,
შენ ჩემი ლეჩაქის გათელვა მოგინდა?!“

„ფუი შენს კაცობას!“
„ესეც შენ, უმსგავსო!“
„შე ძაღლთა პირო და შე უნამუსო!“

გაგუნგლეს ტალახში, გააგდეს მინდვრიდან,
ბრიგადირობიდან მოგხსნითო, დასძახეს,
მსგავსები დაფრთხნენ და დაშინდნენ იმ დღიდან,
და ვეღარ ბედავდნენ საქმეებს საძრახველს.

**ცარიელი კიდობანი**

მინდვრიდან მოვედით, გავთოხნეთ ჭარხალი,
ფეხშიშვლებს გვტკიოდა კანი და ბებერა,

დედას და ჩემს და-ძმას გვშიოდა რა ხანი,
კუტიც, რომ არ გვქონდა, მაინც არ მეჯერა.

კიდობანს ავხადე, ვფათურობ ხელებით,
არ არის არც ლუკმა, არც ერთი ნამცეცი,
ცრემლი სდის დედას და იხრჩობა ხველებით,
არ იცის რა გვითხრას და არის ამ ცეცხლში.

წავალო, თამარას ვსესხავო, ეგება
გამიგოს, ეგეც რომ დედაა, ქალია...
მოვიდა სახეზე ალმური ედება,
დაჯდა და წყალი ძლივს ყლუპ-ყლუპით დალია.

,,რა ჭადი, შვილებო, არ გესმით? ტირიან!
,,შავ ქაღალდს‘‘ დასტირის თამარა გოდებით,
დონზეო, მომტირა, ჩემს ქმარსო, მირიანს
წინ აუფეთთქდაო ნაღმი თუ ბომბები.
ვაიმე, ეფრემ და დავითო სადა ხართ?
ამბავი თქვენიც ხომ არ მესმის რახანი.‘‘
წამოდგა ლასლასით, არ ვიცი სად ნახა,
გვაჭამა სიმინდი ტაფაზე ნახალი.

**გლოვობდა თამარა**

გლოვობდა თამარა მირიანს მდუღარედ,
სამი დღე მის თვალებს ზღვა ცრემლი დასდინდა,
ემოსა შავები უსაზღვროდ მწუხარეს,
ქვითინით შესძრავდა უსულოს, ქვას გინდაც.

ათ-ათი წლის და-ძმის ძახილი: ,,მამიკო,‘‘
და მათი ცრემლები ვით ცეცხლის ღადარი,
გულს ხვდება, ჰა, თითქოს მახვილით გაიპო,
სულის ძვრას მათ ცოდვით არ ჰქონდა საზღვარი.

,,ვაი, შენს ობოლთა, გიგლას და იამზეს,
ვაი შენს თამარას, სად დარჩი მირიან,
ბავშვების ცოდოს ვერ გავუძლებ მე ამდენს,
გესმის?! შენს სახელს როგორა ტირიან,
სად დარჩი მირიან, სისხლი სად დაღვარე,
რომელი მხრის ქარი ზედ გაყრის შავ მიწას,

სად ჩაქრა შენი მზე, სად დღე და სად ღამე,
ეგ შენი სიცოცხლე რა ცეცხლში ჩაიწვა.,
მე უნდა დავღამდე ამ ცრემლში, ძაძებში,
ვის მკერდზე გავითბო ჯერ საღი სხეული?
მირიან აღარ ხარ! სისხლი მე ძარღვებში
მიშრება, უკვე ვარ მკვდარი და სნეული
ღაღადით შევთხოვ მე, თუნდ თავსაც შევწირავ
ღმერთს შენი სული რომ უკუნში ნათელყოს,
მეჭიროს თავი მეც დღემდე ვით მეჭირა,
რომ შენი კუთვნილი არავინ გათელოს.
ო, ღმერთო, მაღალო, თუ ჩემი გოდება
მოგწვდეს და იხილო ცოდვა ეს ობოლთა,
დაჭრილთა მუდარა, ცოცხალმკვდართ ბოდება,
დედების ქვითინი, ჯვარი და გოლგოთა,
დაამხე ყოველი გვარი და წოდება,
კაცთა კვლის, სისხლის ღვრის, ომების მომგონთა!“

**სოფელი დამწუხრდა**

ხმამაღლა ტიროდნენ მრავალი დედები,
მრავალმა მეუღლემ შავები ჩაიცვა,
ვისმა სად, სამშობლოს ველები, ქედები,
ლამაზი სიცოცხლით, გულმკერდით დაიცვა.

დამწუხრდა მრავალი ლამაზი საცოლე,
მრავალი მოხუცი, პაპა თუ დიდედა,
ბოლომდე ზიდეს ის, ევალა რაც ყოველს:
საზვარე თავი და მხედრული დიდება.
მესმოდა, ნაღვლობდნენ მოხუცნი დროდადრო,
რა ბიჭებს ვკარგავთო: - ,,ალექსა, გურამი,
ქორებსა ჰგავდნენ და ან თედო ან ანდრო,
აქ მათი ბადალი?! — ნუ იტყვის ნურავინ!“

,,ახლა თქვი ბიძინა?გიგუცა, ბერდია,
გელა ან არჩილა სერგო და უშანგი?
ცხენს მოევლებოდნენ... ალბათ ეს ბედია,
არ გინდა მათრახი უნაგირ-უზანგი...“

სოფელი დამწუხრდა, ელოდნენ, ელოდნენ
თუ ვისი ცოლ-დედა იტირებს ხვალ ან ზეგ,

ვის ჯერ არ ეტირა, წუხილი ეს ოდენ
არ იყო მათთვისაც ერთი დღის სავალზე.

წუხდა მთლად გარემო: მინდორ-ველ-სათიბნი,
ჩაუწყდა ხმა თითქოს ჩვენს ბერის წყაროსაც,
მათ ყრმობის ნახედნი კვიცი აქ მათი რბის,
ჭიხვინით ველს ტორავს და თხილის წყაროს სვამს,
მათ მიერ ნაქელი ყვავილთა ქათიბნი
ათასფრად გაშლილნი მდელოებს კვლავ მოსავს,
ბავშობა მათი აქ, მთებთან შუქს მნათი მზის,
მოელის ლურჯ ცაზე ცეცხლისფრად ამოსვლას,
მოელის, მაგრამ გზა სიკვდილით ნათიბი
სად შესდგა? ტრამალის ქარი მას სად ყნოსავს?

1943 წლის იანვარი

## III ნაწილი

### აზოვისაკენ

მოზდოკი დასტოვეს, ებრძანათ მარშით სვლა,
ფრონტს ჩრდილო-კავკასის რეზერვად გადასცეს,
ტაქტი ეს, მანევრი ვერავინ გაშიფრა,
ვერ მიხვდნენ, შეკრების საყვირებს რად დასცეს.

მიდის სელიხოვი, მისდევს დივიზია
ოთხას მეთოთხმეტე, შტაბი და პოლკები,
ამბობენ: „ეყო მტერს რაც იქ მიგვიზღვია,
ზოგს სხვაგან,“ - თან ეწვით სიცივით ლოყები.

იანვრის პირქუში დღეების ყინვა და
ჩრდილოთა ქარები სუფევდა მსუსხვი,
მიდიან, გამწევი პირუტყვი ცვივა და
მანძილი გდია წინ მუხლების მხუთავი.

მიდიან გაბმული ალაღით, ფორნებით,
როგორც ერთს, ყველას ზედ შაშხანა, ზურგჩანთა
ჰკიდიათ მხრებზე და ზოგზოგებს ფორმებში,
ჩექმებშიც, მუხლებზეც შიშველი უჩანდათ.

შიოდათ, სწყუროდათ, მაგრამ ბრძანებაა:
სვლა სრული ნაბიჯით, ვინ დაგსვამს თუნდ ერთ წუთს,
მხოლოდ წინ. მხოლოდ წინ, კი, წამებაა,
დავძლიოთ ვალია, უხმობდნენ მხნედ ერთურთს.

მიდიან ღამეც, დღეც, მისდევენ დასავლეთს,
ნიღბავდნენ სვლას მტრისგან ბევრნაირ ფანდებით,
ეძებდნენ მტრის ზურგში უსაფრთხო გასასვლელს,
რომ მედგრად დაეცვათ არმიის ფლანგები.

ოცდაათს, ხან ორმოც კილომეტრს ფარავდნენ
დღე და ღამ ტრამალებს, მანძილებს, ცხრამთასი,
მიდიან, თოვლის ამ უდაბნოს ქარავნებს
წინ ხვდებათ ღრუბლები, ზღუდე სხვა ათასი.

შორსაა აზოვი, რა ულვთოდ შორსაა,
დატანჯულ სხეულს იქ ჩატანა არ უნდა?
ომია, აღსრულდეს დათქმული როცაა,
ვინ ჩივის? ან წუწუნს მხედართან რა უნდა?

ქარი კი ქროდა და ხვეტავდა ნამქერებს,
მხედარს და მთელ ალალს ბურუსში ახვევდა,
უჭირდათ სუნთქვა და ბევრ მათგანს ახველებს,
თვალთაგან ერთ მეტრზე ჭირდა გზის გახედვა.

**1943 წლის იანვარი**
**პიატიგორსკი**

მესამე დღეს ქარი მიწყნარდა, გათენდა
უღრუბლოდ, მზითა და უსაზღვრო ლაჟვარდით,
ქარბუქი მხედრებს, რომ დიდ ძალას ართმევდა,
მიდიან წინ ახლა თითქოს და ნავარდით.

წინ მიალაჯებდნენ დასავლეთს განივრად,
ქართველთა შორის ჩანს რუსიც და სომეხიც,
უკრაინელები, ოსებიც ღონივრად
იდგნენ და ყველა ის ლაშქრობდა რომელიც.

გზადაგზა ხვდებოდათ სტანცია, ხუტორი,
დამწვარი, უკაცო, თოვლით და ნამქერით,

სოფლები გარშემო ახლოა თუ შორი,
ყველაა ტანკების მუხლუხით ნათქერი.

დახოცილ პირუტყვს ზედ ეხვია ჭილყვავი,
ძიძგნიდნენ დაუფლავ გერმანელ მხედრებსაც,
სიცოცხლე გავდა აქ გასრესილ მთის ყვავილს,
დაბუგულ მიწის აქ ისმოდა ვედრება.

ისმოდა ყვავ-ყორნის გაბმული გნიასი,
მხედართა ფეხთა ქვეშ ნამქერის ხრაშუნი,
კვნესის ხმაც ყოველი მეათის , მეასის,
მეფორნის გინება, მათრახის ტყლაშუნი.

წინ ჩანდა მინდორი გაშლილი, ქათქათა,
სერები, ბორცვები, მთაც მოჩანს მაშუკი,
უჭირს ჯარს, მიდიან სულ ხევ-ხევ, სულ მთა-მთა,
ახლა კი ველია დილის მზით ნაშუქი.

გზადაგზა ხვდებოდნენ გადამწვარ ხუტორებს,
ქოხმახის ღუმელის საკვამლე მილებით,
თვითეულ ჯარისკაცს მძაფრ გრძნობას უტოვებს,
ურდოთა კვალი და აქ გარდაცვლილები.

ნახეს დახვრეტილნი, ნახეს ეშაფოტი,
დამხრჩვალნი ეკიდნენ, ჯერ ისევ ფიჭვის ძელს,
კაცთა კვლა უსისხლო, თვით უფლის აღმშფოთი,
რომელთა ცოდვითავ მიწაც კი იწვის ჯერ.

„უყურეთ, მართლაც რომ ნადირნი ყოფილან!–
შესძახა დავითმა რიგებში მხარში მყოფთ,
საკინძეს იხსნის და შუბლს იწმენდს ოფლიანს –
ხოცავენ დიდსა და პატარას სახლში მყოფთ.“

„არავის ინდობენ!– გამოსცრა გიორგიმ
საერთო საფლავში ათობით უმარხავთ!“

რიგითი კოსენკო
„სადაც ფეხს ადგამენ რჩება იქ ხრიოკი,
დამპყრობი პირსისხლა მსგავსი სად უნახავთ?“

ლეიტენანტი პლეშკოვი

— ,,იყო შვედი, ტევტონი, თათარიც ახსოვს
ჩვენს მიწას: კულიკოვო, ლადოგა, ნევაც,
ეძებენ სიკვდილს და ვინც ეძებს აქ ნახოს
სისხლის წილ სისხლი და ნგრევის წილ მათ, ნგრევა.“

რიგითი არუთინოვი

,,ყველა დამპყრობი, სპარსი, თუ თურქი იყო
უსირცხვო მჩაგვრელი და იყო მტარვალი,
ესენიც დავძარით, ახლა ხომ ჩვენ ვბრიყვობთ,
უკლებად მოვკითხოთ მათ ცოდო მრავალი.“

რიგითი ფლიევი

,,მოვკითხავ მე, მამის და ჩემი ძმების სისხლს,
მოუკლავთ ფაშისტებს მაშუკის მთასთან აქ,
მე, მათ არ შევარჩენ არცერთ წვეთს, არც ერთ მისხს,
ჩავხოცავ და მერე მოვკვდე მეც მათთან აქ.“

კაპიტანი მაჩხანელი

,,რატომ შეჩერდით ჯარისკაცნო? იარეთ!
პიატიგორსკში ვართ, გახედეთ მთა მაშუკს,
აქ მოჰკლეს პოეტი... ბევრი კი ვიარეთ,
გიჭირთ, მაგრამ ხომ უნდა გავლა ამ მარშრუტს?“

,,ჩვენ ცოცხლებს რა გვიშავს ნაწამებ ამ ხალხთან,“
,,დაუწვავთ ხუტორი, ძაღლიც კი არსად ჩანს,“
,,სისიხლისღვრა ეს უღვთო მომხდარა ახლახან,“
,,ქალებიც მოუკლავთ, შეხედეთ, კარგად ჩანს.“

უთხრეს ეს მაჩხანელს პლეშკოვმა, გოგიამ,
კოსენკომ, ფლიევმა და არუთინოვმა,
ბრძოლებით თერგიდან ერთად რომ მოდიან,
ძმებად რომ შეზარდა მხედრები ამ ომმა.

,,დამშვიდდით, სად წავლენ, მკაცრ პასუხს მოვთხოვთ მათ,
ამ ბოროტებას ჩვენც წილის-წილ მივაგებთ,
გავუჭრათ როგორმე საფლავი მე გთხოვთ მათ,
ჩქარა, რომ გრივენსკას დროულად მივადგეთ,
ფაშისტს კი ყუბანზე მიწაშიც მივაგნებთ“.

**ყუბანზე**
**1943 წლის თებერვალი**

განვლეს ბალყარეთი, ოსეთი, ყაბარდო,
დალაშქრეს სტეპები თვალუწვდენ ყუბანის,
სტავროპოლს, კრასნოდარს კვალი ზედ გადასდო
ჯარმა და განვლო ეს, ფრონტის ეს უბანიც.

ათასი ჭირი და ვარამი ათრიეს
მხრებით და იწვნიეს ლაშქრობით გამოცდა,
გაუძლეს ჯოჯოხეთს, კაცობა მათი ეს
ჩანდა, რომ „ვკვდებიო" არავის წამოცდა.

თუმცა ჯარს სციოდა, მოაკლდა სურსათიც,
გათავდა ფურაჟი, ჭვავი და შაქარი,
გაძნელდა სიცოცხლე და მათში სულ ათი
არ გამოჩენილა მხდალი და ლაჩარი.

შველოდნენ პირუტყვსაც, ცხენებთან, ხარებთან
მარხილში შიგ ებნენ, საჭურველს ათრევდნენ,
უმძიმდათ სვლა თითქოს მოჰქონდათ მხარეც თან
აღარ ისვენებდნენ, აღარსად ათევდნენ.

დღე და ღამ იარეს, დაფარეს ველები,
ფშანები, სხვა წყლები გაყინულ ყუბანის,
ჭაობი, ტყე, ლელი, ათასი ხვრელები,
ათასი ნათხარი ქვემეხის, ყუმბარის,
იარეს გათოშილ ფეხებით, ხელებით,
მიჰქონდათ მტრის ჯავრი და ბოღმა მდუღარი.

ათასი ვერსი მათ თერგიდან დაფარეს,
ათასი სიძნელე აზოვის კარამდე,
სპიჩოვკა-კირპილში ძალები დათვალეს,
მოეწყვნენ ისე, რომ ზურგს რამე ფარავდეს.

**სტანცია გრივენსკაია**
**1943 წლის თებერვალი**

არ შეუსვენიათ, გრივენსკას მიადგნენ,
შეჩერდნენ მცირე ხნით, რომ სული მოეთქვათ,
დაზვერეს, სადღაც ხვრელს როგორღაც მიაგნეს,
დაბრუნდნენ შტაბში ძლივს, ამბავი რომ ეთქვათ.

სციოდათ მეომრებს, ღამე კი გაქვავდა,
წუთი დის როგორცა მთლიანი სიცოცხლე,
თმენას აქ, ომია, არ ააქვს აქ ვადა,
გაუძლო, ითმინო, ეს უნდა იცოდე.

კაცი კი, არ არის შექმნილი ტანჯვისთვის,
ამ ქვეყნად თმენაც ხომ ძლიერთა ხვედრია,
მთლად სველმა ვიღაცამ ფარულად,თავისთვის,
დაანთო ცეცხლი და ხომ მისახვედრია?

ვერც გათბნენ, მტერმა კი დაარტყა ნაღმებით,
ჩაუქრო ცეცხლი და სისხლიც მათ ბევრს წასკდა,
დაიბნენ, შეშინდნენ ბანაკის აღრევით,
ყუმბარა რამდენი შტაბსაც კი გადასწვდა.

პოლკოვნიკ სელიხოვს, ნამსხვრევი ნაღმისა,
საშინელ წივილით ეძგერა გულმკერდში,
დაიჭრა და აჰა, კოცონი ღამისა—
წევს ისიც ნანგრევში ცოცხლებში თუ მკვდრებში.

გონს დროზე მოეგნენ, და ბერუჩაშვილი
სტეფანე გაუძღვა ფრონტალურ შეტევას,
თუმც ცოტა შეცდომით გეგმა აქვთ ჩაშლილი,
უტევენ, აღარც სურთ ახლის რამ შერჩევა.

მოედნენ ჭაობებს, გალხობილ ლიმანებს,
ლაქაშებს ჩექმებით, მუცლებით ქელავენ,
ტოპავენ გამხმარ ლელს და ბუჩქებს წვრილმანებს,
კუპრივით შავ ღამეს ტალახში ზელავენ.

ნაადრევ გაზაფხულს სუნთქავენ ბიჭები,
მიდიან ფრთხილად და თან მახვილს ლესავენ,
სად რა ჩანს? ვარსკვლავს თუ შავ ცაზე მიჭედილს
შენიშნავ, და თვალებს, ბნელში რომ კვესავენ.

,,დალახვროს ეშმაკმა! სადა ხარ გოგია,
ვეფლობი, თითქოსდა ძირს ვინმე მეწევა,
ვერ მოვუცურდები ეს თერგი როდია,
მიშველე, თორემ აქ მიქელა მეწვევა.
ჰო, ასე, ღონივრად, მე თითქოს მგონია,
ადვილად მოგვიწევს მტრის ზურგში შეღწევა.‘‘

,,რა ჯოჯოხეთია! ამ უკუნ ღამეში,
ამ ტბებში, ამ ლელში ფაშისტს სად მივაგნებთ?"
,,მივაგნებთ! მცხოვრებნი ზოგიერთ რამეში
გვირჩევენ და ნახავ აქ რასაც მივაგებთ."

,,დათიკო, გატყობ, რომ ვერ ზიდავ ტანკის თოფს,
დამადგი მხარზე მეც, ცოტას ხომ მიშველი?"

დიახაც, შველა სურს, უჭირს და არ კი სთხოვს,
რადგან აქ მშიერნი, წელამდე შიშველნი
მიდიან, შეღავათს არავინ არ ითხოვს.

გატოპეს ბნელ ღამით კირპილის ლიმანი,
იფარეს ლელქაში მაღალი ტანისა,
გათვალეს, განჭვრიტეს ყოველი წვრილმანი,
რომ ჯიქურ აეღოთ სამიზნე სტანცია.

## გრივენსკაია 1943 წლის თებერვალი

,,სადა ხარ, გიორგი, სავაზნე ყუთები
მოიტა აქეთ და ხედავ იმ ლელიანს?"

,,კი ვხედავ ძლივს, მაგრამ აქ დავიხუთებით,
რას ვუცდით? დავეცეთ ვიდრე არ გველიან."

,,ნუ ჩქარობ, იქ მათი ცისფერი ხაზია,
სიმაგრე ბევრგვარი ბეტონით ნაგები."

,,გადვუვლით, ბრძოლა ხომ ვაჟკაცურ ფხაზეა,
თერგზედაც ბევრჯერ გვყავს ძაღლივით ნაგვემი."

,,საცაა ინათლებს, ნაადრევ გაზაფხულს
შეგვასწრო გოგი ჩვენ ზეციურ ძალებმა,
რა სჯობს ჰა, ნაფუძრებს, ახოებს გადახნულს,
მინდორში გუთნეულს და კვალის გავლებას,
ვაზის ლერწს მოტირალს, აპრილში გადასხულს,
ზაფხულში საწვიმარ ცის ღრუბლებს შავლეგას?"

ჩამოჯდა გიორგიც -,,კარგია ეგ ყველა...
ნეტავ ვინ მოუხნავს ნაფუძარს დედაჩემს?"

„ჩვენ, ბიჭო! ამ ომს თუ რაიმე ეშველა,
ჩავალთ და... ჩვენს ხატსაც შევუთქვამთ ზედაშეს.“

„გგონია, ფიურერს ეცლება ძალ-ღონე
ამ გაზაფხულით, რომ მოეღოს ომს ბოლო?“

„ძალა კი ეცლება... ეჭვი მაქვს, ძაღლს ვგონებ
შორს გაჰყავს ჯარი და მცირეს თუ თმობს მხოლოდ.“

„დიახ, ეგ ასეა! დათიკო, ეფრემი
სად არის? ტანჯავდა ცად ფრენის ოცნება,
მეც მსურდა შევრთოდი ცას წითლად შეფერილს,
და სადღაც ღრუბლებში ამ ომში ვეცნე მას.“

„რა ვიცი გიორგი, სწავლობს ჯერ მგონია,
მომწერა, საომრად მალე ჩვენც წავალთო,
აღტაცებულია...აქ ასე ჰგონია...
მომეცი „მახორკა“ გულს მაინც გავართობ.“

ბინდ-ბუნდი უეცრად, სიგნალის რაკეტამ
გაბმული შხუილით მარჯნისფრად გააპო,
„აჰაა! იქ პოლკმა ჩანს რკალი ჩაკეტა
ეტყობა ყუბანის ბევრ ფაშისტს ჩაალპობს.“

„მხოლოდ თუ, კაცს დარდი შვილის თუ გასტეხავს,
ჩათხრობილ იმის გულს არღარა გაალღობს,“
უთხრა ეს, გულში თქვა: „ჯერ კაცო რა გტეხავს?“
წამოხტა და ფიცხლად თოფს ხელი დაავლო.

**1943 წლის თებერვალი**
**გრივენსკაიას აღება**

„ვაშაო;“ იქუხეს ქარივით გადევლნენ
ლაქაშებს, ლელიანს, ბუჩქნარს თუ მიწაყრილს,
ბერუჩაშვილი და შტაბი თვალს ადევნებს,
ხედავენ, აქ მართლაც ვაჟკაცად ვინცა ღირს.

„ვინ არის? პირველმა აიღო ტრანშეა!“
შესძახა სტეფანემ გენადი ლაბაძეს,
„ის არის, მზვერავი, გახსოვთ? ის შანშეა,
აკაკიმ და მაგან მოენე გაბაწრეს...“

„ყოჩაღ შენ?! აქაც ჩანს, ვეფხვივით ტრიალებს,
მამაცი ყოფილა, ჩვენსას ჰგავს წინაპრებს,
დასცხე მათ ულვაშა! დასცხე მაგ ტიალებს,
მგლისა ლეკვს ალგეთის უკეთეს ინატრებ?!“
ეს ორნიც შეხედე? ხიშტით სულს ხდიან ბევრს,
უშიშრად ჩეხავენ მტრის დაცვის წინა წრეს.“

„ეგენი გავიცნე ჯერ კიდევ შამქორში,
წვრთნების დროს, ჰქვიათ მათ გოგია, დათიკო,
თერგზედაც ჭაობში, მდინარის ნათქორში,
თავის გასაწირად ორივე მზად იყო.“

„სწორედ, რომ ასეთი მხედრებით იგებდნენ
დიდ ბრძოლებს დავითი, თამარი, ირაკლი
შეხედე ოღონდაც, გზას ხიშტით იგნებენ,
ორივე მათგანი ფაშისტს სულ ყირა ჰყრის.“

აქ აღარ ვარგოდა სროლა თუნდ სიზუსტით,
ვერ იხმარ ავტომატს, ყუმბარას, კარაბინს,
აქ უნდა მძლავრობდე, არ უყვართ აქ სუსტი,
და შიში არ გქონდეს მეომარს არაფრის.
ხიშტს უნდა ხმარობდე ვით მამა-პაპანი
ხმალ-ხანჯალს, და იყო ფიცხი და მამაცი,
თორემ თუ დაგასწრო, გაწყდება ჭაპანი
და ვაი, მტერი შენ ფიქრსაც არ დაგაცდის.

აქ, უნდა თვალთაგან ცეცხლები აკვესო,
აქ, მკლავი, ხერხი და სარმაც კი გარეთა
გადაჰკრა, თუ გინდა ფაშისტი აკვნესო,
მოსული მახვილით კავკასის კარებთან.

გავეშდნენ და ყველა განწირვით შეება
შემდრკალ მტერს, ფლანგიდან მოხერხდა მოთოკვა,
მრავალი კვდებოდა, იჭერდნენ ტყვეებად,
მრავალს კი ახრჩობდა ყუბანის პროტოკა.

„ჰკა მაგას!“ ყვიროდნენ, ყვიროდა დავითიც:
„შენ აქ რა გინდოდა, შე ჩემის ვერანო?
სად გაჩნდეს კაცი იქ შრომობდეს თავისთვის,
არ იცი? რომ სხვისი არ გაავერანო?!“

„აბა ჰა, გიორგი, დასცხე მაგ ჭორფლიანს!
ხიშტი თუ გაგიტყდა იხმარე ნიჩაბი,
დავასწროთ, ესენი არც მხდალნი ყოფილან,
გავჩეხოთ როგორცა მუხრანთან ყივჩაღი.
ტანკის თოფს მივხედოთ, შეხედე, მობობღავს,
სადა გაქვს ვაზნები, რა უყავ ჩაჩქანი?!“

—„ახლავე გავხეთქავთ მაგ ჯვრიან ობობას.“
— „როდისღა მე, წავალ შენც ცოტა აჩქარდი.“

ჩრდილივით გადევლნენ თხრილებს და მიწაყრილს,
მომართეს თოფი და - ისეთი გავარდა?!
ჯვაროსანს მუხლუხით და ლულით წინ წახრილს
ჯერ ცეცხლი და მერე ცად კვამლი ავარდა.

აიღეს გრივენსკა, მზეც ასცდა ლიმანებს,
დახედა ბრძოლის ველს ნასისხლარს, ნაოხარს,
ბევრი აქ ქართველი სიკვდილით მთვლემარებს,
სხვა ბევრს კი შველოდნენ ჭრილობით მაოხრავს.

**გრივენსკაია**
**თხრილში**

თოფის მძლავრმა უკუცემამ
თხრილში უკრა თავი დავითს,
დაეკარგა წუთით ცნება
გრძნობდა ტკივილს მხრების, თავის.
გონს მოეგო, დააპირა
ღრმა თხრილიდან ამოფორთხვა,
მაგრამ ხედავს ჭაბუკს მტირალს,
დასისხლული შველას სთხოვდა:
არ დაყოვნდა, ბიჭს მაზარა
გადაუხსნა გულთან ფრთხილად,
ღრმა ჭრილობამ ტანთ შეჰზარა,
შემაზრზენი იყო ხილვად.
„ოჰ!- აღმოხდა- არ მენახა,
რა უნდოდა ნეტა გამჩენს,
ნეტა მედდას დაენახა,
სხვა ვინ შველის, ვინ მოარჩენს?
ღმერთო ჩემო, ჯერ ყმაწვილი,

ჯერ წვერიც არ გაუპარსავს,
მთლად უმანკო, ჯერ ხმაწვრილი
ეთხოვება ბედის ვარსკვლავს.”
გადახადა ჭაბუკს ზუჩი,
თმები ტალღად გადეშალა,
სისხლს პირიდან ქვედა ტუჩი,
ატბორებდა ნადენს შავად.
შეუცურა ბეჭ ქვეშ ხელი,
მიიხუტა თავით მკერდზე,
სისხლით ჰქონდა ზურგი სველი,
ზედ ესვენა ტანით მკვდრებზე.
უთხრა წყნარად ღონემიხდილს:
„გაუმაგრდი, შვილო, შენს ხვედრს,
აქ ომია, და აქ სიკვდილს
ყველა უნდა კაცად შეხვდეს.”
ამოუჯდა გული დავითს,
ხმა ჩაუწყდა, სხვა არ სთქვა რამ,
„არ იტიროს? ეს ბედშავი
ხომ არ არის ხე ან ქვა რამ?
დიდი მხეცი დაგიცია,
ან ეს ბიჭმა, როგორ შესძელ,
ჯერ ყმაწვილ კაცს რა გიცდია
ლახვარი რომ ამხსხვრევს შენს ძვლებს.
მე ვიცი, რომ ეგ ცრემლები
არა ჟონავს შიშის ზარით,
ხვდები, ნათელს რომ ეცლები,
მით გაგიჩნდა გულში ბზარი“.
ჩამოიხსნა მათარა და
წყალი ასვა ნელა, ყლუპად,
ხარბად სვამდა, დაცალა და
შეაჟრჟოლა ტანში უცბად.
ხმა აღმოხდა სულთმობრძავსა
სისხლნარევი „დედა, დედა!“
მკვდარს დავითმა ვით შვილს, ძმასა
დააწურა გულის სევდა.
დაუხუჭა ის თვალები,
გუშინ მზით რომ კიაფობდნენ,
მოციმციმე ვარსკვლავები
გუშინ ბნელს რომ მიაპობდნენ.
ღაწვზე შერჩა ცივი ცრემლი

მოციმციმე ნამად ცისა,
ლოყას აჩნდა სისხლი ხმელი,
შუბლს წყურვილი სიცოცხლისა.
''შვილო ეფრემ!- ამოღერღა-
ვაი თუ შენც- ოჰ, გამჩენო,
მე თუ მომკლავს ფიქრი ეგღა...
შვილი მკვდარი არ მაჩვენო.
ღმერთო, გესმის ეს ძახილი?
სხვას არას გთხოვ, არას გყვედრი,
მე მეძგეროს მტრის მახვილი,
მისი მამა ამას გვედრი''...
იდგა დიდხანს გოლიფედან
ამოიღო პორტსიგარი,
მძიმე ფიქრში ჩაიფერფლა
უცნობ მხედრის ნეშტთან მდგარი.

## დევნა

გადალახეს მტრის სანგრები
დასცეს დამპყრობს ელვა,
თავდაცვითი სიმაგრენი
''ვაშამ'' გადაქელა,
ვერ გაუძლო არიერგარდმა
პოლკთა შემოტევას,
ჭაობებში გადავარდა,
ქართველთ ჩექმა თელავს.
ცეცხლი ნთქავდა მტრის საჭურველს,
მტრის დახოცილ გვამებს,
თავს ატეხდნენ ნაღმის ჭურვებს
ელვის წანამგვანებს.
დენთის სუნი ტრიალებდა,
დამწვარ ხორცის სუნი,
ვიღაც მწარედ ხრიალებდა
ეცლებოდა სული.
ვიღაც შველას მოითხოვდა,
წყლის ყლუპს ანდა ერთ წვეთს,
მტერიც მოყვასს მოუხმობდა
ძნასავით რომ ლეწეს.
გამოენთნენ ჭაობებში
გადუარეს შამბებს,

სჩადიოდნენ თაობები
საარაკო ამბებს.
იყვნენ სველნი, მშიერ-მწყურვალ,
დაღლილ-დამაშვრალნი,
მიტოპავდნენ, ვინ მიცურავს
შურისგებით მთვრალნი.
ჩანდა, ჯერი ავტომატის
როგორ სხეპდა ისლებს,
ჩანდა, მტერი როგორ დახტის
ეფარება ნისლებს.
მოისმოდა გაქცეულთა
შეძახილი ,,შნელა''
მაგრამ უკვე  დაცემულთა
არის სადმე შველა?
მიარღვევდნენ ნისლიანში
ლიმანს, ჭაობს, ტალახს,
ყველგან, ყველგან სისხლია შიგ
სისხლი სცხია ბალახს.
არ აცალეს სულის მოთქმა
როგორც დაჭრილ ნადირს,
ვერ უფარა ვერცა ორთქლმა
თბილ მიწას რომ ასდის.
სდიეს, დევნეს დღის ბოლომდე
ჩეხეს დაუნდობლად,
არწივობდნენ და ლომობდნენ
მტერს მისდევდნენ მწყობრად.
მიატანეს ყარა-ყუბანს,
მოჩანს კალაბატკა,
აქ შეხსნიან კარებს ყუბანს
ტამანს ალაყაფსაც.

### გრივენსკაიადან ყარა-ყუბანამდე

განა რამე ფარავს ქართველს
სიმამაცის გარდა?
აქაც სისხლით ღებავს ამ ველს,
ვინ სად ჩაიკარგა.

ყამიშს, ისლებს სისხლი აჩნდათ
ყაყაჩოსფერ კვალად,

აქა-იქა ტბებშიც ჩანდა
ქუდები ვარსკვლავა.

ვინ სად იწვა უკვე მკვდარი
ხიშტით, ტყვით, ნაღმით,
ყველგან, ყველგან სისხლის ღვარი
ლიმანს აქეთ, გაღმით.

იდგა ჯანღი, წვიმდა წვრილად
გავდა ყოფა ჯოჯოხეთს,
თან ტყვიები წვიმდა წვიმად
ცეცხლით ველი მოგოხეს.
გაზაფხულის წვიმა ბანდა
პირს შავგვრემან ბიჭებს,
სისხლი მხოლოდ მკერდზე აჩნდათ.
შიგ გულში დაჭრილებს.

განა რამე ფარავს ქართველს
სიმხნის, რწმენის გარდა?
აზრიც, სიბრძნეც არა მართებს
არავისი დარდად.

ჰკრეს, დაასწრეს, დევნეს მტერი
შიშველ ხელით თითქმის,
გადაქელეს შამბის ტევრი
ყარა-ყუბანს იქით,
ხორცის წვით და ძვლების მტვრევით,
ენით არცკი ითქმის.

ეს სიკეთე, სხვა რა ფარავს
ქართველს ოდითგანვე,
თორემ, ბრძოლას ამ შემზარავს...
ვინ დათვლიდა გვამებს.

გვამი მართლაც ბევრი დარჩა
წყალში, შამბში, ლელში,
ყველა ვრდომილს, ''ვაშა'' ჩარჩა
გახირული ყელში,
ყველას, ყველას თვალწინ ედგა
დედა საქართველო,

სად არ, აქაც გარგო ბედმა
სისხლის ღვრა ქართველო!

მოდიოდა სტეპის მხრიდან
სროლის ხმების ყრუ ბანი,
კიდევ რამენს, ვის უთხრიდა
საძმო საფლავს ყუბანი?

### ყარა-ყუბანის ღამე

ის ღამე ბნელი და უკუნი
პოლკებმა სოფლებში ათიეს,
დაჭრილებს ხდებოდათ სლუკუნი
აქეთკენ ხოხვით რომ ათრიეს,
რამდენი იყო იქ ზეზვა და ლუხუმი,
მხედრული სისხლი მათ უხვად რომ დათხიეს.

მებრძოლნი პატარა ქოხმახში
ჭრაქის შუქს წერილებს უშვერდნენ,
ელოდნენ ვახშამს და ბოხხმაში
ურევდნენ გინებას უშვერს ბევრს,
და ცდაში ფაფისა მოხარშვის
ყველა იქ თუთუნის ახვევს ღერს,
არტყამენ ღრმა ნაფაზს ოხვრაში,
იქვე კი გიტარის სიმი ჟღერს,
უცნობი გლეხკაცის ქოხმახში
ვიღაცა ქართულად სევდით მღერს.
''ქართულო ზეცაო, ოხ მაშინ''...

### შეხვედრა ქოხში

ამ ლაფში, წვიმებში ნისლებში,
ტყვიების ქარცეცხლში დავითმა,
უთვალავ შამბსა და ნისლებში,
დაკარგა გიორგი და გულში ავი თქმა
ჩაესმა თითქოს და ჩასძირა ფიქრებში:
,,გიორგის უმუხთლა აქ ბედმა თავისმა?!
არ მჯერა, ის ისე ფიცხია,
სხარტი და ისეთი მამაცი,
სუნით გრძნობს სადაც კი ფრიცია,

სროლას კი არასდროს დააცდის,
სხვებისთვის თავს სწირავს, გავს ვერცხლის ფიციანს,
მოღერილ მახვილს მკერდს მხდალად არ მააცლის,
დაეძებს ფაშისტებს უფრო მეტ რიცხვიანს,
მიდის და გულადად ავტომატს დააცლის!“

დავითმაც მიიღო ბარათი სამკუთხა,
იხარა, ცას სწია ამბებმა ოჯახის,
ეფერა, წერილმა აზიარ-აკურთხა,
უსმენდა ვანოს და თინაის მოძახილს.

ამცნობდნენ: ეფრემიც ებრძვისო ფაშისტებს,
ჩვენთანო ყვავიან ბლები და ტყემლები,
როდის ჩამოხვალო, კითხვა ეს წელში სწყვეტს
და სცვივა ჩუმი და მდუღარე ცრემლები.

ის იყო გაცვეთილ ფარაჯის სახელოს
შეაშრო ცრემლები, რომ კარი გაიღო,
შემოდის მებრძოლი, სურს ყველას დახედოს,
გადასწვდა გრძელი მხრით სანთური აიღო.

-„გიორგი, შენა ხარ?! მოდი აქ დაგხედო,
გავთავდი ჰა, ლამის, ეშმაკმა წამიღოს!“

-„გეძებდი, დავითო, შენ აქა ყოფილხარ!
რამდენმა დაჭრილმა გამოსვლა ვერ შესძლო.“
„რა ვუყოთ, გიორგი, ომში ეს ყოფილა,
ულმერთო სისხლისღვრა უხდება დღეს მებრძოლს.“
-„დათიკო, რაღაცას ნაღვლობ თუ მე ვცდები?
-„წერილი მივიღე ბიჭო, მე სახლიდან,
ბელორუსიაში ბრძოლობსო ეფრემი,
ძნელია ჰაერში, აქ რამეს ეცდები,
ცაში კი „ზენიტკით“ ყუმბარას გახლიან
თუ მოგხვდა რას იზამ, გიშველის კი ფრთები?“

-„მე მწერენ, მტერიო, მას ყველგან უფრთხოდა,
ნუ შიშობ, მარდია, გააღწევს უფრთოდაც.“

-„შენ პირს კი შაქარი, მე ჩემს თავს არ ვჩივი,
იბრძოლოს, იფრინოს მან როგორც არწივი,
მე კი, ჩანს, შევჭამე მე ჩემი არჩივი.“

-„არ გატყდე დათიკო შუა ხნის არცა ხარ,
შენ ჩემი აქ მამა და ჩემი ძმაცა ხარ.“

-„ეფრემის დარდი თუ გამტეხავს გოგი, აქ,
სიკვდილი ველარა, ქვად ვიქეც მგონია,
ჯერ უწვერ-ულვაშო აქ ბევრი კვდება და
ისეთნიც, გუშინ რომ დედა რძით კვებავდა.
ათასგზის ძლიერი მტერს რიცხობრივ თუ ვჯაბნით,
მივათრევთ ჩვენს აღალს ღვედებით თუ ჭაპნით.
ბიჭები დავარდნენ, გვშია და ავად ვართ,
აგერა, მზადყოფნის შუშხუნაც გავარდა...
განა მე ვჩივივარ? ვიღაცა ვერ გვმართავს,
და მსხვერპლიც დიდია... არ ვამბობ მე მართალს?
იძლევა ბრძანებებს, შტაბში კი ჩაის სვამს,
იტყვის და შებედავ? ბუზს აღარ დაისვამს.
მადლობა ტრანშეინს ოფიცრებს, ჭირვარამს
ჩვენსას რომ იყოფენ, ჩვენ კიდევ ეს გვფარავს,
შუშხუნამ, ვიცოდე, ნეტა რა გვაუწყა?
წავთვლემდი მეც ცოტას, რა ღმერთი გაუწყრათ?“

-„სველი ვარ მინდოდა ტანსაცმლის გაშრობა
ჩანს ველარ მოვასწრებ, მოგველის ლაშქრობა.“
წაიძრო გიორგიმ ჩექმა და შარვალი,
გაწურეს, თქვეს სიტყვა ფრონტული მრავალი.

**კალაბატკის ბრძოლები**
**21-28 თებერვალი, 1943 წ.**
**კალაბატკისკენ**

ვერავინ წასთვლიმა, ვერავინ გაიშრო,
სისხამზე დაეწყვნენ, სალაშქროდ მზად იყვნენ,
წვიმდა, ცამ არ იქნა, თვალი არ დაიშრო
მხედრები საჭურვლით აზელილ გზას მიჰყვნენ.

დაღლილმა მხედარმა, რომელი ათრიოს
უძილო სხეული, ვაზნა თუ შაშხანა?
მან უნდა შეიძლოს! ღამენი ათიოს,
ყველა და ყოველი ომშია რახანაც.

ტალახში ეფლობა, ნისლში ჩანს ლანდივით,
ედება ჭაობის ლაქაშს და ყამიშებს,

ფეხებში ხვიარა ეგება ფანდივით,
ვარდება ლაფში და ფეხს ძლივსღა აიშვებს.

ბრძანება დაირღვა: ერთი დღის მაგიერ
ჩავიდნენ პოლკები მეორე სალმოს,
და ყველა მიეცა სიმშვიდეს წამიერს,
ჩამოსხდნენ, იგემეს შვება მათ საამო.

რას ფიქრობს ჯარების შტაბი ამ დროისთვის?
თუ აწყობს თავდაცვას, დაზვერვას ან თვალთვალს?
მტერი, იქ სანიშნო შუშხუნებს რომ ისვრის,
რას ნიშნავს? დაიწყო დარტყმისთვის დროს დათვლა?

მოდუნდნენ, არ თხრიდნენ თუნდ ოდნავ მოსაფარს,
ჯარისკაცს ტყვიისგან თხრილი თუ იხსნის ღრმა,
შეცდომა ვის აძლევს დროს თავის მოსაფხანს?
არც ამათ მისცა და იწვნევენ სისხლისღვრას.

სიჩუმეს მიენდვნენ ბურუსში ჩაძირულს,
ანაზდად და ხშირად რომ ბადებს ქარიშხალს,
ვერ გრძნობდნენ ბრძოლის ბედს წინდაწინ განწირულს,
და მტერიც სულ მალე აჩვენებს თავის ბრჭყალს.

ეს ერთხელ, თერგიდან აქ კალაბატკამდე,
ჩამუხვლა უბრყვილო ყველასი ერთ საათს,
დაფასდა სისხლად და მტრის პირველ დარტყმამდე
ეგონა შტაბს, აჰა, მიღწევა ხელთააქვს.

თითქოს შეუშვაო ზურგში თავის ნებით,
მტერმა სისხლდაცლილი ქართველთ დივიზია,
ვიდრე თავს ირთობდნენ მცირე განსვენებით
დარტყმა უეცარი დასჯად მიიზღვია.

დაიწყო სისხლისღვრა, ბრძოლა ულმობელი,
უთანასწორო და ყოფნა-არყოფნისა,
ქართველნი ბრძოლობენ, ველია რომელი?
კრწანისი არის თუ ველი მარტყოფისა?

**21 თებერვალი**
**მოულოდნელი დარტყმა**

მტრის მხარეს, ბურუსში შუშხუნა ჩაიწვა,
და მოჰყვა ათობით ზარბაზნის ქუხილი,
პოლკები მთვლემარე რა ძალამ დაიცვას?
არ აქვთ სანგრები, ტრანშეა, თუ თხრილი.

გაიცა ბრძანება: -,,მოაწყვეთ საფარი,
ზურგში ვართ მტრისა და უომრად არ დასთმობს,
იბრძოლებს ბოლომდე როგორც ტყის აფთარი,
დაგვჯაბნის? მოგვასპობს, წაგვართმევს რასაც ვფლობთ!‘‘

ელვის უსწრაფესად ხელ იკრეს იარაღს,
არავინ შეშინდა, დაეწყვნენ საომრად,
ესროლეს თვითონაც, უმიზნოდ ყრიან ნაღმს,
სიფხიზლე, მზადყოფნა ერთბაშად გაორდა.

-,,აბა ჰა, გიორგი, გავთხაროთ სანგარი,
ჩავწვეთ და ველოდოთ მტრის მალე შეტევას,
მგონია მოგვდო აქ ფაშისტმა ჩანგალი,
ღრინავს და კბილნაცვეთ ძაღლივით გვეტევა.‘‘

გათხარეს, მოასწრეს ორივემ ჩახტომა,
თქვეს: ,,იქნებ გადავრჩეთ, გვიშველოს გამჩენმა.‘‘
მტრის ასე უეცრად ვეფხვივით ნახტომმა,
ყველას და ამათაც ღრმა სორო აჩვენა.

-,,გავუძლებთ! ჭურვი თუ პირდაპირ არ მოგვხვდა,
აქედან ადვილად ვერავინ ამოგვყრის.‘‘

-,,ჰაჰაი დედასა?! - დავითს ეს აღმოხდა -
,,გვქონოდა ქვემეხი?! ნაღმს ოხრად გადმოჰყრის!‘‘

ისისნი შორს დარჩნენ, ეგ საქმე სხვა არის
ეს ჯავშანსატეხი რაცა გვაქვს აგერა!‘‘

-,,ათასგზის დავლოცავ! ეგ თოფი რისხვაა,
ბევრ ტანკს და ტყვიამფრქვევს შუბივით ეძგერა.‘‘

,,მაგრამ რა, მოგვიწევს ვაზნების მოსესხვა,
სულ რაღაც ათი გვაქვს, არ დაგვრჩა მარაგი‘‘.

-,, ვაზნას აქ ფასი აქვს, ვინ გიჟი მოგცემს სხვა,
ბელტი წინ დაიწყე და კარგად გამაგრდი!“

-,,მიყვარდა ადრევე თებერვლის ვარანგი,
ციგებით ცურვით თავს ვიკლავდით ბიჭები.“

-,,ნეტა ეგ არ გეთქვა, ვენახს რომ ვბარავდი,
თადარიგს ხვნისათვის ასეთ დროს ვიჭერდი.“

უეცრად ყუმბარამ სულ ახლოს იგრგვინა,
დავითს და გიორგის მიწა ზედ დაამხო,
ესენი გადარჩნენ, მრავალთა კი გმინვა,
ისმოდა გარშემო, შორიდან და ახლო.

### 1943 წლის 21 თებერვალი
### ღამის ბრძოლა

დაღამდა, მტერი კი ცეცხლს უფრო აღვივებს,
არ დაცხრა, აყრიდა ყოველგვარ კალიბრით,
ძლივს დგანან, ლამის ჰა, მიწიდან აღიგვეს
პოლკები ახლა კი შეკრული რკალივით.

მიწაზე გართხმულნი თავის ხვედრს ელოდნენ,
ნაღმი ბევრს შუაზე ხლეჩდა და ფანტავდა,
დაჭრილებს, ეყარნენ, ველარც კი შველოდნენ,
ნამსხვრევი მრავალს კი ხმალივით ფატრავდა,

გიორგი, დავითი ცოცხლად რომ დამარხა,
ამოძვრნენ მიწიდან ლანძღვით და გინებით,
-,,რა გვიყო ლემენცმა, საფლავი გვანახვა,
რა მარჯვედ გვესვრიან ეგ ღორის დინგები!“

სასწრაფოდ მოაწყვეს საფარი ბელტებით,
ჯავშანმტეხს, ავტომატს უპოვნეს ადგილი,
-,,იწყება, წამოვლენ წინ თავგამეტებით,
დახვედრა არ არის იცოდე ადვილი!“

ჰაერში ასობით შუშხუნა აანთეს,
განათდა გარემო, ტყვიებმაც იწივლეს,
-,,ვაჟკაცი იქნება ამ ღამ ვინც გაათევს
დილამდე, ან ვიდრე მამალი იყივლებს!“

და კიდეც გამოჩნდნენ, გუნდ-გუნდად ლელიანს
ძუნძულით მოსდევდნენ ქელვით და ყიჟინით,
-,,მობრძანდით, ალგეთის მგლები აქ გელიან,
დაგფლითავთ ძაღლებო, მათ კბილით, იმ ჟინით!"

რა შეაკავებდა მათ წინსვლას? ღობური?
ბოძკინტი, თხრილი თუ წერტები საცეცხლე?
-,,აქ უნდა გქონდეს კაცს ბრჭყალები ლომური,
გადაჰკრა არაყი და კარგად გაცეცხლდე !"

ან როგორ აეგოთ თავდაცვა, ყამიშით?
არ იყო ჩხირიც კი, ფიცარი, არც მორი,
-,,ამ ომში ძმობილო, ჩვენ ისე დავიმშით,
თევზსა ვჭამთ მლაშეა, ნედლი და ნაშმორი."
მოდიან,"შმაისერს" გაუდის კაკანი,
ხან აქეთ, ხან იქით ცეცხლი სხეპს ლელიანს,
-,,ეგეც რომ არა გვაქვს?! გულს გააქვს კანკალი,
მოდით ჰა, დროულად, სული დამელია!"

-,,აქ, ძმაო, გინდ იყვე კოზანი კაკალი,
ფიქრი გჭამს კაცს მაინც ცოცხლად რომ გელიან."

-,,არ გავტყდეთ! ქვემეხის ზალპებს თუ გადვურჩით,
ამ წითურ მელიებს ვერ დავღრღნით გგონია?

,,მე განა გავმტყდარვარ?! მომეცი აქ ზუჩი?
მათ დედას ვუტირებთ, მეც ასე მგონია."

ვარვარა ტყვიები კვეთავდნენ ღამის ბნელს,
ათასი შუშხუნით ნათდება ქუფრი ცა,
ვალია დაუხვდნენ, არავინ დაიბნეს,
სამშობლო ტყუილად თუკი არ უფიცავთ.

შორიდან ბრძანების ხმა ისმის ქართულად,
მკაცრია კილო და სასტიკი ხმის ტონი,
განწირვის ღამეა, ეს საქმე ჩანს რთულად,
ამიტომ ალბათ თუ ხმაში ჟღერს ლითონი.

და განა მტერს ზურგი ვინ როცა აჩვენა
დაინდო მან იგი და არ სცა მას შუბი?
საერთოდ, ჯიშითაც გმირობას ნაჩვევმა,
არ დასთმოს ის მიწაც თან დააქვს რაც უბით!

1943 წლის 21 თებერვალი
ღამის ბრძოლა

არ გამწყდარა თმენის ძაფი
მტერს აცადეს ცოტაც,
რიხით მოდის, მოალაჯებს,
ხან მუცელზე ცოცავს.

გახსნა ცეცხლი გიორგიმ და
ზედ ყიჟინა დასცა,
მრავალს გული განუგმირა
ცოტა ვინმეს ასცდა;
„ყოჩაღ გოგი! მარჯვედ ესვრი,
თვალი გიჭრის კარგად,
მიზანს არჩევ, ერთ ვაზნასაც
ფუჭად არა კარგავ!“
„დათა ძია, მოამზადე
შენი ტანკის თოფი,
ტყვიამფრქვევს დგამს შენსკენ ჩუმად
მტერი ბუჩქში მყოფი.“
ეს თქმა იყო, ტყვიამ დავითს
გაუგლიჯა ზურგი,
გადუტრუსა თმები მხოლოდ,
გაუფითრდა ტუჩი.
-„დამასწრო ამ შობელძაღლმა,
მოგვპარვია მარჯვნით,
ახლა ჩვენი ჯერია და
სასიკვდილოდ დავსჯით!“
მოიმარჯვა ჯავშანმხვრეტი
ვაზნაც ჩასდო თავად,
სჭექა ერთი და ფაშისტი
იქვე გაათავა.
ახლა მისწვდა ავტომატს და
დაატეხა ელვა,
შეტევაზე გადმოსული
ჩააქშია ყველა;
ვერ შენიშნეს თუ კომბატი
მათთან როგორ გაჩნდა,
„ხომ არ შედრკით?! მის ხმას რაღაც
შეშფოთება აჩნდა.

შემობრუნდა დავითი და
ასეთ პასუხს აძლევს:
„როგორც ხედავთ მეთაურო
ფაშისტს აქ ჩვენ დავძლევთ,
მაგრამ რა ვქნათ, უვაზნებოდ
განა დიდხანს გავძლებთ?!
სამი დღეა ვშიმშილობთ და
ნედლ თევზსაც არ გვაძლევთ."
„უნდა გავძლოთ! მეც ვშიმშილობ,
ჩვენთვის სხვა გზა არ არის,
დავიხევთ და მტერი გაგვსრესს
გვიცდის კარი სამარის,
ასე მძაფრად სამი მხრიდან
ხვდებით, რატომ გვარტყამს?
სურთ წრე შეკრან და თუ შესძლეს
ალყა შემოგვარტყან...
შევუტიოთ, ვიდრე ერთობ
ძალა აქ არ დაგვცლია,
ამ ჭაობში, დილამდე აქ
სისხლისაგან დაგვცლიან!
მედგრად ძმებო, მეც აქა ვარ
კაპიტანი ტაბიძე,
არ მივცეთ მტერს ალყის შეკვრა
დარჩა ერთ-ორ ნაბიჯზე;
მედგრად ძმებო! სამშობლოსთვის
მკდრებსაც არა გვიშავსრა,
მამა-პაპა გაიხსენეთ
არა გვყავდა მშიშარა!
მაშ მომყევით, მტერს ვაჩვენოთ
როგორ იბრძვის ქართველი,
ვინც არ მომყვეს ქალი იყოს
იყოს ნართის დამრთველი!"
გადაეშვა, ყველა ერთად
მიჰყვნენ ცეცხლში კაპიტანს,
ცასა სწვდება ღრიანცელი,
მკვდარსაც ჟრჟოლა აიტანს.

სიფხიზლე, სიფრთხილე გმართებს შენ

ვიღასღა ახსოვდა შიმშილი, წყურვილი,
სიკვდილთან ომობდნენ თავზე ხელაღებით,

წინ ტყვიის ღამეა ნისლით შებურვილი,
მისი კალთები კი სისხლით შენაღები.

ვინ იცის ქართველო მტერი სად გდარაჯობს,
დაჭრილს სად ჩაგითრევს ლიმანის ჭაობი,
ძნელია ეგ ყოფა, ჯოჯოხეთს არა სჯობს
ნასისხლი ეგ ხვედრი მაგ შენი თაობის.

რამდენი სიფხიზლე, სიფრთხილე გმართებს შენ,
დღესაც და ხვალ და ზეგ, ოდიდგან, მარადის,
სამშობლოს ვინ აღარ ოხერი გართმევს შენ,
მიწას დიდგორისა, მარტყოფის, მარაბდის.

ამ ბნელში შენ უნდა იყვე ამირანი,
თვალიც საცრისხელა უნდა გამოიბა,
კარგად რომ შენიშნო მტერი სად, ვინ არის,
შენივე მიწა რომ ლანჩად ამოიბა.

ამ ბნელში შენ უნდა ასკეც გაიჭირვო,
ვიდრე მან, ბუჩქში რომ ჩასაფრდა ქურდივით,
შენ უნდა ვეფხვიც კი ხელით დაიჭირო,
ტყავი ტანს მოისხა, დაიმხო ქუდივით.

დაეყრდნე შენს თავს და მებრძოლ შენს ამხანაგს,
დახვდი მტერს, მერე რა, ბრჭყალი რომ ბასრი აქვს,
არ შედრკე, აღმართე მახვილი რახან აქ,
სდიე, თუ მოკვდები, სიკვდილს აქ აზრი აქვს.

ეფარე წინამძღოლს, შენსავით კაცია,
შენს გვერდით თავს სწირავს, ლამს არ ჭამს ჭაობს,
მაგასაც ზედ აწევს, არც მაგას დასცლია
ნასისხლი ეგ ხვედრი მაგ შენი თაობის.

**1943 წლის 21 თებერვალი**
**ღამის ბრძოლა**
**შეტევაზე**

მისდევდნენ კაპიტანს ყვირილით მებრძოლნი,
ცეცხლით და მახვილით მტრის საფარს მიუხტნენ,
მოსრეს იქ, ბუჩქებში ხვლიკივით ქვემძრომნი,
გავეშდნენ, რადგან მტერს მზაკვრულ ხერხს მიუხვდნენ.

„მომყევით, ძმებო! ჯერ თუ არ დაგვიწყნიათ
თერგი და ყუბანი, გროზნო და გრივენსკა,
და ვისი სისხლითაც მთა-ველნი ირწყვიან,
მივბაძოთ ჩვენც იმათ, იმ ვაჟკაც გმირებსა!
მომყევით! სამშობლოს და სტალინს შევწიროთ
სიცოცხლე, მტერი კი მიწისგან აღვგავოთ,
დროშა, რომ გვანდეს ჩვენ სულ მაღლა გვეჭიროს,
დამპყრობი ჩვენს საღვთო მახვილზე ავაგოთ!“

ვინმე თუ ჩამომრჩა? ან ყურად არ იღო?
არა! აქ ომია, აქ ყველა თვს სწირავს,
ერთხმად და ერთსულად მახვილი აღიღო
ჯარმა და მტერს ალბათ ჭაობში ჩასძირავს!

დავითი, გიორგი კაპიტანს გაენთნენ,
მისდიეს ფეხდაფეხ, მხარიმხარს გააბეს,
ხელჩართულ ბრძოლაში უშიშრად ჩაერთვნენ
ვინც შეხვდათ, ვინც დახვდათ ხიშტებზე ააგეს.

გაუდის ჭახანი ნაგანს, პარაბელუმს,
ღამეს სძრავს კონდახთა, ლულათა ჩხარუნი,
ადგილს ერთს მიაწყდნენ ცოტა ამაღლებულს,
არ ჭრიდა არც სარმა, კისრული, მხარული.

სწორედ აქ, ნაწვიმარ ლელში და ლაქაში,
როდესაც იფეთქა ზეცაში შუშხუნამ,
შეტოკდა კომბატი, ამ ცეცხლში, ამ ქარში,
შეეტყო, მტრის ტყვიამ ხმალივით უშხუვლა.

დაეცა, კვლავ აღსდგა, ტორტმანებს დაჭრილი,
„წინ ძმებო!“ მჭექი ხმა ძლივასლა ხრიალებს,
ჩამოქრა სინათლე ზეცაში აჭრილი,
სისხლი სდის კაპიტნის შინლის ქვეშ იარებს.

დავარდა მუხლზე და ყამიში გამხმარი
ხელებში მობლუჯა, მიწას ბრდღვნის ხარივით,
კვდებოდა, მტრის ტყვია გულში აქვს ნახალი,
„წინ, ძმებო!“ - ჯერ ისევ ყურში რეკს ზარივით.

და თითქოს მოესმათ ოცეულთ, ასეულთ,
შესძახეს „ჰკა მაგას!“ უშიშრად ეკვეთნენ,

მოჰგავდნენ არწივებს ნადავლზე დასეულთ,
შემდრკალ მტერს დავითის ხმალივით კვეთავდნენ.

საბრძოლო მასალა რაც ჰქონდათ მეომრებს
დააკლდათ, ნახევარ შეტევას არ ეყო,
„წავართვათ!“ ყვიროდნენ, ართმევდნენ ვინ რომელს,
სიმხდალე არც ამით მათ სულს არ დაეტყო.

გაირღვა მტრის ალყა, სოფელთან შეერთდნენ,
იყო იქ სიკვდილით, სიცოცხლით აღგზნება,
სისხლი და ცრემლი ერთს - ღამის ბნელს შეერთო,
რომლებიც აქამდე ღვარეს აქ, ამ გზებმა.

**1943 წლის 22 თებერვალი**
**მზეც ლამის ჩაყლაპონ**

წვიმისა და სისხლის ეს ჟინჟვლა, ეს დენა,
დილისთვის, რიჟრაჟზე თანდათან ძლივს შეწყდა,
მკრთალ შუქზე ჩანდა ვინ, მკვდარი სად ესვენა,
სიცოცხლის მძივი აქ ყელიდან ვის შესწყდა.

ხანჯლების ეს ღამე ბნელი და სასტიკი,
უზომოდ ხანგრძლივი ძლივს იქნა გათენდა,
ათი თუ ქართველი, ასი კი სვასტიკით
ელაგა ველზე და სისხლს პირით ანთხევდა.

შორს-ცაზე დილის მზემ ღრუბლები, ნისლები,
გაფურჩქვნილ ყაყაჩოს ფერებით აანთო,
ღამემ კი სისხლებით შეღება ისლები
და მიწა მებრძოლთა სისხლითვე დაათრო.

ცის კიდე ისეთი წითელი ჩანდა რომ,
ამოდის თითქოს მზე გრაალის თასიდან,
მნათობის ფერი ეს ნისლსაც ზედ აჩნდა რომ,
სისხლს გავდა, მეომრებს წუხელ რომ დასდინდათ.

და განა განთიადს, ან მარტო ბრძოლის ველს
ატყვია ვარდის ეს ყაყაჩოს ფერები?
იწვის კალაბატკა, ფარავს მას ძრწოლის ეს
ფერი და ფუძემდე ჩამწვარი კერები.

ბიჭები წინ ღამით ტალახში ნახოხნი,
ორ მწკრივად დადიან ქუჩაში სოფლისა,
დიდ-დიდი ნაბიჯით, გრძელ-გრძელი მახორკით,
სუნი სდით ჭაობის, დენთის და ოფლისა.

ყლაპავენ ხარბად ბოლს, მზეც ლამის ჩაყლაპონ,
თვალით რომ ძლივს ნახეს მოსაწყენ ზამთარში,
რადგან მზე ხვალ ზოგმა, მიდიან ახლა რომ,
იქნება ვეღარც კი იხილოს ამათში.

მცირედი კმაყოფაც ეტყობათ სახეზე,
გველეშაპს რომ სძლიეს, ღამის ბნელს რომ გასცდნენ,
ბევრისთვის თუმცა სისხლს უჟონავს სახვევზე
მოკვდება, მტერს მაინც შიშის ზარს კვლავ დასცემს.

1943 წლის 22 თებერვალი
**დილა**
**კალაბატკაში**

უდაბნოდ ქცეულა სოფელი ერთ ღამეს,
არავინ არსად ჩანს, ძაღლიც კი არსად ყეფს,
ოდა სახლს ალმური სდის ყოველ მესამეს,
კვამლი ლელს ეფინა, მოეცვა გარსად ტყეს.

უეცრად ბიჭუნა მოვარდა ქოშინით,
დაძონძილ სამოსში, იერით ობლისა,
მის შუბლს ზედ ეყარა თმა მიშლილ-მოშლილი,
გამხდარი, არ აჩნდა ალერსი მშობლისა.

შესძახა მებრძოლებს: -,,я сам свидетель,
фашисты в сарай людей сжигают,
загнали стариков, женщин и детей,
Подожгли да еще гармошку играют!

გაცვივდნენ, ლირჭყი გზა ნატბორი აქა-იქ,
ჩექმების ტყლაშუნით დაფარეს უმალვე,
ის ბიჭიც თან გაჰყვა, აღარც ის დარჩა იქ,
სად იყვნენ, სად სწვავდნენ უჩვენა იმანვე.

დასჭყივლეს, დახოცეს, გონსაც ვერ მოეგნენ,
ათი თუ თხუთმეტი ცეცხლში ხალხს რომ სწვავდნენ,
„ძაღლები! ქვეყანას შავ ჭირად მოედვნენ,
ამას არ იზამდნენ ღმერთი მათ რომ სწამდეთ!“
ყვიროდნენ და ფიცრულს ხანძარი რომ ედო
ლეწავდნენ, ძლივს სულზე მიუსწრეს მოწამეთ.

შიგნიდან ისმოდა ტირილი, გოდება,
კვნესა და მუდარა: -„Спасите, спасите!“
დიდი და პატარა კარებთან გროვდება,
სულშეხუთულები სწყევლიან ფაშისტებს.

ის იყო შელეწეს და ჭერიც ჩაიქცა,
უმწეო ხალხს თავზე გადეპნა ღველფები,
ღია კარს ეცნენ და ვინც შესძლო გაიქცა,
ბევრი ძლივს გაფორთხდა, დასწვოდათ ფეხები.

ქალები მხურვალედ ჩაეკვრნენ მებრძოლებს,
კოცნიან, ცრემლები ღვარად სდით თვალთაგან,
თვით ღმერთსაც ალბათ იქ, იქ უნდა ეგრძნო ეს
რა ტანჯვა ელოდა შიგ ყოველ მათთაგანს.

„ო, ღმერთო, მაღალო, შენამდე თუ აღწევს,
სულის ეს ტკივილი, ეს ჭირი, ვარამი,
შენი ღრმა გონება მოძებნის კი აღმწერს?
არ ვგონებ, კაცთაგან ძალუძს ეს არავის“.

ჩურჩულებს დავითი, უყურებს თან ფარდულს,
ძირს როგორ ეცემა მორი თუ მუგუზი,

მოხუცი მოვიდა და ფიქრში ღრმად გართულს
შეეხო ფრთხილად და ეძახის:–“Ну грузин,
Молодец! Наблюдал ,храбрый ты видать,
Так надо сним воевать! На смерть и грудью,
Иначе отсюда их легко не выгнать.“

„Да что я отец, здесь они все храбрые,
Все умеют на врага как тигри пригать.“

„Приглашаю,картошка, рыба и крабы есть“...
„Охотно! შეხედე ლოყები რას მიგავს?“

„Что, что ты сказал? До конци не разумел ..."
„Говорю третый день не разу не ел"...

,,გიორგი გვპატიჟებს.. ეგ გოგო გაუშვი,
ცეცხლს თუ გადაურჩა, შენ კოცნით დაახრჩობ''.
,,დამთვარდეს ომი და თუ არვინ დაუშლის,
საბედო მყოლია, დათიკო რა ახლო!''

,,დამთავრდეს ბიჭო და თუ ღმერთმა ინება.
წავალთ და წავიყვანთ, ქორწილსაც გადავხდით.
გავყვეთ ამ მოხუც კაცს, დავნაყრდეთ იქნება,
ცოტაც და ვეღარ ვძლებ, შიმშილით გადავწყდი.''

Герой ты пареь! Позови всех своих-
მოხუცმა გოგიას ჩაავლო, არ უშვებს-
Фашисты убили дочку и сыновей двоих,
За нас ты отомстил…Легко Стал на душе,
Благославляю тебя и братьев твоих!''

მოხუცი თავისი ქოხისკენ წაუძღვა,
მტრის ბევრი განზრახვაც გზადაგზა აუწყა.

**ნაშუადღევს**

იმ ღამეს ვინც განვლო ცეცხლში და ცხელ კუპრში,
ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და შესტრფოდნენ დილის მზეს,
ეს მიწა, ეს მზეა მათ სისხლით ნაპკური,
იციან, მაინც არ ფიქრობენ სიკვდილზე.

ვინ სად და ვინ როგორ ნატკენ ხელს,ნატკენ ტანს
შველოდა სახვევით, ან ჩუმად მღეროდა,
ეს ჩვევა-ვარამის ლომის ყბით გაკვნეტა
დიოდა პაპათგან, ვაზის ფესვ-ღეროდან.

შიოდათ, ისევ თევზს ღეჭავდნენ ძალი-ძალ,
არ შეჭამ? შიმშილი კაცს ბალახს აძოვებს,
აღარც კი არჩევდნენ ფხიდან თუ ძვალიდან,
ბევრი კი თავსაც ჭამს, კუდსაც კი არ სტოვებს.

მათი ეს ,,განცხრომა'' მთელი დღე გასტანდა?
მოცვივდნენ შტაბიდან სჩქაროდ აშალეს,

და ყველა, ხოხვით რომ მუცელი გასტყავდათ,
თხრილების, სანგრების სათხრელად გაშალეს.

„იფიცხეთ ბიჭებო!" მოვაწყოთ თავდაცვა,
არ შეურიგდება მტერი მარცხს, ამ სოფელს
არ დასთმობს, რით ვბრძოლობთ, რაცა გვაქვს,
იციან, დაგვცხებს და დიდხანს არ გვამყოფებს".

ნიჩაბი ეჭირა მებრძოლს თუ ოფიცერს,
თხრიდნენ ღრმად ორმოებს სწრაფად და ღონივრად,
მორები აღმართეს, ზოგგან კი მოფიცრეს,
დაზვერეს, მოვლენებს ხვდებიან გონივრად.

## ბრძოლა ნაშუადღევს

I

ის იყო დავითმა, გიორგიმ ჯამები
მოლოკეს ხარბად და კოვზს ენაც გაუსვეს,
რომ ზათქი გაისმა, გახედეს, ჯარები
მოდიან სროლით და სახლიდან მოუსვეს.

მოასწრეს ჩაცუცქვა, ტყვიებმა ზუზუნით
სახლის ხის კედელი, კარები დახვრიტეს,
„აღარ გვასვენებენ" — თქვა დათამ ბუზღუნით,
დაწვნენ და წყლის გუბე ხარივით დახვრიპეს.

„ახლა კი ვიომებთ, კუჭს რაღაც ეშველა,
ეს წუმპეც მშვენივრად მოერგო გუნებას".

„მადლობა მაგ მოხუცს, ვიყავი ფეხშველა,
ჩექმები მაჩუქა, მეც ავყე ცთუნებას,
შვილისა არისო, მყავდაო შენხელა,
გულში ჩაგიკრავო, მომცემო თუ ნებას".

„ჩაიცვი, გავფორთხდეთ ცოტა წინ, ორმოა,
ახლოა სანგრებთან, ცოტა გვაქვს ვაზნებიც".

— „კედელთან ჩავსხდებით, ის ღრმა, უფორმოა,
ვაზნებსაც მოვიტან!"— თქვა გოგიმ აღგზნებით.

მოზიდა ვაზნები, ჯავშანმხვრეტს მიუსხდნენ,
მომართეს, გატენეს, შემართეს გოროზად,
შეეტყო, მტრის მხრიდან განზრახვას მიუხვდნენ,
დალუპვას გადურჩნენ შემთხვევით, როგორღაც:

ესროლეს ტანკიდან, სახლს მოხვდა, მორები,
ლატნები, ფიცრები ზედ თავზე დაამხო,
გონზე ძლივს მოვიდნენ, წამოდგნენ ზმორებით
შეშინდნენ, შეჰყვირეს: — ,,მოსულან რა ახლო ‘‘.

იფორთხეს, გამოძვრნენ, მოეწყვნენ კვლავ ხერხად,
ტანკი წინ მოუშვეს უფრო ზუსტ სამიზნედ,
ესროლეს —,,გახედე? კვახივით გახეთქა,
სულ ოთხნი იყვნენ და მივაკლათ სამიც ზედ‘‘.

თქვა დათამ: —,,ახლა კი ფეხოსანს ჩავცელავთ,
ვიდრე სხვა ურჩხული ჯვრიან თავს წამოჰყოფს!‘‘

,,გამოჩნდეს ერთი რომ მეხივით დავცე კვლავ,
ეგ არის ის ,,ვეფხვი‘‘, მაგითი ამაყობს?‘‘

,,მადლობა ,,ვეფხვისთვის!‘‘, ბიჭებო, ახლა კი
იქ პოლკის მეთაურს უჭირს და მომყევით,
ვაჩვენოთ ფაშისტებს, რომ არ ვართ გლახაკნი,
ტყვედ უნდათ ჩაიგდონ ნოე მათ მომწყვდევით!‘‘

ეს ბედენაშვილის, გიორგის ხმა იყო,
შემართულს ხელთ ეპყრა დროშა და ნაგანი
აიღო, ჯერ თავზე ჩაჩქანი დაიმხო,
გადეშვა, გაუძღვა, გაჰქონდა თან განი.

,,ჰე, ჰეი! მომყევი, არ შედრკე ქართველო,
შენში ხომ სისხლი სჩქეფს ვეფხვის მძლევ მოყმისა,
მომყევი, ფაშისტი მიწასთან გავთელოთ,
გავიყოთ ხვედრი ჩვენც ჭირში მყოფ მოძმისა!‘‘
ეკვეთნენ ხელჩართვით, მიბრჯნით თუ კონდახით,
მტრის რიგებს ზედ შესდგნენ, სულ მუსრი გაავლეს,
მისდევდნენ კაპიტნის ხმამაღალ მოძახილს,
და მთელი ის ველი გვამებით აავსეს.

ჰგავდნენ მთის არწივებს, აშვებულ თუ ლომებს,
რაღაცა დინებას, რაღაცა ნიაღვარს,
არარად აგდებდნენ თვით სიკვდილს ულმობელს,
თავს სდებდნენ, ბაძავდნენ თავიანთ წინამძღვარს.

იბრძოლეს რაც შესძლეს, რაც ჯანი გააჩნდათ,
ნოე ტყვედ ჩავარდა მაინც ვერ დაიხსნეს,
აქ, ისე იმძლავრმა მტერმა და გაანჩხლდა,
არ ახსოვთ რაც ამათ აბჯარი აისხეს.

ორივე მხრიდან ამ სისხლისმღვრელ იერიშს,
მრავალი შეაკვდა, მრავალი დაიჭრა,
მიხვდნენ, რომ მტერი აქ საკმაოდ ძლიერი
არის და სოფლისკენ კიდევაც გაიჭრა.

**ბრძოლა ნაშუადღევს**

II

ქართველებს მეხივით დაეცა მტრის ჯარი,
მოდიან, ისვრიან ზარბაზნებს თუ ნაღმებს,
მოდიან, უნდათ რომ იყარონ ის ჯავრი
რაც მარცხით გულს ჩაჰყვათ ბრძოლაში წინ ღამეს.

დავითი გიორგი მტერს დახვდნენ კვლავ მედგრად,
სამი მხრით სხეპავდნენ მუმლივით მოსეულთ,
ვერ შესძლო ქვეითმა აქ წინსვლა, აქ შესდგა,
თითქოს გზა მოეჭრას არა ორს, ოცეულს.

„ჰა, ჰაა, ფრიცებო! დედა ვერ გიტირეთ?!
მოდით თუ სიცოცხლე არ გინდათ, აქა ვართ!“

„ვატყობ, რომ კვლავ ტანკით მოსპობასგვიპირებს,
ალბათ „ვეფხვს“ გიორგი ზურგი თუ აჰქავდა;
გახედე? აქ მოდის, რომ მოსდევს გზისპირებს,
გატენე! წუთის წინ ერთი ხომ გაქვავდა“.

დაასწრო ''ვეფხვმა'' და ჭურვი სულ ცოტა წინ
აფეთქდა, წელამდე ჩაეფლნენ მიწაში,
ამოძვრნენ, ორივეს სისხლი სდით ცოტათი,
მიუსხდნენ ჯავშანმხვრეტს, მომართეს იმ წამში.

„ვეფხვი“ ჰა, მოადგა, მოქელავს ლელიანს,
ადენილ მიწის ორთქლს მოარღვევს დრაკონი,
დათა და გოგია განაბვით ელიან,
ჩანს, დარჩნენ პირისპირ სიკვდილთან მარტონი.

მუხლუხის ქვეშ მიწას, მკერდში კი მხედრის გულს
გაუდის თრთოლვა, რომ წინ უდგას განსაცდელს,
"გიორგი, აბა ჰა ,არ გვწირავს ხვედრი თუ
ესვრი ტანკს ისე რომ, კოშკურას არ ასცდეს“.

აიღო მიზანში, გამოჰკრა ჩახმახს და...
„არ ისვრის!- შესძახა, გადახსნეს საკეტი,
მათ სულში უეცრად ის შიში ჩასახლდა
კაცს, რომ შლის ჭკუიდან სიკვდილზე ასკეცი.

„ღალატი სცოდნია!.. ძირს ჩავხტეთ, შეგვდგება,
ვუშველოთ იარაღს, ყუმბარებს, საჭურველს,
მოიწი აქ ჩემსკენ, გადავრჩეთ ეგება,
ცოტა ხნით ჩვენთვის დროს ველოდოთ სასურველს“.

ორიოდ წუთიც და თავზემოთ, მორებზე
ტანკმა წრე მოხაზა მუხლუხით ერთ-ორჯერ,
დასცვივდათ ყელამდე მიწა და შმორი ბზე,
შესთხოვა დათამ ცას: „ნუ მოგვკლავ, ღმერთო, ჯერ“.

ბერუჩაშვილი მათ ბრუტსვერში ხედავდა
„აფსუს, რა მხედრები დავკარგეთ გენადი?
მათსავით ბრძოლას აქ ბევრი ვერ ბედავდა,
გმირებსა ვხედავდი მაგათში მე ნამდვილს,
ეგ ტანკი მოასპეთ, სანგრებზე ზედ ავა,
დაგვიფრთხობს მებრძოლებს, ვატყობ მე, მაგ ნადირს“.

ლაბაძემ დურბინდში ერთხელაც გახედა
გაკვირდა, მეთაურს შესძახა: — „სტეფანე,
მე მომეჩვენა თუ, არ ვიცი რა ხდება,
გადარჩნენ მგონი და შველიან ერთმანეთს!“

„არ მჯერა!“— ჩახედა ბრუტსვერს და გაოცდა
შენიშნა, ტანკს როგორ ესროლეს გრანატა,
ხუთიოდ ნაბიჯით თხრილებს ვერ გამოსცდა
უკნიდან ძლიერი ცეცხლით რომ განათდა.

„ბიჭებო, ფორტუნა კვლავ ბევრჯერ გწყალობდეთ,
პერანგში ყოფილხართ ორთავე შობილნი,
უბრძანე შეტევა! მარტონი წვალობენ
ეს მამა-შვილი თუ ეს ორი ძმობილი“.

**ბრძოლა ნაშუადღევს**

III

როგორც კი აფეთქდა ჯვრიანი მუხლუხა,
ქართველთა მხედრობა აღაგზნო წამიერ,
მიწის ამ მონაკვეთს ქვემეხმაც უქუხა,
და უცბათ ბრძოლის ველს მოედვნენ განიერს.

ჩათიბეს მტრის ჯარი დაღლილმა მხედრებმა,
სული ძლივს მოითქვეს მხოლოდღა ბინდისას,
დაჭრილთა, მოკვდავთა გაისმა ვედრება
ღმერთისა ჩვენისა და სულიწმინდისა.

გაწმინდეს სოფელი, მაგრამ რა, დროებით,
არ აქვთ თავდაცვა: სანგრები, დოტები,
იფარე რაც გინდა ფიცრები, მორები,
ჭაობის ბალახი, ხმის ხმელი ტოტები.

მტერი აქ ათჯერ და ასჯერაც მძლავრია,
მაძღარი, ჩაცმული, ჯავშანში ჩამჯდარი,
აქეთ კი ქართველებს აწუხებთ ძალიან
შიმშილი, სიცივე ძვალ-რბილში გამჯდარი.

სიკვდილს რა დაიჭერს, როგორ გადარჩები
ჭურვების სკდომაში, ტყვიების წვიმაში?
დაჭრილს სად გეწვევა, კაცი სად დარჩები
უძირო ჭაობში თუ სადმეს ლიმანში.

სიკვდილს რა დაიჭერს ამ აპოკალიფსში?
ხედავდე კიდევაც როგორ მოალაჯებს,
მოცურავს გველივით ამ ნატოპ ყამიში,
ცეცხლით სწვავს მეომრებს, ბუჩქებსა და ჯაგებს.

და მაინც ისევ შენ, შენ უნდა გაუძლო
მებრძოლმა ამ ტანჯვას, ამ ვარამს, ჯოჯოხეთს,
გაუძო ვითარცა უხორცომ და უძვლომ
გაუძლო განსაცდელს, შენსა ხვედრს, ბედს ოხერს.

**1943 წლის 22 თებერვლის**
**საღამო**

ეს უკვე მეხუთედ, ეს წყნარი სოფელი
ქართველთა ხელშია სასტიკი ბრძოლებით,
გალეწილ კალოს ჰგავს მკვდართაგან მოფენილს,
მებრძოლთა გვამებით, ცხოველთა მძორებით.

არ მორჩა, არ იქნა სისხლის ღვრა ულმერთო,
ხიშტების, ხანჯლების დღენი და ღამენი,
ამ გოჯი მიწისთვის რა ხდება, თქვი, ღმერთო,
მსხვერპლია საჭირო ჯერ კიდევ რამდენი?

აქ არის, სწორედ აქ სიკვდილზე რაც ითქმის,
თუ კი რამ საზარელს, საშინელს ენა ხმობს,
ღამდება, ბნელში ეს რაც მალე შთაინთქმის
კარგია, სისხლი ეს მზემ, მთვარემ არ ნახოს.

სოფელი ნელი-ნელ, აზოვის ზღვის ნისლით
მოთეთრო-მოშავო შრეებში ინთქმოდა,
არც ჩქამი, არც სუნთქვა, არ იძვრის არც ისლი,
სამარის სიჩუმე- ამაზე ითქმოდა.

**23 თებერვლის**
**დილა**

ნისლების ის ღამე სიმშვიდით, სიწყნარით,
დიოდა როგორცა ღრმა ძილის სიზმარი,
მხედრები დაღლილნი, ბრძოლებით მიმწყდარნი.
ესვენნენ, უჩანდათ სისხლი ზედ მიმხმარი.

მკვდრებივით ეძინათ პირქვე თუ გულაღმა,
ხვრინავდნენ, თითქოს ომს ხვალ აღარ ელიან,
ყველას აქ, ამ ომმა დაასო გულს დამღა
და მაინც ზოგ-ზოგნი ჩონგურზე მღერიან.

ვინ რას მიუხვდება თებერვალს ცვალებადს?
ინათლა, სადღაა ნისლი ან ღრუბელი,
სამოსელს ფერთხავდნენ, ღირდა კი წვალებად?
ქოჩორჩამოშლინი, გაღეღილ უბენით.

დღემდე აქ განვლეს მათ, რამდენი დღე-ღამის,
ზამთრის მიწურულის ლაფი და ძანძახი,
შესტრფიან ალიონს, იტირონ მათ ლამის,
"ჰეჰეი!" ვიღაცა ცისკარსაც გასძახის.

ცისკარო უამბე მეომარს, აქამდე
ვინ გამოგაცილა მყინვარმა, ზეკარმა?
თუ დედამ ცრემლს  რომ ღვრის, რომ ომი დამთვარდეს,
ან სატრფომ, სახლში რომ დასტოვა მხედარმა,
ან ვიდრე სიცოცხლე უფსკრულში დაქანდეს,
დაატკბოს ციაგმა შენმა და მზის დარმა.

**23 თებერვლის დილა**
**ბრძოლა განახლდა**

დავითი, გიორგი ტანკს რომ ძლივს გადურჩნენ,
ერთ ბებერ ჭადართან ხვდებოდნენ განთიადს,
ესენი ამ ომში, აქ ისე გაურჩდნენ
იფიქრებ ფორტუნა მათ სწყალობთ, მათია.

ცოტაც და დილის მზე, სისხლისფრად ლურჯ ცაზე
თვალუწვდენ ველს იქით ამოიწვერება,
დრო მიექანება თითქოს ზის ლურჯაზე,
არავის არ უცდის, არ გაიწელება.

ხის მორზე ჩამოსხდნენ, დილაა სისხამი
გაზეთი მოხიეს, თუთუნი ჩაყარეს,
მოქაჩეს და ბოლის არც ერთი მისხალი
ცხვირწინ არ გაუშვეს, უეცრად ჩაყლაპეს.

წუთიც და მნათობი ჯერ სუსტი სხივებით
გამოჩნდა, ჩანს თითქოს ამოდის მიწიდან,
ჭადარი, წვეთების ციმციმა მძივებით
ფარავს მათ ძირით და ტოტები წინიდან.

„გახედე გიორგი, ჩვენი საქართველო
კიდევ იქით არის მზე რომ ამოვიდა,
ფრთები მაინც გვესხას თვალი გადაგვევლო
დიდად გაჭირდაო, წერილი მოვიდა“.

„ნეტავი როგორ ხართ, შვილებო, ვიცოდე,
გშიათ თუ გწყურიათ, სადა ხარ გამჩენო?
მე მათ თავს გავედრებ და მეც შემიცოდე
ნუ მომკლავ აქ ისე, ერთხელ არ მაჩვენო.
ვანო, თინათინი, ბიჭუნა პატარა,
ჯერ ისევ მკერდზე რომ ეხუტა მარიამს,
ჯერ ფეხაუდგმელი, ჯერ ისევ ტანტარა,
ო, ღმერთო! ფიქრადაც უსაზღვროდ მწარეა“.

„დამშვიდდი, საფრთხე იქ არ ელის არავის,
ჩვენა ვართ საფრთხეში, მე, ასე მგონია,
გადავრჩეთ როგორმე, ესაა მთავარი“.
მხარზე ხელს არტყამს და ამშვიდებს გოგია.

„ეხ, ჩემო გიორგი, სწორედ მეც მანდა ვარ,
ყველას სურს გადარჩეს, მაგრამ აქ ომია,
აქ ბეწვის ხიდია, ყველა ვერ გადავა,
სხვა გვარად იფიქრებ? მე არა მგონია.

„მე ვიცი, დავით, ეს ეფრემი სად იბრძვის?
იმ დღეს თქვი, მინსკთანო, ახლოა სადღაცას“.

„ეგ სხვა ჭრილობაა, სხვა სიღრმის, სხვა სიგრძის,
ოღონდ ის გადარჩეს, ვავედრებ მაღლა ცას,
სანაცვლოდ მე მოვკვდე, ვიცოცხლე რაღაცა“.

აღმოსავლეთისკენ ზეცას მზე თანდათან
ფარავდა ნათელით, ალისფრად ღებავდა,
ამ წარმტაც განთიადს ნაღველი ახლდა თან,
სიტკბოს და ბალღამს, რომ ერთ კასრში დღვებავდა.

„ეხ, ჩემო დავითო, ამ ცას რომ გავცქერი,
იქ, ორბოძელასთან ჩვენი მზე სულ სხვაა,
ბერის წყარო ჩვენი, პატარა ჩანჩქერი
მახსოვს და ჩემში ეს, რაღაც სხვა სუნთქვაა“.

დავითმა მოსწია თამბაქო ღონივრად,
,,დიახ, ეს ასეა, იქ შენი ბუდეა,
ეცადე გადარჩე, კარგია ორნი ვართ,
გახედე იქითკენ? მგონი მტრის ზლუდეა,
რაღაცას ლამობენ, ბრმები თუ ვგონივართ,
რევანშზე ფიქრობენ ღამეა თუ დღეა,
აქ ვერ მოგვწვდებიან, ადგილზე მგონი ვართ,
თავს ნუ მოვიტყუებთ, მოვეწყოთ გონივრად!"

აიღეს ნიჩბები, მოჭრილი ბელტები
ჭადართან ორრიგად წინ სხარტად დაიწყვეს,
ვაზნები მუჭა-მუჭ, ლუწი თუ კენტები
შინელის ჯიბეში ჩხრიალით ჩაიწყვეს.

ის იყო წამოწვნენ, ქვემეხმაც იქუხა
ისე, რომ ჭადარიც შეტოკდა წამიერ,
გრძელდება სისხლისღვრა, ჯერ ის ვინ იმწუხრა
გუშინ ვინც დახოცეს იმერ და ამიერ?

ქართველთა ბანაკში ასტეხეს განგაში,
ვინ სად და ვინ როგორ ეძებდა სამალავს,
ვინც ჭკუით იბრძოდა ის იწვა სანგარში,
ვინც არა სხვის ხარჯზე ცდილობდა დამალვას.

მტერს მაინც მხნედ დახვდნენ, დალაგდნენ საომრად,
ცეცხლს ცეცხლით პასუხობს ყოველი მებრძოლი,
არავინ შემკრთალა მტერს უდგნენ საოცრად,
არავინ მშიშარა, არავინ ქვემძრომი.

## 23 თებერვლის
## ბრძოლა ნაშუადღევს

მტერი გააფთრებით, ყველა იარაღით
უტევდა ქართველებს, არაფერს ზოგავდა,
ზეციდან ბომბებით, მიწა ტყვია- ნაღმით
ყოველ ერთ ნაბიჯზე იძვროდა ბორგავდა.

ათობით ქვემეხი ამ მხრიდან, იმ მხრიდან,
ულმობლად აფრქვევდნენ ცეცხლს გრძელი ლულიდან,
''არ დათმოთ ნაბიჯიც, ქედს მტერს ვინ უხრიდა,''
ისმოდა წინ ხაზთან, ხან შუა გულიდან.

ეს ჭექა-ქუხილი ღრუბლიან ცის მსგავსი,
შავი და აზოვის ზღვებამდე აღწევდა,
ცეცხლის ნიაღვარი, გრუხუნი უმსგავსი
მებრძოლთა სიცოცხლეს ლელივით არწევდა.

ვინ არ შედრკებოდა? მხოლოდ ის ვის მკერდშიც
ფეთქავდა სალი კლდის, რკინის ან ქვის გული,
ამ ცეცხლის ქაოსში, ცოცხლები თუ მკვდრები
ეყარნენ მიწაზე ერთმანეთს მიბმულნი.

მტერი არ ცხრებოდა, მთის ნიაღვარივით
მოაწყდა ქართველთა ფლანგებს და წინა ხაზს,
გიორგი აღელდა, აენთო კვარივით.
„ამდენი ლემენცი მე ჯერ არ მინახავს!“

„თითქოსდა მკვდრეთიდან აღდგნენო, გახედე?
ლულა ჩანს, ახლა კი გეტყვით ჩვენც ვარადას,
გატენე თოფი და ცხენივით გახედნე?!“-
დასცეს და მტრის ნალმტყორცნს ალმური ავარდა.

„ეგეც შენ, ეგ ერთი, ათასი სხვა კიდევ,
მაგრამ მტრის განზრახვას მივხვდი მე, მგონია,
აქედან გაგვყრიან!.. ეგ თოფი ამკიდე,
შენც მომყე, ხედავ? მტერს რა ძალა ჰქონია!“
უკეთეს საფართან მიხოხვა ეწადათ,
მაგრამ მტერს გამოცდილს ველარსად გაექცნენ,
პირდაპირ ესროლეს მხოლოდ მათ, ერთ ცალად
და სადღაც ორივე თხრილებში დაეცნენ.

ზემოდან დასცვივდათ მიწა და ტალახი,
დამარხა ცოცხლობრივ ერთიც და მეორეც,
ტანზე შემოეხათ შინელი, ხალათი,
ზედ აწვნენ რაღაცა ფიცრებს თუ ხის მორებს.

გამაყრუებელი ისმოდა კვლავ ზალპი,
სკდებოდნენ ბომბები, ნაღმი და ნაპალმი,
ვინ აღწერს ამ ამბავს, სისხლიან ამ ზღაპრის
დინებას, რა ფუნჯი, რა საწერ-კალამი?

23 თებერვლის
**ბრძოლა ნაშუადღევს**

გადარჩნენ, ფორთხვით და მუხლჩოქვით ამოძვრნენ,
ერთი ფეხს, მეორე წელს ხელით ითრევდა,
დასწვდნენ მსწრაფლ იარაღს, თხრილის პირს წამოწვნენ,
მტერს უნდა დახვედრა, დრო აღარ ითმენდა.

,,ეჭვები მართლდება, რა მწყობრით მოდიან?
ამ ოხრებს, ეტყობა, მოსვლიათ მაშველი,
ვერ გავცდით ვერ იქნა ამ მიწას ცოდვიანს,
ვატყობ მე, აქ ჩვენთვის არ არის საშველი,
აბა ჰა, გიორგი მოიწი აქეთ და
ჩაბღუჯე იარაღს, მოირგე ჩაჩქანი,
ჩვენს ახლოს ყუმბარა თუ კიდევ აფეთქდა,
დაგვღუპავს იცოდე, გონს მოდი, აჩქარდი!“

,,აჰა, მეც აქა ვარ! ვეძებდი შაშხანას,
ლოყაზე სისხლი მდის, რაღაცამ გამკაწრა,
თუ გახსოვს, ღვთის მადლით გადავრჩით შარშანაც,
ისე კი, ბრძოლა დღეს საშინლად გამკაცრდა!“

წუთებში, წამებში შეხვდნენ მტრის იერიშს,
ჩათიბეს რიგები, ტანკებიც გადასწვეს,
მტერსა თუ მოყვარეს სურვილი ძლიერი
აწუხებთ, ეუფლნონ ბრძოლას ამ გადამწყვეტს.

მზის გადახრამდე მათ, ჯერ კიდევ მრავალი
ბომბი თუ ნაღმტყორცნი ჩვენს ჯარებს დაარტყეს,
ქვემეხი ლაფეტით ზოგი თვითმავალი,
ესროდნენ მსხვილ კალიბრს, წრეს კრავდნენ საალყეს.

ძალა ხომ აღმართს ხნავს, დაცვა ვერ მოგვარდა,
რიგები ქართველთა შეთხელდა თან-დათან,
და უცებ შტაბიდან შიკრიკი მოვარდა,
გიორგის ითხოვდნენ მეთოფედ ხანდახან.

ეს ცუდად ენიშნათ, ჩაეკვრნენ ერთმანეთს,
ვინ იცის, რომელი ცოცხალ თავს სად სდებდა,
და მართლაც მხოლოდ თუ იცოდა ღმერთმა ეს,
ყველას ხომ სიკვდილი აჩრდილად თან სდევდა.

დავითი მიბრუნდა, ტენიდა ავტომატს,
ებრძოდა იმ ფიქრებს გიორგის რომ გაჰყვა,
მამაცსო, ტყვიაო არ კლავსო რატომღაც,
კვდებაო უწინ ის, ძრწოლას, შიშს ვინც აჰყვა.

აბა ნუ დახვდები მტერს ვეფხვის მოყმივით
მოვა და შენივე სანგარში შიგ ჩაგკლავს,
ხმა ისმის ბრძანების არწივი რომ ყივის:
„ახლა ვცდით ქართველურ, უშიშარ გულს და მკლავს,
არ შედრკეთ, თუმცა კი გვიტევენ ოთხი მხრივ
მაინც ჩვენ ავუწვავთ ჭუჭყიან უკანალს!“

და მართლაც ბიჭები მტერს მედგრად დაუხვდნენ,
როგორც მათ წინაპრებს სჩვეოდათ ოდითგან,
მაგრამ რა, მოვარდნენ, თხრილებში ჩაუხტნენ,
ეს წინ, და მათ უკან ათასნი მოდიან.

კარგა ხანს ისმოდა ხიშტების, ხანჯლების
ჯახუნი, კვნესა და ვაება მხედრების,
აქა-იქ ეყარა ნალეწი აბჯრები,
მებრძოლნი ზედიზედ, დაჭრილნი და მკვდრები.

23 თებერვალი
**მზის ჩასვლისას**

ჰაერში წითელი შუშხუნა აანთეს,
„დასტოვეთ სოფელი!"– გაისმა ბრძანება,
მიხვდნენ, რომ მტერი მათ სულ მალე წაართმევს
სოფელს, და არ ღირდა მებრძოლთა წამება.
მწყობრად და ქაოსის გარეშე, თავდაცვით
სტოვებდნენ ტრანშეებს, თხრილებს და ნანგრევებს,
გაჰყავდათ დაჭრილნი, ტოვებდნენ გარდაცვლით,
ვინ ხოხვით მიდის და ვინ ბრძოლას აგრძელებს.

მიმოიფანტნენ და მოედვნენ ლელიანს,
ზურგიდან ტირიფის ბუჩქნარიც იფარეს,
ჩქარობდნენ, დამხმარეს არსაით ელიან,
არც ერთი არმია არ იდგა იმ მხარეს.

მტერი კი ესროდა ყოველგვარ ლულიდან,
სად აღარ სკდებოდა მინა თუ ყუმბარა,

მეომრებს იღბლიანს ტყვია გვერდს უვლიდა,
უიღბლომ თავის თავს ვერარა უფარა.

მთავარ ჯარს ზურგიდან ფარად ვინც ეფარა
ხიშტებზე, ხანჯლებზე ულმობლად ააგეს,
ნაჩეხი გვამები აქა-იქ ეყარა
ქართველთა, ბრძოლა რომ დროებით წააგეს.

მზე შუბის ტარზეა, საცაა სულ ჩავა,
დახოცილ მეომრებს დასცქერის ფერმკრთალად,
მკვდრის მზეა, ნისლიც ჩანს ვარდისფრად თუ შავად,
წითელი სარტყელი აკვრია ზედ რკალად.

**25 თებერვლის დილა**
**მზეწვია**

თებერვლის ეს დილაც წყნარი და საამო,
მზემ გაასხივოსნა შორს ამომავალმა,
იღვრება, სურს მხედრებს შარბათად აამოს
სინათლე, რომელიც ვერ ნახა მრავალმა.

იმ ჯარისკაცებში, ტყვია, რომ არ კლავდა
დავითიც მოჩანდა ერთ-ერთი რიგითი,
მამაცი იყო და სიმხნევეც არ აკლდა,
ომამდეც უყვარდა თეთრ ცხენზე ჯირითი.

ყველა ვინც გადურჩა წინა დღის მძიმე ომს,
ახლა ღრმად ჩამჯდარა მიწურში, სანგარში,
ისევ ის იომებს მხოლოდ ვინც ძლიერობს,
ვინც არის ფხიზელი, მტერს უწევს ანგარიშს.

დავითიც ფუსფუსებს, მზად არის მტერს დახვდეს,
წვერს დინჯად იპარსავს, ისწორებს ფარაჯას,
ვაი თუ დაეცეს, ვაი თუ აქ წახდეს,
მტერმა ხომ გუშინაც ზედ გადაალაჯა.

სიკვდილსაც კაცურად დახვედრა რომ უნდა,
ეს უნდა იცოდეს ადამის ყველა ძემ,
იყავი ავაზა, ირემი ქორბუდა,
თორემ მხდალს თან დაგაქვს მუდმივი წყევლა ზედ.

დავითის სანგარს ზედ, კვირტწამოწეული
ეფარა ტირიფის ბუჩქი არც მაღალი,
ტოტები ფაქიზი, ძირს ჩამოწეული,
ხშირ შამბთან ჩანს თითქოს ტყეაო მაღნარი.

მზე შიგ კიაფობდა,მზე მაღლა ასული,
ათბობდა მიწას და ყოველგვარ არსებას,
თვრებოდა დავითი ღრმა ფიქრში წასული,
დილის მზით, ღრმა წუხილს ასე რომ ავსებდა.

უცებ საიდანღაც , თითქოსდა ზღაპრიდან
ტირიფზე შემოჯდა გულჭრელა მზეწვია,
გააბა სტვენა და ჰანგს ჰანგზე აყრიდა,
ეგონათ მეომრებს გამრთობად ეწვია.
,,აქ, ამ გეენაში, ჩიტუნავ პატარა,
საიდან მოფრინდი? ალბათ ღვთის ნება ხარ,
პალმა მშვიდობისა თუ გამოგატანა?
თუ იცის, აქ ასი, ათასიც კვდება ხან.
მომიყევ, სად არის ჩიტუნავ ეფრემი,
ისიც ხომ შენსავით დაფრინავს ნავარდით,
ამიხდეს ოცნება, მქონდეს მეც ეგ ფრთები.
ვიხარო მეც შვილით და ზეცის ლაჟვარდით.
გავხედო ჩვენს მინდვრებს გვირილით შეფერილს,
დამათროს სურნელმა იისა და ვარდის,
გავხედო შავ ღრუბლებს ზეკართან შეფენილს,
ურმის გზას დავადგე ჩემს სახლის კარამდის,
ჩემს გაზრდილ მიმინოს ჭადარზე შეფრენილს,
მოვუხმო და ველზე მწყერს სდიოს მანამდის,
ვიდრე არ დაიჭერს ჭახჭახით აფრენილს.
შევაბა ხარები ჯერ კიდევ ბინდ-ბუნდში,
სახნავად ყევარი, საფარცხად ოროლად,
ხანჯლად მესობოდეს წკრიალი შიგ გულში
ცისკრისას, რომ გალობს ზეცაში ტოროლა.
ვთვრებოდე მიწიდან ადენილ ორთქლით და
გულმკერდს მიგრილებდეს წვიმა გაზაფხულის,
სახრე არ დავარტყა ხარს კვალში დაჩოქილს
მიწა ხომ პურს გვაჭმევს მისგან გადახნული.
მხრებზე შემოვისხა, ჩიტუნავ, შვილები,
დავკოცნო მეუღლის ლოყები ნაცრემლი,

დღეს მე აქ, ვაჟკაცი ძვლებიდან ვიშლები,
მოვკვდები, ვინ არის იქ მათი დამცველი?
ახლა კი გაფრინდი, დასცემენ განგაშს და
ვაი, თუ ლელქაში შენც სისხლით შეღებო,
და ბედიც ჩემი თუ თალხივით გაშავდა,
მე მკვდარი, ამ ველზე ვინ საით მეძებოს?
უკვე დავიღალე, აღარც გიორგი ჩანს,
უფალო იხსენი, ის დედის ერთაა,
ომის დასასრული ჯერ კიდევ როდი ჩანს
ჯერ ისევ სისხლის ღვრა და ხორცის კვეთაა!

ნაცნობი გუგუნი მოისმა შორიდან,
ჭურვი წინ აფეთქდა გავარდნილ მეხივით,
შეტევის ბრძანება როგორც კი მოვიდა,
წამოხტნენ მებრძოლნი შამბნარის ვეფხვივით.

დაიმხეს ჩაჩქნები, ჩასჭიდეს იარაღს,
ეძახდნენ: „ჰკა მაგას! განდევნე! დასძარი!“
სადღაა მზეწვია, მეომრის იარას
სისხლი სდის ჯერ ისევ, და ჰა, კვლავ ხანძარი.

**1943 წლის 25 თებერვლის დილა**
**სიზმარი**

და უეცრად, დასავლეთის ნათელ ცაზე
შავ ღრუბლების სქელი ფენა აიშალა,
ლურჯი ზეცა ერთ საათში ფრონტის ხაზზე,
მუქ ფერებით მზესთან ერთად წაიშალა.

გამხმარ ლელში, ტირიფებში ცივი ქარი
აქეთ-იქით ტყვიასავით სისინებდა,
ბრძანებებით კურიერი მიიჩქარის
ლაშქრეულში, ბრძოლის წინ რომ ისვენებდა.
მარცხის გრძნობა ვერსაით ვერ მიიჩქმალვის,
მეთაურებს არაფრით არ ასვენებდა.

ჩამობნელდა, თოვლის მსხვილი ფანტელებით
ცა დაეშვა, თოვდა ყინვით, თოვდა მშრალად,
ქარი, ქარი ზუზუნებდა გამეტებით,
სადღაც მყოფნი ჭილყვავებიც წამოშალა.

ბრძოლის ველი გადიფრინეს ჩხავილით და
შავნი იყვნენ, როგორც კუპრი, როგორც სევდა,
როგორც წინათ, მათი გუნდი ჩაივლიდა,
ქართველ კაცსა მძიმე ფიქრებს თავს ასევდა

გააყოლა დათამ თვალი ყვავების გუნდს,
და ენიშნა რაც ესიზმრა გუშინ მძინარს,
ვიღაც ბნელში ზედ ადებდა წამების ხუნდს,
ხრამთან იდგა, ფარფატებდა, იდგა ძლივას.

„ჩვენს მინდორში ჩემი ცხენი ჯეჯილს სძოვდა,
დროდადრო კი ნაშალ მიწას თხრიდა ტორით,
ხან ყალყზეა, ლაგამს ხრავდა, წყალსა მთხოვდა,
დასდიოდა გულმკერდიდან სისხლის ტბორი.
მწყუროდა და ვერ დავლიე, მზეც ჩავიდა,
პაპაჩემი სარსა თლიდა, სად წავიდა?
ზეცა იყო ხან წითელი, ხანაც შავი,
ეს სიზმარი ღმერთო იყო რის ნიშანი?“

და უეცრად რაღაც ფიქრმა გაუელვა,
ტანში ცივად, ხანჯალივით გაუარა,
სიკვდილია, გული ამან აუღელვა,
მას რომ ბევრჯერ, დღემდე გვერდით ჩაუარა.

შეეშინდა, ჩაიმუხლა, თოფის ლულას
მარწუხივით მოუჭირა ორთავ ხელი,
—„ოჰ, რამდენმა აქ სიცოცხლე დაასრულა,
რამდენს დარჩა სათქმელი თუ გასამხელი,
ოჰ, უფალო, მომანიჭე ძალნი სრულად,
იქნებ განვვლო სიკვდილის ეს შავი ხვრელი,
ლოცვა ჩემი არ გადმექცეს წყევლად, კრულვად,
გამიმაგრე ბეწვის ხიდი გასასვლელი“.

### 1943 წლის 25 თებერვალი
### ბრძოლა კალაბატკისთვის
### შენ უნდა გადარჩე

ჰა, წუთიც და შავი ზეცა სასიგნალო
შუშხუნებმა მწვანე შუქით გაანათა,
სოფლამდე გზა ჯარმა უნდა სისხლით განვლოს,
და სოფელიც მტერს რომ გუშინ გაატანა.

,,შეტევაზე! არწივებო, აიშალნეთ,
დავიბრუნოთ კალაბატკა თუნდაც სისხლით,
შეერიეთ სქელ ყამიშებს, გაიშალნეთ,
დღეს იყავით უფრო სწრაფნი, უფრო მკვირცხლნი!
გახსოვდეთ ქართველნო! ისა ხართ ვინც ყივჩაღს
ხმლით ჩეხდა მუხრანთან, ქვიშამდე ცხენს და კაცს
მათი ვართ შვილები, ნაკლი ვის რა გვიჩანს?
ვანთებდით მაშინ და დავანთებთ ცეცხლს აქაც!
მომყევით!პირველი სიკვდილს მე შევხვდები,
როდის გვიღალატა მკლავმა და მაჯამა?
ფიცხელ თუ შევუტევთ, თუ არ შევფერხდებით
სირცხვილს ჩამოვიბანთ,გუშინ რომ გვაჭამა!
ჩემო ჯარისკაცნო! მტერი თქვენს წინ არის!
და მისი აბჯარი თქვენ უნდა ამტვრიოთ,
ვაშა მას! ვინც შევა ამ ომში მღიმარი,
ვინც გადაევლება ციხესა ბახტრიონს!“

დავითი წამოხტა, ვერა სცნობს წინამძღოლს,
ვიღაცა ხრინწი ხმით გასძახის სივრცეს ვრცელს,
’’ვინ არის? ბუდიდან ხმალ-ხანჯალს ვინ ძრობს?
წინ რომ მიუძღვება მებრძოლთა ღრიანცელს?’’

როგორც კი თხრილიდან ახტომას ეცადა,
ვიღაცა ხით-ხითით დავითთან ჩაცურდა,
,,დავითო, როგორ ხარ?! მოსვლა კი მეწადა,
ვერ შევძელ!.. მტერი დღეს მიიღებს რაც უნდა.

,,გიორგი, შენა ხარ?! როგორ გამახარე,
მეგონა იმ დღიდან ვეღარა გნახავდი,
მოდი მოგეხვიო, თავი ძირს დახარე,
იმედი მქონდა, მკვდარს, შენ თუ დამმარხავდი“.

,,ჯერ მტერი დავმარხოთ, დათიკო ძია, და...“
ეფერნენ ერთმანეთს ცრემლიც კი დასცვივდათ,
თანამესანგრეთაც ღრმად ჩაეძია და...
,,მომყევით!“ ვიდრე ეს ჟინი არ გაცივდა!..

,,აბა, ჰა, ღმერთო მე შენითა, შიშმა ვერ
განაძოს სიკვდილი, რაც არის, ეგ არის,
ვინც შეჭამს ლამ-ქვიშას, დამარხავს ქვიშავე,
აქ უნდა ყიოდე უზანგზე შემდგარი!“

ხელები მომუშტა, დავითმა სანგრიდან
ეს ხმები განწირვის ჟამს ამოაქუხა,
ამოხტა, ეკვეთნენ, გადმოხტნენ აბჯრიდან,
და ღმერთმაც მათთვის ეს, ეს ბრძოლა აკურთხა.

ხიშტიან შაშხანებს იქნევდნენ მსუბუქად,
გულგაღეღილები ხელჩართულ ბრძოლობდნენ,
თვალნათლივ ჩანდა თუ მტერს ვინ სად უფუქა,
თხრილებში ხტებოდნენ, ჩეხავდნენ ბოლომდე.

ბევრ მათგანს ნასისხლი სახვევი უჩანდა,
თვალს მაინც სტამბოლის კაჟივით კვესავდნენ,
ყვიროდნენ ''ვაშას'' და მტერი სად თუ ჩანდა.
ნიაღვრად ნაქცევნი იქ სიკვდილს თესავდნენ.

ისმოდა გინება მამისა, დედისა,
ჯახუნი ხიშტების, დანების ტრიალი,
მოჰქონდა ქარს ხმები მხედართა ხვედრისა,
დაჭრილთა კვნესა და მხეცივით ღრიალი.

ქართველთა ზურგიდან ნაღმტყორცნი უშენდა
მტრის სანგრებს, შველოდნენ ბრძოლით წინ დინებას,
შტაბებში ნაფიქრი უმწიკვლოდ თუ შედგა,
სძლევენ მტერს და ცოტაც ღმერთმაც თუ ინება.

„აბა ჰე, ქართველნო, ნაქებნო მხედრობით,
დავცხოთ მათ მახვილი, ვუწიოთ ვადამდე,
არ შედრკეთ, ჩვენ ხომ ჯერ იმათ მხრებს ვეყრდნობით,
ვინც ჩვენი სამშობლო ადიდა აქამდე!“

მებრძოლებს სიმხნევით გულგადაღეღილებს,
გულმკერდით მიჰქონდათ შეტევა გოროზი,
აფრთხობდნენ მტერს, როგორც ალალი, ბეღურებს,
წმენდავდნენ ტრანშეებს, აძვრენდნენ სოროში.

ალესილ ხმლებს ჰგავდნენ დათა და გიორგი,
პრიალა პირებზე საშიში ფხა რომ, აქვთ,
ატეხდნენ რისხვას მტერს, არწივის თუ ორბის,
ნადავლის ბუმბული ქარს მინდვრად რომ გააქვს.

მისდევდნენ მტერს კვალში, ომობდნენ მხარდამხარ,
სიცოცხლე, სიკვდილი მათ აღარ ახსოვდათ,
ერთმანეთს ''როგორ ხარ '' ეძახდნენ ხანდახან,
სულით ცად მაღალნი, სხეულით ახოვნად.

წმენდავდნენ ძელმიწურს, ტრანშეებს, მიწურებს,
გამძაფრდა ქარცეცხლი არა თუ მინავლდა,
მიაწვნენ მტერს მძლავრად, სოფელთან მიწურეს,
ომობდნენ, ფეხქვეშ კი მიწაც კი გმინავდა.

და აი, დავითს აქ, ბედისგან ნასროლი
მოშლილ ძელმიწურთან ქვა წამოეწია,
,,ლემეცი‘‘ დაჭრილი იღებდა ხმას როდი,
წუთით ,,შმაისერით‘‘ ძლივს წამოიწია
გამოჰკრა ჩახმახს და ვერაგს გავს ის როდის?
ქურდულად როცა კლავს, ეს ომში იციან.

გიორგი მკლავში სწვდა დაჭრილს და დაჩეხილს,
ფრთხილად დააწვინა მუხლზე დაჩოქილი,
ბოლმას ვერ ერევა ყელში ძვლად გაჩხერილს,
ტანში აბურძგნული, თმებით აქოჩრილი.

ჩაფხუტი მოხადა თავქვეშ ამოუდო,
შინელიც შეუცურა ოთხად მოკეცილი,
აქ სდ შეაფაროს ადგილია უნდო,
ასე ახლობელი, ტყვიით მოცელილი.

ცხვირიდან ჟონავდა სისხლი ალისფერი,
შევერცხლილ ულვაშებს წითლად უღებავდა,
სახეს ედებოდა ყვითლად ჩალისფერი,
არაამქვეყნიურს ნიშნით უკვე ჰგავდა.

ღილები გადაუხსნა, დაფლეთილ მკერდიდან
სისხლი შავ წვეთებად ჯერ კიდევ სდიოდა,
ნანობს, რომ ეს ტვირთი ბოლომდე ვერ ზიდა,
რომ უკვე სიცოცხლის ზღვარს გადადიოდა.

,,აბა ჰა, გიორგი, შენ უნდა გადარჩე,
ეს ღმერთმა ინება სამშობლო ვერ ვნახო,
და ჩემი უბრალო საფლავიც არ დარჩეს,
მობრუნდი ბიჭო და აქ უნდა დამმარხო,

სახლში კი ჩემს ოჯახს უამბობ დანარჩენს.
ეფრემის სურათი მათ იქნებ ანახვო,
ჩემს სისხლში გავლებულს თუ ვინმე გაარჩევს,
ვაი, რომ კვლავ აღარ, მინდორსა თუ ახოს
ჩემი გუთნის კვალი აღარსად დააჩნდეს,
მე ველარ ვაზროვნებ... აქ დგანან ხომ ახლოს,
ჩემი პატარები ვანო და თინათინ,
უმცროსი ბიჭი და.. ოხ, მე ველარ ვნახო,
ესოდენ ძვირფასნი და ჩინი სინათლის,
გიორგი, ვკვდები და ეფრემი თუ ნახო
თუკი გადარჩება იზრუნოს იმათთვის!.“

ჩქარობდა კვნესით და ვაებით ამოთქვა
ვიდრე ჩაქრებოდა სიცოცხლის სანთელი,
კვდებოდა მხედრულად, არ იყო ეს მოთქმა,
არ ჰგავდა დათრგუნულს და მტრისგან გათელილს.

კვდებოდა იმ ძველი ქართველის სიცოცხლით
მარაბდას, მარტყოფს და კრწანისს რომ შესწირა,
მტერს ჩვენი მიწიდან რომ ჰგვიდა იმ ცოცხით,
გამარჯვებულს რომ ხელთ ეპყრა მეტწილად.

კიდევ ერთ ქართველის სული ცას, სისხლი კი
თვალუწვდენ რუსეთის შავ მიწას შეერთო,
გიორგიც უზომოდ გულადი, ფიცხიც კი
უფროსი მეგობრის სიკვდილმა შეაკრთო.

ყურები უწივის, უროა თუ გრდემლი,
იქნებ თვითონ არის საწრთობი ლითონი?
ატირდა, დასდინდა თვალთაგან მგლის ცრემლი,
ახრჩობდა ბოღმა მას ვით გველი პითონი.

ერთ-ერთი სერჟანტი მოიჭრა, ჩერდება,
მწუხარე ჯარისკაცს სიფრთხილით ხელს დაჰკრავს:
,,ადექი გიორგი, შეტევა ნელდება,
ვინ იცის მეგობარს ვინ როდის დაჰკარგავს,
დღეს, ხვალ, ჩვენც ვინ უწყის შევაკვდეთ ეგება,
ამ ომს და ეგ ცრემლი მხედრულს სულ არ ჰგავს“.

ერთად გადაეშვნენ ბიჭები ყიჟინით,
ამ ულვთოდ დადენილ სისხლის ტბის მორევში,

უტევდნენ, აფრთხობდნენ მტრის რიგებს იმ ჟინით
რაც მამებს სჩვეოდათ დამპყრობთან ომებში.

თვალთაგან ცეცხლს ჰყრიდნენ, ცელავდნენ ვით ბალახს,
ჯიქური სისწრაფით, ლომგულით, მგლის მუხლით,
აჭმევდნენ მტერს უხვად ჭაობის მწვირ ტალახს,
ნიავქარს გაჰქონდა შორს მათი წუხილი,
ველი დაამსგავსეს რაღაცა დიდ სამარხს,
შეცვალეს დღე ღამით, ნათელი მიმწუხრით.

**პირველი ბოლოთქმა**

ამ სასაკლაოზე მრავალნი დაეცნენ,
ძენი ადამისა მტერიც და მოყვარეც,
შესცოდეს ღვთის წინ და რისხვას ვერ გაექცნენ,
ქვეყნები ძირ-ფესვით ასე რომ მოთხარეს.

ასე ტბად, ასე ზღვად, სისხლი არ უღვრია
არც მაკედონელს და თემურლენგს, ჩინგისხანს,
ისინიც, ესენიც ღიმილით, გულღიად,
ხოცავდნენ, ჟლეტავდნენ ვინ მეტს და ვინ დიდ ხანს.

ვერ მისწვდნენ ცაზე მზეს, თორემ ძირს დასცემდნენ,
თოფებს და ზარბაზნებს ისე ღრმად ტენიდნენ,
დედის რძით გაზრდილნი ბაძავდნენ მტაცებლებს,
ცოტაც და პირს მიწით გამოიტენიდნენ.

მეცხრე ცას სწვდებოდა ტანჯულთა გოდება,
მაიდანეკი, დაჰაუ, გულაგი...
კითხვები ურიცხვი საყვირლად გროვდება:–
რამ შობა ეს ჭირი, ეს მგლების ბუნაგი.

დრო ანტიქრისტესი, დრო იყო სატანის
ევროპა-აზია, ცოტა თუ გადარჩა,
ჩადენილ ცოდვათა საფლავში ჩამტანი
ვინ იყო? არავინ, ის ჩვენთან, აქ დარჩა.

ვინ თქვა, რომ დრო არის ტკივილის მკურნალი?
მაშ, რატომ მტკივა დღეს კრწანისი, მარაბდა?
ჯალალედინი და აბასი, მურვანი,
ქართველთა სისხლით, რომ თვრებოდნენ მარადჟამს!

დრომ არ დაივიწყოს, და არც კაცთა ხსოვნამ
ბრძოლა სტალინგრადის, ქერჩი და ტამანი,
თორემ კიდევ მოვა სადღაც მგელთა ხროვა,
თავში ჩაუდგება შლეგი ატამანი,
მიწას დაატყდება უფრო დიდი გლოვა,
იქნებ აღარც დარჩეს კაცთა ნატამალი,
და თუ გაისროლეს წყალბადი, ატომი,
გაქრეს შეიძლება მრავალი გვარ-ტომი.

ვაგლახ! კაცთა კვლა კვლავაც გრძელდება,
არც ბოროტება კაენისა არა ძველდება.
ვერც ვერავინ იტყვის ჩაეგება მახვილი როდის,
რადგან, მიწაზე დამკვიდრების ძნელი დრო მოდის.

### მეორე ბოლოთქმა

იდგა გაზაფხული, მარტი თუ აპრილი,
ერთ დილით აყეფდა მურია წკავწკავა,
ვინ არის? კართან დგას წელში ჯოხგაყრილი —
ფოსტალიონია კარდაკარ წანწალა.

ცხენი გამოაბა ღობის მსხვილ მარგილზე,
ძაღლი ზედ აწყდება გაცოფდა, გაანჩხლდა,
ჩამოჯდა კუნძებზე აქა-იქ დაყრილზე,
მაღლა ამოყარა რაც ფოსტა გააჩნდა.

მან ჩემს დას, თინათინს გადასცა უწყება,
აუშვა ცხენი და გაგვშორდა ჩქარ-ჩქარა,
რას გვწერდნენ მხოლოდ მან ალბათ თუ უწყოდა,
ლაგამი პირუტყვს, რომ სასწრაფოდ ჩასჩარა.

ძლივს კვნესით შემოჯდა ძვალ-ტყავა ულაყზე,
საეჭვოდ გვიყურა წარბების ქვეშიდან,
დამსკდარი თითები გადისვა ულვაშზე,
თვითონაც დაჭრილი ძნელად რომ ხელს შლიდა,
,,ოხ, მეო‘‘, ცხენს დაჰკრა, დაანთო კრულვა ზედ,
ჭენებით წავიდა, აღარც კი შეშინდა.

ჩვენ გამოვიქეცით, დედა წინ შემოგვხვდა,
,,დედაო, დედიკო, წერილი მოვიდა‘‘.

„ნელა, არ წაიქცეთ, ვინ იყო, რა მოხდა?
აქ მოდით მაჩვენეთ, ნუ ყვირით შორიდან“.
ნახა და გულიდან ის ოხვრა აღმოხდა,
რომ ამოსდიოდა ერთს, ყოველ ორიდან.

სკამზე ძლივს ჩამოჯდა მუხლფეხმოკვეთილი,
მანდილი მოიხსნა, აუტყდა ქვითინი,
ლოყას არ იხოკდა უხმო და კეთილი,
ავტირდით ჩვენც მწარედ მე და თინათინი.

წვიმაც წამოვიდა, ჩვენ გულში ჩაგვიკრა,
მამა აღარ გყავთო, ომში დაღუპულა,
მოვიდა თამარაც, ჩვენ რამე არ გვითხრა,
დედას ნუგეში სცა წვიმით გალუმპულომა.

მოსულა ჩემი ძმაც, ვიტირეთ ერთად ჩვენ,
მეგონა ესმოდათ უსულო საგანთაც,
ფრთა მომტყდა, ჩიტივით ნავარდით მე ნაჩვევს,
ფიქრით რომ აქ ვიყავ, ხან იქ და ხან სადღაც.

იმ დღიდან გვატარა სუსტ მხრებით დედამ ჩვენ,
მხოლოდ ერთს შესთხოვდა ღმერთსა და მაღლა ცას,
მფარველი კალთის ქვეშ ვყოლოდით ჩვენს გამჩენს,
შესთხოვდა  წყალობას, ალბათ სხვა მრავალსაც.

### მესამე ბოლოთქმა

გავიდა ის წელიც ლოდივით მძიმე და
ცრემლების, წუხილის, გლოვის და ვიშვიშის,
სოფელი ცხოვრობდა მომავლის იმედად,
ჭირ-ლხინი გაჰქონდათ ერთად და ვის, ვისი.

მაგრამ ქვაზე მძიმე უფრო ვაებისა,
თურმე კარს მოგვადგა სხვა წელი ახალი,
ნაცვლად სიხარულის, ნაცვლად ხარებისა,
ჩვენთვის თოფი იყო გულმკერდში ნახალი.

მფრინავი ჩემი ძმის დაღუპვის უწყება
შავ ღრუბლის მეხივით ჩვენს ოჯახს დაეცა,
საბრალო დედაჩემს ილაჯი უწყდება,
ბედს სწყევლის ამასაც, რომ ვერსად გაექცა.

დაიდო მუხლებზე სურათი ქმარ-შვილის,
მდუღარე ცრემლებით მათ ლანდებს დასტირა,
საყვედურს უგზავნის გამჩენს თმებგაშილი,
ეფრემი ჯერ ოცის, ასე რომ გასწირა.

მოთქვამდა ხმამაღლა შავებში ჩაცმული,
ცრემლები გაუშრა ხანგრძლივი გოდებით,
უილბლო, მწუხარი და ბედით ჯვარცმული
ტიროდა, ცალუღლად შევძლებო როდემდის.

გარეთ იანვარი, გარეთ ქარბუქია,
ფანჯრიდან ვუყურებ ნამქერის ბორილას,
ცრუ წუთისოფელზე კაცს თუ რამ უთქვია,
დღეს ჩვენგან იქამდე, არც ისე შორია.

მოაჯირს დააჯდა ბეღურა ეული,
აშლოდა ქარისგან წვრილ-წვრილი ბუმბული,
ეძებდა საკენკს და უთრთოდა სხეული,
მშველელი ვინ იყო? არავინ სულდგმული.

მესმოდა ქარის ხმა და დედის გოდება,
ცრემლი მეც მცვიოდა თვალთაგან მდუღარე,
ოჰ, როგორ განიცდის, რა მწარედ ღონდება,
რა ნაღვლიანია, როგორ მწუხარე.

**მეოთხე ბოლოთქმა**

იმავე წელიწადს სოფელში მოჰქონდათ
ფრონტიდან ცნობები ხუთ-ხუთი, ათ-ათი,
ცნობები, ლოდების სიმძიმე რომ ჰქონდათ,
ჰაერში, ფრინავდნენ ღამურის ფარფატით.

ხან სოფლის თავში და ხან სოფლი ბოლოში
ხვდებოდნენ მცხოვრებნი სიკვდილის მაცნეებს,
ამბები ყველა კაცს ძვლებიდან რომ მოშლის,
ჭორი თუ მართალი ადგათ რაც მათ ენებს.

იანვრის დასასრულს პაპა ივანემაც
შეიტყო, ჩამქრალა გიორგის ვარსკვლავი,
ვაზების სარს თლიდა, თავი მიანება,
ძირს ჩამოუვარდა ბერიკაცს მხარმკლავი.

მტერს მისი განცდები, დუშმანს ის წუთები,
როგორიც ამ მოხუცს მეხივით დაატყდა,
ჯეჯილის მომყვანი, შემბმელი გუთნების,
მოჭრილი ხესავით მიწისპირ გადატყდა.

სახლამდე ძალისძალ მივიდა ლასლასით,
იმ ღამეს ცოლქმარმა ზღვა ცრემლი დაღვარეს,
ნისლივით ებურათ ფიქრები ათასი,
ალვის ხე, რომელიც დარგეს და აზარეს,
ვაჟკაცი, გაზრდილი მოხუცთა კალთაში
სად არის? მათ გულებს ვინღა გაახარებს?

გმირულად იბრძოდაო, იყოვო მამაცი,
დნეპრი გადულახავს ტივით და ბორანით,
საჭურველს ყოველგვარს მისგან იქ გადაცლილს
ვერ დაიტევდაო ათასი ფორანი.

შემდეგ კი ყოფილა კიევი, ბოსოვკა,
მოსისხლე მტერი ერთ ნაბიჯსაც არ თმობდა,
გაჩაღდა შეტევა, როგორიც მოსკოვთან
მომხდური უქუდოდ უკან რომ გარბოდა.

როგორც იქ, ძაუგთან დალაშქრა უშიშრად
ყიზლარი, ბევრი სხვა, თერგი და ტამანი,
დნეპრზე აქ, სარდლობამ იმსჯელა და ნიშნად,
გმირად სცნო ასეთი ურჩი და თამამი.

აქ იყო გაშლილი სიკვდილის კალო და
მხედრები ერთმანეთს ლეწავდნენ ჩექმებით,
მრავალი ჩაიხრჩო, ბევრის დღე დამოკლდა
ერთურთში საჭურვლის, აბჯარის ხეთქებით.

გათქერეს მუხლებით ცოდვილი მიწა და
სოფლები, ველები აქციეს უდაბნოდ
სწორედ აქ, გიორგი ამ ველზე იწვი და
კვდებოდა დაჭრილი, ვაჟკაცი უბადლო.

განვლო დრომ მრავალმა, სადღაა დედ-მამა,
დაჟანგდა სახნისი და ვაზის სასხლავი,
არც მათ და არც თვით ამ უებრო მხედარმა,
ვერ ნახეს ცოცხლებმა გმირობის ვარსკვლავი.

სოფელშიც დღესაც დგას გიორგის სახლკარი,
ბუხარი პატარა და ჭრელი აკვანი,
ის შორს არ წასულა, ომშია , აქ არი,
აქ დღესაც გაისმის ტყვიების კაკანი.

აქ დღესაც არწივთა მრავალი ბუდეა,
ბევრ მათგანს ვიხილავთ მწვერვალზე შეფრენილს,
ეგ ჩვენი ჯიშია, ეგ ჩვენი ზღუდეა,
მრავალი გიორგი, დავითი, ეფრემი.

მეხუთე ბოლოთქმა

მე, მარმარილო გავთალე, მოვავლე შავი არშია,
ზედ დავახატე დედ-მამა, ძმა შავ ფიქალზე თავშია,
პოლონეთამდე მიფრინდა, საფლავი ვაშლოვანშია,
თვითმფრინავით და ჩაფხუტით ამოტვიფრული ქვაშია,
მგონია, მოდის მოფრინავს, შორი გზა აქვს და გზაშია,
მამაჩემს ჩემგან უნახავს ფიქრი მუმლივით აშლია,
დამწვარ გულ-მკერდზე დედაჩემს თმები კალთამდე ჩაშლია
ნატანჯი, ნაამაგარი ახლაც ქმარშვილის ცდაშია,
ყოველ აღდგომას საფლავთან, როგორც კი ტაბლას გაშლიან,
იმდენი რამე მინდა ვთქვა, რამდენი ქვიშაც ზღვაშია,
იმდენი რაც ვარსკვლავები ღამით მოწმენდილ ცაშია,
იმაზე, რაც მდევს ფეხდაფეხ, რაც კი ჩემს უკან კვალშია,
სულიერება მას შემდეგ რაც ჩემი, ცეცხლის ალშია,
დასმული დაღი ჩემს დღეებს, ჟამთა სვლით, რომ არ წაშლია.

მეექვსე ბოლოთქმა
დედას

გადის დრო, წლები გროვდება, როგორც ზეცაში ღრუბლები,
მისდევ-მოსდევენ ერთმანეთს, როგორც შებმული ურმები,
მიაგორებენ ჩვენს ჭირ-ლხინს ბორბლების მძიმე ჭრიალით,
ჩვენც მივსდევთ ჩვენი ბედ-იღბლის წაღმა-უკუღმა ტრიალით.

სოფლის აღმართს და ბილიკებს მივყვები მე, შენს საფლავთან,
შენს სახსენებლად მუხლს ჩავხრი, შენთვის გაფენილ ტაბლასთან,
ავიღებ ჭიქა ღვინოს და ზედ ძუძუმკერდზე დაგაღვრი,
მუხლებზე, მხრებზე, მკლავებზე ჩემი ტაატით გადაღლილს.

საფლავის ქვიდან მიყურებ სევდით აღვსილი თვალებით,
ბედი რა ხვედრსაც გვარგუნებს ვერსად ვერ დავემალებით,
ეგ იყო შენი წინაპრის ვალი უხსოვარ დროიდან,
შვილი გაზარდო, გაჩეხოს მტერი მოსული შორიდან.

რა ულვთო ტანჯვას უძლებდი, რა კევრის მხრებზე ტრიალსა,
რამდენჯერ შემოგისწარი კარს უკან ჩუმად მტირალსა,
მაგრამ არ გადატეხილხარ, როგორც ქარიშხლით ლერწამი,
ვერ მოგერია ამ სუსტ ქალს დრო კალოსავით მლეწავი.

ობლებსა ზრდიდი ნამუსით, ათასი ჭირით, ვარამით,
რომ პურის ლუკმა ჩვენ არც ერთს არ გაგვეღეჭა არამი,
ებრძოდი დროს და ბედ-იღბალს, ევედრებოდი ღმერთს შველას,
ღრმად გვინერგავდი სიკეთეს, აუმღვრევლობას, ჩვენ ყველას.

მსუბუქი იყოს ეს მიწა, შენთვის ეს შავი ფიქალი,
რამდენი რამე თან გაგყვა, რამდენი რამ ნაფიქრალი,
მე, ჯერ აქა ვარ, რომ შენი ვატარო მძიმე წარსული,
ვევედრო გამჩენს ნათელყოს, სული ცად შენი ასული.

**მეშვიდე ბოლოთქმა**

„მრისხანე ბრძოლებზე მსურდა დიადი სიმღერა მეთქვა“
ოვიდიუსი

საშინელ ბრძოლებზე ვწერდი მე, სიმღერებს,
იმ ჯარისკაცებზე, იქ თავს ვინც სწირავდა,
ვცდილობდი, ვხატავდი, ვეძებდი იმ ფერებს
როგორც ზღვა, იმ ბიჭებს ფსკერზე რომ სძირავდა.

რა აღარ თქმულა ამ ულვთო განსაცდელზე,
ვის აღარ უთქვამს რა, ვის აღარ უცდია,
მეც მსურდა მეთქვა რამ მძიმე საცადელზე,
როგორიც კაცთ მოდგმას ჯერ არ განუცდია.

შეწევნა ღმერთისა, მას ვინც უფრო კარგად
იმღერებს გმირებზე საზარელ ომების,
ვინც უკეთ აღწერს და დიდ ტილოს მოქარგავს
ალმასის მძივებით ან საფირონებით.

შემინდე, უფალო, მე გთხოვთ თქვენც შემინდოთ,
ვაჟკაცნო, გულადნო რკინას რომ კვნეტავდით,
ძვლები რომ მოჰფინეთ ომებში ველ-მინდორს,
ტამანს და დარიალს მკერდით რომ კეტავდით,
თუ რამე ვერ ვუთხარ კარგი რამ ძნელ იმ დროს,
ვაგლახ მე, დამამშვრალს ნუგეშს მცემს, ნეტა ვინ ?

ვლ. ბერუაშვილი

1984-2004 წ.წ.
გემშვიდობები

მე, შორი მგზავრის ტოგა მოვისხი,
ჩემი დრო დგება გამოგეთხოვო,
ისე დაგშორდე, ვალი არ გამყვეს,
ჩემგან სხვა მსხვერპლი არ მოგეთხოვოს.

გიტოვებ ლირას, უზენაესმა ციდან
ჩემთვის რომ გამოგატანა,
ერთ სიმს შენ ფლობდი, მეორე დემონს.
მესამეზე კი იჯდა სატანა,
თქვენმა ტრიადამ, მწვალებელმა რომ
ჩემს უბედო გულს დღემდე გასტანა.

გემშვიდობები ო, ჩემო მუზავ.
შენ, მარადიულს და მუდამ ცოცხალს,
მე, ერთი ვინმე, შენ რომ შეგახმი
როგორც სიმწიფით ნაყოფი მოცხარს,
შენ, რომ შეგწირე ჩემი არსება
და ეჭვი გულში ჭიად რომ ცოცავს.

მზე ჩემი ჩადის, მკლავს სინანული
და განშორების შენთან, წუხილი,
რომ მაგონდება ჩემთვის რომ იყავ
ხან ნაზი ია, ხან ცის ქუხილი.

ძლივსღა ვიგონებ, შენი პეშვიდან
ტკბილი ბადაგი მე როდის შევსვი,
რომელმაც შენთან მე შემახვედრა,
როგორც კალიფსო და ოდისევსი.

გამომატარე ხმელეთი და ზღვა,
სირინოზები, ნერეიდები,
ამ მეჩეჩიან ნავთსაყუდელშიც
არ ჩანს საჩემო გემთ რეიდები.

ჩემს გულში გქონდა შენ ღრმად გადგმული
როგორც ალვის ხეს, როგორც წნორს ფესვი,
და შენი ნებით ზედ მადგა ჩრდილი
ბაკქელ ქალთაგან მკვდარი ორფევსის.

რამდენჯერ მითქვამს — არ მოეგზავნე
ღმერთს ფრთებიანი ცის სერაფიმი,
ტყვილად მაწამე, ოლიმპოს მთაზე
როგორც ბევრი სხვა, ვერც მე ავფრინდი.
ო, ჩემო მუზავ, იქ მოდიოდი
სადაც ბულბული ღამეს ათევდა,
სდაც მაისის მთვარის ღამენი
შენთან მრავალი ფიქრით გათენდა.

მეც მოვდიოდი სადაც მელოდი
იასამნის და იის კონებით,
იქ, სადაც ენთო ალი მთიების
და ცხელ ივლისის მზის კოცონები.

გეფერებოდი, როგორც სიყრმის შვილს,
როგორც ჩემს გულში შემოჭრილ სატრფოს,
ერთგულება  და სიყვარული ხომ
ადამის ძეთა ბანგივით ათრობს.

სათიბი ყანის და გვირილების
ნამი შეგვისვამს, ჩემო ფერიავ,
ერთად გვიტოპავს ჭაობ-ჭანჭრობი,
თავზე არწივიც გადაგვფრენია!

რამდენჯერ ერთად თავს დაგვდგომია
ცისარტყელა და ციდან არილი,
ერთად გვილოკავს შეწირულ სანთლის
წვეთი და ბატკნის საღვთო მარილი.
ჩვენ ერთად ვსვამდით ლიახვის ფშანებს,
ცხრამურისა და ბერის წყაროებს,

გვეპოვა ჭადი, ან ლუკმა პურის
ერთად ვქექავდით მარნის თაროებს.

ცრემლით ვიგონებ, როცა მე, მოზარდს,
ჯამში ტკბილ-მწარე ღვინო დამისხი,
ძილში კი, ჩუმად, უბის ძველმანში
მოლაღური და შაშვი ჩამისხი.

ცრემლით ვიგონებ, იმ წლებსაც როცა
მე და შენ ტანზე ნისლი გვეხვია,
ბნელში ვიგნებდით უფლისკენ გზას და
ვცდილობდით უკან არ დაგვეხია.

არა გვწყალობდა არცერთს ფორტუნა,
რამდენჯერ თავიც გაგვიწირია,
ამქვეყნიური ყოფნა-არყოფნაც
მუზავ, ჩვენ ერთად დაგვიტირია.

დუხჭირმა დრომ და საღვთო გზის ძებნამ
ტანს ხავსი მომდო და დამაბერა,
მაცოცხლა, მუზავ, აქამდეც შენმა
ცოტა წყალობამ და განა ბევრმა.
გემშვიდობები, ო , ჩემო მუზავ,
მე, მდგარი უკვე სამარის პირას,
ცოცხალი, თუ მე, თავისად არ მცნეს,
სიკვდილის შემდეგ, შენც ნუ გამწირავ.

ერთად ვიდექით ბედის სასწორზე,
და შენ დასძლიე მიწამდე პინას,
შენ იყავ მაინც ჩემი მეოხი
ცისა ქვეშ სადმეს დამედო ბინა!

მშვიდობით, მუზავ! როცა დრო მოვა,
როცა გაშლიან ტაბლას სამარხოს,
ფუჭი თუ იყო ეს ყოველი,
გთხოვ, ჩემი ჩანგი ჩემთან დამარხო.

14 დეკემბერი, 2009 წელი, თბილისი

# სარჩევი

მამულო!....4
გვირგვინი მომაქვს....4
***გორში, პოეტს და რედაქტორს ....5
ელია ....6
ზეცის გზა....7
ცხრამეტის გახდები....7
ჩემო წკრიალქნარო....8
გელიყარის კლდე....9
ლიანა და მოცარტი ....10
ბაიკალთან....11
ჩიტებო!....12
***ხშირად, უცნობ რაღაც ჟინით....12
ბერიკაცები ....14
იებო!....14
***არ იყო მაშინ აქ ბაღი და ვენახი....15
წყაროვ, ნუ დაშრები ....16
გაგრის პლაჟზე....16
„კალია“ ტრაქტორი „მე მათ არ გავყე“დედა ....17
შენია რაც მაქვს....18
ნელის ....18
იქნებ, მეძახი ....19
ჭიამაია ....20
არ შემცდება ....20
როგორც წინათ ....21
მეძახდნენ ....22
ჩემს დას თინათინს....23
ღამე არაგვთან....24
მეუღლეს....25
მე შეხოშილმა....26
ვიცი, დროო!....28
მანავის ციხე....29
წიგნს გამიყიდით? ....30
რას დავაბრალო?....30
სინანული....31
გველის ყასაბი....32
ცის ანგელოზს!....32
თამარ!....34
მატარებელში....34

ფუტკარი........................................................................................35
ქანდა ...........................................................................................36
ჭექა-ქუხილი მომინდა ..........................................................................36
ქართველ ქალიშვილს! ...........................................................................37
ფულის ტომარა...................................................................................38
იალღუჯზე ........................................................................................39
არ დაგვავიწყდეს.................................................................................40
სად არის ბოლო, სად არის შველა? ............................................................41
შაშვი გალობდა ..................................................................................42
ისევ შენ გნატრობ................................................................................43
*** მე, შენში განვმეორდი .....................................................................44
სიყვარულს შენსას ..............................................................................44
მან იცის მხოლოდ................................................................................45
ცხრამურის წყალთან ............................................................................46
მაჰმადის მდინარე ..............................................................................47
გაილვიძე .........................................................................................47
შავი გენერალი ..................................................................................48
შაშვი სევდის ხმით გალობდა...................................................................49
ოჰ, როგორ მტკივა ..............................................................................50
ხომ არ გენიშნა?.................................................................................51
ისევ წითლდები, ისევ ფითრდები...............................................................52
ლოცვა არ კმარა ................................................................................53
მეფეთ მეფე დავითს.............................................................................54
სანიკის ველი.....................................................................................55
იდინოს ასე .......................................................................................55
მივდივარ, გეძახი.................................................................................56
ძმის ხსოვნას .....................................................................................57
ზამბახი ...........................................................................................59
დიანა .............................................................................................60
ჯერ, მზეო ჩემო, ნუ ჩახვალ!.....................................................................60
ჩემს გზას მოსდევენ.............................................................................61
გულს აქ დავტოვებ ............................................................................62
ბედიანი, კლდეკარი..............................................................................63
„კიდევაც დაიზრდებიან“ .......................................................................64
დრო მოვა........................................................................................65
*** მანამ, ღმერთო, ნუ გადამხდი .............................................................65
მოურავო!.........................................................................................66
შვილო პაატა! ...................................................................................67
სად მიმაქანებს ბოროტი ძალა?................................................................67
მაისი..............................................................................................68

ალუბალო! ....69
მთვარეს მოგტაცებთ....69
გალაკტიონს!....70
გახსოვდეს ....71
ხსოვნა ....72
მიყვარს ხმაური ....72
სიმინდი ....73
*** ნურავის ემდური, ვტყუივართ მე და შენ....74
ობობას ქსელი....75
მე სხვა რამ არა მჭირდა რა ....76
*** პატარა ქოხი მქონოდა ....76
ჩიტები ....77
უშენოდ ....78
დრო აღარ ითმენს ....79
გთხოვ პატიებას ....80
მოქალაქეთა მისალებში....81
იყიდებაო შატილი....81
დამაგვიანდა....83
ისევ იმ მაღლობზე....84
ანის!....85
აჰა, ჩამოვდნი....86
*** ქარი აღარ ჩადგა, ღამის ყაჩაღივით ....86
იყო? არ იყო?....87
ეძახდა გედი სულიკოს....88
ელიავას-37 ....88
ერის კაცს ვეძებ....89
გუბე....90
არწივის ჩრდილი....90
*** შენ ერთ დროს განდევნე მონღოლი, ტევტონი....91
დღეს გამახსენდა....93
რა მალე ....94
ერთხელაც ....94
გაფრენა მსურდა ....95
როკვა ჭაობში....96
წისქვილში მინდი მიმქონდა ....97
... და ვფიქრობ, ვფიქრობ....97
ზამთრის წინ....98
მე მთვარე მეტყვის....99
მზეო, შინ შემოდი ....100
არჩევნები - 2008....101

მუზას ......................................................................................................102
„მო, მთვარეო, შემიბრალე...“ ...........................................................................103
გლობალიზმი.............................................................................................104
 ცოტას დაიცდი.........................................................................................105
პოეტთა ერა...............................................................................................105
დარჩენილი დრო ......................................................................................106
ჩასატეხ ხიდზე ..........................................................................................107
ჩემს კუთვნილ წლებში.............................................................................107
ცხრა აპრილი.............................................................................................109
კუკიაზე......................................................................................................109
სამების ჩუქურთმა .....................................................................................110
ერთ კარგ წამს ველოდი............................................................................110
ახალი სიცოცხლით ...................................................................................111
სხვა დროა გარეთ .....................................................................................111
ქეთევან დედოფალს! ................................................................................112
მთვარე და ზამთრის ღამე ........................................................................114
იკაროს ......................................................................................................115
ყორნისფერი სივრცე .................................................................................116
„შვილო, ზურაბ, სადამდის?“ ...................................................................118
მაისის მთვარიანი ღამე ............................................................................119
შენს ტანზე თეთრი ფერი მიყვარდა.......................................................120
ყურძნობისას.............................................................................................121
მხოლოდ აქ ...............................................................................................122
მაისის მთვარის ღამეები ..........................................................................122
...და ჩუმად ვშფოთავ ................................................................................124
ღამე ..........................................................................................................125
წარსული...................................................................................................126
დედის საფლავთან ...................................................................................127
ნუღარ მაგონებ..........................................................................................128
ნამდვილი ყოფა ........................................................................................128
რა დაგრჩა?...............................................................................................129
ჩემო ზღვისფერო მუზავ! ..........................................................................131
თბილისი ..................................................................................................131
ჩიტბატონა................................................................................................132
მატარებელი.............................................................................................133
მინდება ....................................................................................................134
ყვავილებით წალეკავს...............................................................................135
სადა ხარ? ................................................................................................136
თივის ქოხი ..............................................................................................137
ვედრება ...................................................................................................137

აქ ვთქვი ჩურჩულით ........................................................................................138
ფერფლი და ქნარი ..........................................................................................139
დათო ...................................................................................................................140
ის მაინც უცხოა ..................................................................................................140
სიზერე .................................................................................................................141
ყველგან ეს გული ზის ......................................................................................142
დრო .....................................................................................................................142
ძეძვი და ნარი ....................................................................................................143
ჩემო დისწულო მერაბ! ...................................................................................144
დაო თინათინ! ....................................................................................................145
ხორუმი იყო დოლზე დაკრული .....................................................................146
მთვარე მომძებნის ...........................................................................................147
წამიერი სიმშვიდე ............................................................................................148
მახსოვხართ .......................................................................................................148
სურვილი ............................................................................................................149
ოდესღაც ............................................................................................................150
ოღონდ ავიშვა, ოღონდ გაიღოს ...................................................................150
სად გამაჩერებს ................................................................................................151
ზამთარი .............................................................................................................152
ბრალია ..............................................................................................................153
დაუვიწყარი .......................................................................................................154
ჩემს ლექსებს ....................................................................................................154
სიცარიელე .........................................................................................................155
სიცარიელე-2 .....................................................................................................156
ცალუღელა ხარ .................................................................................................157
ვინ განმსჯის? ....................................................................................................158
წარსული ............................................................................................................158
...და თქვას... .....................................................................................................159
სარკეში ..............................................................................................................160
დათუნა ..............................................................................................................161
მამას ..................................................................................................................161
*** დაგემშვიდობე მეგონა ..............................................................................162
სვეტიცხოველი ..................................................................................................163
*** აკვნიდან ვსვამდი დედის რძესავით .........................................................164
*** ღვინის ლოთივით გავფლანგე, მე, დრო .................................................164
ვერ დაგივიწყე ...................................................................................................165
ეგ ჩემი სულია ...................................................................................................166
ერთს ვნანობ .....................................................................................................166
მოდი და მნახე ...................................................................................................168
ნუ წამართმევ მუხლთა ....................................................................................169

ბაზარში......170
სამოცდამეათე......171
ის ჩემში რაღაც......171
მიყვარს გაზაფხული......172
2010 წელი......173
ვიცი ვიტირებ......174
*** ივლიან წლები, ასი, ათასიც......174
იქ მოდი ერთხელაც......175
თბილისი-1990 წ......176
ქეიფში......177
უცნობ ლამაზს......177
დაბადების დღე......178
ათასი დღე დამიღამდა......180
რაც გულში რჩება......181
ბაღის გუგული......181
წლები......182
ყვავილო!......183
მომიკითხავენ......183
ვიცოდი?......184
შემოდგომა......185
შემოდგომა......185
მუხადგვერდი......186
სად მიმიჩენენ სამარეს?......187
დროს უცდის სხვა ჯოგი......188
დასასრულთან ვარ......189
გამახსენდეს დრო რომელი?......189
სამდურავი......190
იტყვიან?......191
„კოკასა შიგან რაცა დგას“......192
და დღესაც ნუთუ?......192
პატარა ჩიტო!......194
ყველგან ნაზია......194
ახლა შორსა ვარ......195
ავაჩის ყურის ნაპირთან ნოსტალგია......196
*** ზამთარო, როგორ გაგრძელდი......198
*** დღითი-დღე ზამთარი, აპრილით დაჭრილი......198
*** მეც გარდავისახე, როგორც ეს მთაბარი......199
*** ჩემო ყვავილებო, გვირილა, ღიღილო......200
*** ტოროლა გალობდა ვერცხლისფერ ღრუბლებში......200
*** ერთხელაც, ივლისის კვირა დღით სისხამზე......201

*** ხანმოკლე ზაფხული მკვდრის მზით და ....................................202
*** ყაზარმაში, ჩემს ლოგინზე ფანჯარასთან ....................................202
*** ოქტომბრის მიწურულს, სცვიოდა ფოთოლი ....................................203
აჰა, ეს ხურდა ....................................203
მე დავბრუნდები ....................................206
ჩემსას რად ეპოტინები? ....................................207
გიორგი ლეონიძეს ....................................208
შენ ....................................210
არ შემხსნა რკინის კარები ....................................210
აქედანა და როკამდე ....................................211
ვირომ თქვა ....................................212
შვილი შენიც ....................................213
კოკოითს! ....................................214
შენ რო მოგიტაცონ ....................................215
როდემდე სხვის ხელში ....................................216
საქართველო ....................................217
ჩემი მამულეთი ....................................217
და რაც იქ მოხდება ....................................218
წინ-წინ განჭვრიტე ....................................219
სისხლიანი აგვისტო ....................................220
ნადირი დიდია ....................................220
ვაი, შენ სოფელო! ....................................221
ჩემს ერედვს ....................................222
ახალი ვანდალები ....................................223
ბოროტი ძალა ....................................224
*** მე, გამახსენდა წარსული დრო, მონღოლ-არაბი ....................................225
ერედველებს და ყველას ....................................225
მგლად მინდა ვიქცე ....................................227
ჭია ....................................227
ობოლი ....................................228
პუტინს! ....................................229
ისევ პუტინს ....................................230
ვანდალები ....................................230
ჟურნალ „გზის“ გარეკანზე ....................................231
ტკივილი ....................................232
ობოლის ცრემლო! ....................................232
დამწვარი მიწა ....................................233
მაშინ მიყვარხარ ....................................234
რუსეთო, გხედავ ....................................235
ერედვს! ....................................236

ცის ფუფალავ! ..............................................................................237
უფალო, მისმენ? ..........................................................................238
არ გადაივიწყო!............................................................................239
არაგვთან ....................................................................................240
ქუხილი........................................................................................240
ორი მარგალიტი............................................................................241
მიწაო ჩემო! ..................................................................................242
„ძველივე ჰშთება ძველად“ ...........................................................243
ერთხელ ჩამძახოს .........................................................................244
შემოგვესია რუსეთი.......................................................................245
ცხინვალში ქართული წიგნები დაწვეს ...........................................246
იგორებს ვაშლი?...........................................................................246
გაუფრთხილდი საქართველოს!....................................................248
საფლავს გიტოვებ .........................................................................248
სად დამეკარგენით........................................................................250
*** უფალო ჩემო............................................................................252
*** აი, აქ, ბებერ მუხებთან ............................................................252
*** მე, ფეხშიშველი მოვდიოდი ....................................................253
*** მეოცდაერთე საუკუნე შემოაბიჯებს........................................254
*** ღმერთო ძლიერო.....................................................................255
*** სად არ ვყოფილვარ .................................................................255
*** ჩემო მეუფევ.............................................................................256
*** მაღალო ღმერთო .....................................................................257
*** ღმერთო, მაღალო .....................................................................257
*** დრო, როგორც ქარიშხალი მიჰქრის და მიაქვს.........................258
*** ჩემს შარა გზაზე, დღიდან ჩემი გაჩენისა ..................................259
*** მაღალო ღმერთო .....................................................................259
*** ჩემო მეუფევ.............................................................................260
*** გულთა მხილველო...................................................................261
*** ღმერთო, მაღალო.....................................................................261
*** მალე გადირბენს დედამიწიდან.................................................262
*** როგორ გაჭენდა ულაყივით ჩემი სიცოცხლე ............................263
*** ჩვენთვის, გლახთათვის და.......................................................263
*** ღმერთო მაღალო .....................................................................264
*** ადრე თუ გვიან მუხლს მოიდრეკს ............................................265
***ღმერთო მაღალო, გადახედე ამ შენს საუფლოს .........................265
*** ო, ღმერთო ჩემო, იქნებ შენგან მაქვს .......................................266
*** როდის დავშორდი შენს სამყოფელს, მეუფეო, მე, კარგად მახსოვს ...266
***წელიწადია, მეუფეო...................................................................267
*** მინდა ამოქროლდეს დიდი ქარბორბალა...................................267

*** ორიათასმა წელმა განვლო, რაც ცად ამაღლდი....................................268
***ორიათასი წლის ეპოქა დაილია, ჩვენო მეუფევ....................................269
*** უფალო, ახლაც....................................270
*** უფალო, ინებე მოვიდეს ჩემო დრო ....................................270
***მეუფევ ჩემო....................................271
***ღმერთო, მაღირსე ტვირთის ზიდვა ....................................272
„მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ“ ....................................274
ხმა მომავლიდან....................................275
სატრფოს ....................................276
ცარიელი ყაბახი....................................277
უკრავენ ჩონგურს ....................................277
მთვარიან ღამით ....................................278
ბაზართან....................................279
ჩივილი....................................279
ისევ მთაწმინდაზე ....................................280
საუბარი მამაღმერთთან....................................281
სულ მცირე შვება....................................283
ფიქრი ქარაფზე ....................................284
მწყემსებთან....................................286
სევანის პირთან....................................287
ნახიჩევანის ეჭვები ....................................288
მაიკოს ....................................289
წინ ტფილისისკენ....................................291
წავედით განჯას ....................................292
უკანასკნელი გზა....................................294
ცრემლი....................................296
განჯის მისადგომებთან....................................298
აქ ნუ დამმარხავ ....................................299
ვაითუ მოვკალ ....................................302
ციება ....................................304
მზე ჩემი ქრება ....................................305
ყუბანის სისხლიანი ლიმნები ....................................309
გემშვიდობები ....................................393

